

K129824
3



ი. სიხარული

შეკვეთი
ხელი
ყრდნობა
დამტკიცებულებების სითვი

დამტკიცებულებების სითვი

XIII-XIV

საქართველო

ი. სუხანვალიძე


საქართველოს
სამართლის
56

შეკვეთის
ერთობლივი
სამართლის
სამართლის
სამართლის
სამართლის

ქადაგის სამართლის
სამართლის

XIII-XIV

სამართლის
სამართლის



გამოცემის
„საგვარეულო“
თბილისი — 1967

10446

36/8

5

*
յարտցըլո ხալեօ ևայրենքմս
Տաճօլոնց մը լցիւ ոլոյւ ու այսէ
Լակը լինուած գուածութենաց գամուս ու գուած-
լունաս; Ճանայց ու ու անանախ ու ու
ծիւնուն ու ու անանախ գամուս ու ու
յարտցըլո խալեօ մի և ամարտլունան
ռամուս անուն անուն ու ու անուն ու ու
բնակնո.

*

შესაცლის მაგიერ

ქართველი ხალხის მრავალსაუკუნოეან ისტორიაში საპატიო ადგილი განეკუთვნება სამამულო ომს თათართა წინააღმდევ. ამ პრობლემის შესწავლა ქართულმა ისტორიოგრაფიამ ნომადთა მფლობელობის ხანაშივე დაიწყო. პირველი ქართველი ისტორიოსი, რომელმაც იტვირთა ეს მძიმე საქმე, XIV საუკუნის პირველი ნახევრის მოღვაწე უამთაღმწერელი იყო. მან ტიტანური შრომა გასწია, მაგრამ იმდროინდელმა მძიმე ვითარებამ არ მისცა საშუალება, დიდ წინამორბედთა კვალზე ევლო, ის სიმხნე და ოპტიმიზმი გამოეჩინა, რომელიც დავითისა და თამარის ისტორიკოსებს გააჩნდათ.

გაცილებით უფრო შორს წავიდა და მკეთრადაც ვაემიჯნა აღმავალი ხანის ისტორიოგრაფიას ლარგველი ავგაროზ ბანდაისძე (XIV ს. II ნახევარი), რომლის ქსნის ერისთავთა საგვარეულო მატიანე ძალზე საინტერესო ძეგლია თათართა ხანაში საქართველოს შდგომარეობის გასათვალისწინებლად.

XIV საუკუნის მიწურულიდან მოკიდებული XVII ს-მდე თათართა მძლავრობაზე თითქმის არაფერი დაწერილა. ფარსადან გორგიგანიძე პირველი ქართველი ისტორიკოსია, რომელმაც თავისებურად გამართა და ზოგიერთი ახალი ცნობით შეაქსო უამთაღმწერლის მონათხრობი. ამ მხრივ ენერგიულად იღვაწა ვახუშტი ბაგრატიონშიც. მისი უმთავრესი დამსახურებაც უამთაღმწერლის ქრონოლოგიური ხარვეზის შევსების ცდაში მდგომარეობს. მოძღვენო ხანის ისტორიკოსები (იოანე ბატონიშვილი, ნიკო დადიანიათუ სხვ.) თათართა ხანის ისტორიის გადმოცემისას ძირითადად ვახუშტის ემყარებოდნენ. მარი ბროსემ ქართული წყაროები პირველმა შეაჯერა აღმოსავლურ თუ ევროპულ წყაროთა მონაცემებთან და ამით საფუძველი დაუდო პრობლემის შესწავლის მეორე ეტაპს.

მარი ბროსეს უმცროს თანამედროვეთაგან ამ ჩივის საკითხებს ეხებოდნენ დ. ბაქრაძე, და დ. განაშვილი. პირველმა მნიშვნელოვნად განავითარა წინამორბედის წამოწყება, ხოლო მეორეს

საბართველო
 ვარდავანულ
 ვართვანულ
 ვირთვანულ
 ვითარების

ლვაწლი ძირითადად ამ საკითხების პოპულარიზაციაში გამოიხდა. მისი წერილების სერია 1874—1875 წლებში „დროებში“ გამოიცა და განვითარდა.

ეს წერილები ყურადღებას იპყრობს თათართა მფლობელობის ახლებური შეფასებით. თუ მანამდე ამ მოვლენას უარყოფითად განიხილავდნენ, დ. ჯანაშვილმა, პირველმა ჩვენში, გვერდი აუარა თათართა დაპყრობების ტრადიციულ შეფასებას და ივა დადებით მოვლენად მიიჩნია.

ასეთმა შეხედულებამ ცოტა მოგვიანებით დას. ევროპის ორიენტალისტიკაშიც მძლავრად მოიღვა ფეხი და რუსულ აღმოსავლეთმოდნეობაშიც გავრცელდა. მას ვერც დიდი რუსი ორიენტალისტი ვ. ბარტოლდი აცდა.

დ. ჯანაშვილის თვალსაზრისი თანამედროვეთაგან არავის გაუზიარებია. დ. ბაქრაძე, ნ. ურბნელი, თ. უორდანია და სხვები კვლავ უარყოფითად აფასებდნენ თათართა მფლობელობას. ჩვენს დროში ს. კაკაბაძემ სცადა ამ მოვლენის დადებითი შეფასება, მაკრამ ეს უკვე რუსული ბურჯუაზიული ისტორიოგრაფიის გავლენით.

ამ პრობლემის შესწავლას დიდი ენერგია შეაღია ივ. ჯავახიშვილმა, რომლის მოღვაწეობით დასრულდა კიდეც ის ეტაპი, მართ ბროსემ რომ დაიწყო XIX საუკუნის 40-იან წლებში.

თათართა მფლობელობის შესწავლას დიდი პერსპექტივები შეექმნა ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ. როცა საბჭოური ისტორიოგრაფია კვლევა-ძიების მარქსისტულ გზაზე შედგა და წარმატებებიც თვალსაზრისო მოიპოვა.

მარქსიზმის ფუძემდებლებმა და კლასიკოსებმა ნათლად შარმოაჩინეს ცხოვრების ოღონსაველური წესრიგი: სამეურნეო, სოციალური, პოლიტიკური და კულტურული წყობა, სამხედრო-ადმინისტრაციულ სახელმწიფოთა ხასიათი, პროგრესის შეფერხება ნაკლებ განვითარებულ ხალხთა ბატონობის პირობებში, დაწინაურებულ ხალხთა სამეურნეო სისტემის როლი ნომადთა ცხოვრებაში, თათართა ვანდალიზმის მიზეზები და შედეგები, მათი როლი აღმოსავლეთ ევროპაში ცენტრალური სახელმწიფოების წარმოქმნის საქმეში და მრავალი სხვ.

საქართველოში თათართა ხანა მარქსისტულად პირველად განიხილა ნ. ბერძენიშვილმა და ამ პრობლემის შესწავლაში მესამე ეტაპი დაიწყო.

თათარ-ქართველთა ქურთიერთობის ცალკეულ საკუთხებს სპეციალურად თუ სხვა მოვლენებთან დაკავშირებით ეხებოდნენ: ვ. გაბაშვილი, დ. გირიტიშვილი, კ. გრიგოლია, დ. კაპიტანიშვილი კვიძე, რ. კიქნაძე, დ. ლანგი, თ. ლომოური, შ. მესხია, ე. მეტრევა-ლი, ნ. შოშიაშვილი, ი. ცინცაძე და სხვ.

თათართა ხანაზე საქართველოში მრავალი ქართული და უცხოური წყარო გვაწვდის ცნობებს.

ქართული წყაროდან ყველაზე უძველესია ლაშა გიორგის-დროინდელი ისტორიკოსის თხზულება (დაწერილი XIII საუკუნის 20-იანი წლების დამდეგს). საქართველოში თათართა პირველ ლაშქრობათა მომსწრე მემატიანის ცნობები რამდენიმე საინტერესო საკითხს გვითვალისწინებს.

ვრცელი და უბადლო პირველწყაროა ქამთალმწერლის თხზულება. ძვირფას ჩვენებებს შეიცავს „ძეგლი ერისთავთა“, ბეჭა ჯაყელის „წიგნი სამართლისა კაცთა შეცოდებისა ყოველისავე“, „გარიგება კელმწიუისა კარისა“, „ძეგლის დადება“ და სხვ.

საყურადღებო ცნობები დაუცავთ XIII საუკუნის სომები ისტორიკოსებს: კირაკოს განძაკეცს, ვარდან ბარბერდეცს, გრიგოლ აკანეცსა და სტეფანოს ორბელიანს. შედარებით მცირე, მაგრამ ზოგ შემთხვევაში, ფრიად საგულისხმო ჩვენებებს გვაწვდიან იმავე საუკუნის ავტორები: სტეფანოს ეპისკოპოსი, სებასტიანი, უსახელო ავტორი, სუმბატ სპარაპეტი, მხითარ აირიკანეცი, დავით ბაგრაშეცი, ჰეთუმ II, ოვანეს ვანაკან ტაუშეცი, გრიგოლ სამეცი, ავრეთვე, კირაკოს რშტუნი (XV ს.) და სხვ.

ირანელი ავტორებიდან აღსანიშნავია: მოპამედ ან-ნესავის (XIII ს.), ალ ად-დინ ათა მალიქ ჭუვეინის (გარდ. 1282 წ.), რაშიდ ად-დინ ფაზლულლაჰ ჰამადანის (დაიბ. 1247 წ. ახლოს, გარდ. 1318 წ.), ვასაფ-ი ჰაზრეტის (შიპაბ ად-დინ აბდალლაჰ იბნ ფაზლულლაჰი—XIII—XIV სს.), ჰამდალლაჰ მუსთოლუფი ყაზვინის (XIII—XIV სს.), ჰაფუზ-ი აბრუს (ნურ ად-დინ ლუტფულლაჰ იბნ აბდულლაჰ ალ-ჰერავი) და ზოგ სხვათა თხზულებები. არაპ შწიგნობართაგან იბნ ალ-ასირის (აბუ-ლ-ჰასან ალი ბენ აბუ-ლ-ქარიმ მუჰამმად ბენ მუჰამმად ბენ აბდ ალ-ქარიმ იბნ აბდ ალ-ვაჰიდ აშ-შაიბანი—1160—1234), ხავუთ იბნ აბდ ალლაჰ ალ-ჰამადი (1301—1349), შიპაბ ად-დინ აბუ-ლ-აბას აჰმად იბნ ალი ალ-ქალკაშანდის



(1355—1418), თავი ად-დინ აქმად იბნ ალი ალ-მაკრიზეს წერე 364
1442) ნაშრომები, ჩინური წყაროებიდან — ჯაო ხუნტაურაშების
ჩუნის ქრონიკები, მონღოლურიდან — „იუან-ჩაო ბი-ში“ („თქმუ-
ლებათა საგანძური“) და სხვ. საინტერესო ცნობებს ვხვდებით
პლანო კარპინის, გიულიომ რუბრუკისის, მარკო პოლოს და სხვა
ევროპელ ავტორთა თხზულებებშიც.

დღეისათვის საკმაოდ დაწინაურებულია წყაროების ტექსტო-
ლოგიური შესწავლისა და გამოცემის საქმე. ჯერ კიდევ რევოლუ-
ციამდე დაიწყო (1912) და ჩვენს დროში დამთავრდა (1937) ჯუვა-
ინის „თარიხი ჯეპან ქუშაის“ („მსოფლიო დამპყრობლის ისტო-
რია“) მირზა მოჰამედ ყაზვინისეული ტექსტის გამოცემა, 30—40-
იან წლებში მ. ზიადიმ რამდენიმე ტომად გამოქვეყნა ალ-მაკრი-
ზის „ქითაბ ალ-სულუქ ლი-მარიფათ დუეალ ალ-მულუქ“ („მმართ-
ველი დინასტიების შესაცნობი გზების წიგნი“), 1957 წ. ბაქოში
დაიბეჭდა რაშიდ ად-დინის „ჯამი ათ-თავარიხის“ („ისტორიათა
კრებული“) მესამე ტომის კრიტიკული ტექსტი (დააგვინა ა. ალი-
ზადემ), 1951, 1956 წლებში ვ. აკობიანმა ერევანში ორ ტომად
გამოსცა XIII—XVIII საუკუნეების „მცირე უამთალმწერელთა“
(„მანქ ეამანაյაგრუთმუნნერ“) მატიანეების შეცნიერულად დად-
გნილი ტექსტები და სხვ.

ჩვენთვის საინტერესო აღმოსავლური წყაროების დიდი ნაწილი (ზოგი მთლიანად, ზოგიერთიც ნაწილობრივ) თარგმნილია ევ-
როპულ ენებზე. მ. კატრიმერიმა ფრანგულ ენაზე თარგმნა და 1837,
1845 წლებში პარიზში გამოსცა ალ-მაკრიზის ისტორიული ქრო-
ნიკა, დორნმა გერმანულად თარგმნა და 1847 წელს დაიბეჭდა პავ-
დალლაჰ ყაზვინის „ნოზპათ ალ-ყოლუბის“ („გულთა სიამე“) ის ადგი-
ლები, რომლებიც საქართველოს, რანსა და ადარბადავანს შეეხება.
1903 წელს იულიუს განტინმა პარიზში გამოქვეყნა ყაზვინის „თა-
რიხი გუზიდეს“ („რჩეული ისტორია“) ფრანგული თარგმანი. საქარ-
თველოზე ამ თხზულებებში დაცული ცნობები ქართულად თარგმნა
და 1937 წ. თბილისში სპარსული ტექსტითვე გამოსცა ვ. ფუთუ-
რიძემ. 1940 წელს ბაქოში გამოქვეყნდა იბნ ალ-ასირის „თარიხ
ალ-ქამილის“ იმ ნაწილის რუსული თარგმანი (ვ. უზესი), რომე-
ლიც ადარბადავანს, საქართველოს და მის ყმადნაფიც რანსა და
შარვანს შეეხება; 1946—1960 წლებში სამ ტომად გამოიცა „ჯამი-

ათ-თავარიხისა” სრული რუსული თარგმანი¹, 1958 წელს ჭ. ბოლოვა
მანჩესტერში ინგლისურ ენაზე ორ ტომად დაბეჭდია „თარგმანის მიზანისადაც კართულად გადმოიღო და 1960 წელს სომხური ტექსტით ურთ გამოქვეყნა გრ. ავანეცის „პატმუთხუნ აზ-
გინ ნეტოლაც“ („მოისართა ტომის ისტორია“); 1964 წელს ე. სიხა: რულიძემ გამოსცა ალ-ჰამავის „მუ'ჰამ ალ-ბულდანის“ იმ ხელისა
ქართული თარგმანი (არაბული ტექსტით), რომელიც საქართველო:
სა და კავკასიას ეხება: ა. გ. გალსტიანმა რუსულად თარგმნა და
1962 წელს მოსკოვში გამოსცა თათართა მფლობელობის ამსახველი
XIII—XIV საუკუნეთა სომხური ძეგლები (მატიანები, შინაწერები,
ბი) და სხვ.

რუსულ და ქართულ ენებზე ჩინებულად არის თარგმნილი
თათართა ხანის ევროპული წყაროებით. 1825 წელს რუსულ ენაზე
გამოქვეყნდა ასცელინის მოგზაურობა (ლათინურიდან თარგმნა
იაზიკოვში). გ. ქიქოძემ ქართულად თარგმნა და 1942 წ. დაბეჭდია
კარპინისა და რუბრუკვისის თხზულებები: „ისტორია მონღოლებისა,
რომლებსაც ჩვენ თათრებს უუწოდებთ“ და „მოგზაურობა
აღმოსავლეთის ქვეყნებში“. რუსულ ენაზე თარგმნილია მარკო-
პოლოს მოგზაურობა (ძველი ფრანგულიდან თარგმნა ი. ნ. მინა-
ვემა) და სხვ.

უკანასკნელ დროს დიდი სწრაფვა შეინიშნება არა მარტო
თარგმანის კულტურის ასამალლებლად, არამედ ძველი მანკიერი
პრაქტიკის (ნაწყვეტების გამოცემა) დასაძლევადაც. მაგრამ უკალ-
გან ეს ჭერ კი ევ ვერ ხერხდება და ისევ წყაროს ცალკეული აღ-
გილების (რამდენადმე უფრო გაფართოებული სახით) თარგმანი
ქვეყნდება.

საბჭოთა ისტორიოსები ცდილობენ ღრმად შეისწავლონ თა-
თართა ხანის ისტორიოგრაფია, შეიცნონ ცალკეულ ავტორთა ვი-
ნაობა, გახსნან ისტორიული წყარო და სხვა, მაგრამ ჩამორჩება
მაინც საგრძნობია. ჭერჭერობით არათუ გამოკვლეულ-დასაბუთე-
ბული, არამედ მინიშნებულიც კი არ არის ისეთი დიდი მნიშვნე-
ლებული.

1 პირველი ტომის პირველი წიგნი სპარსულიდან თარგმნა ლ. ა. ხ. თაგურ-
ელოვანი, მეორე წიგნი — თ. ა. სმირნოვამ (ორივე 1952 წ. დაბეჭდის),
ერთეული — ი. პ. ვერხოვსკიმ (გამოქვეყნდა 1960 წ.), ხოლო მესა-
მე — ა. კ. არენდ სმი (პირველი გამოიცა 1946 წ., შეირედ სპარსულ
ტექსტთან ერთად — 1957 წ.).



ლობის ზოგიერთი ასპექტი, რომელიც „იუან-ჩაო ბი-შის“, კიბიათ-თავარიხს“ და ზოგ სხვა ძეგლს გააჩნდა თავის ღროშეაშემყდარ უმართებულოდ არის მიჩნეული ჭუვეინი თუ სხვა რეტროგრაფები ციკილიზაციის „მფარველებად“. თათართა ის ვანდალიზმი, რომელსაც ილხანთა სამსახურში მყოფი ისტორიკოსები აღნიშნავენ, მათ რენეგატობის მძიმე დაღს ვერ მოაცილებს. როცა ჭუვერი ჰულაუს თუ მის წინამორბედთა სისხლიან თარეშს და ნგრევას ოღწერდა, ამას აკეთებდა არა პროგრესისადმი ერთგულებით, არა-მედ ოფიციალურ თვალსაზრისთან სრული თანხმობით, ილხანი ამით თავს შეურაცხყოფილად კი არ გრძნობდა, პირიქით, ამაყობდა კიდეც. მისი თვალსაზრისით, ეს „გმირობა“ იყო და ჭუვერისაც ევალებოდა სისრულით წარმოეჩინა იგი.

სხვა ვითარება შეიქმნა ყაზანის ზეობის ხანაში, მაგრამ აღ-რინდელ განადგურებათა ფართო ფონზე ჩერენება აქაც ისევე აუ-ცილებელი იყო, როგორც ამ ილხანის რეფორმების მნიშვნელობის გაზვიადება და რაშიდ აღ-დინიც გულმოდვინედ იღწვოდა. ხაქართველოს პროგრესის თვალსაზრისით ძნელი არ არის ყაზანის ამ ერთგული თანამებრძოლის (საილხანოს გაძლიერების მოწადინისა და აფანყებულ ქართველთა წინააღმდეგ საილხანოს კარის ღონისძიებათა აქტიური მონაწილის) მართებული შეფასება.

არც თათართა ხანის სომხური ისტორიოგრაფიაა ჭეროვნად შეფასებული და არც ქართული. ამიტომაა, რომ სამეცნიერო ლი-ტერატურაში დღემდე გასავალი აქვს ძველი ქართველი და სომეხი ისტორიკოსების ბევრ უმართებულო შეხედულებას.

წყაროთა მნიშვნელოვან ფონდს ქმნის იმდროინდელი ეპისტოლარული, დიპლომატიკური, ეპიგრაფიკული, ნივთიერი, ენობრივი და სხვა ხასიათის მასალები.

პირველი რიგისაა საქართველოს მეფეებისა და რომის პაპთა მიმოწერის დოკუმენტები. დიპლომატიკურ ძეგლებს შორის სკარბობს „დაწერილი“ (მიქელ კათალიკოსის, ძაგან აბულეთისძის, ბეგა სურამელის, ნიკოლოზ კათალიკოსის და სხვ.). სიგელებიდან იღსანიშნავია დავით ნარინის გელათისადმი შეწირულების წიგნი (ე.წ. „საბანელას დავთარი“).

ეპიგრაფიკული ძეგლებიდან განსაკუთრებით საყურადღებოა ანისის წარწერები (სომხური, სპარსული). ნივთიერ წყაროებში



ჟველაზე უფრო უხვია მონეტები (ქართული, თათრული), ენობ-
რივში — სამოხელეო ტერმინები და ანთროპონიმია. გვიპლისტონი

საგულისხმო მასალა-დაკვირვებანი შეგვძინა საველ ძიებამაც.
სხვადასხვა დროს ავტორს საშუალება ჰქონდა შემოეცლო სამხრეთ-
დასავლეთ საქართველო, მოეწყო ცალკეული გასვლები შიდა
ქართლში, სომხითში, კუხეთში, ჰანსა და სხვაგან.

* * *

კლასობრივი საზოგადოების განვითარებას კლასთა ბრძოლა
განსაზღვრავს. ფეოდალიზმის ხანაში მოწინავე ძალები სამეფო ხე-
ლისუფლების გარშემო არიან შემოკრებილი, პროგრესისათვა-
ს ბრძოლის ჰეგემონი ამ დროს მეფეა, ხოლო რეაქცია უმთავრესად
მთავრულ (მოგვიანებით მთავრულ-თავადურ) წრეებში ბორგავს
და მტრულად ეყიდება ცენტრალური ხელისუფლების ყოველ
წარმატებას. ეს მტრობა შინაპოლიტიკური სფეროთი არ იფარ-
გლება და გარეპოლიტიკურ ურთიერთობაშიც ძლიერად ვლინდე-
ბა. შინაგანი რეაქცია მხოლოდ ისეთ საგარეო ძალას ებრძოდა,
რომელიც ქვეყნის პროგრესის გაძლიერებას უწყობდა ხელს, ხო-
ლო იმას კი, რომელიც პატრიოტთა დასუსტებასა და ქვეყნის წინ-
სვლის შეფერხებას ესწრაფვოდა, უკავშირდებოდა და მხარს იძლევ-
და. ასე იყო თათართა მოძალებისა და ბატონობის დროსაც. იშვია-
თი არ არის შემთხვევა, როცა საზოგადოების ეს ნაწილიც განუდ-
გებოდა ხოლმე უცხო ძალას, მაგრამ ეს პროგრესული მიზანსწრა-
ფებით კი არ მოსდიოდა, არამედ „საქმისა რისათვასმე“. ასე რომ,
ბრძოლის მთელი სიმძიმე საზოგადოების პროგრესულ ნაწილს
აწვა და ისიც ყოველი ღონით ებრძოდა გარეშე და შინაური მტრის
კოალიციას. ეს ომი მძიმე, უთანასწორო და ხანგრძლივი იყო, მაგ-
რამ ქართველი პატრიოტები არ გატეხილან და თავიანთი მედგარი
ბრძოლით დიდი წვერი დასდეს არა მარტო საქართველოს, არა-
მედ საქაციობრიო პროგრესს. როგორ განვითარდა აღმავალი სა-
ქართველოს ეს დიდი სამამულო ომი, ვინ იყვნენ მისი გმირები,
როგორ იბრძოდნენ ისინი, ვინ იყვნენ ის ჩეტროგრად-მოლატუ-
ნი. რომლებიც ნებით თუ უნებლივდ აფერხებდნენ ამ ბრძოლას,
ვინ იყვნენ თათრები, რომლებმაც ჩვენს ქვეყანას და კულტურული
მსოფლიოს უდიდეს ნაწილს თავს დაატეხეს უსამართლო და გამა-



ნადგურებელი ომი, როდის შეხვდნენ თათრები და ქართველები პირველად ერთმანეთს, სად და როგორ წარიმართა მართლწილუბი, როდის შემოადგა მტერი ქვეყანას დასაპყრობად, როგორ დამყარდა ნომადთა ბატონობა საქართველოში, როგორ ვითარდებოდა პირველ პერიოდში (1236—1337 წწ.), და სხვა — აი ის ძირითადი საკითხები, რომლის გაშუქებასაც მიზნად ისახავს ეს ნაშრომი (იბეჭდება შემოკლებით).

ამ თემაზე მუშაობას შევუდექი ნ. ბერძენიშვილის რჩევით. მანვე ჩვეული გულმოღვინებით წაიკითხა ივი 1964 წელს და მრავალი საგულისხმო მითითება მოვცა, რასაც მაღლიერების ღრმა გრძნობით აღვნიშნავ.

საყურადღებო შენიშვნებისათვის მაღლობას მოვახსენებ აკრეთვე ზ. ანჩაბაძესა და ამ წიგნის რედაქტორს მ. ღუმბაძეს.

თ ა ვ ი

საქართველო

თათართა შემოხვევაზის წინ

XII საუკუნის საქართველოს განვითარებისათვის ხელსაყრელი პირობები შეემნა. თურქულ-სელჩუქურ მოძალების, რომელიც XI საუკუნის შუა ხანებიდან შახლობელ აღმოსავლეთსა და კივკასიის კულტურულ მსოფლიოს წალეკვით დაემუქრა, XII საუკუნის უამდეგიდან მნიშვნელოვნად შეეცვალა პოზიციები. ნომადთა არისტოკრატიის ფეოდალიზაცია, „ფრანგთა“ გამოსვლა, აბსოლუტიზმის განმტკიცება საქართველოში და ამ დიდ ბრძოლაში კავკასიის ხალხთა გაერთიანება გამარჯვების საიმეჯო გარანტიას იძლეოდა. მართალია, სამამულო ომი სელჩუკობასთან ხანგრძლივი გამოდგა, მაგრამ დავით აღმაშენებლის წინამდლოლობით მოპოვებულ წარმატებათა შემდეგ სელჩუკები საქართველოს ნორმალურ განვითარებას სერიოზულ დაბრკოლებებს უერ უქმნიდნენ. კავკასიის პროგრესისათვის სხვა საშიში ძალა იმუროინდელ მსოფლიოში არ არსებობდა.

ჩრდილო კავკასიაში XII საუკუნის ათიანი წლებიდან ყიზჩიაყები წინანდებურად ვეღარ მძლავრობდნენ, თუმცა ჩრდილოეთის გზაზე ჯერ კიდევ მკაცრ კონტროლს ამყარებდნენ და მნიშვნელოვნად აფერხებდნენ საქართველო-რუსეთის ურთიერთობას. ყიზჩიაყთა პრობლემის გადაწყვეტისათვის იმ დროს რეალური შესაძლებლობანი ისახებოდა. დავითმაც არ დააყოვნა, დიდი წინმატებით გადაჭრა რუსეთის გზის საკითხი და ყიზჩიაყთა დიდი ნაწილიც უშეალოზ ჩააყენა პროგრესის სამსახურში.

ყმაზნაფიცის რიგშე თანამშრომლობდნენ საქართველოსთან აღრეფეოდალური ოსთა სამეფო-სამთავროები. გარდა სამხედრო ძალისა და სხვა საყმადნაფიცი ვალდებულებებისა, ოსეთიდან შე-



მოგიოდა საქართველოში საიმპორტო პურის მნიშვნელოვანი ნაწილი.

XII საუკუნეში საქართველო ოქტიუბ ურთიერთობაში იყო ჩრუსულ სამთავროებთანაც. ქართველი მეფის ასულის გადადოფლება კიევში (1154 წ.) და ვლადიმირის მთავრის ძის სიძედ შემოყვანა ბაგრატიონთა სახლში (1185 წ.) კარგად მიუთითებს იმდროინდელი საქართველოს საგარეო პოლიტიკაში ჩრდილოეთის საკითხის აღვილზე.

სელჩუკები, ნორმანები, პაჭანიკები, შინაგანი რეაქცია — აი არასრული სიი მტრებისა, რომელთა რყალშიც მოექცა აღმოსავლეთ რომის იმპერია XI საუკუნის მეორე ნახევარში.

მძიმე განსაცდელის ეამს ბერძენმა პატრიოტებმა ალექსი კოზნენის მეთაურობით კეშმარიტად გმირული სული ჩაიდგეს და იმპერია დალუპვისაგან იხსნეს.

კონცენტრირებული ცუდად არ ერცვეოდა რომის პაპისა და დას. ევროპელ მონარქთა აღმოსავლურ პოლიტიკაში, მაგრავ სელჩუკებისაგან მიმდლავრებული იძულებული იყო მაინც მტრულ დასავლეთში ეძია დახმარება. მოუცილენ კიდევ ჯვრებიანი რაინდები, რომლებმაც, მიუხედავად თავიანთი სუბიექტური მიზანდა-სახულობისა, უდავოდ დიდი როლი შეასრულეს პროგრესისათვის ბრძოლაში. განსაუთრებით დიდი პოლიტიკური და ზნეობრივი მნიშვნელობა ჰქონდა ნიკეის განთავისუფლებას და სელჩუკთა „უძლეველი“ მხედრობის პირველ დამარცხებებს. „ფრანგთა“ ტრიუმფალურ წარმატებათა ხმა შორს, აღმოსავლეთში, გავარდა და სელჩუკთა დაპყრობილ ხალხებს ნომადთაგან თავდახსნის იმედი აღუძრა.

დიდი სიმარტი გაიარეს რაინდებმა გრძელი გზა ნიკეიდან იერუსალიმდე. ამ წარმატებათა მნიშვნელოვანი ნაწილი ბიზანტიას ერგო, თუმცა კეისარი უფრო მეტს მოითხოვდა. ეს წინააღმდეგობა ბიზანტიელებსა და ჯეაროსნებს შორის მაღე ომში გადაიზარდა.

ნორმანთა პრობლემის მოგვარების შემდეგ კონსტანტინეპოლის მთავრობამ მთელი ძალები სელჩუკთა ფრონტზე გადაისროლა და წარმატებასაც მიაღწია.

ბიზანტიის ფეხზე წამოდგომასა და მედგრავ გამოსვლას აღტაცებაში მოჰყავდა სელჩუკობასთან შებმული საქართველო.

ვენეციასთან ვერაფერი გააშუო, თორემ უველა სხვა მიზან
ითან კომნენტის საგარეო პოლიტიკა დიდად წარმატებული იყო.
იმპერიის ჩრდილო სახლვრის უშიშროების უზრუნველყოფაზე
ბრწყინვალე გამარჯვებები სულჩუკობაზე და მრავალი სხვა მშვე-
ნებს კომნენტა სახლის ამ ნიჭიერი წარმომადგენლის პოლიტიკურ
მოღვაწეობას.

იოანეს სიკვდილის შემდეგ გაროულა ბიზანტიის საგარეო საშინაო მდგომარეობა, ცერტ მანუილ პირველი აღმოჩნდა მოწოდების სიმაღლეზე. წარმატებებმა იყლო, რეაქცია კი დღითი-დღე ძლიერდებოდა. მდგომარეობის გამოსწორების ანდრონიკე კომნენტისეული პოლიტიკაც უდღეური აღმოჩნდა და 1204 წელს იმპერიაც დაცუ.

ბიზანტიის ნანგრევებზე წარმოქმნილ ბერძნულ სახელმწიფო
თა ენერგიის უდიდესი ნაწილი ურთიერთმეტოქეობას შეეღია.
მოძმეთა შორის ბრძოლაში, არცთუ ისე იშვიათად, მონაწილეობაზ-
ნენ გარეშენიც — სელჩუკები, ლათინები, ბულგარები და სხვები.
საკუთარი სისუსტის საკომპენსაციოდ უცხო ძალას ნიკეის იმპერა-
ტორიც იწვევდა, სინოპის მთავარიც, ეპირის ხელისუფალიც და
სხვ. არც ასეთი შემთხვევა იყო იშვიათი, როცა საგარეო მტრები,
კერძოდ, სელჩუკები, დაუპატიუებლადაც მიღიოდნენ ნიკეის, სი-
ნოპის თე სხვათა შინააღმდეგ.

1214 წელს ივონიის სულტანმა ტრაპიზონის მმპერატორი იყმო, დავით კომნენის სამთავრო დაიპყრო და სინობი დაიკავა.

ტრაპიზონელთა ხანგრძლივ ბრძოლას სელჩუკთავან თავდასახ-
სნელად შედეგი არ ჰქონია. იყონის სულტნის ყმობაში დახვდა
ტრაპიზონის კეისარი თაორებს.

XII საუკუნის 70-იანი წლებიდან გახსაკუთრებით გართულ-
და მდგომარეობა დასავლეთ წინა აზიასა და სირია-პალესტინაში.
ერთი მხრით, არ ცხრებოდა ქრისტიანული ქვეყნების წინააღმდე-
ვობა, ხოლო, მეორე მხრით, ძლიერდებოდნენ მუსლიმანური სა-
ხელმწიფოები. ასპარეზზე გამოვიდა ეგვიპტის ძლიერი სასულტ-
ნო; ძალები შემოიკრიბა და ზღვებზე გასვლისათვის აქტიური
ბრძოლა დაიწყო რემის სასულტნომაც.

ფატიმანური მისრეთი იმ დიდი სატრანზიტო გზის ერთ მონაკვეთზე ბატონობითაც კმაყოფილდებოდა, რომელიც აღენ-წითე-

ლი ზრდით და აიზაბ-ნილოსით ალექსანდრიაში ჩადიოდა; აიუბი-
ანთა ეგვიპტე კი შორს გაიჭრა აღმოსავლეთში და ბრძოლის დროს
დაუფლებაც მოიწადინა. ქაიროს, პირველი აიუბიანის პოლიტიკურ
ლონისძიებას მოჰყვა ხლათის მფლობელის დამორჩილება.

ვანის ტბის სანახებზე დიდი ხანია თვალდადგმულ ქართვე-
ლებს არ ეპრიანებოდათ აიუბიანის აღმოსავლური პოლიტიკა, მაგ-
რამ მის წინააღმდეგ გალაშქრებისათვის საჭირო ამინდი საქართვე-
ლოს ჯერ კიდევ არ ედგა. თბილისის სამეფო კარმა, გარდა უშედე-
გო პროტესტისა, ვერც იერუსალიმელ ქართველთა შევიწროების
სალაპ ად-დინისეულ პოლიტიკას დაუდო ზღვარი.

სალაპ ად-დინის სიკვდილის შემდეგ მისი სახელმწიფო დაი-
შალა და შინა ომმა მოიცვა. ასეთ ვითარებაში საქართველოს შეეძ-
ლო აიუბიანთა აღმოსავლურ სამფლობელოებს დამუქრებოდა. შაპარმენის მოქმედება (გუზან აბულასანისძის განდგომასთან და-
კავშირებით) საამისოდ კარგ საბაბს იძლეოდა, მაგრამ ქართველები
ამჯერად არზრუმის, რანისა და სხვა გარეპოლიტიკური პრობლემე-
ბით იყვნენ დაკავებულნი და მისრეთის სამფლობელოებს მხოლოდ
ბასიანის ბრძოლის შემდეგ შეუტიეს.

აღილ აიუბიანს, რომელიც ამ დროს ძირითადად სირია-პალეს-
ტინის ჯვაროსნებთან და კილიკიის სომხურ სამეფოსთან ბრძო-
ლით იყო დაკავებული, აღმოსავლეთში ქართული გამოსვლისათვის
არ ეცალა. სიცოცხლის უკანასკნელი წლები მან მეხუთე ჯვაროს-
ნული ლაშქრობის მოგერიებას შეალია. არც მის მემკვიდრე
პერნია საშუალება სალაპ ად-დინურ აღმოსავლური პოლიტიკის
გასატარებლად. ის მეხუთე ჯვაროსნულ ლაშქრობასა და კილიკი-
ასთან მოპოვებული წარმატებებითაც კმაყოფილი უნდა ყოფილი-
ყო. ჯვაროსნები არც აიუბიანთა უკანასკნელ სულტნებს —
აღილს, სალიპ ნაჯმ-ად-დინს და მუაზან თურანშაპს აძლევდნენ
მოსვენებას. ამასობაში თათრებიც მოჰყვიდნენ.

ახალმა ვითარებამ საქართველო-მისრეთის ძველი ურთიერთო-
ბის შეცვლა გააპირობა. მონღოლთა წინააღმდეგ აჯანყებული ქარ-
თველები ქუთაისის თუ თბილისის ტახტიდან ახლო პოლიტიკურ
ურთიერთობაში იყვნენ მისრეთის ბაპტისტთან.

აიუბიანთა ზეობის ხანაში ეგვიპტე აზია-აფრიკასა და ევ-
როპას შორის ვაჭრობის ცენტრი იყო. ევროპის მრავალ ქვეყანას-

თან ერთად¹ ალექსანდრიასთან სავაჭრო ურთიერთობა ჰქონდა
საქართველოსაც².

ეგვიპტის როლი მსოფლიო სატრანზიტო ვაჭრობში განკუთხული კუთხებით გაიზარდა 1258 წლის შემდეგ. როცა თაორებმა გაღდა-
დი აიღეს.

XII საუკუნის უკანასკნელი მესამედიდან თანდათან ძლიერ-
დება რუმის სასულტნოც. მართალია, მარიოკეფალის ტრაგედია
ბიზანტიამ არ შეარჩინა იყონის სულტანს და 1177 წელს სასტი-
ადაც დაამარცხა, მაგრამ ეს ბერძენთა უკანასკნელი დიდი წარმა-
რება იყო მცირე აზიის ფრონტზე. ანგლოსებს იმპერიის აღმო-
სავლური პოლიტიკის კომნენტრაც წარმართვის ძალა აღარ შეს-
წევდათ. სელჩუკებს კიდევ უფრო უკეთესი დრო დაუდგათ ბიზანტიი-
ს იმპერიის დაცემის შემდეგ. ჩუმმა მარჯვედ გამოიყენა ნიკეისა და
ტრაპიზონის იმპერიების წინააღმდეგობა. წარმატებით გადაწრა
შავ ზღვაზე გასვლის პრობლემა და მაღა ყირიმსაც გადაწვდა.

იყონის სულტნები დიდი მონდომებით ცდილობდნენ მცირე-
აზიური ბერძნული სახელმწიფოების, დამორჩილებას, მაგრამ ბერ-
ძენ პატრიოტთა ნიკეის საბუდარს ვერაფერი მოუხერხეს.

XII საუკუნის 70-იან წლებში ჩუმმა ძლიერი მეტოქის. და-
ნიშენიანთა სახელმწიფოს დამორჩილებაც შეძლო. ნურ ად-ლინ
არსლან შაპის გარდაცვალების (1173 წ.) შემდეგ შესუსტდა ზენ-
გიანთა ძლიერებაც.

იყონის სასულტნომ აიუბიანთა მისრეთის გაძლიერებითა
და სირია-პალესტინაში მისი აგრესიული პოლიტიკითაც კარგად
ისარგებლა ერთხანს.

რუმის სწრაფი აღმავლობა დროებით შეაფერხა მესამე ჯვარო-
სნულმა ლაშქრობამ და შინაომშა, რომელიც ყილიჯ-არსლან მეო-
რის გარდაცვალების შემდეგ ატყდა სასულტნოში.

ეგვიპტიდან კარზე მომდგარი საფრთხის ვითარებაში ქვეყნის
შინაური აშლილობა შეიქლება საბედისწეროც გამომდგარიყო
მცირე აზიის სელჩუკთათვის, მაგრამ სალაპ-ად-ლინის გარდაცვალე-

¹ W. Haud, Histoire du Commerce du Levant au moyen âge, t. I Leipzig, 1923, გვ. 186.

² ისტორიანი და აზმანი შარავანდ და დთანი, ქართლის ცხო-
რება, ტექსტი უველა ძირითადი ხელნაწერის შინელებით დადგენილია ს. ყაუხხი-
შვილის მიერ. ტ. II, თბილისი, 1959, გვ. 80 (ქვემოთ — ისტორიანი და აზმანი).

ბამ იხსნა რუმი და მთელი წინა აზია ძლიერი ქურთებს მიღებით
ბისაგან.

ამიერიდან რუმის ძლიერებას თათართა ცოძალუმშვიდესტუქტა-
რავინ უქმნიდა სერიოზულ დაბრკოლებას. მართალია, ბასიანის
წარუმატებლობამ კარგა ხნით გადადო იყონის აღმოსავლური
ჟეგმები, მაგრამ მცირე აზიის სამხრეთსა და დასავლეთში სელჩუ-
კები მაინც აქტიურად მიიწევდნენ წინ. ჭერ კიდევ ლიას ად-დინ
ქაიხოსრო პირველს ხვდა წილად ხმელთაშუა ზღვაზე გასვლის
ბედნიერება (1207 წ.).

კილიკის სომეხთა და იოანიტთა ორდენის ჯვაროსნების კოა-
ლიცია იზ ად-დინ კეიკავუს პირველისათვის თუმცა დაუძლეველი
აღმოჩნდა, მაგრამ კილიკის პრობლემის მოგვარება იკონის დიდ-
ხანს აღარ შემოგვიანებია.

დიდი წარმატებით გამოდიოდა გარეპოლიტიკურ სარბიელზე
ალა ად-დინ ქეიყუბად პირველისა და ლიას ად-დინ ქაიხოსრო
შეორის რუმი.

მცირე აზიის სელჩუქთა გაძლიერებას ზღვარი დაუდეს თათ-
რებმა, რომლებმაც 1243 წელს ქესედალთან სასტიკად დაამარცხეს
იკონის ლაშქარი. ამიერიდან რუმი თათართა ვასალურ ქვეყნად
იქცა და სწრაფი დაცემის გზაზე შედგა.

XII საუკუნის მიწურულიდან რუმის მიმდგმური და მოკავ-
შირენი იყვნენ ერზიჯანის მანგუჯაყიანები, რომლებიც ამ ქვეყნა-
ში ალფ-არსლანის დროიდან ისხდნენ. ყილიჯ-არსლან შეორებ
ერზინჯელ ფახრ ად-დინ ბაპრამშაპთან დინასტიური კავშირიც გა-
აბა და თავისი ერთადერთი ასული მიათხოვა.

ყილიჯის უფროსმა შვილმა, სულეიმან მეორემ XII საუკუნის
დამდეგს სიძე საქართველოს წინააღმდეგ ლაშქრობაში გაიყოლა.

ბასიანის ომის შემდეგ ერზიჯანი ერთხანს საქართველოს ყმად-
ნათიცი ქვეყნების რიგში ჩადგა, მაგრამ მალე იქ ისევ რუმის
სულტნის ხელისუფლება დამყარდა. ალა ად-დინ ქეიყუბად პირ-
ველმა სეპარატიული მისწრაფების ერზიჯანის მფლობელი კირშე-
ხირში გადაიყვანა და სასულტნო გააუქმა.

XII საუკუნის 50-იან წლებში საქართველოს წინააღმდეგ
გამოვიდა არზრუმის მფლობელი. აგრესორი თურქი ხელისუფალი
ტყვედაც კი ჩაუვარდა ქართველებს ანისის ბრძოლაში, თუმცა

ვერც ამან ასწავლა ჰქუმა და ტყვეობიდან თავდახსნილი კეტი გადა
მონაწილეობდა შაპარმენის ლაშქრობაში.

კარნუ-ქალაქის მფლობელი არც 80-იან წლებში იყო მომდევნობის მედიაზ
და ისევ ენერგიულად მოიწევდა საქართველოსაკენ, თუმცა კვლავ
მწარე დამარცხება იყო აგრძესორის ხევდრი. მხოლოდ ძუტაფი
აღ-დინმა მოინდომა საქართველოსთან დაახლოება და თამარის
ხელის საძიებლად თბილისს ეწვია. თამარის ნახევარდაზე დაქორ-
წინებულ თურქ მფლობელს დიდხანს აღარ დაცლია არზრუმში.
კარნუ-ქალაქს მალე ყილიჯ-არსლანი დაეუფლა და 1188 წელს
საუფლისწულოდ მისცა თავის მესამე ძეს, მოლის აღ-დინ თოლ-
ჩილშაპს.

თბილისის სამეფო კარს იმ დროს საშუალება არ ჰქონდა შესა-
ფერისად ეპასუხნა ყმადნაფიც ქვეყანაში რუმის აგრესიაზე. საამისო
პირობები საქართველოს 90-იან წლებში შეექმნა, როცა მდგომარეო-
ბა შინაც გაუუმჯობესდა და გარეთაც. ქართველებმა მარჯვედ გამოი-
ყენეს ყილიჯ-არსლანის სიკვდილის შემდეგ რუმში ამტყდარი ძმათა-
შორისი ბრძოლა და არზრუმის ქვეყანაზე წავიდნენ, მაგრამ სელ-
ჩუკთა უფლისწულის დამორჩილება ერთხანს მაინც ვერ მოხერხდა.

ახლო აღმოსავლეთის გზეთიდან საქართველოს უკუგდებას
ისახავდა მიზნად სულეიმან II ბასიანის ბრძოლაში, რომელშიც
აქტიურად მონაწილეობდა მისი ძმა, არზრუმის მფლობელი თოლ-
რილშაპიც. იმ წარუმატებელი ლაშქრობის შემდეგ რუმში კვლავ
შინაომი ატყდა, ხოლო მალე ძმის მკვლელი სულტანიც გარდაი-
ცვალა. ამით ისარგებლა ტახტმიხდილმა ლიას აღ-დინმა და იკონია-
ში განმტკიცდა.

ახალი სულტნის ენერგიის უდიდესი ნაწილი ნიკეი: იმპე-
რიამ შთანთქა.

იკონიდან მხარდაჭერას მოკლებული სულეიმან შაპის ყოფი-
ლი არზრუმელი მიმდგმური იძულებული იყო საქართველოს მე-
დის სიუზერენობა ეცნ.

კარნუ-ქალაქელი ყმადნაფიცი აქტიურად გამოეხმარა პატა-
რონის მოწოდებას თათართა პირველი შემოსევის დროსაც. არა
რუმის მფლობელს მერყეობა მხოლოდ ლაშას გარდაცვალების
შემდეგ დატყობია. რუსუდანის ხელისუფლებას კარნუ-ქალაქელი
თა შემომტკიცება სელჩუკიანი მძევლის მოყვანით უზრუნველის

უყვია! მეტიც ცოტა მოგვიანებით ეს მძევალი საქართველოს დე-
ლიტელის შეულლე გახდა.

ეს ფაქტი კარგად მიუთითებს იმაზე, თუ რატუნების უნდა უ-
რადღებას ქცევადნენ საქართველოში უდიდესი ეკონომიკური და
სტრატეგიული მნიშვნელობის არზრუმსა და მის ქვეყანას.

ხვარაზმელთა შემოსევების შედეგად საქართველომ ბევრი ყმად-
ნაფიცი, მათ შორის არზრუმიც, დაკარგა. ამიერიდან მას რუმის
სულტანი დაეუფლა. იქონის სასულტნო არზრუმს თათართა მოძა-
ლების უამსაც ფლობდა (თათრებმა იგი 1242 წელს იღეს).

სელჩუკთა იმპერიის უკიდურეს აღმოსავლეთში XII საუკუნის
შეორე ნახევარში სწრაფად გაძლიერდა ხვარაზმის სასულტნო,
მაგრამ იგი თამარის დროს საქართველოს საფრთხეს ვერ უქმნიდა.
პირიქით, ხვარაზმშაპების — თექეშისა და მუჭამედის პოლიტიკური
გეგმები ახლო აღმოსავლეთში მნიშვნელოვნად ასუსტებდა ანტი-
ქართულ ფრონტს აღარბადაგანსა და ირანში.

ხვარაზმის სასულტნოსა და საქართველოს პოლიტიკური ინ-
ტერესები ერთმანეთს აღარბადაგანში შეეჯახა XIII საუკუნის
20-იან წლებში.

ჯალალ ად-დინი არ დაქმაყოფილდა აღარბადაგანის დაუფ-
ლებით და მალე საქართველოს დაპყრობაც მოინდომა. მართალია,
მიზანი ვერ აისრულა, მაგრამ საქართველოს ეს ხანგრძლივი და
უთანასწორი ბრძოლა ძვირად დაუვდა.

პოლიტიკურ ზრდასთან ერთად ხვარაზმის სახელმწიფო XII—
XIII საუკუნეთა მიზნაზე ძლიერ დაწინაურდა ეკონომიკურად და
კულტურულადაც. განსაკუთრებით ცხოველ სავაჭრო ურთიერ-
ოობაში იყო აღმოსავლეთის ქვეყნებთან². მის საგარეო ვაჭრობა-
ში უმნიშვნელო ადგილი არც მახლობელი აღმოსავლეთის, საქარ-
თველოსა და აღმოსავლეთ ეკროპის ქვეყნებს ეჭირათ.

კავკასიის პროგრესისათვის წარმატებული ბრძოლა, უპირვე-
ლეს ყოვლისა, სამისოდ აუცილებელი მატერიალური ბაზის გან-
მტკიცებას საჭიროებდა. ამიტომაც იყო, რომ სელჩუკთა წინააღმ-
დეგ დიდი ომი ქართველებმა ველში დაიწყეს და XII საუკუნის

¹ კამთაღმწერელი, ქართლის ცხოვრება, II, გვ. 172 (ეკემოთ —
ვამთაღმწერელი).

² Архив Маркса и Энгельса, т. V. 1938, გვ. 220.

20-იანი წლების დამდეგს აღმოსავლეთ ამიერკავკასიაში გაფილ-
ენ. დავით აღმაშენებელი პირველად შარვანს უმიზინესობაზე და-
მე დავითმა შარვანშაპთან მოყვრული კავშირის გამზირი დაიწყო,
მაგრამ როცა იგი საქმაო არ აღმოჩნდა, ომით შევიდა შარვანში და
მისი შაპი ჯერ ყმობის პირზე დაიმორჩილა, ხოლო შემდეგ, როცა
ამ ქვეყნის შემომტკიცებისათვის პოლიტიკური ურთიერთობის ან
ფორმამ აღარ იკმარა, ხელმწიფობით შეცეალა.

შარვანის საქითხის დავითისეული გადაწყვეტია საბოლოო ამ
გამოდგა და მისი მემკვიდრეების დროს კვლავ გადაისინჯა; მარ-
თალია, შარვანშაპის სამფლობელო ამიერიდან შამახის დასავლე-
თით ისე შორს აღარ ვრცელდებოდა, როგორც აღრე იყო, მაგრამ
ეს ღონისძიება პროგრესის საქმეს ძველებურად ვეღარ ემსახურე-
ბოდა.

გაცილებით რთული გადასაწყვეტი აღმოჩნდა რანის საქითხი.
რადგან იქ სელჩუკები უფრო მტკიცედ იყვნენ ფეხმოდგმულნი,
ვიდრე შარვანში, სადაც გამათაეისუფლებელი ლაშქრის წარმატე-
ბას მნიშვნელოვან პირობას უქმნიდა ქვეყნის ქრისტიანი მოსახ-
ლეობის მხარდაჭერა. კარგად ჩანდა, რომ XII საუკუნის 20-იან
წლებში ქართველები განძაზეც წავიდოდნენ და არც თბილისა და
დმანისს დატვებდნენ გათავისუფლების გარეშე. ამის შეცნობაშ
და შორსმიმავალი საქართველოს შემუსკრის აუცილებლობაშ
მოყვანა თბილისთან თურქთა დიდი ლაშქარი 1121 წლის ავგის-
ტოში, თუმცა გამარჯვების ნაცვლად სამარე, ტყვეობა და ჯაბნუ-
რი ლტოლვის სირცხვილი იყო მტრის ხელირი დიდგორში.

დავით აღმაშენებელს რანის საქითხის მოწესრიგება აღარ
დაცალდა. ამ ამოცანის გადაწყვეტა დემეტრე პირველის საქართვე-
ლომ იკისრა და წარმატებითაც შევიდა განძაში, თუმცა იქ მალე
ისევ მტერი განმტკიცდა და XII საუკუნის მიწურულამდე განძა
კვლავ საქართველოს წინააღმდეგ მებრძოლ თურქთა მთავარ ბას-
ტიონად დარჩა. განძის პრობლემა შამქორის წარმატებულმა ომმა
გადაჭრა. ამ ქვეყნის ათაბაგი საქართველოს ყმადნაფიცი გახდა.
რა თქმა უნდა, პოლიტიკური ურთიერთობის ეს ფორმა ისეთი ძა-
ლის ვერ იყო, რაც პროგრესს ესავიროებოდა, მაგრამ იმ კრიზი-
სულ ხანაში, რომელიც მაშინ საქართველოს ედგა, უკეთესი პო-
ლიტიკური ღონისძიების გატარება შეუძლებელი იყო.

საქართველოს საწინააღმდეგო კოალიციებში აქტიურად მო-

ნაწილეობდა ბალდადის ხალიფაც, რომელსაც ჩვენი ქვეყნის/გაძლიერება დიდად აფიქრებდა. თუმცა ეს პოლიტიკური წარმატებები გობა ვერ აფერხებდა ცხოველ სავაჭრო ურთიერთობას სახალიფოსა და საქართველოს შორის. ბალდადი იმ დროს ახლო აღმოსავლეთის უმთავრესი ეკონომიკური და კულტურული ცენტრი იყო იქითკენ მიმავალი თუ იქიდან მომავალი ქართული და უცხოური ქარავნები დღენიადაგ თელავდნენ ჩვენი ქვეყნის გზებს.

ავბედითად დაუდგა XI საუკუნე სომხეთს, რადგან ვერ მოასწრო ისეთი ორგანიზაციის შექმნა, რომელიც აუცილებელი იყო ქვეყნის შემდგომი დაწინაურებისა და დამოუკიდებლობის შესანარჩუნებლად. ამიტომაც ველარ გაუძლო მტრის მოძალებას და უთანასწორო ბრძოლაში დიდი ზიანი განიცადა.

ამასობაში ქვეყანას სელჩუკები შემოადგნენ. მაგრამ ახალ მოძალადებთან სერიოზული ბრძოლისათვის საჭირო ძალა ბაზანტიისთან მარცხვახცდილ სომხობას არ გააჩნდა. საქართველოს კი მხოლოდ XII საუკუნის 20-იან წლებში მიეცა სომხებისადმი გამოქმაგების საშუალება.

სომხეთის ერთ ნაწილს ამ დროს შაპარმენები ფლობდნენ. ნაწილიც არზრუმის საამიროში ერთიანდებოდა.

შაპარმენს ყმობდა ანისელი შადაღიანიც. ანელთა მიწვევით დავით აღმაშენებელი შევიდა ანისში და გაათავისუფლა იგი თურქთა მძლავრობისაგან.

ანისის დაბრუნების იმედი სუქმანიანებს მხოლოდ დავითის გარდაცვალების შემდეგ მიეცათ. მართალია „თავი ყოვლისა სპარსეთობისა“! ქართველებმა დაამარცხეს, მაგრამ დემეტრე მაინც ძძულებული იყო შეეცვალა მამის პოლიტიკა და ანისში ისევ შადაღიანთა შმართველობა აღედგინა.

გიორგი მესამის პოლიტიკამ ანისში სუქმანიანთა დიდი რეაქცია გამოიწვია; 1161 წელს ქართველებთან მარცხვანცდილ შაპარმენს მხნეობა შეჰმატა აღარბალაგანის ათაბაგის ამხედრებამ საქართველოს წინააღმდეგ და ხალისით შეუერთდა მას (1163 წ.).

1 ლაშას დროინდელი ისტორიკოსი, გვ. 366. ქართლის ცხოვრები, ტექსტი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით დაღვენილია. ყაუხჩიშვილის მიერ, ტ. I, თბილისი, 1955, გვ. 366 (ქვემოთ — ლაშას დროინდელი ისტორიკოსი).

გიორგი მესამე იძულებული შეიქნა ანისის საყითხის მამისკული გადაწყვეტა დროებით მიეღო. ცოტა მოგვიანებით გიორგი მემკული დავითისებურად მოეკიდა ანისს, მაგრამ ამიერიდან სუქმასიანეპ-მა საწინააღმდეგო ველარაფერი მოიმოქმედეს და მტრის ჯავრ-ჭმულის მძიმე ხვედრით გამოეთხოვნენ შაპარმენობას XIII საუ-კუნის დამდეგს. ახალი შაპარმენები ანისს ველარ ეცილებოდნენ საქართველოს და ქართველთა გამათავისუფლებელი ლაშქარი ბა-სიანის ომის შემდეგ წარმატებით მიიწევდა ვანის ტბის სომხური ქვეყნებისაკენ. აუგბიანი შაპარმენი იძულებული იყო საქართვე-ლოს მეფის ყმობაც ეკისრა. ხლათის ყმადნაფიცი ქვეყანა საქარ-თველოს ჩამოსცილდა ხვარაზმელთა მძლავრობის ხანაში.

XII საუკუნეში ქართველები „არეისად სწორად“ გაიჭრნენ „შორად“ და აქტიური ურთიერთობა გააძეს აღმოსავლეთის ისეთ კულტურულ ხალხებთან, როგორიც იყვნენ „ინდი, ხანი, და ჩინნი“¹.

საქართველო ცხოველ ურთიერთობაში იყო ჯვაროსნებთანაც. დიდგორის ომის წინ საქართველოში „ფრანგთა“ რაზმებიც შე-მოვიდნენ. საფრანგეთი აღტაცებით შეეგება დავითის ქვრივის წარგზავნილ ჯვარცმის ნაწილებს, რომელიც საუკუნეთა განმავ-ლობაში ამშვენებდა პარიზის ლოთისმშობლის ტაძარს². თამაჩ დე-დოფალს „სძლუნობდეს და სძმობდეს მეფენი... იერუსალიმს ალამანთანი და პრომთანი“³.

მეხუთე ჯვაროსნული ლაშქრობის დროს რომის პაპი ლაშა გიორგის პალესტინაშიც იწვევდა და სხვ.

XIII საუკუნის დამდეგს საქართველო განვითარების ერთ დონეზე არ იდგა სამი ბუნებრივ-გეოგრაფიული ზოლიდან ყვილა-ზე დაწინაურებული იყო ბარი (ველი), სადაც ბატონყმობა გამარ-ჯვებას ზეიმობდა.

1 ძველი ქართველი მეხოტენი, I, ჩატრუხაძე, შება შე-ფისა თამარისი, ტექსტი გამოსცა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო ივ. ლო-ლაშვილმა, თბილისი, 1957, გვ. 199.

2 ბ. ავალი შეილი, ჯვაროსანთა დროიდან, პარიზი, 1931, გვ. 26—27.

3 ისტორიანი და აზმანი, გვ. 22—23.



ამისი შესაბამისი იყო ქვეყნის იმდროინდელი მუსიკური, სოციალური, პოლიტიკური და კულტურული საყრდენებითია.

სამამულო სისტემისა და მისი საბოლოო შეუვალობისათვის ბრძოლამ საქართველოში ჯერ კიდევ XI საუკუნის დამდეგს წარმოაჩინა თავი. ეს მოვლენა ამიერიდან დღითიდლე სულ უფრო და უფრო აფართოებდა თავის ასპარეზს. სამეცო ხელისუფლება XII: საუკუნის დამდეგს მტკიცედ აღუდგა წინ ამ ტენდენციას, თუმცა კარის დახშვა დროებითი აღმოჩნდა და თამარის დროს ფეოდალებმაც კვლავ თავისი გაინალდეს.

ბატონიყმობის შემოსვლამ საფუძველი გამოაცალა მისთვის შეუფერებელ და ადრეფეოდალური ურთიერთობისათვის დამახასიათებელ პირობით მიწათმფლობელობას, რომელიც მასაზრდოებელი ეპოქის გადაშენებასთან ერთად მოიშალა.

იმდროინდელი ქართული მიწისმფლობელობის ფორმებიდან განსაკუთრებით საყურადღებოა „ნასყიდი“, ქართული ფეოდალური მიწისმფლობელობის გული. იმ მედგარ ბრძოლას, რომელსაც საქართველო აწარმოებდა თურქ-სელჩუკთა, თათარ-მონღოლთა და სხვა აზიელ მოძალადეთა წინააღმდეგ, „ნასყიდის“ შეუვალობის ინტერესებიც განსაზღვრავდა.

საქართველოს ველსა და ზეგანში ამ პერიოდში თემური მაწისმფლობელობაც არის დადასტურებული, მაგრამ ახალ ვითარებას მასზეც დიდი გავლენა მოუხდენია და ერთ დროს თავისუფალი თემი მებეგრედ უქცევია.

საქართველოს სამეურნეო ცხოვრებაში დიდი ხანია მეწინა-ეეობა ველს ეპყრა. და ეს იმიტომ, რომ მთასთან შედარებით მას დიდი ბუნებრივი უპირატესობანი გააჩნდა. ველის ასეთი ძლიერება იყო სწორედ ის საფუძველი, რომლის მეოხებითაც მოახერხა საქართველოს პროგრესმა ზეგნისა და მთის სამეურნეო (და სოციალურ) სისტემებზე გაბატონება; თანდათან დაიახლოვა ზეგანი და მთის საბოლოო დამორჩილებისათვის სამსახურში ჩააყენა. განვითარებული მორწყვის სისტემაზე დაყრდნობილი ველის ქართული მეურნეობა ქვეყნის ეკონომიკური ძლიერების მთავარი წყარო და მისი შემდგომი წინსვლის შეუხერელი ბურჯი იყო.

ეპოქის სოციალურ-ეკონომიკური და ტექნიკური დაწინაურების უტყუარი მოწმობაა ამ დროს დადასტურებული დიდ არხთა მშენებლობანი და მათი ტექნიკური სირთულე. თუმცა ასეთი ნა-

გებობის გამართვა ქვეყნის შედარებით მცირე ნაწილში დამტკიცებული ქართველოს იღმოსავლეთი მხარე) აუცილებელი იყო. უფრო დაუძლებელი გადამზუდვამ მნიშვნელობა პრისტინებულ საქართველოში მოჩარიცვას გადამზუდვამი მნიშვნელობა პრისტინებულ საქართველოში მოჩარიცვას გადამზუდვამი მნიშვნელობა პრისტინებულ საქართველოში ეს საქმე მარტივია, ხოლო სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში ეს საქმე მარტივი წესითაც კარგად სრულდებოდა. ამ უკანასკნელის უპირატესობა მისი განახლების სიადგილეში მდგომარეობდა. ამაში იყო ქვეყნის გამძლეობის ღილი ძალა. ამით განსხვავდებოდა საქართველო წინააზიური ქვეყნებისგან, რომელთა სისუსტის ერთ-ერთი მთავარი წყარო სწორედ საინიგაციო საქმის სირთულე იყო.

თურქ-სელჩუკებთან. თაორებთან და სხვა მოძალადებოსნ
ქართველთა ბრძოლის მთავარი საგანი სწორედ ველი იყ. ივი
თანაბრად საჭიროებდა ჩოგორც ერთის, ისე მეორის მეურნეო-
ბას და ამიტომ ორივე მხარე თავგამეტებით იბრძოდა. ქართველე-
ბის თავისი ველის დაცვას ესწრაფეოდნენ, ხოლო მომხდურები მის
დაუფლებას.

XIII საუკუნის დამდეგს, რომა საქართველო თურქ-ხელის-
კობაზე ზეიმობდა გამარჯვებას და ველის შეუცილებელი ბატონ-
პატრიონი იყო, ყვაოდა კიდევ სოფლის მეურნეობა — განვითარე-
ბული მემინდვრეობით, მევენახეობით და სხვა დარგებით.

მემინდვრეობაში წამყვანი აღგილი მეხორბლეობას ეკავა. ამ უროს დაძასტურებულია ხორბლის ექვსი სახეობა: ღივა, ასლი, ზანდური, მახა, გვაწაზანდური და ქონდარა ხორბალი. გარდა ამისა, თესლენენ აგრეთვე რბილი ხორბლის რამდენიმე ჯიშს — იუქელი, ხულუგო და დოლისპური. აქ არც ქერსა და ფეტვნაირებს (ფეტვი, ლომი) ეკავა მცირე აღგილი.

დაწინაურებული იყო მეცნიერობა, მეცნოველობა (მსველ-
ლეხა რქოსანი პირუტყვი, ცხვარი და ა. შ.), მეაბრეშუმეობა, მე-
ფურისტურეობა და სოფლის მეურნეობის სხვა დარგები.

ՑԱՐԱԿՐՈՒՅԹ ՀԱ ՎԵՐԱՀԱ ԱՎԱՐԱ ԱՎԱՐԱ ԱՎԱՐԱ ԱՎԱՐԱ
ՑԱՐԱԿՐՈՒՅԹ ՀԱ ՎԵՐԱՀԱ ԱՎԱՐԱ ԱՎԱՐԱ ԱՎԱՐԱ ԱՎԱՐԱ

სოფლის მეურნეობისა და ხელოსნობის დაწინაურება პირობებდა როგორც საშინაო, ისე სავარეო ვაჭრობის განვითარებას. განსაკუთრებით ჭიდი მოთხოვნილება იყო ძვირფას თვლებზე,

რომლებიც ქვეყანაში საიმპორტო ვაჭრობის გზითაც ბრძოლა
შემოღიოდა და ალაფითაც. გარდა ფუფუნების საგნებეჭყაფულები,
ბეწვეული, ოქროქსოვილები და სხვ.), რომელთა პრაქტიკაშიც
ლებიც ფეოდალები იყვნენ, იმპორტში საგლეხო მოხმარების
საგნების (თევზი, პური, მარილი და სხვ.) ხევდრითი წონაც დიდი
ჩანს. ცხოველ იმპორტს ქვეყანაში ამავე ხარისხის საშინაო ბაზა-
რი და საექსპორტო ვაჭრობა ხვდებოდა. იმდროინდელი საქარ-
თველოს საშინაო აღებ-მიცემობის სფეროშია მემინდვრეობის, მე-
ცვენახეობის, მესაქონლეობის და ხელოსნობის პროდუქტები. საზ-
ღვარგარეთ გადის მეაბრეშუმეობის, მევენახეობის, მეფუტყრეო-
ბისა და ფეოდალური მეურნეობის ზოგიერთი სხვა დარგის ნაწარმი.

ამ პერიოდის საქართველოს საშინაო და საგარეო ვაჭრობის
გულდასმით შესწავლა ცხადყოფს, რომ ქართველებს იმ დროს
არცუ ისე „კარჩაჟეტილი“ ცხოვრება ჰქონიათ. ფეოდალური და-
წინაურების ღონის შესაბამისი იყო ქალაქებისა და საქალაქო
ცხოვრების განვითარებაც და სხვ.

ქვეყნის სამეურნეო განვითარებას შეესატყვისებოდა ქვეუ-
ნის სოციალური სტრუქტურა. მოწინავეობა აქაც „ველს“ ეპურა.
საქართველოს „ველმა“ თავისი უპირატესობა ამ მხრით ჯერ კი-
დევ ადრეკლასობრივ ხანაში წარმოაჩინა. „ველსა“ და მასთან
სოციალურად დაახლოებულ „ზეგანში“ ამ დროს უშუალო მწარ-
მოებელთაგან თავისუფალი უკვე აღარავინ ჩანდა, ყველას ბატო-
ნი ჰყავდა და ექსპლოატაციას განიცილა. იღრეკლასობრივი ხა-
ნიდან მიმდინარე „ერი“ (თავისუფალი მიწისმოქმედი და მოლაშ-
ქრე) ახალი ურთიერთობის შემოსვლას ძირითადად გადაეშენები-
ნა: მისი ერთი ნაწილი მებატონეთა კლასს შემატებოდა, მეორე
ნაწილი—გლეხთა კლასს, ხოლო ნაწილი, რომელიც ვერ შერიგე-
ბოდა გაგლებებას, პროტესტს მძიმე ხევდრისაღმი გლეხაკობა-
მაწანწალობით ან მეკობრეობით გამოხატავდა. განსხვავებული
მდგომარეობა იყო მთაში, სადაც სოციალური განვითარება ისე
შორს არ იყო წასული, როგორც „ველსა“ და „ზეგანში“ და ამი-
რომაც „ერი“ იქ დიდხანს შემორჩა.

თავისუფლებადაკარგული „ერის“ (ყმის) ერთი, ნაწილი და
გლეხობა XIII საუკუნის დამდეგს ქართული ბატონიშვილი საზო-
გადოების ერთ-ერთ მთავარ ნაწილს — ყმა გლეხთა კლასს ქმნიდა.
ეს კლასი მეტად ჭრელი შედგენილობისა იყო. ქართველ მდაბიორ-
24

თა გარდა, მასში დიდი რაოდენობით იყო უცხო ელემენტებიც, ესები და მათ შემთხვევაში მოყვანილი ტყვეები. XIII საუკუნის დამდეგს, როგორც „ერის“ სოციალური გაქრობის პროცესი ჩვენი ქვეყნის „ველსა“ და „ზეგანში“ უმთავრესად ცავე დასრულებული იყო, უმა გლეხთა კლასის არაბუნებრივი გამრავლების ერთ-ერთი მთავრი წყარო, სწორედ, ტყვეობა იყო. ტყვეების გაგლეხება მათ ვარი წყარო, სწორედ, ტყვეობა იყო. ტყვეების გაგლეხება მათ დაფუძნებას გულისხმობდა. სამისოდ საჭირო მიწა კი მეტწილად საგლეხო ფუძის შემცირების გზით მოიპოვებოდა. ფუძის შემცირება გლეხს ეკონომიურ გასაჭირში აგდებდა. ამას გლეხის ბუნებრივი გამრავლებაც იწვევდა. ფუძენაკლული და სრულფუძიანი გლეხების გვერდით საჭართველოში იმ დროს ისეთი გლეხებიც ჩანარ, რომელთაც ფუძეზე მეტი აღგილ-მამული ჰქონდათ. ქართულ ფეოდალურ იურისდიქციაში „ფუძე“ საგადასახადო ერთეული იყო. გადასახადის გაწერისას ანგარიშში არც „ფუძეზე“ მსხდომ იყო. გადასახადის გაწერისას ანგარიშში არც „ფუძეზე“ მსხდომ იყო. რედენია შედიოდა და არც მეურნეობის ხასიათი საგლეკომლთა ოდენობა გლეხებით და არც მეურნეობის ხასიათი საგლეხო მიწა მეფის ან ფეოდალის (საერო, საეკლესიო) საკუთრება იყო, გლეხს ის მფლობელის უფლებით ეჭირა. თუმცა ფეოდალი გლეხის მიწას ადვილად ვერ ჰყოფდა ხელს და თუ მიწის დაუფლება (გაჩუქება თუ სხვა) ეწადა, გლეხისაგან უნდა ეყიდა იგი.

გლეხები ერთმანეთისაგან განსხვავდებოდნენ როგორც მათი მებატონეთა მფლობელობაში მოხვედრის გზებით, ისე გაბატონებული კლასისადმი უფლებრივ-ეკონომიური დამოკიდებულებით. ბული კი მიხედვით გლეხები განიყოფოდნენ: მკვიდრებად, ნას-ჟიდებად, სიგლოსნებად, შეწირულებად, გარეთმოსულებად და ა. შ. გლეხის მკვიდრად გახდომისათვის აუცილებელი იყო იქ დაბადება, სადაც იგი ცხოვრობდა. მკვიდრს უპირისპირდებოდა „გარეთმოსული“. ეს უკანასკნელი სამგეარი იყო: „ნებიერი“, „თავ-დაწერილი“ და „თავდაუწერელი“. ნასყიდად, როგორც თვით ტერმინი ამჟღავნებს, ფულით შეძენილი გლეხი იწვედებოდა. სიჯ-ლოსანი—სიგელით მიღებული ყმა იყო. სიგელის მიცემა ქვეყანაში იმ დროს მხოლოდ მეფეს შეეძლო. სიგლოსანიც, მაშასადამე, საერო თუ საეკლესიო ფეოდალთათვის მეფის ნაბოძებ გლეხს აღნიშნავდა. შეწირული—ეკლესიის ან მონასტრისადმი ნაწყალობები გლეხი იყო.

მფლობელთა კლასისადმი დამოკიდებულების მიხედვით,



გლეხები ძირითადად სამეფო და საფულდალო (საერთო უფლებულებელი სიო) ყმებად იყოფოდნენ. ამათგან შედარებით უკეთეს შესტანებულებაში იყვნენ საექლესიო გლეხები. ამას აპირობებდა: 1. საეკლესიო გლეხთა შეუვალობა და 2. შემწირველთა მისწრაფება შეწირულ ყმათა საბეგრო ვალდებულების შემცირების. მიზნით (ამას უკარნასებდა ფეოდალს „სულის“ სამსახურის უკეთ შესრულების ინტერესები). გლეხს შეეძლო გაეუმჯობესებინა თავისულფლებრივ-ეკონომიკური მდგომარეობა. ამის ერთ-ერთი გზა იყო ბატონის ერთგული სამსახური. ასეთი ანუ ბატონისაგან „სიკეთეზედ“ შეცნობილი გლეხები მებეგრესაგან განსხვავებულ და მსახურთაგან დაახლოებულ მცირე ფენას ქმნიდნენ. გლეხი სასულიერო წოდებაშიც შეიძლებოდა გადარიცხულიყო, თუმცა ეს მას ყმობისაგან არ ათავისუფლებდა. სასულიერო წოდების პლებეური ნაწილი ფეოდალური იერარქიის გარეშე იდგა და კვლავ ექსპლოატაციას განიცლიდა. გლეხურივე წარმოშობისა იყო სოფლის ხელოსნებისა და ყმა ვაჭრების ერთი ნაწილიც. ამ უკანასკნელთაც ისე ასხვისებდონენ, როგორც გლეხებსა და ხუცებს.

საზოგადოების გაბატონებულ ნაწილს შეადგენდა აზნაურობა. არც აზნაურთა ქლასი იყო ერთფეროვანი და მრავალ კატეგორიად იყოფოდა. აზნაურები ერთმანეთისაგან განსხვავდებოდნენ როგორც ეკონომიკულ-უფლებრივი მდგომარეობით, ისე პატრონისადმი მიუჟონილობითაც. ამ უკანასკნელის მიხედვით, მათი ერთა ნაწილი სამეფო იყო, მეორე—საეკლესიო, ხოლო ნაწილიც—სააზნაურო. მეფის აზნაურობას შეადგენდა ტაძრეული, მოსაკარგავე და დიდებული აზნაურები, ხოლო საეკლესიო აზნაურები იმ ექლესის ან მონასტრის სახელით იწოდებოდნენ, რომელთაც ისინი ეკუთვნოდნენ (მცხეთისშვილები, შიომისშვილები და ა. შ.).

ტაძრეულ ანუ ტახტის აზნაურთაგან ბევრი „ციხოსან-მონასტროსანი“ და „მამული დიდის“ მქონე იყო.

მოსაკარგავე საკარგავის მფლობელ აზნაურს ერქვა (საკარგავი სამსახურის პირობით მიღებულ მიწას ეწოდებოდა).

აზნაურებში ყველაზე მაღალ საფეხურზე იდგნენ დიდებულები. დიდებულება ქვეყნის პოლიტიკურმა გაერთიანებამ შორისა.

დიდების „ბოძება“ თუ „მოღება“ მხოლოდ მეფის კომპეტენცია იყო. დიდ აზნაურებს არ აწყობდათ ეს გარემოება და ენერ-



გულად იპროფნენ ამ საქმის თავიანთ ნებაზე მოწყვეტილი გამოიყენება.

XIII—XIV შაუკუნეთა მიგნაზე მზადდებოდა ნიადაგი დიდებულთა ცალკე სოციალურ ფენად ჩამოყალიბებისათვის.

აზნაურული წარმოშობისა იყო სამღვდელოების ზედაფენაც (კათალიკოსები, ეპისკოპოსები, წინამძღვრები).

აზნაურისვე პატივით სარგებლობდნენ და ფეოდალური საზოგადოების პრივილეგიურ ფენას ქმნილნენ დიდვაჭრებიც.

თავისუფალთა ფენაში ერთიანდებოდნენ და ერთგვარი წოდებრივი უპირატესობანი გააჩნდათ აგრეთვე საშუალო შეძლების ისეთ ვაჭრებსაც, რომლებიც საგარეო ვაჭრობაში მონაშილეობდნენ.

ყოველი ხალხის ცხოვრებაში დიდ როლს ასრულებს მმართველობის სისტემა. ამ უკანასკნელის რაგვარობა ყოველთვის ხალხის განვითარების დონით არის განსაზღვრული. ასე იყო საქართველოში და მონლოლეთშიც. ამ უკანასკნელს, როგორც ფეოდალიზმის ბარბაროსულ სტადიაზე მდგომ ქვეყანას, სამხედრო აღმინისტრაცია ჰქონდა, ხოლო საქართველოში უკვე ბიუროკრატიული აპარატი ჩასახულიყო. ეს იყო „სავაზირო“, რომელიც სავსეული აპარატი ჩარჩარობისათვის განვითარებას ბით შეესაბამებოდა ბატონიშვირი საქართველოს განვითარებას და მისი შემდგომი წინსვლის უზრუნველსაყოფადაც იყო მოწოდებული. პროგრესის გამძლოლი სამეფო ხელისუფლება დიდ იმჯდებს ამყარებდა სავაზიროზე და მისი საშუალებით ცდილობდა აღრეფეოდალური ხანიდან მომდინარე მმართველობის ინსტიტუტების „დარბაზობისა“ და „ერისთავობის“ მოშლას. პოზიციანი იოლად არც უკანასკნელი თომობლენი. განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობა შეიქმნა გიორგი მესამის სიკვდილის შემდეგ, რომცა „დარბაზი“ მეფობაში შეუზიარდა თამარს; სამეფო ხელისუფლებამ რეაქციის წინააღმდეგ ბრძოლაში ვაზირთათვის ერისთავთა ერისთავის ხელის შეთავსების გზა აირჩია. ასეთი ლონისძიება პირველისაგან მეორის გაქრობას ისახევდა მიზნად, თუმცა თამარის დროს ეს საქმე ვერ გადაწყდა და შეუპოვერ ბრძოლაში მოწინააღმდეგეთა ტოლძალოვნება გამოვლინდა. თუ რაიმე ახალი მოვლენა პროგრესს არ შეაფერხებდა. უახლოეს ხანში ქვეყანა, უეჭველად, მოირთავდა იმ ძალას, რომელიც სახელმწიფო ბრივი წყობილების შეცელისათვის იყო საჭირო, მაგრამ, სამწუხაროდ,

გამოჩნდა ასეთი მოვლენა (თათართა შემოსევა) და ქვეყნის პროგრესიც დაიჩიხა.

თათართა შემოსევების წინ საქართველოს სახელმწიფო ბრძანებრივი წყობილება ასე გამოიყურებოდა:

სახელმწიფოს სათავეში ედგა მეფე, რომელიც ყოველ მნიშვნელოვან შინა თუ გარეპოლიტიკურ საკითხს „დარბაზის ერთა“, „თანადგომითა და ერთნებობით“ წყვეტდა.

ქვეყნის მმართველობაში დასაქმებული მოხელენი ორ აიგაუიყოფოდნენ: ხელმწიფის კარისა და საქვეყნოდ გამრიგე მოხელებად. პირველი ცენტრალური მმართველობის მოხელენი იყვნენ და სახასო ქვეყნებს განაგებდნენ, ხოლო უკანასკნელთა კომპეტენციაში საერისთავო ქვეყნების მართვა-გამგეობა შედიოდა.

ხელმწიფის კარის სამოხელეო შტატი საქართველოში ამ დროს დიდი იყო. ეს გარემოება ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური და კულტურულ-პოლიტიკური დაწინაურებით იყო გამოწვეული. ხელმწიფის კარის დიდმოხელენი ვაზირებად იწოდებოდნენ.

საქართველოს გაერთიანების ამავე დონეს შეესატყვისებოდა ქვეყნის სამხედრო ორგანიზაციაც. მიუხედავად იმისა, რომ თურქ-სელჩუქთა სოციალურ-ეკონომიკური წყობა ამ მხრით გაცილებით მეტ უპირატესობას იძლეოდა. ქართველებმა თურქებთან ხანგრძლივ ომში ისე განავითარეს სამხედრო საქმე, რომ წარმატებით შეძლეს მტრის უპირატესობის წარხოცეა.

საქართველოს ლაშქარი მუდმივი და შეყრილი ჯარისაგან შედგებოდა. პირველს შეადგენდნენ „დარბა(ზ)ისერნი“, რომლის „მყის შეხსნითაც“ ხორციელდებოდა მცირე მასშტაბის სამხედრო ოპერაციები. დიდი ომისათვის კი, ჩვეულებრივ, საქვეყნო ლაშქრის შეყრას მომართავდნენ. ასეთ ომებში ყმაღნაფიცი ქვეყნის ლაშქარიც მონაწილეობდა. ლაშქარი თემობრივი პრინციპით რაზმებად ეწყობოდა. რაზმები არგვარი იყო: ცხენოსანი და ქვეითი.

უმაღლესი მთავარსარდალი მეფე იყო, ქალის ზეობის დროს კი — გვირგვინოსნის მეუღლე (თამარის დროს), ამირსპასალარი (დავით სოსლანის გარდაცვალების შემდეგ) ან ათაპავ-ამირსპასალარი (რუსულანის დროს). დიდ შენაერთებს სპასალარები და სპასეტები უძლოდნენ.

ქვეყნის სამხედრო ორგანიზაციაში დიდ როლს ასრულებდა

მენაპირეთა ინსტიტუტი, რომელიც საქართველოში სელჩუკის ბრძოლაში შეიმუშავა და კარგადაც ასრულებდა დაკისრებულენის გალეობას.

თამარის ფროს მენაპირე ქვეყნები იყო: ფანასკერტი, ზედა არტანი, თოჩი, თმოვე, ტაშირი, ძორავერტი, გაგი, ჰერეთი, კაბ-ბეჩანი და კარი. მენაპირეთა ერთი ნაწილი ვაზირობა-ერისთავობას ათავსებდა, ხოლო ნაწილი მხოლოდ საქვეყნოდ გამრიგე დიდ-მოხელე იყო. მენაპირეთა მთავარი მოვალეობა მეზობელი ქვეყნების ზევრვა და მტრის უეცარი შემოტევის შეჩერება იყო. სელჩუკთა მეზობლობის ვითარებაში მენაპირობა ძალიან ძნელი საქმე იყო და ქართველი მენაპირენიც თითქმის შეუსვენებლივ „ღამეთა დღეთავე ზედა დართვით“ იღწვოდნენ.

ბრძოლა სახელმწიფო ფიცობილების შესაცვლელად, რომელიც განსაკუთრებული სიმწვავით გიორგი მესამისა და თამარი. მეფობის დროს გაიშალა, კრიზისის ერთ-ერთი ნიშანი იყო. ამავე მოვლენას მოწმობდა ამდროიდან უკიდურესობამდე მისული მიღრეცილება მეზობელი ქვეყნების ბოლომოულებელი რჩევისადრო („უცხო ლაშვრობა“) და სხვ.

XII საუკუნის 90-იანი წლების დამდეგს მეფის თვითმშეყრობელობა მნიშვნელოვნად შეიზღუდა. ეს გარემოება რეაქციის წარმატება იყო.

საქართველომ განსაკუთრებით დიდი წარმატებები მოიპოვა იდეურ სფეროში. ჯერ კიდევ X—XI საუკუნეებში ითვისა ქალკედონისტურ-ქრისტიანული კულტურის მთავარი ფონდი, გააქართულა საქრისტიანო ზნეობის კოდექსი, გამართა პირველი „ქართლის ცხოვრება“ და ა. შ. ამას მოითხოვდა ფეოდალური ქართველი ხალხის წარმოქმნის, განვითარების ახალ ხარისხზე შედგომისა და იმ მისიძის ამოცანები, რომლის განხორციელებასაც გაერთიანებული საქართველო ესწრაფეოდა. XII—XIII საუკუნის მიზნაზე საქართველოს ხანგრძლივი კულტურული აღმავლობა „ერთხისტყაოსანმა“ დააგვირგვინა.

საქართველო ადრე თუ გვიან დაძლევდა იმ წინააღმდეგობას, რომელიც XIII საუკუნის დამდეგს არსებობდა როგორც იდეურ, ისე ქართული საზოგადოებრივი ცხოვრების სხვა სფეროში, მაგრამ

მალე გარეპოლიტიკური უროიერთობის გართულებაში და უცხო
ძალის გაბატონებამ აღმავალ ქვეყანას ამის შესაძლებლობა წაარ-
თვა. პროგრესის ეს შემაფერხებელნი თათარ-მონღლუსტრიტიც ვენ.

თ ა ვ ი II

მოცლოლეთი XIII საუკუნის დამდეგს

ცენტრალური აზიის ცელი, საზაც XIII საუკუნის დასაწყისში
ნომადთა მრისხანე რკალი შეიკრა, კერაიტების, ნაიმანების, მერქ-
რიტების, თათრების, მონღლოების, უიღურების და სხვა ოურქუ-
ლი და მონღლოლური ტომების სარბიელი იყო.

დასავლეთ ევროპაში მომთაბარენი „თათრებად“ იწოდებოდ-
ნენ¹. ასევე იყო საქართველოშიც. ნომადი „უწოდიან თავსა მათთა-
მანლოლ, ხოლო ქართველნი თათრად“ — გვამცნობს ქარ-
თველი ეამთაღმწერელი².

ეთნონიმ „მონღლოლის“ შინაარსის ასეთი გაფართოება იშ-
როლს უკავშირდება, რომელიც ამ ტომშა შეასრულა ველის ვაერ-
თიანებაში. სხვა გზა უჩანს ტომთა ამ კონგლომერატის სახელად
მიღებულ „თათარს“. რაც შეეხება სომხურ სახელსალყან նხთიერი,³
იგი მომთაბარეთა ერთ-ერთ მთავარ მოსაქმეობას (მოისრობა) უკავშირდება. ქართველი ისტორიკოსის დახასიათებით, ისინი „მო-
სარნი იყვნეს რჩეულნი, მაგარითა მშპილდითა უცთომრად მსრო-
ლელნი“⁴. სხვაგვარად შეუძლებელიც იყო შრომის ამ პრიმიტიულ

¹ 3 ლ ა ნ ი კ ა რ პ ი ნ ი, ისტორია მონღლოების, რომლებსაც ჩეენ თათ-
რებს ვუწოდებთ, ქართულად თარგმნა, წინასიტყვაობითა და შენიშვნებით გამო-
სცა გ. ქიქოძემ, მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის, ნაკვეთი
II, თბილისი, 1942 (ქვემოთ — პლ. კარპინი).

² ე ა მ თ ა ღ მ წ ე რ ე ლ ი, გვ. 160.

³ გ. რ. ა კ ა ნ ე ლ ი, მოისართა ტომის ისტორია, სომხური ტექსტი ქართუ-
ლი თარგმანით და კომენტარით გამოსცა ნ. შოშიაშვილმა, თბილისი, 1960 (ქვე-
მოთ, გრ. ა კ ა ნ ე ლ ი).

⁴ ე ა მ თ ა ღ მ წ ე რ ე ლ ი, გვ. 158.

ფორმაში! ისეთი წარმატება. რაც მათ მოიპოვეს. მშვილდი და მარი მათი ემბლემა იყო და მონეტებზეც აღიბეჭდებოდა¹.

ყველაზე უფრო კულტურული ველში უიღურებული მათ მოსდევლნენ ნაიმანები, რომლებიც დაწინაურებული შექმნას გავლენას განიცდიდნენ.

აღრეკლასობრივ ურთიერთობას ნომადებში XIII საუკუნის დამდეგს საქმიან ტრადიცია ჰქონდა. აյე არ ითქმის მხოლოდ „ტუის ტომებზე“, რომლებიც ამ დროსაც მეტწილად პირველყაფილი წესრიგითვე ცხოვრობდნენ.

XII საუკუნის მეორე ნახევარში, როცა ესუგაი ბაჟაზურის პირმშო გამოვიდა ისტორიულ სარბიელზე, აღრეკლასობრივი გაერთიანებები გააჩნდათ ნაიმანებს, თათრებს, კერაიტებს და ველის სხვა ტომებს. მომთაბარეთა თითოეულ ასეთ გაერთიანებას განვითარდა ხელისუფალი. რომელიც „ხაგანად“ იწოდებოდა. ველის ზოგიერთ ხაგანს „ვან-ხანის“ ტიტული ჰქონდა, ზოგიც „ვაოტაოს“ ესწრაფვოდა და ა. შ.

ხაგანს არც საკუთრივ მონლოლთა ტომში უჩანს მცირე ტრადიცია. უძველეს ხაგანად აქ „იუან-ჩაო ბი-ში“ ხაბულს ასახელებს (§ 52)². ხაბულ ხაგანი თემუჯინის პეპერა იყო. მისი შემცელელი იმავე ძეგლში „სრულიად სახალხო ხაგანად და ხელმწიფულ“ იწოდება (§ 51).

ნიშვნელოვან პოლიტიკურ თუ სხვა ხასიათის საკითხებს ხაგანი „დიდ საბჭოზე“ განიხილავდა. ეს საბჭო მისი ოჯახის წევრებისა და სხვა მასთან დაახლოებული პირებისაგან შეღვებოდა (§ 154).

ხაბულ ხაგანის შემდეგ მონლოლთა სახაგნოს სენგუნ ბილ-გეის ძე ამბაგაი უძლოდა. „იუან-ჩაო ბი-შის“ ცნობით, ამბაგაის დაწინაურება თითქოს ხაბულის „ნებით“ მომხდარა (§ 51), მაგრამ

1 კ. გარეჯი, კაპიტალისტური წარმოების წინამორბედი ფორმები, 1950, გვ. 24.

2 დ. კაპანაძე, ქართული ნუმიზასტიკა, თბილისი, 1950, ტაბ. 80, 81.

3 С. А. Козин, Сокровенное сказание. Монгольская хроника 1240 г. под названием . . . Юань-чао би-ши — Монгольский обезнененный изборник, Т. I, введение и изучение памятника, перевод, тексты, гласарии, М — Л., 1941 (ქვემოთ — იუან-ჩაო ბი-ში).

ეს უფრო შინაკულასობრივი ბრძოლის ნაყოფი ჩანს. ასეთი შემდო-
ლა მოჩანს „წინაპართა მიწის“ ეპიზოდში, რომელიც ამბავის ხაგა-
ნის ცოლებსა და ესუგაი ბაჟაღურის ქვრივს (ოელუნ აუტომატიან-
ხმოებაზე მოვითხრობს (§ 70 და შემდ.).

ამბავი ხაგანის ტყვედ ჩაერთნის შემდეგ მონალლთა სახავ-
ნოს მესვეურობა ისევ ბორჯინთა „ირგენმა“ დაიბრუნა და თე-
მუჩინის პაპის ერთ-ერთი უმცროსი ძმა, ხუტულუ გახაგანდა.
„იუან-ჩაო ბი-შში“ „ხაგანად“ აქა-იქ თემუჩინის მამაც იხსენიება,
მაგრამ ეს ამ წიგნის შემდგენელთა ტენდენცია უნდა იყოს ანუ ა-
ვაზაპწერთა დაუდევრობა. სინამდვილეში ესუგაი ბაჟაღურის ასე-
თი წარმატება არ უჩანს. ხუტულუს შემდეგ ხაგანობას აქ მხოლოდ
თემუჩინმა მიაღწია გააფორებული ბრძოლით. იგი ყოველ ღონეს
ხმარობდა მტერთა რკალის გასარღვევად. ერთგული ძმის (პასარის)
მხარდაჭერით მან ჯერ სახლსშინა უთანხმოება აღმოფხვრა (§ 77).
ხოლო შემდეგ — გარეშე. მტერებსაც არ ეძინათ და ყოველმხრივ
ცილილბდუნენ საშიში მოწინააღმდეგის შემუსერას, მაგრამ ძლიერმა-
ნებისყოფამ, მოხერხებამ და უჩვეულო ამტანობამ თავისი გაიტანა.
იგი ჯერ მონალლთა სახავნოში განმტკიცდა, ხოლო შემდეგ მთე-
ლი ველის გაერთიანებას შეუდგა და ერთიმეორის მიყოლებით
დაამარცხა და შეიერთა ახლობელი თუ შორეული პოლიტიკური
ერთეულები. ზოგი მათგანი გუშინ რომ მის მოქავშირედ იყო (ზოგს
„შეილად“ ჰყავდა მოკიდებული, ხოლო ზოგს „ანდად“), დღეს
მასზე ომით მიღიოდა. ასეთი დაუნდობელი პოლიტიკით XIII საუ-
კუნის დამდევისათვის ველი ძირითადად გაერთიანებული იყო. ნა-
გვიანევი პროგრესი ველის შინაგან ცხოვრებაში უდიდესი რეაქ-
ციული ხასიათის მოვლენად იქცა საერთაშორისო ასპარეზზე. თა-
თართა ბარბაროსულმა სახელმწიფომ დიდი უბედურება, ჩგრევა-
განადგურება დაატეხა თავს მსოფლიოს მრავალ კულტურულ
ხალხს და უაღრესად შეაფერხა მათი წინსვლა.

მიზანგავართლებული თემუჩინი ახლა არა თუ ერთ დროის
სანატრულ „ჯაო-ტაოს“ ტიტულს იცოტავებდა, არამედ ყაენობას

ესწრაფვოლა. და „ჭიქის წელში“ აისრულა კიდეც საწადელი. მთელი ინონზე გამირთულმა უურულტამ, რომელსაც თეთრი ბაიშენტის ჟუდეცის ფრიალებდა თავს, ველის გამართიანებელი ჩინგიზ ყაუნად მიღია. მომთაბარეთა დოდეკაცობის ამავე ურილობამ დამტკიცა სახელმწიფო ფოს „გო-ვანი“, 95 ნოინი და განსაზღვრა თითოეულის სარბიელიც. იქვე ეპრძანა ჯებე-ჭირხოდაიყოფილს ნაიმანებზე გალაშქრება და ა. შ. (§ 102).

1206 წელი მონღოლთა სახელმწიფოს ოფიციალური არსებობის დასაწყისად არის მიჩნეული!

ქვეყნის ადგინისტრაციული მოწყობა, ლაშქრის ორგანიზაცია და სხვა პრობლემების მოვარება იქცა ყაენის უპირველეს საზრუნვად. სახელმწიფოს მესვეურივე იყო უმაღლესი მთავარსარდალი და უმაღლესი კანონმჟებელიც.

საკამართლო უწყება, როგორც 1206 წლის ერთი ჩანაწერიდან ჩანს, ჩინგიზს შიგი-ხურუხუსათვის მიუნდვია და ქურდობის, მოტყუებისა და სხვათა აღმოფხვრა უბრძანებია. მისთვისვე დაუვალებია ულუსების გამოყოფაც (დელის, უმცროსი ძებისა და უფლისწულებისათვის)¹.

დიდი თანამდებობანი ეჭირათ უფლისწულებსაც. პირმშო ჭური სამონაგირეო უწყებას განაცემდა (ეს დიდი სამხედრო და ეკონომიკური მნიშვნელობის უწყება იყო)². მომდევნო ძეს, ჩალატას, „დიდი იასალი“ ებარა³. უმცროს ძეს (თულუის) „დიდი მეომრის“ ტიტული პჰონდა და მამის თანაშემწე იყო სამხედრო საქმეებში⁴ და ა. შ.

ყაენი განსაკუთრებით ზრუნავდა სახელმწიფოს მთავარი საკანონმდებლო და ზნეობის შიგნის შესამუშავებლად. ასეთი შიგნი უნდა შემსუბურიყო იმ აზათ-შესების ვეკრება-გადამუშავებით, რომებიც უამთა სიგრძეზე იყო ფეხმოდგმული ველში და ზეპირსი-

¹ Б. Д. Греков, А. Ю. Якубовский, Золотая Орда и ее падение, М — Л, 1950, გვ. 45.

² ს. კოზი ბი, დასახ. ნაშრ., შესავალი, გვ. 32.

³ В. Бартольд, Туркестан в эпоху Монгольского нашествия, сочинения т. I, Москва, 1963, 453.

⁴ ი ქ ვ ე, გვ. 458.

⁵ ი ქ ვ ე, გვ. 451.

ტყვეირად გადაეცემოდა თაობიდან თაობას. ეს წესები მომზადა-
რეთა ცალკეულ სახავანოებში დიდად არ განსხვავდებოდა უძრა-
მანეთისაგან, მაგრამ ახლა, როცა ველი ერთ სახელში იქცე-
ოთ რანგის იქცა, პევრი რამ „შინას“ და „გარეს“ ძევლებური გა-
გებიდან უნდა გამოსულიყო და ამ ცნებების ახალ გავებას უნდა
შეფარდებოდა, ახალი ამოცანების სიმაღლიდან უნდა დანერგი-
ლიყო ცხოვრებაში.

ძნელი მისახვედრი არ იყო, რომ პრიმიტიული შრომის ისეთი
ფორმების აღსაკვეთად ველში, როგორიც იყო ქურდობა, მეკობრეო-
ბა და სხვა, მარტო სახავანოთა ჩინგიზისეული გაერთიანება არ კმა-
როდა და გარემომცველ სამყაროზე ლაშქრობა იყო აუცილებელი.
ახალ „გარეს“ მიმართ ისევე რჩებოდნენ ძალაში ველის მანკიერი
თავისუბურებანი, რაც აღრე სახავანოს „გარეს“ ახასიათებდა და
ბევრი, რაც სახავანოს „შინასაც“ ჰირდა. სხვაგვარად ჩინგიზი
ვერც მოახერხებდა ველში ძველი უარყოფითი მოვლენების აღმო-
ფხერას და მომთაბარეთა მტკიცედ შეკრულ კოლექტივად გარდა-
ქმნას.

სასჯელის უმაღლესი ზომა წექნებოდა მოტყუებაზე, წყლის
თუ საღვომის განზრახ გაბინძურებაზე *urina*-თი¹, ნაპოვნი ნივ-
თის მისაკუთრებაზე, მრუშობაზე და სხვ².

სიკედილითვე ისჯებოდა კაცის მოკვლა, ადიდი ქურდობა³ და
ა. შ.⁴ ასეთი განაჩენი მხოლოდ იმ შემთხვევაში გამოპქონდათ, რო-
ცა ადამიანს ღანაშაულზე წაასწრებდნენ ან თვითვე აღიარებდა
დანაშაულს⁵.

როგორც ჩანს, ყაენი კარგად ხედავდა იმ დიდ საფრთხეს, რო-
მელიც მის ქვეყანას მეზობელი ისლამური სამყაროდან ემუქრე-

¹ Silvestr de Sasy, Chrestomathie arabe, II, გვ. 160—161; И. Бе-
резин, Очерк внутреннего устройства улуса Джучиева, СПб, 1863, გვ. 28;
პლ. კარპინი, გვ. 12—13.

² გ. რუბრუკისი, მოგზაურობა აღმოსავლეთის ქვეყნებში, ქართულად
თარგმნა, წინასიტუვაობითა და შენიშვნებით გამოსცა გ. ქიქოძემ, მასალები სა-
ქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის, ნაკვეთი V, თბილისი, 1942, გვ. 33.
(ქვემოთ — გ. რუბრუკისი).

³ იქვე.

⁴ იქვე.



ბოლა, ამიტომ მთელი სისასტიკით უხშობდა გზას მუსლიმური წერ-სებს ველში. ამას ადასტურებს „იასალის“ ის მუხლის მიხმატდე სიკვდილს უსჯიდა ყველა იმათ, ვინც პირუტყვის დაკვლის მომთა-ბარულ წესს დაარღვევდა და მუსლიმანურს გამოიყენებდა! კულ-ტურული შოთლიოს დაპირისპირებამდე ასეთი აკრძალვის შემო-ლებისათვის ველში არაეითარი საფუძველი არ აჩვებობდა.

ახალი და ჩინგიზისავე შენამოქმედი უნდა იყოს ის სისასტი-კეც, რომელიც იმათ მიმართ წესდებოდა, ვინც გაქცეულ მონას ან ტყვეს შეასწრებდა თვალს და თავის პატრონს არ მიუყვანდა². ველის არისტოკრატიის ინტერესების ასე მტკიცედ დაცვას ყაენა მისი ქვეყნის სოციალური ბუნება უკარხახებდა.

მტკიცედ აკრძალა ველში მანამდე ფეხმოღმული ურთიერთ-ლანძღვა, ჩეუბი და სხვ. „ერთმანეთს იშვიათაუ ან თითქმის სრუ-ლიად არ ავინებენ, ჩეუბი, შუღლი, კაცის დაჭრა, ცემა-ტყეპა, მო-კვლა მათ შორის არასოდეს არ ხდება“³, წერს ევროპელი დამკვირ-ვებელი⁴.

„გიყვარდეს ახლობელი ისე, როგორც საკუთარი თვე, არ დაიხსომო წყენა“ — ქადაგებდა ყაენის. საამისოდ აუცილებელ პა-რობებში ამ დიდაქტიკამ გაჭრა. ველში ურთიერთპატივისცემა და მეგობრული განწყობილება დამკვირდება. ეს გაჩემოება იყო კი-დეც მათი ტრიუმფალური წარმატებების ერთ-ერთი მთავარი სა-წინდარი.

ჩინგიზი ენერგიულად შეებრძოლა ლოთობას და მისი ზღვარ-დადება სცადა. ყველა ვინც დაარღვევდა კანონს და თვეში სამჯერ მეტად დაოურებოდა, სამჯელს ვერ ასცდებოდა. ყაენი დიდი პატი-კისცემის ლირსად აცხადებდა თავის იმ ქვეშევრდომს, რომელიც ხელს აიღებდა ამ უგუნურ საქციელზე. აქებდა იმასაც, ვინც თავს

¹ ი. ბერეზინი, გვ. 28.

² იქვე.

³ იქვე.

⁴ ვ. კარპანი, გვ. 15.

⁵ Jurnal asiatique, t. IV, ser. XVI, გვ. 307.

⁶ ვ. კარპანი, გვ. 15.



შეიკავებდა ნებადართული სამგზისი დათრობითან დაუშენებული
თხელ დათრობას იქმარებდა!

ველის გმილერთიანებელმა მტკიცებ უაჟერა მომთაბარეთა შო-
რის გვერცელებულ სიხარულს და ძუღუბას და მოქმის ულუფაში
შეზიარების წესი განამტკიცა². მანვე კარგად გაითვალისწინა მა შე-
დეგებიც, რაც მიწოდებული საჭმლის აღების დელ ჩვეულებას
შეიძლებოდა მოჰყოლოდა ახალ ვითარებაში და პერძელა შეთავა-
ზებულის მიღება ისე, თუ მას პირველად მიმწოდებელი არ გასინ-
ჯავდა³ და მრავალი სხვ. ასე ცდილობდა ყაენი მომთაბარეთა ცხოვ-
რების ისეთ მოწესრიგებას, რომელიც აუცილებელი იყო იმ აძოცა-
ნების წარმატებით შესრულებისათვის, რასაც იგი ისახავდა. მაგრამ,
რასაც ჩინგიზი ველში შეუძლებლად მიიჩნევდა და სასტიკად დევ-
ნიდა, სრულებითაც არ მიაჩნდა დანაშაულად დაპყრობილი ქვეყ-
ნების მიმართ. აქ ყველაფერი ნებადართული იყო. „ადამიანების
მოკვლა, სხვის ადგილმამულზე თავდასხმა, სხვის ქონების მიტა-
ცება... სხვა აღამიანების შეურაცხოფა, მექავეობა... სრულიადაც
ცოდვად არ ითვლება“ — წერს პლ კარპინი⁴. ასევე გზაგასნილი
იყო აქ სხვა დანაშაულებრივი ქმედობანიც⁵.

ჩინგიზ ყაენის ზეობაში, ჩანს, ფანატიკური გატაცებით იცავ-
დნენ „დიდი იასალის“ ნორმებს და „შიგნითაც“ და „ვარეთაც“ დი-
დი წარმატებანი ჰქონდათ. მდგომარეობა მკვეთრად შეიცვალა მისი
გარდაცვალების შემდეგ, როცა ის წესრიგი თანდათან შეირყა და
კვლავ ძველებურად მოიკიდა ფეხი სოდომიამ, ლოთობამ და სხვა
უშაგვსო ქცევებმა⁶.

მომთაბარეთა ზნეობას ემყარებოდა და „უიღ იასალშიც“ შე-
საფერისი ადგილი უნდა სკეროდა ლაშქრის ორგანიზაციის იურის-
დოქტორს.

ჩინგიზ ყაენი თავისი დროისათვის მსოფლიოში უბაზლო სამ-
ხედრო ორგანიზაცია გააჩნდა. მართალია, სამხედრო ხელოვნებაში
მომთაბარენი ბევრს დაესესხნენ მეზობელ კულტურულ ხალხებს,

¹ ი. ბერეზინი, გვ. 35.

² 3 ლ. კარპინი, გვ. 17.

³ ი. ბერეზინი, გვ. 30.

⁴ 3 ლ. კარპინი, გვ. 13.

⁵ იქვე, გვ. 16.

⁶ იქვე, გვ. 16, 18.

კურძოდ, ჩინელებს, მაგრამ ეს კი არ იყო მათი დიდი წარმატების მთავარი მიზეზი, არამედ ლაშქრის ის ორიგინალური, პრიული და მოქნილი ორგანიზაცია, რომელიც ჩინგიზ ყავნისა შექმნა. ცხადით, მან საავისოდ მტკიცე ბაზა მიიღო, მაგრამ მისი როლი ლაშქრის მიზანების საავისოდ მტკიცე ბაზა მიიღო, მაგრამ მისი როლი ლაშქრის მიზანების შესაბამისად გარდაქმნის საქმეში დიდი და განსაკუთ-ვითარების შესაბამისად გარდაქმნის საქმეში დიდი და თემური რებული იყო. უპირველეს ყოვლისა, ეს კლასობრივი და ომური ტრადიციების უბაზლო შეხამებაზე ითქმის, შემზევ კი დისკიპლი-ნის ხარისხზე, მეთაურთა უფლეპების უპრეცედენტო გაფართოე-ბაზის და ა. შ.

ყავნი ყოველნაირად ცდილობსა მეთაურთა ბრძოლის უნარის
ნობის ამაღლებას. ამის დამადასტურებელ ჩვენებებს მისი „ბილი-
გიც“ ბლომად შეიცავს². „ვინც კარგად მოაწყობს ათეულს, მას შე-
უძლია ასეულსა ზა თასეულსაც ღირსეულად წაუძლეს“ — ამ-
ბობდა ის³. ძნელი იქ არის იმ სტიმულის გათვალისწინება, რომელ-
საც ყავნის ეს ფრიად წამახალისებელი და დიდი იმედის მოცემი
გამონათქვამი აძლევდა ათეულის მეთაურს. ასეთი წახალისება შე-
ხერხებულად იყო დაკავშირებული მოთხოვნებით. მეთაური,
როგორც იმავე ძეგლში იყო ნათქვამი, შინ „ნბოსავით უწინარი-
უნდა ყოფილყო, ხოლო ომში „შევარდენი, რომელიც ყივილით აც-
ანდა მსხვერპლს“⁴. სხვა გამონათქვამით, „მეთაური სე უნდა იყოს
დახელოვნებული თავის საქმეში, როგორც ვაჭარი აღებ-მიცემო-
ბაში, საქონლის ცნობაში⁵.

დიდი ყურადღება ექცევთ მეთაურთა კადრების შერჩევას. ჩინგიზის სიტყვით, მეთაურისათვის მარტოლენ მამაცობა და ამტანობა როდი იყო სავამარისი, მას ამავე დროს დალლის, შიმშილის, წყურეილის და სხვა გაჭირვების შეგრძნებაც უნდა ჰქონოდა, რადგან ამის გარეშე შეუძლებელია სხვისი მდგომარეობის შეცნობა.

¹ М. И. Иванин, О военном искусстве средние азиатских народов при Чингизхане и завоеваниях монголо-татар и Тамерлане, СПб, 1875, 83—15.

2 ასე იწოდებოდა ჩინგიზ ყავენის გამოხათვებოთ უკიბი. „ბილიგი“ სახელ-წიფოს უოველ მხარეს ეხებოდა. ჩინგიზ ყავენის თავიდათავი სახრუბავი ლაპ-ქარი იყო, ამიტომაც ჩვენამდე მოღწეული მისი „ბილიგის“ დიდი ნაწილიც ამ ხასიათისაა.

3. o. ඩාරුව් සිනි, පාසාක. නොමැත්, පාම්පාලුව, 23. 102.

4 o 330, 33- 103.

5 o'clock, 83-104-5.

ბა. აქვე სანიმუშოდ დასახელებულია სუნტაი, რომელმაც მიძაცობასა და ამტანობაში ბადალი არ ჰყოლია, მაგრამ მართვული ვარგოდა, რადგან დალლის, შიმშილისა თუ სხვათა შევრმება არ ძალუძღავს. ასეთ თვისებებთან ერთად ყაენი მეთაურისაგან სიტუაციაში სწრაფი გარკვევისა და სწორი გადაწყვეტილების მიღების უნარისაც მოიხსოვდა. ერთ გამონათქვამში საამისოდ დარიგაი-უხას მოქმედება მოხმობილი. იგი ორი ნუქერის თანხლებით მიუსიღდა. შორს ორ მხედარს მოჰკრა თვალი. ნუქერებმა შებმის სურვილი გამოთქვეს. დარიგაიმ არ მიიღო მათი რჩევა და სწრაფად გაშორდა იქაურობას. როგორც შემზევ გამოიჩეა, იმ ორი მხედრიდან ერთი თემურ-უხა იყო. მას იქვე ახლოს (ხევში) 500 მხედარი ჰყავდა ჩასაფრებული და მოწინააღმდეგის მიტყუებას ლამობდა². ასე ინსნა თავი განსაცდელისაგან წინდახედულმა მეთაურმა.

მეაცრი კონტროლი იყო დაწესებული მხედრობის სალაშქრო მზადყოფნაზე. ყაენი აქ ისეთ უბრალო რამესაც არ ივიწყებდა; როგორიც ნემსი და ძაფი იყო და ომში მიმავალ მხედარს ამის უქონლობასაც არ აპატიებდა³. ყოველი სამხედრო ქვეგანაყოფი ბრძანების მიღებისთანავე ამხედრებისათვის უნდა ყოფილიყო მზად⁴ და სხვ.

ათეულის მეთაური, რომელიც თავისი მხედრობის ლირსეულ გამოყვანას ვერ შეძლებდა, დამნაშავედ ცხადდებოდა მთელი მისი ოჯახით, ცოლით და შეილებით⁵. ეს გარემოება კოლექტიურ პასუხისმგებლობას ნერგავდა და მომთაბარეთა ლაშქრის ამ პატარა, მაგრამ ძირითად, უგრძეს ოჯახის საერთო ზრუნვის თრბიტში აქცევდა.

რიგითი მეომრებისა და მეთაურის დანაშაული სხვადასხვაგვარად ისჯებოდა. პირველისადმი ყაენი მეტ მოთმინებას იჩენდა, რადგან მისი მთავარი მიზანი დასჭა კი არა, მხედრის აღზრდა იყო. წესრიგის დამრღვევ მეომარს პირველ შემთხვევაში სიტყვიერად უნდა შეგონებოდა ასეთი საქციულის მავნეობა და წესირად მოქცევის აუცილებლობა. თუ ეს არ ვაჭრიდა და კვლავ ჩაიდენდა დანაშაულს, მაშინ მგზნებარე სიტყვებით უნდა ეცადათ მისი ამაღლება-

¹ ი. ბერეზინი, დასახ. ნაშრ., დამატება, გვ. 104.

² იქვე, გვ. 103—4.

³ იქვე, გვ. 30.

⁴ იქვე, გვ. 105.

⁵ იქვე, გვ. 102—3.

მაგრამ, თუ ვერც ასცო ხერხი გამოიღებდა ნაყოფს, მაშინ იგი „ბალგიუ-კულჯურჩი“ იგზავნებოდა. თუ იქაც ვერ გამოსწორდებოდა, მაშინ ბორკილებს გაუყრიგნენ და საპყრობალეში მიჰყევდნ. თუ საპყრობილედანაც ვერ გამოვიდოდა თავის მოვალეობის მიზანთ, თუ ითცნობიერებული, მაშინ ნათესავთა საბჭოს უნდა გაესაძარო. ლებინა ის!

აღზრდა-დასჯის ასეთ სისტემაზე სასტიკიაო არ ითქმის, მაგრამ რიგითი მხედრისათვის უფრო მძიმე ზომები საჭირო არც იყო. რადგან იგი ოჯახის ან სახლის შიგნით მოქმედებდა.

ყოველი წლის დასაწყისში და ბოლოს მეთაურთა შეკრება ეწყობოდა, სადაც უმაღლესი მთავარსარჩალი გამოდიოდა სიტყვით-ყველა მეთაურს ვალად ედო არ დაკლებოდა ამ ღონისძიებებს, ხოლო ვინც ამას შინ ჯდომას ამჯობინებდა, გადაყენებულად ცხად-დებოდა².

ბევრი რამ აქ ჩინგიზ ყაენის შემოტანილი ან ახალ ვითარებასთან შეწყობილ-განმტკიცებული იყო. ახალმა მდგრმარეობამვე განაპირობა ქეშიკის გაძლიერება. თუ აზრე ქეშიკი მხოლოდ რამდენიმე ათეულ კაცს ითვლიდა, 1206 წლიდან იგი ბევრეულად იქცა. ქეშიკი ყაენის გვარდია იყო, მაგრამ არა მარტო ჩინგიზის პირად დაცვას მინდობილი, არამედ მთელი სახელმწიფოს შინაგანი დაცვის ფუნქციებით აღჭურვილი.

ქეშიკში სამხედრო მოხელეთა და თავისუფალ პირთა უნარიან და ძლიერი ფიზიკური აგებულების შეიღებს ღებულობდნენ. ასეულის ნოინის პირმშოს ქეშიკში შეეძლო მიეყვანა ერთ-ერთი საამისოდ ღირსეული ძმა და 5 ასეთივე ამხანავი. უფრო დიდი ლიმიტი ჰქონდა ამ მხრით ათასეულის ნოინის ძეს, რომელსაც ძმასთან ერთად ქეშიკში 10 ამხანავის მიყვანა შეეძლო³. უკაცრესი დისკიპლინა, რომელიც ქეშიკში იყო, ვერ ანელებდა ველის არისტოკრატიული ახალგაზრდობის ლტოლვას მისკენ, რადგან ქეშიკტენი დიდი პრივილეგიებით სარგებლობდა.

იმ დროს, როცა მომთაბარეთა მოწინააღმდეგებს, კულტურულად დაწინაურებული ქვეყნების არმიებს, თავგზას უბნევდა ფერ-

1 ი. ბერეზინი, დასახ. ნაშრ., დამატება, გვ. 105.

2 იქვე, გვ. 102.

3 იუან-ჩაო ბი-ში, გვ. 168.

დალთა ურთიერთ შელლი, უდისციპლინობა და სხვა მანევრობანი.
მომთაბარეთათვის კოველივე ეს უცხო იყო.

კულტურული ხალხების ლაშქართან შედარებით ველის მხედ-
რობას მანევრირების მეტი შესაძლებლობაც გააჩნდა, მისი მობი-
ლიზება-შევსებაც უფრო იღვილად ხერხდებოდა, სურსათითაც
მომარავება და ა. შ.!

დღადას განსხვავდებოდა მომთაბარეთა და მათი მოწინააღმდე-
გეთა კვების რეჟიმი და მენიუ. შემთხვევით კი არ მიუთითებს უამ-
თალმწერელი, რომ თათრები „...მცირედითა² საზრდელითა
განეშორებოდეს, რამეთუ ყოველსა სულიერსა ჭამდეს, კორცა კა-
ტისასა, ძალლისასა და ყოველივე³.“

მთლად ასე ხელაღებით და „ყოველივე სულიერით“ არ იკვე-
ბებოდნენ მომთაბარენი⁴, მაგრამ კულტურულ ხალხებთან შედა-
რებით რომ აქაც უფრო ითლად მიღიოდნენ, ეს საზავო არ არის.

თათრები კარგად ატყობინენ რომელი ცხოველი იყო ვარგისი
საკვებად და ევროპელი დამკვირებლის არ იყოს „მშვენივრად
არჩევდნენ“ მათ. სამეურნეო ცხოვრების ეს დარგი ველში იმ დროს
მხოლოდ „ტყის ტონებში“ იყო ასეცობის ერთ-ერთი ძირითაშუ-
წყარო. რაც შეეხება მწყემს ტომებს, იქ ნადირობა კარგახანია დამ-
ხმარე დარგად ქცეულიყო და საკვები პროდუქტების მთავარი ბაზა
მცხოვრელება იყო. ხორცი, კუმისს და სხვა პროდუქტებს, რომ-
ლითაც ლაშქარი იკვებებოდა, უხვად იძლეოდა მხელრობას მომ-

1. ბ. ბერძენიშვილი, ქართველი ხალხის ბრძოლა მონლოლა, მფლო-
ბელობის წინააღმდეგ, წიგნში: „საქართველოს ისტორია“ (დამზარე სახელმძღვა-
ნელო), თბ., 1958 წ., გვ. 224.

2 ეს სიტყვა დაღასტურებულია მარიამისეულ, თეიმურაზისეულ და მაჩაბლი-
სეულ ნესხებში. ს. ყაუჩეჩიშვილს შესაძლებლად მიაჩნია ექ „მცნარეთას“ გადა-
მახინჯებული ფორმა იგულისხმოს (ე ამთაღ მწერელი, გვ. 160, სქოლი).
მომთაბარენი მცნარეულობითაც იკვებებოდნენ, მაგრამ ექ მას თქმა კი არა,
იმის აღნიშვნა ეწიდა ქართველ ისტორიოსს, რა უპირატესობასაც უქმნილა
ნომადებს სახელისა თვალსაზრისით „მცირე საზრდელი“.

3 ე ამთაღ მწერელი, გვ. 160: შეტ. Материалы по истории Азербайд-
жана из Тарих-ал-Камиль, Баку, 1940, გვ. 126. (ქვემოთ—იბ ა ლა ს ი რ ი)

4 გ. რუბრუკი გი ი, გვ. 24.

5 იქვე.

დევარი რეს. აქციანცე ცესებლნენ მომთაბარენი ოშში და ცხენთა დანაკლისს.

არც იმის მტკიცებაა მთლად ჭეშმარიტი, რომ თუ მომთაბარებმა „პურისა გემო არა იცოდიან“¹.

XIII საუკუნის დამდეგს ნომადებმა პურის გემო ძალიან კარგად იცოდნენ. ამ დროს კელში პურის ყანებიც არის დაჯასტურებული და „ჩრდილოეთის მთების იქიდანაც“ ცოტა ფქვილი როდი შედიოდა². მაგრამ ეს მოთხოვნილებას მაინც ვერ აქმაყოფილებდა უა მომთაბარეთა უზრავლესობა უპურო ულუფით ცხოვრობდა. შათ მოწინააღმდეგებს კი ცხოვრების სხვა წესრიგი ჰქონდათ და კვიბის პრობლემაც ამში აქ რთული მოსაგვარებელი იყო.

დამცყრობელი „პაშარის“ წესითაც სჭობნიდა მეტოქეებს. იმ დროს, როცა კულტურული ქვეყნები მტერს ძირითადად საკუთარი და მეტწილად დაქაქსული ძალებით უპირისპირდებოდნენ, მომთაბარენი თავიანთ რიგებს მნიშვნელოვნად აზიდებდნენ ზამორჩილებული ქვეყნებიდან გამოყანილი მოლაშქრებით. ეს უცხოელები ჩვეულებრივ ნომაზთა ავანგარდს ქმნიდნენ და მოწინააღმდეგის მთავრ დარტყმებს ლებულობდნენ.

მომთაბარებს ხელი შეუწყო რელიგიურმა შემწყნარებლობა მაც. შამანისტი ნომადები კულტურულ ხალხთა არც ერთ რელიგიას (ქრისტიანობა, ისლამი, ბუდიზმი) იძლევდნენ უპირატესობას და არც მათ ქიშვში ერეოდნენ³.

თათართა რელიგიური მრწამსის უმეცარნი პირველ ხანებში დაიბნენ და ისლამური შუა აზიისა და ირან-აზიარბაზაგანის გადაჭივები ქრისტიანებადაც კი მიიჩნიეს.

ნომადთა წარმატებას მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი კულტურულ ქვეყნებში მიმღინარე კლასობრივმა და შინააკლასობრივმა ბრძოლამ⁴ და სხვ.

¹ კ ა მ თ ა ლ მ წ ე რ ი ლ ი, გვ. 158.

² Б. Владимирцов. Общественный строй Монголов. Монгольский кочевой феодализм, М—Л, 1934, гვ. 35.

³ В. В. Бартольд. Мусульманский известия о чингизидах-христианах. Записки Восточного отделения Русского географического общества, VII 1892, гვ. 330.

⁴ ვ. გ ა ბ ა შ ვ ი ლ ი, მონლოლები, წიგნში: ნარკვევები მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიიდან, თბილისი, 1957, გვ. 162.



ეროვნული

მუზეუმის ცენტრი

ველის გაერთიანებისა და გაღაუდებელი სახელმწიფო უნივერსიტეტის მოწესრიგების შემდეგ ჩინგიზ ყაინი ჩინეთისაკენ დაიძრა და 1215 წელს პეკინი აიღო. 1219 წელს თათრები ხვარაზმზე წავიდნენ. სულტანმა მუჭამეზმა ლირსეული დახვედრა ვერ უზრუნველყო და გაიქცა. ლტოლვილ ხვარაზმშამს ყაენმა თავისი საუკეთესო სარდლები დაადევნა, თუმცა იმათხე უწინ სულტანი სენმა შეიძყრო და გარდაიცვალა. ეს იყო 1220 წელს. მუჭამეზმს მდევარი ლაშქარი ერთხანს ირანსა და აღარბადაგანს აოხრებდა, ხოლო შემდეგ საქართველოს ყმადნაფიც რანშიც შემოვიდა. აქვე უნდა შეხვედროდნენ ქართველები და თათრები პირველად ერთმანეთს.

თ ა ვ ი III

თათართა პირველი ლაშქრობანი საქართველოში

თათრები „მოვიდნენ მუკანში და მოიქცენ გურჯთა ქეეყნისკენ“ — წერს იბნ ალ-ასირი, რომელიც მტრის პირველად შემხვედრი ქართველთა ლაშქრის რაოდენობასაც (10 ათასი) აღმიშნავს და უკანასკნელთა ხვედრზეც (ლამარცხება, მრავლის დახოცვა, გაქცევა) მიუთითებს¹.

არაპი ისტორიკოსისავე ცნობით, თათრები შელანში გამოსაზამთრებლად მისულან. მას არც იმის აღნიშვნა ავიწყდება, თუ საღმოუსწრო მათ ზამთარმა — ჰამადანსა და ალ-გაბალის მხარეში². რაშიც აღ-დინი აქ ჩეის ასახელებს³. არ დასტურდება მირხონდის ცნობა, რომ თითქოს 1220—1221 წლის ზამთარი თათრებს რეის

¹ იბნ ალ-ასირი, გვ. 137.

² იქ ვ.

³ Рашид ад-дин, Сборник летописей, т. I, кн. II, Москва, 1952, გვ. 227 (ქვემოთ — რაშიდ აღ-დინი, ტ. I, ფ. II).

მხარეში გაეტარებინოთ და ვითომ გაზაფხულზე დაძრული გადა
აღარბალაგანისაკენ!.

რაშიდ აღ-დინი არ იზიარებს თათართა მუღანში გვეჭვნებოდეს
გის ალ-ასირისეულ ცნობას და მუღანის ნაცვლად არან მიუთი-
თებს². უზბექთან ზავის შეკვრის შემდეგ, რაც თაერიზში მოხდა,
თათრები „დაბრუ ნ ლ ნ ე ნ უ კ ა ნ დ ა გ ა მ უ რ ნ ე ნ ა რ ა ნ ი ს ა კ ე ნ“,—
წერს იქ³. „უკან დაბრუნება“ აქ თათართა მარანდისაკენ გამგზავრე-
ბას ნიშნავს, რადგანაც მტერი არანში, როგორც სპარსი ისტორი-
ბას აღნიშნავს, „გურჯისტანშე გამავალი გზით“ მისულა⁴. ადარ-
ბადაგან-არანის ერთ-ერთა მთავარი გზა (თაერიზი-მარანდი-ნაზვე-
ვანი) მართლაც გურჯისტანშე იდო, მაგრამ ჯებე და სუბუდია რომ
იმ გზით შემოსულიყვნენ რანში, არ უასტურდება. რადგან, ჯერ კი-
დევ გაუტეხელ საქართველოს ყმაღნაფიცი რანი არაფრით სეის-
და მუღანს და მეორეც, თათრები სრულიადაც არ ფიქრობდნენ ასე
ჯიქურად დაერლვიათ წინა აზისს უძლიერესი სახელმწიფოს სუვე-
რენიტეტი. საქართველოზე ლაშქრობისათვის აუცილებელი ბაზის
შექმნას ისინი მუღანში ითვალისწინებდნენ.

თაერიზიდან მუღანში რამდენიმე გზა მიღიოდა. ერთი ახარზე
(ჩრდილოეთი) იდო, ხოლო მეორე — სერავზე (აღმოსავლეთი).
ეს გზები არ-დებილის ზემოთ ერთდებოდა და კასპიისპირეთისაკენ
მიემართებოდა. იმ პერიოდში, როცა თათრები გამოვიდნენ თავ-
რიზიდაა უფრო მიხერხებული სერავის გზა იყო, რადგან ახარის
მთავორიან მხარეში უიდი თოვლის გამო, რომელიც იმ ზამთარში
მოსულა, ძნელი სავალი უნდა ყოფილიყო.

ასე რომ, თათრები „გურჯთა ქვეყანაზე“ მუღანიდან უნდა წა-
მოსულიყვნენ და არა მარანდიდან.

არაპი ისტორიკოსი, რომლის ცნობაც აქ მართებული ჩანს,
გურჯისტანის შინაარსზე პირდაპირ არაფერს იმპოვს. ერთი არა-

¹ Histoire des Mongoles, denuis Tchingiz-khan jusqu'a Timur-beg au Tamerlan, par M. le Baren C. D'ohsson, Amsterdam, 1852. ss. 324
შენიშვნა 1 (ქვემოთ — კ. ღ. თ. ს. თ. ნ. ი., 1).

² რაშიდ აღ-დინი, ტ. I, წ. II, გვ. 227.

³ იქვე.

⁴ იქვე. ცდება კ. ღ. თ. ს. თ. ნ. ი., როცა არან ამ დროს აღარბადაგანის ათაბა-
გის სამცულობელოდ მიიჩნევს (გვ. 325). ასევე შეცდომით მიუთითებს ის აღარ-
ბადაგან-არანის საზღვრად მტერის, ნაცვლად არეზისა (იქვე).

⁵ იქვე, გვ. 326.

პირულაპირი მინიშნების მიხედვით (თათრები „მიცილნენ მუქამი“ და მიქცნენ გურჯთა ქვეყნისაკენ“) მუღანის მოსაზღვრული ფრაგმენტთა ელოს ყმაზნაფიც არანს იგი გურჯისტანში გულისხმითასავათია

ხეარაზმეთში განვითარებულ მოვლენებს, როგორც ჩანს, ყურადღებით აშევნებდნენ თვალს ქართველები და პირველ ხანებში აღტაცებულიც უნდა ყოფილიყვნენ მათი მეტოქის ხველრით. ახალი ამბებისაღმი ქართველთა დამოკიდებულება მკეთრად უნდა შეცვლილიყო მას შემდეგ, რაც უცხო მტერი, რომელიც აურე ქრისტიანადაც კი მიუჩნევიათ. მეზობელ ადაბადაგანში ძემოვიდა და საქართველოს თვედასხმის საფრთხე შეუქმნა. ამ მხარის მენაპირებს ამიერიდან გაიზი საწირუნავი უნდა გამჩენოდათ. თვალს აშევნებდნენ თათართა მოძრაობას და მუღანიდან მომავალ გზაზეც საკმაოდ დიდი სანაპირო ლაშქარი მდგარა. ამას უნდა გულისხმობდეს იბნ ალ-ქარითან მოხსენებული ქართველთა მხედრობა, რომელმაც პირველმა შეუკრა გზა მუღანიდან შემოსულ მტერს. ქართული, სომხეტი და არაბული წყაროების არაპირდაპირ ცნობათა გათვალისწინებით, ეს ბრძოლა რანში უნდა მომხდარიყო, რადგანაც საკუთრივ გურჯისტანსა ჲა მუღანს შუა, საიდანაც შემოვიზნენ თათრები. რანი იდო.

მუღანიდან რანში მიმავალი უმთავრესი გზა არეზის მარცხნა მხარეზე ორად ტოტზებოდა. ერთი სამხერთით მიემართებოდა (მდინარის პარალელურად და აღმა), ხოლო მეორე — ქ. ბაილაყანზე; რანის ეს შესანიშნავი ქალაქი 7—8 კილომეტრით შორავდა არეზს. როგორც იმდროინდელი გეოგრაფის იაკუთ ალ-ჰამავის ცნობიდან ჩანს, თათრები პირველად (პიგრის 617 წ.) ბაილაყანს დასცემიან! ჩვენი აზრით, სწორედ ბაილაყანს უნდა მიშველებოდა ქართველების ათათასიანი მხედრობა, რომელსაც ბრძოლის აღვი-

1 0 0 კ უ თ ა ლ-ჰ ა მ ა ვ ი, მუ'კამ ალ-ბულდანი, არაბულიდან თარგმანა ე. სიხარულიძემ, იაკუთის ცნობები საქართველოსა და კეკესიის შესახებ, ნოვ. 1, თბილისი, 1964, გვ. 37 (ქვემოთ იაკუთი). ა. ალი-ზალე ალ-ჰამავის ამ ცნობას ბაილაყანზე თათართა იმ ლაშქრობას უკავშირებს, რომელსაც იბნ ალ-ასიჩი 618 წლის რამდანით ათარიღებს (A. Али-заде, Социально-экономическая и политическая история Азербайджана XIII-XIV вв., Баку, 1956, გვ. 58). ჩვენი აზრით, ეს სწორი არ უნდა იყოს. იაკუთ ალ-ჰამავი თათართა პირველ ლაშქრობათა თანამედროვე იყო და, ჩანს, იბნ ალ-ასიჩი ნაკლებიდ არ იცოდა ადარბადაგანსა და რანის ჯებე და სუბუდის ბევრა-ობრებათა ამბები.

ლის მოუხსენებლად მიუთითებს იბნ ალ-ასირი და (ეტყობა, ასაზე
დაყრდნობით) რაშიდ ად-დინი¹. გარდა იმისა, რომ ეს პატიკანიშვილი
ლიც იყო, ქართველთა მენაპირეს, როგორც ჩანს, ირან-აღარაბადა
განში რისხვით შემოსულ უცხო მხედრობასთან მელავის გამოცხად
ეწადა და, ჩანს, თურქებთან გამარჯვებას დაჩვეულებს ეჭვი ა
ეპარებოდათ წარმატებაში.

მტერმა რიცხობრივი სიჭარბითა და ტაქტიკური სიახლის მეო-
ხებითაც გატეხა დამხდურთა წინააღმდევობა, მაგრავ ეტყობა, ძა-
ლიან გაუჭირდა². ამით უნდა აიხსნას ის გარემოება, რომ წარმატე-
ბის მიუხედავად თათრები ისევ მულანში მიბრუნდნენ და მხოლოდ
სავანგებო მომზადების შემდეგ განავრდეს გზა საქართველოსაკენ.

ეს ბრძოლა 1220 წლის დეკემბრის მიწურულში უნდა მომხ-
უაჩიყო. ამას მოშმობს ირანსა, ირაშის ერაყსა და აფარბაზაგანშე
თათართა ლაშქრობების შესახებ შემონახული ქრონილოგიური
ცნობა (617 წლის ზამთრის დასაწყისი³) ქართველთა მეფის ლაშქ-
რისა და თათარ-თურქმან-ქურთთა მხედრობის ბრძოლის იბნ-ასი-
რისეული დათარიღება (617 წლის ზუ-ლ-კადი)⁴, თუ აქ იმასაც გა-
ვითვალისწინებთ, რაც რანიდან მულანში დაბრუნების, მოკავშირე-
თა ლაშქრის შეკრებისა და მულანიზან გავის ქვეყანაში შემოსვლი-
სათვის იყო საჭირო, მაშინ პირველი ბრძოლა მეორეს, უკველია,
ორიოდე კვირით მაინც უწერებდა. თათარ-ქურთველთა პირველ შე-

იგი სწორად მიუთითებს აღერბილზე თათართა თავდასხმის თარიღს (617 წლის
შემდეგ), ამ ქალაქის ხედრს და სხვ. (ვ. 7—8). თუ იბნ ალ-ასირის ცნობა სწო-
რია, მაშინ აქ ბაილაყანზე თათართა მეორე ლაშქრობა უნდა იგულისხმებოდეს.
ნომადებს ერთსა და იმავე ქალაქზე არაერთხელ გაულაშქრებიათ (თავრიზზე სამ-
ყრაც კი წავიდნენ). ალ-ჰამავის ცნობის სინამდვილეში იმ გზის გათვალისწინებაც
გვარეშენებს, რომელითაც თათრები (მულანიდან) შევიღნენ აანში (ეს გზა პირ-
დაბირ ქ. ბაილაყანზე მიდიოდა). ამასევ გვაფიქრებინებს მომთაბარეთა რანში
პირველი შესვლის დროც (1220 წლის დეკემბერი). ძნელი სარწმუნოა, რომ არე-
ზის სიახლოეს მდებარე ამ მდიდარ ქალაქს უმაღვე არ მიეცყრო ჯებესა და სუ-
ბუდაის ურაღლება და აანში პირველსავე შემოსვლაზე არ დასცემოდნენ მას.

1 იბნ ალ-ასირი, გვ. 137; რაშიდ ად-დინი, ტ. I, წ. II, გვ. 227.

2 ლაშასძროინდელი მემატიანის ცნობაში, რომელსაც ყურადღებას აქცივდა:
იყ. ჯვახიშვილი, ამ ბრძოლაზე არავითარი შინიშნება არ არის (ი. ვ. ჯავახი-
შვილი, ქართველი ერის ისტორია, III, გვ. 15). არც კარდანი ან რომელიმე
სხვა სომები ისტორიკოსი იხსნებას ამ ბრძოლას.

3 იბნ ალ-ასირი, გვ. 137; რაშიდ ად-დინი, ტ. I, წ. II, გვ. 226—227.

4 იბნ ალ-ასირი, გვ. 138.



ხვედრას ერთიც და მეორეც კარგად დაუჩრქმუნებია ჟაჭმიერულობულეში და მომავალი ბრძოლისათვის სამზადისს ორიჯერ უწყებულად შედგომია. თაორებს თურქმანებსა და ქურთებთან გაუბამთ კავშირი, ქართველებსაც დიდი ძალებით გამოსვლა დაუგევმავთ. მაგრაც შემცდარან, რომ ზამთარში შემოსევის შესაძლებლობა ვერ გაუთვალისწინებიათ და საქართველოს, აღარბაზაგანისა და წინა აზიის სხვა სახელმწიფოთა ერთობლივი გამოსვლა გაზაფხულისათვის განუზრახავთ¹. თაორებსა და მის მოკავშირეებს ასეთ დიდ ძალებთან გამკლავების ღონე არ შესწევდათ. ამიტომ დაწრება უმჯობინებიათ და ზამთარშივე წამოსულან საქართველოზე.

თაორები მაჯერად საქართველოში იმგვარი ომის განვითარებას კი არ ისახავდნენ მიზნად, რააც ირანსა და აღარბაზაგანში აწარმოებდნენ (ზაპყრობა), არამედ ქვეყნას დაზერერა და დარიალის ქარისაკენ გაჭრის შესაძლებლობის გამორცვევა ეწადათ.

ქართველებზე უეცარი თავდასხმის გეგმა აიძულებდა მტერს გვერდი აევლო რანის ქალაქებისათვის და რბევის მხოლოდ გაგის ქართველთა სანაპირო ქეყყანაში შედგომოდა.

„და შემოვიდეს უცხოთესლინი ვინე ლაშქარნი სომხითს და ჰერეთს“, გვამცნობს იმდროინდელი ქართველი მემატიანე, რომელიც „რამე მცირედ“ ნავნებსაც აღნიმნაეს და ზოგიერთ სხვა საინტერესო ფაქტზეც მიუთითებს².

ქართველი უამთალმწერელი არაფერს ამბობს ბრძოლის წინა „ნავნების“ სიღიღეზე და მხოლოდ იმის აღნიშვნით კმაყოფილდება, რომ: მათ „იწყეს დარბევად გაგისა“³. ვარდანის ცნობით, თაორები ამ დროს „ყოველ ცოცხალს“ დამუქრებიან და საღაც კი წიუხელებიათ, არ გაუშვიათ⁴. თათართა რბევის მძიმე შედეგებს ჩევრში განსაკუთრებით ხაზს უსვამს იბნ ალ-ასირი, მაგრამ მისი საამისო ცნობები მეტწილად გამარჯვების შემდგომ პერიოდს ეხება⁵. ბრძოლის წინ, როცა მტრის გეგმებში სამხედრო-პოლიტიკური ამოცანა იდგა წინა პლანზე, რბევაც შესაბამისად უნდა ეწარმოე-

¹ იბნ ალ-ასირი, გვ. 137.

² ლაშა გომრგის დროინდელი მემატიანე, გვ. 370.

³ უამთალმწერელი, გვ. 164.

⁴ История монголов по армянским источникам, Навукоат I, таრгմанис და განმარტებანი ქ. პ. პირკანთვაისა, სპ, 1873, გვ. 2 (ქვემოთ—ვარდანი).

⁵ იბნ ალ-ასირი, გვ. 137—138, 140.

პინათ, ხოლო, როდესაც მთავარი მიზანი გაინალდეს, შემდეგ ნომიურმა საკითხმა გადაინაცვლა წინ და ძარცვა-ჩბევაც კვალად უნდა გაძლიერებულიყო.

იბნ ალ-ასირის, კირაკოსისა და სებასტიაკის ცნობით, თათრებს ბრძოლის წინ თითქოს თბილისამდე მიუღწევიათ¹. ეს ცნობა ზუსტი არ არის. ჯერ ერთი, თათართა მთავარი ბანაკიდან, რომელიც ხუნანის მიღამოებში იყო, ჯებეს და სუბუდის თბილისისენ მხოლოდ მცირე რაზები უნდა გაეგზავნათ, ისე როგორც ეს რესებთან ბრძოლის წინ მოიმოქმედეს [თათართა ამ დანიშნულების ჩამები იქ მდ. ხორტიცას მიადგნენ, ხოლო მთავარი ძალები მდ. კალკასთან იდგნენ]². შემდეგ: თათართა ეს რაზები, რომელთა მიზანი ქართველთა გამოტყუება იყო, ძნელი სარწმუნოა. რომ უშუალოდ მისულიყვნენ თბილისთან. ეს არათუ ასეთი დანიშნულების მხედრობისათვის ჩანდა მიზანშეუწონელი, არამედ ჯებემ და სუბუდი გამარჯვების შემდეგაც უერ გაბედეს სამშვილდეს გასცილებოდნენ³. შესაძლოა, ბრძოლის წინაც სამშვილდედან უკუჩებეულიყვნენ თათართა რაზები. მათ ასეთ ვოქმედებაზე პირდაპირ მიუთითებს როგორც იმდროინდელი ქართველი, ისე სომხეთი ისტორიკოსები⁴. თათართა სარდლობის ამ შორგამიზნულმა ხერხმა მოსალოდნელი ნაყოფი გამოიღო: მტრის დაუსჭელად გაქცევის შიშით ქართველთა მთავარბანაკმა, ეტყობა, იჩქარა და იმ ძალებით დაედევნა მომთაბარებს, რომელებიც იმ ხანად იყო შეყრილი. მტერსაც ეს უნდოდა.

„თათართა მოსვლის ამბავი რომ ესმა ქართველთა მეფესა, — წერს გრ. օქანეცი, — გამოვიდა მათ წინააღმდეგ 60 000 მხედრით“⁵.

¹ იბნ ალ-ასირი, გვ. 138; История монголов по армянским источникам, № 2, თარგმანი და განმარტებანი ქ. 3. პატანოვისა, სპб, 1874, გვ. 2 (ქვემოთ — ქირაკოსი). სებასტიაცის მატიანე, კრებულში: Армянские источники о монголах, извлечение из рукописей XIII — XIV вв. перевод с древнеармянского, предисловие и примечания А. Г. Галстяна, Москва, 1962, გვ. 23 (ქვემოთ — სებასტიაცი).

² К. В. Кудрявцев, О местоположении реки Калки, Вопросы истории, 1954, № 9, გვ. 118.

³ ქამთალმწერეელი, გვ. 165.

⁴ ლაშა გომარგის დარბაზი მემატიანე, გვ. 370; ვარდანი, გვ. 2; სებასტიაცი, გვ. 23.

⁵ გრ. օქანეცი, გვ. 9.

ქართველი უამთაღმწერლის ცნობით, „უცხოსა ნათესაფასა მოკლვა“¹ მეფისთვის ვარავ გაველს და ივანე ათაბაგს უცნობეშეზეუდეს ჭაშას სრული ლაშქრის შეყრა უბრძანებია... ეს ცხობებით მართვულია. ქართველთა სამეფო კარი, როგორც იბნ ალ-ასირის ჩვენებიდან ჩანს, უფრო ფართო ლონისძიების გატარებასაც ფიქრობდა², მაგრავ იმღვენა ლაშქრის გამოყვანა რომ მოეხერხებინა, რომელსაც უამთაღმწერელი მიუთითებს (90 ათასი), ძლიერ საეჭვოა. წინა აზიაში მაშინ მეცრი და დიდთოველიანი ზამთარი იდგა³. გამორიცხული არ არის ასევე ყოფილიყო ლიხთიქითშიც; გვიანდელ ქართველ სატორიკოს, როგორც ჩანს, ჰელიონია, რომ თითქოს იმერხი მიუვიზნენ მეფეს (გარდა იმისა, რომ „მეფემან მოუწოდა სპათა თვესთა, იმერთა და ამერთა“, ამას მოწმობს ამ ფროს შეყრილი ლაშქრის მისეული რიცხვიც — 90 ათასი)⁴, მაგრამ ეს არ დასტურდება. უამთაღმწერლის მტკაცებას ეწინააღმდეგება როგორც ქართველთა ლაშქრის შედგენილობაზე, ისე მათ რაოდენობაზე სხვა წყაროებში დაცული ჩვენებები. ლაშქრის შეყრაში სამეფო კარის, ჩანს, ხელი შეუშალა ავრეთვე მტრის სწრაფი უკუქცევის არსის შეუცნობლობამ. თათართა მზვერავი რაზმის ასეთი მოქმედება ამ ელვისებური ომის ერთი მომენტი იყო. ამ ხერხით მათ ჩვენშიც და რუსეთში მნიშვნელოვნად გაიუმჯობესეს მდგომარეობა.

იმურინიდელი ქართველი ისტორიკოსი, თუმცა არაპირდაპირ, მაგრამ მაინც გამადგებად საყველურობს მეფეს, რომელსაც მტრის ლარსეული დახვეჯრისათვის საჭირო „ლმობიერ-ქცევა“ ვერ გამოუჩინა⁵.

გარდა იმისა, რომ უცხარი თავდასხმით მტერმა საქართველოს სამეფო კარის კოალიციური გამოსვლის გეგმა ჩაუშალა, წინ წაწეული რაზმის მანევრით, საუთარი ლაშქრის სრულიად შეყრის საშუალებაც არ მისცა.

იმ პირდაპირ თუ არაპირდაპირ ჩვენებათა გათვალისწინებით, რომელიც ქართველთა ლაშქრის რაოდენობაზე დაუცავთ წყაროებს,

1 ე ა მ თ ა ლ მ წ ე რ ე ლ ი, გვ. 164.

2 ი ბ ნ ა ლ - ა ს ი რ ი, გვ. 137.

3 ე ა მ თ ა ლ მ წ ე რ ე ლ ი, გვ. 164.

4 ი ბ ნ ა ლ - ა ს ი რ ი, გვ. 137; კ. დ ა მ ს თ ნ ი, გვ. 325.

5 ე ა მ თ ა ლ მ წ ე რ ე ლ ი, გვ. 164.

6 ლ ა შ ა გ ი ო რ გ ი ს დ რ თ ი ნ დ ე ლ ი მ ე შ ა ტ ი ა ნ ე, გვ. 370.

60 ათასს არ აღმატებოდა¹. ეს მცირე ძალა არ იყო, მაგრამ ამასკენაკლები არც მტრის ლაშქარი იყო. სწორი არ ჩანს მტრუმატების უკავებელი განსაზღვრა (12 ათასი)². ისტორიკოსი აშეარად თეოთნებურად მიუთითებს თათართა და ქართველთა რაოდენობას. მისი მიზანია უჩვენოს, თუ რა წარმატება შეუძლია მომოვალს მტკიცედ შეკრულმა კოლექტივმა, თუნდაც მეტისმეტად მცირებ და როგორ მარცხდება ის, ვისაც დიდი ლაშქარი ჰყავს, მაგრამ მოკლებულია ასეთ თვისებას. ამაში არც კედება ქართველი კამთალ-მწერელი, მაგრამ მტერი მხოლოდ ამ უპირატესობას არასოდეს მინდობია და ყოველთვის ცდილობდა, რომ მოწინააღმდეგე რიცხობრივადაც არ ყოფილიყო მეტი.

სომეხი ისტორიკოსები (ვარდანი, სებასტიაცი) მტრის ლაშქრის რაოდენობას 20 ათასით განსაზღვრავენ³. ორი ნოინი, ორი დუმენი—ასეთია ამ ცნობის წყარო.

მტრის ლაშქრის მნიშვნელოვან ნაწილს შეადგენდნენ მოკავშირე თურქმანები და ქურთები, რომლებმაც სლავი „ბროდიკების“ მსგავსად, დიდი სამსახური გაუწიეს თათრებს (იბნ ალ-ასირი ხაზგასმით აღნიშნავს მათ თავგანწირულ ბრძოლას)⁴.

თათრები ტყვედ გარეკილ მოსახლეობასაც ფართოდ იყენებდნენ ბრძოლებში, ათასობით ტყვე მონაწილეობდა შუა აზიაში, ირაოში, ადარბადაგანსა და სხვა ქვეყნებში გამართულ ბრძოლებში. ბევრი შარვანელი შეაექლეს მათ ოსებთან თუ რუს-ყივჩაყების გაერთიანებულ ლაშქართან ბრძოლას⁵. მართალია, ქართველებთან დაპირისპირებულ ტყვეებზე პირდაპირი ცნობები არ გავვაჩინია, მაგრამ ჰაშარი ძლიერ იყო მიღებული თათართა სამხედრო სისტემაში და ძნელი სარწმუნოა იქაც არ ჰყოლოდათ. ყოველივე ამის გათვალისწინება საფუძველს გვაძლევს მოწინააღმდეგეთა რიცხობრივი

1 აკანე ც. გვ. 10; სინაშლეილეს არ შეეფერება კ. დ'ოსონთან სააშისოდ მითითებული რიცხვი (13 ათასი—გვ. 335). წყაროები, რომელსაც იყო ემყარება, მარტო დახოცილ ქართველთა რიცხვს 20 ათასით განსაზღვრავენ (იბნ ალ-ასირი, გვ. 140; რაშიც აღ-დინი, ტ. I, წ. II, გვ. 227).

2 ვამთალ მწერე რელი, გვ. 164.

3 ვარდანი, გვ. 2; სებასტიაცი, გვ. 23.

4 იბნალ-ასირი, გვ. 138.

5 რაშიც აღ-დინი პირდაპირ მიუთითებს შამახიიდან ჩრდილო კავკასიაშია გარეკილ ტყვეთა სიმრავლეზე (ტ. I, წ. II, გვ. 227).

4. ი სიხარულიძე

შეფარდება თუ თანაბარი არა, ერთმანეთისაგან დიდად გამოხვევე-
ბულად მაინც არ ვიგულისხმოთ.

ადგილი, სადაც ბრძოლა მოხდა, წყაროებში სხვადასწვევა სახე-
ლით იხსენიება. კირაკოსი „ხუნანის ველს“ ასახელებს, ვარდა-
ნი — „მდინარე კოტმანს“², სებასტაცი — „მდინარე კოსმანს“³,
თანმხღური ქართველი ანონიმი — „ბალის წყალს“⁴. ქართველი
უამთალმწერელი — „წყალსა... ბერდუქსა... აშ საგიმად წოდებულ-
სა“⁵. გრ. აკანეცით, ქართველთა და თათართა მთავარი ძალები
„კოტმანის დიდ ველზე“ შეხვედრიან ერთმანეთს⁶, ხოლო ქარ-
თველთა მარჯვენა ფრთა და თათართა ლაშქრის ნაწილი — „საგა-
მის ველზე“⁷.

სომხური წყაროების „კოსმანი“ და „კოტმანი“ ერთი და იმავე
სახელის სხვადასხვა ფორმაა. ამ სახელით, როგორც ჩანს, იწოდებო-
და მდინარე, ველიც და სხვაც.

ვარდანი და სებასტაცი ამ მდინარის მდებარეობაზე არაფერს
ამბობენ. აკანეცი კი „კოტმანის ველს“, „ტერუნაკანის ციხის ჭინ“
აღნიშნავს⁸. ტერუნაკანს იგივე ავტორი ტაუშისა და ნორბერდის
გარეშოცვაში ასახელებს (პირველის შემდეგ)⁹. კირაკოსი ამ ციხეს
ერთგან (მოლაპ ნოინის დაპყრობილი გაგის სანაპიროს ციხეთა სია-
ში) სხვა ხაზზე (შამქორი, ტერუნაკანი, ერგევანქი, მაწნაბერდი)
მიუთითებს¹⁰. გაგის შემდეგ (ქვემოთ) ასახელებს ტერუნაკანს დავი-
თის ისტორიულიც (დავითმა „...ალიხუნა ციხენი სომხითისანი: გაგ-
ნი, ტერონაკალი, (ქა)აზინნი, ნორბერდი, მანასგომნი და ტალინ-
ჯაქარი“)¹¹.

ამ ჩვენებისა და ყველა იმ ცნობათა გათვალისწინება, რომელიც
თათარ-ქართველთა ამ ბრძოლაზე შემონახულა, საშუალებას გვა-

1 კირაკოსი, გვ. 3.

2 ვარდანი, გვ. 2.

3 სებასტაცი, გვ. 23.

4 ლაშა გორგისძროინდელი შემატიანე, გვ. 164.

5 კამთალმწერე ხელი, გვ. 164.

6 აკანეცი, გვ. 9.

7 იქვე, გვ. 10.

8 იქვე, გვ. 9.

9 იქვე, გვ. 12.

10 კირაკოსი, გვ. 22.

11 ცხოვრება მეფეთ-მეფისა დავითისი, გვ. 344.

ქლევს ტერორისტთანის ციხე ახლანდელი აღსტაფის ქვემო შედეგი
ვიზუალისხმოთ.

აღსტაფიან ბერდუგვთან აიგივებენ! ეს მოსაზრება უძართებულია არ არის. ბერდუგი აღსტაფის ერთ-ერთი უძველესი სახელი უნდა იყოს. მისი ადგილმდებარეობის აღსანიშნავად უამთაღმწერელთან მინიშნებულია „გაგის ბოლო“ (ე. ი. გაგის ციხის შემავალი ქვეყნის ბოლო)². ამავე მიღამოებში გულისხმობს ბერდუგს დავითის ისტორიკოსიც. მისი თქმით, თურქებზე ამხედრებული აღმაშენებლის ლაშქარი „გაგთათ ბერდუგამდე“ ყოფილა დაბანაკებული³.

XIII საუკუნეში ბერდუჭი, როგორც ჰიდრონიმი, უკვე აღარ არსებობს. ერთხანს მას, ეტყობა, „ბალის წეალი“ შეენაცვლა (ლაშას მემატიანის მოწმობა)⁴, ხოლო შემდეგ — საგიმი (ფამთალმწერელი). ეს უკანასკნელი გრ. აკანეცთან დადასტურებული „საგამის“ (სიმაგრე, ველი) სახენაცვალი ფორმაა. საგიმ-საგამი თავის მხრივ ვარდანის გოგრაფიაში მოხსენებულ „ზაკამს“ (**ჯაკამი**) უნდა უკავშირდებოდეს⁵. ამას მოწმობს ისიც, რომ აკანეცთან მოხსენებული ფაკო **უადამა** ამავე სახელწოდების ციხის მინდორს კი არ აღნიშნავს, არამედ იმ უნაპირო ველს, რომელზეც ქართველთა ლაშერის „მარჯვენა ფრთა... საღამო მოდის მიღიოდა და დაუზავი შეტევით სპობდა თაორებს“⁶. ველის ეს სახელი ქვეყნის სახელიდან უნდა მომდინარეობდეს. ქვეყანას აღნიშნავს ზაკამიც⁷.

¹ റ. പോലോസ്സേരി, രാജസ്ഥാൻ, നം., 1958, പി. -201.

³ ცხოვრება მეფეთ-მეფისა დავითისი, ვ. 340.

4 ივ. ყავახიშვილის ვარაუდით, ბალის წყალი ბალაჩია უნდა იყოს ან პელა-
მეგი (ქართველი ერის ისტორია, III, გვ. 15). ბალაჩია ქართველ-თათართა შეხვე-
დრების ზონას დიდად სცილდება. იგი ლენქორანში მიეღინდა. ეს სიშორე
ივ. ყავახიშვილსაც ფურქრებდა (იქვე). რაც შეეხება ბელაშეს, კირაკილის ცნო-
ბით, იგი მდებარეობდა ქ. ბაჩრდავსა და ბაილაყანს შუა და ეჭილდებოდა არა
მდინარეს, არამედ ჭაობიან აღვილს (გვ. 2). არც ეს ჩევენებანი და არც სხვა მონა-
ცემები ბალის წყალისა და ბელაშესის გაიგეობის საშუალებას არ იძლევით.

5 0 3 0 6 2 (3 0, 23. 9—10.

* J. Saint-Martin. Mémoires historiques et géographiques sur l'Arménie, t. II, 30. 1819, p. 414.

7 0306200, 23. 10.

8 ი. სენ-მარტენი, გვ. 414; დ. მუსხელიშვილი, აღვალა-ვაგის ციხე, ხაქორთველოს ისტორიული კონკრეტული, 1960, გვ. 125.

ვარდანის მითითებით, ზაკამის ქვეყანა, რომელიც თავის შეწყვეტილ
„გავარს“ (საციხო ქვეყნები) შეიცავდა, აღმოსავლეთში: „განძუს:
ქვეყნამდე ვრცელდებოდა, ხოლო დასავლეთით გაგის ველამდე¹,
ე. ი. ამ ველის დასაწყისამდე აღმოსავლეთიდან. დასავლეთიდან ეს
იგივე „გაგის ბოლოა“, სადაც ქართველი უამთალმწერლის ცნობით,
მოედინებოდა ბერდუჯ-საგიმი². ეს მდინარე, როგორც ჩევნებები
და თვით მისი სახელწოდებაც მოწმობს, საგამის (ზაკამის) ქვეყნის
დასავლეთ საზღვარს დებდა. მდ. საგამი ახლანდელი აღსტაფი უნდა
იყოს, რასაც იქვე ახლოს მდებარე „ხუნანის უელიც“ მოწმობს³.

დავითის ისტორიკოსის ერთი ცნობა ხუნანს მდ. ბერდუჯის
ახლოს გულისხმობს. 1121 წლის მარტში ლიხითიქიდან გადმოსულ
დავით მეფეს ქართლში „დახუდა შზად სპა მისი, და პირველ ამბავ-
სა ქართლისა ცნობამდე დაესხა ხუნანს. და აღავსო ლაშქარმან მთით
მტკურამდე და გაგთათ ბერდუჯამდე“⁴. სწორედ ბერდუჯ-აღსტაფას-
თან, კერძოდ მისი შესართავიდან 6—7 კილომეტრის დაშორებით
(სამხრეთ-აღმოსავლეთით), სოფელ კირახ ქესამანის ტერიტორიაზე
შემონახულია ხუნანის ნანგრევები. ციხე-ქალაქი გაშენებული ყო-
ფილა სერჩე, რომელიც უკანასკნელ დრომდე იქ შემონახული ციხის
გალავნის ფერის მიხედვით „კალა ბოზად („რუხი ციხე“)“ იწოდება.

ხუნანის ლოკალიზების პირველი წარუმატებელი ცდის შემდეგ

1 ი. სენ-მარტენი, გვ. 414.

2 ეკამთაღმწერე რელი, გვ. 164; ივ. ჯავახიშვილი, „საგომის მინ-
ნევდა არა მდინარედ, როგორც ეს ეკამთაღმწერელთან გვხვდება, არაშედ ადგალის
სახელად. ისტორიკოსის ამას „მოისართა ტომის ისტორიაში“ დადასტურებული „სა-
გამის მინდოორი“ აფიქტებინებდა (ქართველი ერთი ისტორია, III, გვ. 16). ჩვენი აზ-
რით, ეკამთაღმწერელი არ უნდა ცდებოდეს. საგომი მდინარის სახელიც უნდა ყოფი-
ლიყო. ივ. ჯავახიშვილი საგამს „გაგის მახლობლად“ გულისხმობდა (იქვე, გვ. 14),
თუმცა არ ჩანს რა მნიშვნელობით მიუთითებდა გაგის (ციხე, ციხის შემავალი
ქვეყანა, სანაპირო ქვეყანა). ი. ციხცაძე (ივ. ჯავახიშვილზე დაყრდნობით) აქ „გა-
გის ციხის რაორის“ ასახელებს (მონლოლები და მონლოლთა დაპურობები, გვ.
121), ხოლო დ. გვრიტეშვილი — „გაგის ციხის სანახებს“ (ნარკვევები საქართვე-
ლოს ისტორიიდან, გვ. 156). საგომის აღვილმდებარეობას აზუსტებს ეკამთაღმწერ-
ლის ცნობა, რომლის მიხედვით იგი გაგის ციხის შემავალი ქვეყნის საზღვარი
იყო. ამ მდინარის მარჯვენა მხარეზე იყო სწორედ ის ველი, რომელზეც დაიწყო
ქართველთათართა ბრძოლა.

3 კირაკისი, გვ. 3.

4 ცხოვრება მეფე თ-მეფისა დავითისი, გვ. 339—340.

(ყაზახის მიდამოები)¹ 1908 წელს ასეთი მართებული შეხვდული /
გამოოქვეთა 6. ა. კარაულოვმა. მშეარა, მკვლევარს სამისო საფუძ
ველს აძლევდა იქ შემონახული ნაშთები, თუმცა იგი ამაზე იკვლეული და
ამბობდა და მხოლოდ ამ ბორცვის (მაშინ აუ-თოური ჩქმევია) ძღვე-
ბარეობის განსაზღვრით („ . . . на холме Ах-тоура немного ни-
же р. Акстрафы на правом берегу реки Чуры“)² კმაყოფილდება.

1955 წლის შემოდგომაზე ეს ადგილი მოიხილა და მისი ხუნან-
თან გაიგივების აზრი გაიზიარა ლ. ჭილაშვილმა³.

ხუნანი გორადან განვითარებული ციხე-ქალაქია. ნაციხარი
დასავლეთითაა. მტკვრისპირა ბორცვზე, ხოლო ნაქალაქარი — მის
ჩრდილო-აღმოსავლეთით. ციხის გალავნის ერთი ნაწილი, კერძოდ
ჩრდილო მხარე, 1.5 მეტრის სიმაღლისა; როგორც აღგილზე დაგვი-
ლასტურეს, 30-იან წლებამდეც ყოფილა მოლწეული და გურებზე
დახარბებულ სახლისმშენებელ კირას ქესამანელებს დაუხგრევით.

ძეელი კვადრატული აგურები (22×5 , 23×5) ნაციხარის კედ-
ლის ძირას ჩვენც ბევრი დაგვხვდა. ციხის ბორცვი, განსაკუთრებით,
შისი სამხრეთი, დასავლეთი და ჩრდილო ფერდობები სავსეა სხვა-
ლასხვა დროის თიხის კურკლებისა და სხვა ნაშთებით. ასეთივე ძეგ-
ლები ბლომად ჩნდება ნაქალაქარზეც. რომელსაც ვრცელი ტერიტო-
რია უჭირავს.

ეს შესანიშნავი ციხე-ქალაქი აღრე და შეა ფეოდალურ
ხანაში მნიშვნელოვანი სავაჭრო და სტრატეგიული პუნქტი იყო.
გარდა ბარდაც-თბილისის ღირი სავაჭრო გზისა, ხუნანთან თავს
იყრიდა რანის, სომხითის, კუხეთის, კაბეჩანის და სხვა ქვეყნების
დამაკავშირებელი სავაჭრო თუ სამხედრო გზები.

ხუნანთან მრავალი ბრძოლა დადასტურებული. ჯერ იყო და
მირვანთან ბრძოლაში „იპურა ზურგად“ ხუნანი ბარტომ მეფემ⁴, აქვე

1 Н. А. Карапетов, Сведения арабских писателей о Кавказе, Армении и Азербайджане, I. Аль-истахрий, сборник мат. для оп. местностей и племен Кавказа, вып. 29, Тифлис, 1901, гл. 65.

2 მხედვები, Сведения арабских географов IX—X век в по р. хр. О Кавказе, Армении и Азербайджане, вып. 38, Тифлис, 1903, гл. 22.

3 ლ. ჭილაშვილი, რესოუსი, გვ. 194—199.

4 ვ. ზეინალივას ცნობა, კირას ქესამანი (ალსტაფის ჩ.) 5. IV. 1956.

5 ლეონტი შროვალი, ცხოვრება ქართველთა მეფეთა, გვ. 31.

ახლოს (ბერდუგზე) დახველრია მოვაწნის ერისთავს რესტარი
მეფეც!

ხუნანი უყურადღებოდ არც არაბებს დარჩენიათ, მაგრა სკოლაში ქაბებს და არც ამ უკანასკნელთა თარეშის აღსაყვეთად დაძრულ დავით აღმაშენებლის ლაშქარს². ამ ციხე-ქალაქის საკითხი დემეტრე პირ-ველის საქართველომ გადაწყვიტა (1128 წ.).³

მშვიდობიანი განვითარების თითქმის საუკუნოვანი ხანა ხუნანი-სათვის ამიერიდან თათართა გამოჩენამდე აღარავის დაურღვევია. ამ დროს კი, როგორც ჩანს, ციხე-ქალაქს დიდი ზიანი უნდა განეცადა. ამ თვალსაზრისით უყრადღებას იქცევს იმპ ალ-ასირთან დაცული ცნობა, რომელიც ამ შემოსევის დროს დანგრეულ, ქართველთა ერთ ძლიერ ციხეზე მიუთითებს. დამახასიათებელია ისიც, რომ ისტორიკოსი ციხის დაპყრობა-განადგურებას თათართა თანმხლებ აკუშის ლაშქარს მიაწერს⁴. გამორიცხული არ არის ამასვე ეხმაურებოდეა დამწვარი აგურების, ძვლების, კურჭლეულბისა და სხვათა ნამთები, რომლებიც მრავლად გეხვდება ამ ციხე-ქალაქის ტერიტორიაზე⁵.

წყაროების შეჯერებისა და აღვილებ ჩატარებული ძებით თათართა და ქართველთა განლაგება ბრძოლის წინ ასე გვესახება: მტრის ლაშქრის ავანგარდი, რომელიც თურქმანებისა და ქურთები-საგან შედგებოდა. მდ. აღსტაფის მარჯვენა ნაპირას გადაშლილ ველზე იდგა (რკინიგზის სადგურ ფოილოს მიდამოებში). თათართა ავანგარდის ამგვარ ტომობრივ ვინაობას იმპ ალ-ასირი გვამცნობს⁶. ხოლო მის საბრძოლო განლაგებას — არსებულ ჩვენებათა გათვალისწინება. ამათ უკან, როგორც იმპ ალ-ასირთან და რაშიდ აღდინთან დაცული ცნობებიდან ვტყობილოთ, დაბანაკებული ყოფილა თათართა ლაშქრის ერთი ნაწილი სუბუდაი ბაჰადურის სარდლობით⁷. არაბული, სპარსული და სომხური წყაროების ჩვენებათა

1 ჭუანშერი, ცხოვრება ვახტანგ გორგასლისა, ქართლის ცხოვრება, I. ტექსტი ცველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით დადგენილია ს. ყაუხჩიშვილის შექმნა, თბ., 1955, გვ. 140.

2 მაკუთ ალ-ჯამავი, გვ. 52; ცხოვრება შეფეთ-შეფისა დაერთისი, გვ. 339—340.

3 ივ. ჭავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, II, თბ., 1946, გვ. 222.

4 იბნ ალ-ასირი, გვ. 138.

5 ლ. ჭილაშვილი, რესთავი, გვ. 198.

6 იბნ ალ-ასირი, გვ. 138.

7 იქვე, რაშიდ აღ-დინი, I, წიგნი II, გვ. 228.

შეჯერება საშუალების გვაძლევს სუბუზაის მხედრობა კინაზე მანის სერსა და მის შემოგარენში ვიგულისხმოთ.

რაც შეეხება, მიმალულ ჯებე ნოინსა და მის პირველი მომატებას (5 ათასი მოლაშქრე), როგორც ამას რაშიდ აღ-დინი მოუკითებს, იგი კიდევ უფრო უკან ყოფილა ჩასაფრებული.

გარდა იმისა, რომ კირაკოსი, რაშიდ აღ-დინი და ქართველი კამთაღმწერელი თანხმობით მიუთითებენ ამ ბრძოლაში თათართაგან ჩეცული სამხედრო ხერხის გამოყენებაზე, რის განხორციელებისათვის საქმაოდ დიდი ადგილი იყო საჭირო, ამას მოწმობს „ხუნანის ცელზე“ კირაკოსთან დადასტურებული ბრძოლაც. ამ ცნობაში ხუნანის წინა დიდი ველი იგულისხმება.

ჯებეს მხედრიონის გამოჩენა ხუნანის ველზე შეტყუებულ ქართველთა მთავარი ძალების ზურგში, თათართა მალული ლაშქრის ხუნანის უკანა ველში დგომას გვათიქრებინებს. საამისოდ შესაფერი ადგილი მხოლოდ იქ იყო¹. მტრის ასეთ (ეშელონისებურ) განლაგებაზე ქართველებს ცნობები არ ჰქონიათ, რამაც დიდი ზიანი მიაყენა ედეც ლაშქარს.

ქართველები ტრადიციული წყობით გამოსულან: მარცხენა ფრთა, ცენტრი და მარჯვენა ფრთა, ფრთებს, როგორც გრ. აკანეცი გვამცნობს, ივანე ათაბაგი და ვარამ გაგელი სარდლობდნენ, თუმცა შეცლომით ის ამ ბრძოლაში მხოლოდ ორ ფრთას ასახელებს (მარცხენის უპირატესობით)². ივანე ათაბაგი რომ მარცხენა ფრთას უძღვდა, ამას კირაკოსის და ვარდანის არაპირდაპირი ჩეცნებანიც მოწმობებს. ამას კირაკოსის და ვარდანის არაპირდაპირი ნაკვეთი თავზე თათართა რისხვა ხუნანის ველზე³. მარცხენა ფრთა ამ ბრძოლაში ის იყო, რომელიც ხუნანის სამხრეთ-აღმოსავლეთით პირმოქცეულ ლაშქარში აღსტაფილან სამხრეთ-აღმოსავლეთით

1 სამეცნიერო ლიტერატურაში მტრის ლაშქრის ორ ნაწილად გაყოფის აზრია განმტკიცებული (ივ. ჯივახი შეილი, ქართველი ერის ისტორია, III, გვ. 17; ი. ცინკაძე, მონლოლები და მონლოლთა დაპყრობები, გვ. 122; გვ. 17; ი. ცინკაძე, ნაკვეთები საქართველოს ისტორიიდან, გვ. 156). ასევე დ. გვრიტიშვილი, ნაკვეთების ხარჯების ერთ ნაწილშიც (კირაკოსი, რაშიდ აღ-დინი, ქართველი უამთალმწერელი), რომელციც უფრო ბრძოლის ფინანშეა გმახვილუბული ყურადღება. ამ წყაროების ხარჯებს ივსებს და ბრძოლის დასაშუალების უფრო სრულად აგვიწერს აჩაბი ისტორიუმის. უცელა ამ ცნობა-ჩეცნებათა გათვალისწინება ლიტერატურაში შიღებული თვალსაზრისის გადასინჯვის საფუძველს იძლევა.

2 აკანეცი, გვ. 9.

3 კირაკოსი, გვ. 3; ვარდანი, გვ. 2.

ჩრდილო-აღმოსაველეთით (ე. ი. მტკვრისაკენ) იდგა, მარჯვენა ფრთა
კი, რომელსაც უფრო სამხრეთ-დასავლეთი მხარე ეკავა, ზუნანის
ველზე არც მოხვედრილა. ამიტომაც არ იხსენიებს ფრაშების ფეხებს
კირაკოსი. ამავე ისტორიკოსისა და სხვათა (ლაშას მემატიანე, ვარ-
დანი, ქართველი უამთაღმწერელი და სხვ.) ცნობებიდან ჩანს, რომ
უნტრში მეფე ლაშა გორგი იდგა. ლაშასთან დაკავშირებულ ცნო-
ბებში აკანეცთან წინააღმდეგობა შეინიშნება. ჯერ იგი ამბობს:
„ქართველთა მეფე გამოვიდა... (თათართა) წინააღმდეგ 60 000 მხედ-
რით“, ხოლო შემდეგ მთავარსარდლობას ივანე ათაბაგს მიაწერს,
რადგან ამ დროს, ლაშა უკვე ცოცხალი აღარ იყო „მის დას, რუსუ-
ლანს ეპურა სამეფო, ივანეს ზედამდგომელობით“².

აკანელი ისტორიკოსის უკანასკნელი ჩვენების მცდარობას ადას-
ტურებს იმდროინდელი ქართველი მემატიანე და სხვები (კირაკოსი,
ვარდანი, სებასტიაცი, ქართველი უამთაღმწერელი).

უამთაღმწერლის მიხედვით, ბრძოლა ბერდუგ-საგიმთან ქართ-
ველთა ჩასვლისთანავე დაწყებულა: „მყის ამხედრდეს და ეწყვეს
ურთიერთსო“³.

მტრის მოწინავე ლაშქარს, როგორც არაბი ისტორიკოსი მიეთი-
თებს, დიდი ზარალი უნახავს, მაგრამ არც მათ თავგანწირულ ბრძო-
ლას უნდა ჩაეელო უშედეგოდ.

მეორე ეტაპი ბრძოლის ველზე სუბუდაის რაზმების შემოსვლია
დაიწყო. თათართა სარდლობაშ ეს გააკეთა არა მამლუქ აკუშის
მეწინავეთა მიშველების მიზნით, როგორც ამას იბნ ალ-ასირი
ირწმუნება⁴, არამედ იმ გეგმის შესაბამისად, რომელიც ქართველთა
ლაშქრის ძირითადი ნაწილის ხუნანის ველზე გატუებას ითვალის-
წინებდა. ეს გეგმაც წარმატებით განახორციელა მტერმა. ნცირეო-
ლენი შეტევის შემდეგ თათრები მოულოდნელად შებრუნდნენ და
სხვადასხვა მიმართულებით გაიქცნენ. ეს გეგმაზომიერი მოქმედება:
გარეგნულად დამარტინებული მტრის უწესრიგო გაქცევასა ჰგავდა.
ქართველებს სხეაუასხვაგვარად არც შეეძლოთ ასეთი მოქმედების

¹ კირაკოსი, გვ. 3; ლაშა გიორგის დარიან დელი მეტატია-
ნი, გვ. 370; ვარდანი, გვ. 2; უამთაღმწერელი, გვ. 165; სება-
სტია, გვ. 23.

² აკანე ცი. გვ. 9.

³ უამთაღმწერელი, გვ. 164; იბნ ალ-ასირი, გვ. 138.

⁴ უამთაღმწერელი, გვ. 164.

შეფასება და ისე მოქცეულან, როგორც მტერს ეწადა. შეფასება და ივანე ათაბაგის ნაწილები ხუნანისაკენ გაქცეულებს ჭავჭავაშვილება. ხოლო მემარჯვენე ფრთა — საგამის ველზე ლტოლუსლუმს შეასუნელთა მთავარი მიზანი, როგორც ჩანს, ხუნანის მიღამოებიდან (საღაც ბრძოლის ბედი უნდა გადაწყვეტილიყო) ამ ფრთას შორს გატყუება იყო. მართალია, ეს საქმე ძვირად დაუჭდა მტერს, მაგრამ დასახული ამოცანა მაინც წარმატებით შეასრულა და გაგრლის მხედრობა ბრძოლის მთავარ ასპარეზს მოხერხებულად ჩამოაცილა.

სომეხი ისტორიკოსები ამას მემარჯვენე ფრთის დიდ წარმატებად მიიჩნევენ და აღფრთოვანებით მოვაითხობენ ვარამის მამაცობაზე. გრ. აკანეცის თქმით, გაგრლი სარდალი არ მოეშვა გაქცეულ მტერს „სანამ საერთოდ არ აავსო საგამის ველი ამოწყვეტილა თათრებით“¹. ვარამის წარმატებით აღტაცებულია ვარდანიც². მართალია, მემარჯვენე ფრთა ძალდაუზოგავად იბრძოდა, შორსაც განდევნა შტრის ერთი ნაწილი, მაგრამ ეს უფრო თათრებს რგებდა, ვიდრე ქართველებს, რომელთა ძირითადი ძალები სასტიკად დამარცხდნენ ხუნანის ველზე. ვარდანის ცნობით, ვარამ გაგრლის მხედრობა გარდამანამდე შიპულია მტერს³. არ არის სწორი აკანეცი, როცა მემარჯვენე ფრთაზე ბრძოლის შეწყვეტას „სამეფო ლაშქრის შემუშარის“ ცნობის მიღებას უკავშირებდს⁴. ვარდანთან ვარამმა, როგორც ვარდანი მიუთითებს, ჭერ კიდევ არ იცოდა ეს ამბავი, მაგრამ მაინც თუ შეწყვეტა მტრის დევნა, ეს იმიტომ, რომ თავისი ქვეყნის საზღვარს მიადგა.

ხუნანის ველი თათრებმა ქართველთა ნამდვილ სასაკლაოდ აქციეს. გაქცეულებიც შედგნენ და სწრაფად ეკვეთნენ მდევარს და სერს ამოფარებული ჭებე ნოინიც ზურგიდან დაეცა. ყოველი მხრიდან მტრის საშინელმა მოძალებამ არნახულ განსაცდელში ჩააგდირ ლაშას მხედრობა, რომელმაც დიდი გაჟირვებით მოახერხა ალყის გარღვევა და გაქცევა.

სომეხი ისტორიკოსების ცნობით, მეფის ლაშქარში შინაურ

¹ აკანეცი, გვ. 10.

² ვარდანი, გვ. 3.

³ იქვე, გვ. 2.

⁴ აკანეცი, გვ. 10.

⁵ ვარდანი, გვ. 3.

მტრობასაც უჩენია თავი და ჰამიღოლა მანასგომელი როგორც
აკანეცი მიუთითებს, ძარღვები გადაუქრია ივანე ათაბაგებულენისა—
თვისი¹. ამასვე, ჩამდენის ვინაობის მოუხსენებლად, მიუმზუმეს უატ-
დანიც². აკანეცი ამ ფაქტს საგამის ველზე გულისხმობს³. ეს შეხე-
დულება სამეცნიერო ლიტერატურაშიც არის გაზიარებული⁴, თუმ-
ცა საგამის წარმატებულ ბრძოლაში საამისო ამინდი არ იდგა. შუ-
რისძიებისათვის ხელსაყრელი მომენტი დამარცხებისა და უკან გა-
ქცევის დროს იყო. ამაზე პირდაპირ მიუთითებს ვარდანინ⁵, ამ ნიშ-
ნით ეს ფაქტი უფრო ხუნანის ველზე ან მის ახლოსვეა საგულვებე-
ლი. მანასგომის პატრონმაც მტრის ჯავრის ამოყრა, როგორც ჩანს,
იმ დროს სცადა, როცა ლტოლვილთა ბელ-ილბალი ცხენის მუხლზე
ეკიდა. მართალია, გამოჩენილი მხედართმთავარი გადაურჩა მძიმე
სველს და ამ ეპიზოდმაც რაიმე მნიშვნელოვანი ვართულების
გაჩერებები ჩაიარა, მაგრამ მან ერთხელ კიდევ გვიჩვენა ფეოდალური
ლაშვრის თავისებურება. თათრები ამ დროს ამისთანა რაიმეს ვერც
წარმოიღენდნენ.

ხუნანის ბრძოლაში ქართველებს დიდი მსხვერპლი უნახავთ.
ამას რუსუდან დედოფალი და ივანე ათაბაგი 6 ათასი მხედრით გან-
საზღვრავენ⁶, იმან ალ-ასირი აქ 30 ათასს კაცს მიუთითებს⁷.

ქამთალმწერელი ქართველთა დანაკლისის კონკრეტულად დაქა-
ხლებას ამჯობინებს თქვას: „ურიცხვ სული ქრისტიანე მოკუდა“⁸
და ა. შ. უფრო ჭეშმარიტი თითქოს პირველი უნდა იყოს, ხოლო
არაბული და გვიანდელი ქართული წყაროს ცნობა გაზვიადებული
ჩანს.

ქართველთა სპასპეტ-სპასალართაგან ბრძოლაში მხოლოდ ყვარ-
ყვარე მეჭურჭლეოთუხუცესის შვილი, ბექა ჯაყელი („ძლიერად
ბრძოლილი“ ვაჟკაცი) დალუპულა⁹.

1 აკანეცი, გვ. 10.

2 ვარდანი, გვ. 2—3.

3 აკანეცი, გვ. 9.

4 გრ. აკანეცი, 6. შოშიაშვილის შენიშვნები, გვ. 172.

5 ვარდანი, გვ. 2—3.

6 მ. თამარიშვილი, ისტორია კოოლუკობისა ქართველთა შორის, ტფი-
ლისი, 1902, გვ. 7, 9.

7 იბნ ალ-ასირი, გვ. 140.

8 ქამთალმწერელი, გვ. 165.

9 იქვე.

თათარ-ქართველთა ამ ბრძოლის თარიღზე წყაროებში განხილული ცნობებია: აკანეცი აქ 1214 წელს (სომხ. 663) უჩვეულებელი, კირაკისი, სებასტაცი და უსახელო სომეხი მწერალი პირადი მიუთითებენ 1220 წელზე (სომხ. 669)² ვარდანი — 1221 წელს, (სომხ. 670) ასახელებს³ და სხვ. უკანასკნელს ეთანხმებიან და თათარ-ქართველთა ბრძოლის ზემო და ქვემო ქრონოლოგიურ საზღვრებს თვეელთა ბრძოლის ზემო და ქვემო ქრონოლოგიურ საზღვრებს დებენ იბნ ალ-ასირი და ლაშას მემატიიანე. პირველი ამ ბრძოლის დებენ პირის წელსათვალივის 617 წლის ზუ-ლ-კადს მიუთითარიღად პირის წელსათვალივის 617 წლის ზუ-ლ-კადს მიუთითებს⁴, ხოლო უკანასკნელის ერთი არაპირდაპირი ცნობით (თათრებთვებს), ხოლო „მეორესა წელიწადსა კულაცა მომართეს“ ეს მოვლენა 1221 მა „მეორესა წელიწადსა კულაცა მომართეს“) ეს მოვლენა 1221 წელს იგულისხმება⁵. terminus post quem non აქ 1221 წლის 26 წელს იგულისხმება⁶. terminus post quem non ამ 1221 წლის 26 წელს იგულისხმება⁷. terminus post quem non ამ 1221 წლის 26 წელს იგულისხმება⁸. terminus post quem non ამ 1221 წლის 26 წელს იგულისხმება⁹. terminus post quem non ამ 1221 წლის 26 წელს იგულისხმება¹⁰.

იბნ ალ-ასირის ცნობით, 617 წელი თათრებს საქართველოში გაუტარებიათ¹¹, ხოლო შემდეგ ადარბალაგანის დედაქალაქისაკენ დაუსულან. თაერთიზის მმართველს დიდალი საჩუქრების გაღებით წასულან. თაერთიზის მმართველს დიდალი საფარის გაღებით დაუსულან. კალაქი მოსალოდნელი განადგურებისაგან¹². ამის შემდეგ თათრები მარალას დასცემიან (618 წლის საფარში — 1221 წლის მარტი)¹³, ჰამადანს (იმავე წლის რაჭიში — აგვისტო-სექტემბერი)¹⁴ და ა. შ.

როცა თათრებმა ირანისა და ადარბალაგანის რბევით იჯერეს გული, ანისკენ წამოვიდნენ. 618 წლის რამადანში (ოქტომბერ-ნოემბერი) მტერი ისევ ბაილაყანს შემოდგომია¹⁵. იბნ ალ-ასირის მიხედვით, თათრები ბაილაყანში სერავშე გამოვლით მოსულან¹⁶,

1 აკანეცი, გვ. 10.

2 კირაკისი, გვ. 1; სებასტაცი, გვ. 23; ანონიმი ავტორის მატიან; კრებულში: „Армянские источники о монголах“, გვ. 70 (ქვემოთ, ანონიმი ავტორი).

3 ვარდანი, გვ. 2.

4 იბნ ალ-ასირი, გვ. 138.

5 ლაშა გოორგისძ როინდელი მემატიინი, გვ. 370.

6 იბნ ალ-ასირი, გვ. 139.

7 იქვე, გვ. 138; რაშიდ ალ-დინი, ტ. I, წ. II, გვ. 227.

8 იბნ ალ-ასირი, გვ. 139.

9 რაშიდ ალ-დინი, ტ. I, წ. II, გვ. 228.

10 იბნ ალ-ასირი, გვ. 140.

11 რაშიდ ალ-დინი, ტ. I, წ. II, გვ. 228.

ხოლო რაშიდ ად-დინით — ნახუევნის გზით! უფრო წწილი ჭირ-
ველი ჩანს, სერავ-ადერბილის გზა ამ მხრით უფრო ექიმულებულუ-
ლიც იყო და კარგადაც იცნობდნენ თათრები.

გვიპარევა

იბნ ალ-ასირმა არ იცის, რომ ეს თათართა მეორე ლაშქრობა
იყო ბაილაყანზე (ეს არც რაშიდ ად-დინმა იცის), მაგრამ ეს რომ ასე
უნდა ყოფილიყო სინამდვილეში, ალ-ჰამავის ცნობის გარდა, ამაზე
სათათრო კონტრიბუციისადმი ბაილაყანის მოსახლეობის დამკუ-
ლებულებაც მიგვანიშნებს. ეს ამბავი რამდენადმე ჰამაღანის ტრაგე-
ლის მიზეზს მოგვავონებს. ეტყობა, ეს კონტრიბუცია პირველი ას-
ეყო, თორებმ ხალხის ძლიერ აღშფოთებას არ გამოიწვევდა. მტრის
უტიფრობამ და გაუმაძლრობამ ხალხს, როგორც ჩანს, დაავიწყა გან-
საცდელი და მათ სიცოცხლეს გამოასალმეს მოძალადეთა მოციქული,
რომელიც მოსალაპარაკებლად იყო მოწვეული. ასეთ მოქმედებას
თათრები, ცხალია, ბაილაყანელებს არ აპატიებდნენ. ქართველებს
ამჯერად ბაილაყანზე მიშველება მიზანშეწონილად ვერ უცვნიათ და
საკუთრივ საქართველოს საზღვრებთან შეჩერებულან².

მარტოხელა ბაილაყანს არ ძალუძღვა დიდხანს წინ აღდგომოდა
მტერს. საშინელი ხოცვა-რბევის შემდევ ბაილაყანიდან თათრები,
როგორც იბნ ალ-ასირი და რაშიდ ად-დინი მიუთითებენ, განძახე
წამოსულან³.

ამ ისტორიკოსებს შორის უთანხმოება მხოლოდ ქალაქისადმი
თათართა დამოკიდებულების საკითხშია. უკანასკნელის მიხედვით,
მტერს თითქოს განდააულია და გაუნადგურებია⁴, ხოლო პირველის
ცნობით, რანის დედაქალაქი ამ მძიმე ხვედრს ასცდენია. ამის მიზე-
ზებად ისტორიკოსი ასახელებს: ქალაქის ძლიერ გამაგრებას, გან-
ძლოთ მეომრულ შემართებას და შემოთავაზებული კონტრიბუციის
გაღებაზე თანხმობას⁵. ასეთივე ცნობები სხვა წყაროებშიც (მირხონ-
დი და სხვ.) გვხვდება⁶. განძიდან თითქოს მტერი გურჯისტანშე წამო-
სულა. ამას იბნ ალ-ასირიცა და რაშიდ ად-დინიც თანხმობით აღნი-
შნავენ. მაგრამ ეს თანხმობა თათარ-ქართველთა ბრძოლის აღწერის

¹ იბნ ალ-ასირი, ვ. 140.

² ი. ქ. 3 0-

³ ი. ქ. ვ. რ. ა. შიდ ა. დ. დ. ი. ნ. ი. ბ. I, წ. 11, გვ. 228.

⁴ რ. ა. შიდ ა. დ. დ. ი. ნ. ი. ვ. ვ. გვ. 228.

⁵ იბნ ალ-ასირი, გვ. 140, ქ. დ' ოსნი, დასახ. ნაშრ., გვ. 334

⁶ ა. ა. ლ. ი. ზ. ა. დ. ე. დასახ. ნაშრ., გვ. 99.

დასაწყისშივე ირლვევა. რაშიდ აღ-დინი აქ იმ ბრძოლას გვთავაზოს, რომელსაც იბნ-ალ-ასირი 617 წლის ზუ-ლ-კადით ათარიფებულ ჰქონინ, როდესაც ამ დროს უკვე 618 წლის მიწურული იდგა¹. ჰმულუშემება არაბ ისტორიკოსს, მას 617 წლის ზუ-ლ-კადში შემდგარი ბრძოლა შეცდომით ორად გაუყვია და ორ სხვადასხვა შეტაკებად მიუჩნევია. 1221 წლის დამდეგს მომხდარი ბრძოლას აღწერილობაში მას მხოლოდ ამ მოვლენის პირველი ნაწილი შეუტანია, ხოლო მისი ფასლი იმავე წლის მიწურულში გადაუტანია².

ეს გარემოება, როგორც ჩანს, ჯერ კიდევ რაშიდ აღ-დინს შეუნიშნავს და წინამორბედი ავტორის ცნობების დაზუსტება უცდია, თუმცა წარმატებასთან ერთად (სხვადასხვა ბრძოლებად მიჩნეული ეპიზოდების გაერთიანება), მარცხიც მოსვლია (დათარილებაში), მიუხედავად იმ უზუსტობებისა, რომლებიც არაბულსა და სპარსულ წყაროებში გვხვდება, ეს ცნობები მაინც საინტერესოა, რადგან ქართული წყაროების ჩვენებას ეხმაურება და სინამდვილის თავისებური ანარეკლი ჩანს.

არ არის სარწმუნო, რომ ვანჭიდან ჯებე და სუბუდი საქართველოზე წამოსულიყვნენ. ამას მოწმობს, როგორც არაბ, ისე ქართველი ისტორიკოსთა და სახელმწიფო მოღვაწეთა ცნობები. იბნ ალ-ასირი ხაზგასმით მოუთითებს, რომ ამ დროს ქართველები დიდი ლაშქრით იდგნენ საზღვარზე³. ამასვე ადასტურებენ რუსუდან დელოფალი და ივანე მხარგრძელი. იმ შეცდომის შემდეგ, რაც ძირად დაუკავა „ჩვენს ერსა, — წერდა რუსუდანი რომის პაპს 1223 წელს, — ...შევკრიბეთ ყოველი ჩვენი ძალა და წინ აღ ვ დ ე-ქით“ თათრებსოთ⁴. მტრისადმი „წინ აღდგომაზეა“ გამახვილებულ ყურადღება ათაბაგის წერილშიც⁵. კ. ოდისონი ამ ცნობებს საჩდოდ არ მიიჩნევდა და უპირატესობას იბნ ალ-ასირისა და რაშიდ აღ-დინის ჩვენებებს ანიჭებდა, რომლის მიხედვით ვითომც ამ დროსაც თათრებს გაუმარჯვიათ⁶.

დოსონი იმაშიც ცდება, როცა ლაშის ამ დროს გარდაცვლი-

1 რაშიდ აღ-დინი, ტ. I, ფ. II, გვ. 227; იბნ ალ-ასირი, გვ. 128—140.

2 იბნ ალ-ასირი, გვ. 140.

3 იქ 3 3.

4 მ. თამარაშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 7.

5 იქ 3 3, გვ. 9.

6 კ. ოდისონი, ტ. I, გვ. 335—336, იქ 3 3, სქოლით 1.

ლად მიიჩნევს და ქართველთა ლაშქარს 13 ათასი მეომრით გან-
სახლვრავს¹.

ამავე ფაქტს მცდარ არაბულ და სპარსულ ცნობებზე დამყარე-
ბით აღნიშნავს ა. ალი-ზადეც².

ქართველ მოღვაწეთა, ჩვენებებში ზოგი რამ მართლაც გაზ-
ვიაღებულია, მაგრამ იმ ხასიათის ღოკუმენტებში, როგორიც ეს წე-
რილებია, ასეთი რამ არც არის გასაკირი. რაც შეეხება ძირითად
ცნობას, მის სისწორეს ლაშას თანამედროვე მემატიანეც ადასტუ-
რებს. ეს გარემოება და, აგრეთვე, ისიც რომ ამ წერილებში ქართ-
ველთა მარცხიც არ არის გვერდავლილი, ივ. ჯავახიშვილს მართებუ-
ლად არწმუნებდა რუსუდან დედოფლისა და ივანე ათაბაგის ცნობის
ჭეშმარიტებაში³.

ისეთ ვითარებაში, როცა „ყოველი ჩვენი ძალა“ საომრად იყო
მზად, ძნელი სარწმუნოა, რომ ჭებეს და სუბუდას „გურჯისტანზე“
ლაშერობა განეზრახათ. ასე მრავალრიცხოვანი და მაღალი მხედრუ-
ლი შემართების ლაშქართან კი არა, ხალიფა ხასირის, მუზაფარ აუ-
დინისა და ვერდ ად-დინის ბევრად უფრო მცირე ძალებზე გალაშქ-
რება არ ჩათვალეს მათ მიზანშეწონილად⁴.

ყოველივე ამის გათვალისწინება საფუძველს გვიქმნის ამ დროს
უფრო ქართველების აქტივობა ვიგულისხმოთ, ვიდრე მტრისა. იმ-
დროინდელი ქართველი ისტორიკოსის სიტყვით, ქართველებს მალე
ამოუყრიათ მტრის ჯავრი, „გააქცივნეს (თათრები—ი. ს.) და ამო-
წყვდნეს გაქცეულნი“⁵.

იმ მიზეზებიდან, რითაც წყაროებში ეს წარმატებაა აბსნილი⁶,
მთავარი რუსუდანის მინიშნებაა: გავიმარჯვეთ, რადგან: „შევკრი-
ბეთ ყოველი ჩვენი ძალა“ და ისე „წინ აღვუდექით“ მტრს⁷.

ამ ბრძოლის ადგილზე წყაროებს რამე პირდაპირი ჩვენება არ
შემოუნახავთ. არაპირდაპირ მინიშნებათა მიხედვით კი, ეს ამბავა

1 კ. დ'ო სონი, ტ. 1, გვ. 335.

2 ა. ა ლ ა-ზ ა დ ე, დასახ. ნაშრ., გვ. 99.

3 ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, III, გვ. 18—19.

4 კ. დ'ო სონი, დასახ. ნაშრ., გვ. 320.

5 ლაშა გიორგი ი ს დ რ ი ნ დ ე ლ ი მემატიანე, გვ. 370.

6 იქვე; მ. თამარა შვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 9. ლათ. ტექსტი, გვ. 564.

7 მ. თამარა შვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 7, ლათ. ტექსტი, გვ. 563.

თითქოს რანში უნდა მომხდარიყო. ამას გვაფიქრებინებს 1. საქართველოში შემოსვლა მტერს ამ დროს არ აწყობდა. 2. ქართველები, თათრებთან შებმა ეწადათ.

მოწინააღმდეგის ლაშეარი ქართველებს ყველაზე უფრო მიუახლოვდა განძაში, უკანასკნელიც თითქოს განძისკენ უნდა წასულიყვნენ. მტრის ნავნები აქ შეიძლება ისე დიდი არ იყო, როგორც რუსუდან დედოფალი და ივანე ათაბაგი აუზყებდნენ რომის პაპს (25 ათასი დავუხოცეთ და „ბევრი დავატყვევეთო“)¹, მაგრამ ერთგვარა წარმატება რომ პქონიათ, ლაშასდროინდელი ისტორიისც ადასტურებს². ივ. ჭავახიშვილის არ იყოს: „თუ მეფე რუსუდანი და ვაზირი... დასავლეთ ევროპის სულიერი მამისა და წინამძღოლის წინაშე... სიმართლეს მაღალენენ, ლაშა გიორგისდროინდელი მემატიანე ხომ... ვერავის მთატყუებდა. ამისთანავე, თუკი რუსუდანი საქართველოს პირველ მარცხს არ უმაღლებდა რომის პაპს... ეტყობა, რუსუდანსაც სიმართლის დამალვა საჭიროდ არ მიაჩნდა“³.

შესაძლოა, ამავე დროს დაეტყვევებიათ ის თათარიც, რომლის საარაყო თავგადასავალსაც (ქართველი დესპანის ნაამბობით) გვამცნობს იბნ ალ-ასირი⁴. აქედანვე ჩანს, რომ თათართა რიცხვი ტყვებში ძალიან მცირე ყოფილა. ეს შეიძლება იმითაც აიხსნას, რომ მტერს განძასთან, ისე როგორც სხვაგანაც, დიდი რაოდენობით ჰყავდა ჰაშარი.

საქართველოს სამეფო კარს მტრის მოსალოდნელი შემოსევისადმი ყურადღება არც ამის შემდეგ შეუნელებია. მეორე წელს, როცა თათრები კვლავ გამოჩენილან რანში და „ბარდავის ჭალას“ დამდგარან, ლაშა დიდაბალი ლაშერით, „ლომთა გორასა და აგართა შუა“ (მარნეულისა და კოჭორს შორის) დაბანაკებულარ. ამის გამო მტერს საქართველოშე ლაშერობა ველაზ გაუბედავს და ქართველთა „ვიდრე ზედამისლეაღმდე“⁵ გაცლია რანს და დარუბანდისკენ წასულა. გზაზე თათრებმა აიღეს და სასტიკად დაარბიეს შამახია. ნომალთა დაუინე-

1 გ. თამარაშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 7, ლათ. ტექსტი, გვ. 563.

2 ლაშა გიორგის დროინ დელი მემატიანე, გვ. 370.

3 ივ. ჭავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, ტ. III, გვ. 19.

4 იბნ ალ-ასირი, გვ. 141.

5 ლაშა გიორგის დროინ დელი მემატიანე, გვ. 370. 6. პერძენიშვილი, აგარანი, წიგნში: საქართველოს ისტორიის საკითხები, თბილისი, 1964, გვ. 316, შენიშვნა 2.

6 ლაშა გიორგის დროინ დელი მემატიანე, გვ. 370.

ბული შეტევა ამ ჭალაქზე იმას მოწმობს. რომ ისინი რესულუტა-
სანოვაგესთან ერთად ჰაშარის რიგების შევსებასაც ეცნობოდნენ
და აისრულეს კიდეც წადილი.

ჰაშახიდან თათრები დარუბანდს მიადგნენ, მაგრამ მკვიდრთა
წინააღმდეგობა ერ დაძლიერს და იძულებული გახდნენ შემოსავლად
გზას დადგომოდნენ¹.

თ ა ვ ი IV

პრემილა ხვარაზეველთა ჯინააღმდეგ

ხვარაზმელები საქართველოში წინა აზია-ამიერკავკასიაში
ძლიერი ანტიმონლოლური ფრონტის შექმნის ცდამ მოიყვანა. ჭალალ
ად-დინმა, რომლის გულადობას ჩინგიზ ყავნიც კი შენატროდა².
რამდენიმე მწარე მარცხი აგრძა მოწინააღმდეგეს³, მაგრამ შემდევ
ლაშქრის მნიშვნელოვანი ნაწილი წაუვიდა და ველარ დაუდგა
მტერს. მიუხედავად დიდი სიმამაცია, რომელიც მან ჰინდის ნაპირას
გამოიჩინა და თავდაპირველად თათართა მბრძანებელიც იძულა
გაქცეულიყო, ბრძოლის ფინალში მაინც დამარცხდა და მხოლოდ
შეიძლა მოლაშქრით გასწრო მტერს მდინარის გაღმა. ეს იყო
1221 წლის 24 ნოემბერს. ინდოეთს ლტოლვილი ჭალალ ად-დინი
ირანში მხოლოდ ჩინგიზ ყავნის მონლოლეთში გამგზავრების შემ-
დევ დაბრუნდა (1224 წ.) და იწყო გამაგრება. დასავლეთ ირანის
შემომტკიცების შემდევ სულტანი ადარბადაგანზე წამოვიდა.

სპარსი ისტორიკოსი ჭუვეინი ხვარაზმშაპის საქართველოზე ლაშ-
ქრობას ქართველების გამოწვევას მიაწერს. მათ თავრიზის დაჭერა

1 იბნ ალ-ასირი, გვ. 142; კირაკოსი, გვ. 3; რაშიდ ად-დინი,
ტ. I, წიგნი II, გვ. 229.

2 რაშიდ ად-დინი, ტ. I, წიგნი II, გვ. 224.

3 В. В. Бартольд, Туркестан в эпоху монгольского нашествия,
გვ. 509.

და ხვარაზმელთა განდევნა ეწადათო; შეტიც 30-ათასიანი მხედვები ბით ბალდადზე გაღაშქრებასაც და იქ ქრისტიანული მღვდელმთა უკარის დასმასაც კი ფიქრობდნენონ!

შემოქმედი
სიგანგიშვილი

ადარბადაგანზე ლაშქრობას რომ ითვალისწინებდნენ ქართველები, ეს სხვა წყაროებითაც დასტურდება, რაც შეეხება ორ უკანასკნელს, აშკარად ხვარაზმელთა დარხეული ხმებია. ამით ჯალალ ად-დინი წინა აზიის მუსლიმანური სამყაროს საქართველოს წინააღმდეგ ამხედრებას ესწრაფვოდა და ნაწილობრივ მიაღწია კილეც მიზანს. სადაც ამ ხერხმა არ გაჭრა, იქ ხმალს მიმართა და სწრაფი დარტყმით ჩაშალა მოწინააღმდეგეთა გაერთიანების ყოველი ცდა². ადარბადაგანის დამორჩილების შემდეგ ხვარაზმელები რან-შარვანზე წავიდნენ. ეს ფაქტი ამ ქვეყნების პატრონთან ომის გამოცხადებას ნიშნავდა.

ჯალალ ად-დინი კარგად ითვალისწინებდა, რომ საქართველო¹ წინააღმდეგ ბრძოლაში წარმატების მთავარი საწინდარი სწრაფი მოქმედება იყო და კარგადაც განახორციელა იგი. ამანვე განსაზღვრა ძირითადად ქართველთა დამარცხება გარნისთან (1225 წლის შემოდგომაზე). ხვარაზმელთა უეცარი მოძალების გამო ქართველებმა სრული ლაშქრის შეყრა ვერ მოასწრეს. ამიტომ მტერმა რიცხობრივი უპირატესობა მიიღო.

სიმცირის კომპენსაცია ქართველებს მამაცობის მეოხებით შეეძლოთ მოეხდინათ, მაგრამ ეს უელარ შოხერხდა, რადგან სამისოდ აუცილებელი ფსიქოლოგიური უპირატესობაც მოწინააღმდეგის მხარეზე იყო. გამარჯვებისათვის ეგზომ ძეირფასი ძალა ხვარაზმელებმა მაშინ მოიპოვეს, როცა ქართველთა დაყოვნების მიზეზი შეიცნეს. ასეთ ვითარებაში მტრის შემოტევები, უდავოა, ქართველთა სულიერ განწყობილებაზე უარყოფითი გავლენა უნდა მოეხდინა.

ამავე ფსიქოლოგიურ ფაქტორშია საძიებელი ქართველთა მთავარსარდლისა და მისი პანაკის უნიათო მოქმედების ერთ-ერთი მთავარი მიზეზიც.

¹ The History of the World-Conqueror by, Ala-ad-din 'Ata-Malik luwaini, translated from the text of Mirza Muhammad Qazvini, by John Andrew Royle Ph. D., Manchester University Press, 1928, vol II, ვ. 426 (ქვემოთ — ჯუვანი, II).

² ა. ალ-ი-ზადე, დასახ. ნაშრ., ვ. 105.

ივანე ათაბაგი თამარის დროის დიდი სამხედრო მოლვები / ჩყარის მაგრამ ჯალალ აღ-დინთან ღირსეული პაექტობა ვეღატ, ჩეულუა: გარნისთან გამარჯვებით გალალებული სულტანის დამატებით დაიძრა. იქიდან თბილისზე წამოსვლას აპირებდა, მაგრამ ადარბადა-განის საქმეებმა საქართველოს დედაქალაქზე ლაშქრობა დროებით გადაადებინა.

ქართველებმა ვერც თბილისში იმარჯვეს და საბედისწერო შეც-დომა დაუშვეს, როცა უცხოელები დედაქალაქის დაცვაში ჩარიეს!. მათი გამცემლობა დიდად დაეხმარა ხვარაზმელ მოძალადეებს მიზ-ნის განხორციელებაში.

ჯალალ აღ-დინი საქართველოს მხოლოდ დასაპყრობად და დასახ-ხარევად კი არ მოსდგომია, არამედ „ქართველობის“ მოთხრა: ისახავდა მიზნად. ამას ნათლად მოწმობს ქართველთა ფიზიკური განადგურების სულტნისეული მეთოდები და დაუინება. ხვარაზმელი მოძალადე არავის ინდობდა: „ესეოდენ მძვნვარედ იწყეს მოსრ-ვად, — წერს ეამთაღმწერელი, — ვითარ ჩჩილნიცა ძუძუთაგან დედათა ოლიტაციან და წინაშე დედისა ქვაზედა დაანარცხიან, და რომელსამე თუალნი წარსცვდნიან და რომელსამე ტვინი დაეთხის და უკანის დედანი მოიკვლოდიან; ბერნი უწყალოდ ფოლოცოა შინა ტენთა მიერ დაითრგუნვოდეს, ჭაბუკი დაეკუეთებოდეს, სისხლისა მდინარენი დიოდეს“².

ამის გამო იყო, რომ თანამედროვე ქართველი მწერალი ტბელ აბუსერისძე ხვარაზმელ მკვლელებს „კაცის მჭამელთა მგელთა ას“ ეპითეტით იხსენიებდა³.

ამავე გეგმის განხორციელების მეორე საშუალებად ჯალალ აღ-დინს გადარჩენილ ქართველთა მაპმაღიანობაზე მოქცევა მიაჩნდა. ასე მიადგა მტერი მოსაშელელად „ქართველობის“ იდეური სფეროს ერთ-ერთ მთავარ ბურჯს (ქრისტიანობას). ამიტომ იყო, რომ მან საქართველოში ასე დიდი გულმოდგინებით „იწყო რღუევად ეკლესიათა“⁴ და „ვიდრე საფუძვლად მდე აღ-

1 კამთალ მწერელი, გვ. 174.

2 იქვე, გვ. 175—176.

3 ი. სიხარულის ტბელ აბუსერისძე XIII საუკუნის ქართველი მწერა-ლი, თბ., 1963, გვ. 62.

4 კამთალ მწერელი, გვ. 177.

მოფხურა“¹. ჩაც შეეხება ლვისმსახურებს, ისინი გვიჩვენებენ სიათა შინა, თკო ხატთა და ჭუართა თანა ნაქარაშის მუსვაროდებეს².

უკელა ქრისტიანისაგან ხვარაზმელები მტკიცედ მოითხოვდნენ: „დათრგუნვად პატიოსანთა ხატთა და დატევებად სჭულისა“³. ამისათვის კი ყოველგვარ საშუალებას იყენებდნენ (სიკვდილის მუქარა, ფიზიკური ძალადობა...).

ეს-სამკედრო-სასიცოცხლო ბრძოლა დასაწყისში ძალზე მძიმე და უთანასწორო იყო, რაღვან მტერმა საქართველოზე ლაშქრობის დროს ბევრი მოკავშირე შეიძინა მეზობელი მაპმაზიანური ქვეყნებიდან. შურისძიების გრძნობასთან ერთად ხვარაზმელთა წინააზიელ მოკავშირეებს საქართველოსაკენ გამდიღრების დიდი სურვილიც მოაქანებდათ. პირველ ხანებში მათ ერთიც აისრულეს და მეორეც მაგრამ შემდეგ ხვარაზმელთა ბატონობამ და ბოლომოულებელმა ომებმა ისინიც დიდად შეიძირეა. მალე ჯალალ აღ-დინი ერთორმ-წმუნებსაც დაერია და ნაცვლად ანტიმონლოლური კოალიციის შექმნისა, მუსრი გაავლო მაპმადიანთა მთავარ ძალებს წინა აზიაში, რითაც ფრიად გაუადვილა საქმე თათხებს⁴.

ხვარაზმელებთან ბრძოლაში საქართველო ეკონომიურადაც დიდად დაზიანდა, პოლიტიკურად და ფსიქოლოგიურადაც. ამ დროს ჩამოცილდა ქვეყანას ყმადნაფიცია მნიშვნელოვანი ნაწილი, აოხრდა მისი ქალაქები, სოფლები და სხვ.

ქვეყნის ეკონომიურ ცხოვრებაზე და თავდაცვის უნარიანობაზე უარყოფითი გავლენა მოახდინა მოსახლეობის მკვეთრმა შემცირებამ, რაც ერთი მხრით, ხალხის დალუპვით იყო გამოწვეული, მეორე მხრით — ტყვედ წასხმით, ხოლო მესამე მხრით — აყრა-გაქცევით.

ეკონომიური სივიწროვისა და მეფის ხელისუფლების კონტროლის შესუსტების უამს ქვეყანაში ფართოდ მოიყიდა ფეხი მძლავრობა-უსამართლობამ.

უამთალმწერლის მოწმობით: „...დაუტევეს მეფეთა და მთავართა სამართალი, მოწყალება, სიყვარული, სიწრფოება, სიმშვდე, სიმართ-

¹ ე ა მ თ ა ლ მ წ ე რ ე ლ ი ვ ი 177

² ი ქ ვ ა ვ ი 177

³ ი ქ ვ ა ვ ი ვ ი 178.

⁴ Архив Маркса и Энгельса, т. V, 1938, გვ. 222.

ლე და ამის წილ მოიპოვეს ამპარტავანება, ზაფუა, შურდ კოდორ, სი-
ძულვილი, ანგარება, მიმდლავრება, კლვანი, პარვანი, სიძვანი, უწე-
ორი უცადები
სოებანი”¹.

მეფის ხელისუფლებას ისე უყურადღებოდ არ შიგოვებია
სავართალი, როგორც ამას XIV საუკუნის ისტორიკოსი ირწმუნება,
მაგრამ საქმე ის იყო, რომ იგი ქუთაისიდან ამერეთშე ჯეროვან
კონტროლს ვეღარ ახორციელებდა. ამით სარგებლობდა ყველა, ვა-
საც კი სხვისი მიმდლავრების ძალა შესწევდა და ისე იქცეოდა, რო-
გორც ეწადა და შეეძლო.

ერთი სიტყვით, ხვარაზმული სჭირდა არა მარტო გარეშე
მტერს, არამედ შინაურ მებატონესაც. ცხადია, გაუკითხაობის მთელი
სიმძიმე ყველაზე უფრო უშუალო მწარმოებელს დააწვებოდა.

დიდად დაზიარალდა საქართველოს სამხედრო ძალა. ქართველ
მოლაშქრეთა ერთი ნაწილი ომებში დაიღუპა, ნაწილიც მძიმედ დაი-
ჭრა და გახეიბრებული მწყობრიდან გამოვიდა, ხოლო ნაწილი
ტყვედ ჩავარდა.

ათასობით ქართველი ემსხვერპლა გარნისის უსახელო ბრძო-
ლას². ასევე ითქმის თბილისის მისადგომებთან და ოვით ქალაქში
გამართულ ბრძოლებზეც. დიდად დაზიანებულა ქართველთა ლაშე-
რი ბოლნისის ახლოს ბრძოლაშიც³. გარდა ბრძოლებისა, სჭულზე
მტკიცედ დგომასაც ბევრი ქართველი შეეწირა. უამთაღმწერლის
ცნობით, წამებულთა რიცხვს მარტო თბილიში 100 ათასმდე
(„ათი ბევრი“) მიუღწევია⁴. რაოდენ გაზვიადებულადაც არ უნდა
მივიჩნიოთ ეს მონაცემი, იგი მაინც დიდ მსხვერპლს მოწმობს.

ქართველ მოლაშქრეებს ცოტა არც ტყვეობის გზით უნდა გა-
მოკლებოდათ.

ამავე ბრძოლებში მნიშვნელოვანი დანაკლისი განიცადა ქართ-
ველთა სარდლობამაც. ორი ბრწყინვალე სარდალი ქართველები:
გარნისის ბრძოლაში გამოაკლდა: შალვა ახალციხელი ტყვედ ჩა-
ვარდა, ხოლო მისი ძმა ივანე, კლდიდან მოგლეჭილმა ქვამ იმ-

1 ე ა მ თ ა ლ მ წ ე რ ე ლ ი, გვ. 178.

2 ი ბ ნ ი ლ ა ს ი რ ი თ — 20 ათასი, მ თ ვ ა მ ე დ ა ნ - ნ ე ს ა ვ ი თ — 4 ათასი:

(ი ვ. ჭ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართველი ერის ისტორია, III, გვ. 48).

3 ე ა მ თ ა ლ მ წ ე რ ე ლ ი, გვ. 183.

4 ი ქ ვ ე, გვ. 178.



სხვერპლა¹. თბილისში მუსლიმანთა ღალატის შედეგად დაიღუპა
მემნა ბოცოსძე².

ამ დიდ მატერიალურ და ფსიქოლოგიურ კრილობათა მოშუ-
შება XIII საუკუნის 30-იანი წლების ნახევარში შეუძლებელი
აღმოჩნდა. ასეთ მდგომარეობაში დახვდა საქართველო თათარ
რამპყრობლებს.

の 530 V

საჭართველოს დაცულობა თათართა მიერ

1229წელს ყურალტაიმ წინა აზიისაკენ ლაშქრობის გვევა
მოიწონა და ეს საქმე ჩირმალან ნოინს მიანდო. სებასტაცის ცნობით,
თათრები იმავე წელს (სომხ. 678) გამოსულან³. იბნ ალ-ასირის მა-
ხედვით, ეს 628 წელს (1230 წ.) მომხდარა. მისივე ცნობით, თათრე-
ბი მავერანნაპრიდან მოვიდნენ⁴.

ხვარაზმის სულტანი თათართა ახალ მოძალებას ყოველმხრივ დაძაბუნებული შეხვდა. მას ჯერ კიდევ ბასი-ხიმარიდან (ერზიგანში) ლაპირული ლტოლვის ოფლი ვერ შეეშრო, როცა თათრები გამოჩნდნენ. ყოველმხრივ მტრით გარშემორტყმული სულტნის სულიერ მდგომარეობას კარგად გვიხასიათებს საყვარელი ევნუქის გლოვი-საღმი დამოკიდებულება: მისი ცხედარი მეფურად შეასვენეს თავ-რიზში, მაგრამ მიწას მაინც არ მიაძარა. მის სიკედილზე ხმის ამოძლები სიცოცხლეს ესალმებოდა. ცხელართან ულუფა მიპქონდათ და მხოლოდ მაშინ მშეიდლებოდა. როცა მის უკეთ ყოფნას მოახსე-

1 903503 87046330, 83. 170.

2 o d 3 3, 33- 175.

3 ՏԵՇԱՏՐԱԿՈ, ց. 24; ա. գալության Թարեպուլար առ Թուինեյք և մ տարութ. Թօս տվյալ, հիմքածան „Սոմեցւթիւ Շըովիր առ 1229 წյլս, հոգորկ աւաս Սեծաւթյուն ուղարկ, առաջեւ 1236 წ. (Արմանակներ 20, ց. 108). Սեծաւթյուն այ լոյն տառարտա եղածելա զամոհենա լոնդա Հյունույս առնունուլու գո առ մատո Սոմեցւթիւ լամշիրուծ. լոյանասյեղլս ու արկ անսենեծն, մայմու թեռլուն զանձայու գահեցան գահեցան թուտութեծն. լո վալայու կո մ գրու հանս յայունուն.

4 036 035-27060, 23. 171.



ნებდნენ და სხვ.¹ ეს ეპიზოდი ჭალალ აღ-დინის ფუნქიურომუნაშვილის
აშეარა მოწმობაა.

იბნ ალ-ასირის ცნობით, ჭალალ აღ-დინის წინააღმდეგ თათრები
თითქოს ისმაილიტებს აუჩქარებიათ². ისმაილიტებს მართლაც სხაგ-
დათ ხვარაზმელები და მათ განადგურებას ესწრაფვოდნენ, მაგრამ
ჩორმალანი ისე არ აქვარდებოდა, ეს დიდი ოცერაცია რომ კარგად
არ ჰქონოდა მომზადებული. ამისთვის იგი ირანში შემოსვლის დღი-
დანევე იღვწოდა ენერგიულად. დიდი დაზვერვითი მუშაობა, ირანში
გასამტკიცებლად თუ ჭალალ აღ-დინის გასამარტოვებლად გატარე-
ბული ლონისძიებები, საშუალებას აღლევდა მას წარმატების რწმე-
ნით შეეტია მოწინააღმდეგისათვის.

აღარბადაგანზე შეტევა თათართა მთავარ ძალებს რეიდან დაუ-
წყიათ. ამას იბნ ალ-ასირთან დაცული რეიელი ვაჭრის თავგადასავა-
ლიც მოწმობს. ის რეიში დახვედრია თათრებს და თავრიზამდე მიჰ-
ყოლია³. შეუტყვია თუ არა ჭალალ აღ-დინს თათართა ზენჯანზე
მოახლოვება, მოპამედ ან-ნესავის ცნობით, დაუტოვებია თავრიზი
და მულანისაკენ გამგზავრებულა⁴. ზენჯანიდან ჩორმალანის არმია
სოქმანაბაღში მისულა (1230 წლის ნოემბრის ახლოს)⁵, ხოლო შევ-
დეგ — თავრიზში⁶. ეამთაღმწერლის ცნობით, თათრებს ამ დროს „წი-
ნა მოეგებნეს ყოველნი აღარბადაგანელნი ძღუნითა ურიცხვთა“⁷.

თავრიზელთა უბრძოლველად დამორჩილება მტრისადმი, ხვა-
რაზმელთა სიძულვილის მოწმობაც არის. იგივე უნდა ყოფილიყა: ამ
ფაქტის აღერბილში განმეორებას ერთ-ერთი მიზეზიც⁸.

აღერბილის შემდეგ, ეამთაღმწერლის ცნობით, თათრებმა
„გავლეს რაქსი და მივიღნეს განძაღ“⁹. მისივე მტკიცებით, თათ-

1 იბნ ალ-ასირი, გვ. 172.

2 იქვე.

3 იქვე, გვ. 177.

4 ივ. ჭავახი შვილი, ქართველი ერის ისტორია, III, გვ. 71.

5 იქვე.

6 ეამთაღმწერელი, გვ. 184.

7 აღარბადაგანელებში აქ თავრიზელები იგულისხმება, რადგან ქართველი-
ისტორიოსის სიტყვით, თათრები „მოვიდნენ აღარბადაგანს, რომელ არს თავრე-
ბი“ (იქვე).

8 „იგინიცა (აღერბილელები — ი. ს.) მოეგებნესო“ — წერს ეამთაღმწერელი
(გვ. 184).

9 იქვე.

რები თითქოს ამ დროს შემოღვომიან რანის დედაქალჭა და ცამი დღის შემდეგ აუღიათ კიდეც¹. ასეთივე ცნობა გვხვდება ტრიტუსაჩე-ლო სომხურ „მატიანეშიც“, სადაც ამ ფაქტის თარიღიც კურთხულის მიხმა. 680 (1231) არის მითითებული².

შეიტყო თუ არა სულტანმა განძის დაცემა „მსწრაფლ აიყარა დედაწულითა და ივლობოდა საბერძნეთად“ — დასძენს უამთაღმწე-რელი³. უკანასკნელს ჭალალ აღ-დინი ამ დროს სადღაც რანის დასავ-ლეთით ეგულვება. ეს რომ ასე ყოფილიყო სინამდვილეში, მაშინ უნ-თათრები, რომლებიც მუღანიდან მოსდევდნენ სულტანს, იქით უნ-და წასულიყვნენ და არა განძისკენ. განძაზე ლაშქრობა ისე, თუ მას ხვარაზმის სულტანი არ უკავშირდებოდა, ამჯერად სრულიად გაუ-მართლებელი იქნებოდა. ქართველი უამთაღმწერელისა და უსახელო სომხი ავტორის თანხმობრივი ცნობა იმ სინამდვილის ანარეკლი უნდა იყოს, რომელსაც სტეფანოს ეპისკოპოსი გვამცნობს: „680 (1231) წელს თათრებმა დაამარცხეს ხვარაზმელები განძაცის აპ-ლოს“⁴. თათრებს არც სულტნის დამარცხების შემდეგ ჰქონდათ ძნელად ასაღებ განძაზე ლაშქრობის დრო. საშური საქმე ამ დროს ძნელად ასაღებ განძაზე ლაშქრობის დრო. საშური საქმე ამ დროს გა-ლტოლვილი ჭალალ აღ-დინისა და მასი ლაშქრის საბოლოო გა-ნადგურება იყო და თათრებიც კვალში ჩაუდგნენ გაქცეულ მტერს.

უამთაღმწერლის ცნობით, ხვარაზმელებს თათრები „მიეწივნეს ბასიანს“⁵, იბნ ალ-ასირის მიხედვით კი — ამიღმინ. უფრო ზუსტა უკანასკნელი უნდა იყოს. მისივე ცნობით, თათრები იქიდან კი არ წასულან ამიღზე, რომლებზეც სულტანს დარაჭები ეყენა, არამედ სხვა გზით, და ღამით დაცემიან მოწინააღმდეგეს⁶. ხვარაზმელთა ლაშქარი ვერ დაუდგა თათრთა შემოტევას და უწესრიგოდ გა-ფანტა სხვადასხვა მხარეს. ჭალალ აღ-დინი კვლავ გაუსხლტა მტერს, მაგრამ მაღლ მთლად განმარტოებული აღმოჩნდა. სულტნის ასავალ-დასავალის მაძიებელი ლაშქარი ვერ დიარბექირში შევიდა, ხოლო

1 კამთაღმწერელი, გვ. 184—5.

2 ანონიმი ავტორი, გვ. 70.

3 კამთაღმწერელი, გვ. 185.

4 სტეფანოს ეპისკოპოსის „მატიანედან“, კრებულში არქანის ისტორიკი.

5 მონგол., გვ. 34 (ცვემოთ — სტეფანოს ეპისკოპოსი).

6 რბნალ-ასირი, გვ. 185.

7 იქ 30.

შემდეგ ილგაზირი, ხლათი და სხვა მეზობელი ქვეყნები დაიტია¹. 1231 წლის სექტემბერში (629 წლის ზუ-ლ-ხიჯე) თათრების პატიკულ-ში იყვნენ². ამ დროს ჭალალ აღ-დინი უკვე ცოცხალი პლატი იყო. მოქამედ ან-ნესავის ცნობით, იგი ქურთისტანში დაიღუპა ვინის ქურთის ხელით 1231 წლის 17 აგვისტოს³. თუმცა ეს ამბავი, რო-გორც იბნ ალ-ასირი ირწმუნება, იმავე წლის დეკემბრამდე (629 წ. საფარი) არ გახმაურებულა⁴. ჩანს, თათრებიც ამის შემდეგ დამშვიდ-ლნენ და აღმოსავლეთ წინა აზიაში დაბრუნდნენ.

ჭალალ აღ-დინის განადგურების შემდეგ თათართა მთავარ შოწინააღმდეგებად საქართველო და რუმი რჩებოდნენ. ამ უკანა-სკნელს თათრები ჭერ კიდევ ხვარაზმელთა დევნის ეამს მიუახლოვ-დნენ, მაგრამ, რუმზე ლაშქრობამდე ბრძოლის დიდი გზა უნდა გაევლო მტერს. უპირველს ყოვლისა, თათრებს იჩანსა და ადარბა-დაგანში უნდა მოეკიდათ მტერიცედ ფეხი, შემდეგ კი შავვანის, რანის, და საქართველოს პრობლემები გადაეწყვიტათ. ყველაზე ძნელ ამ-კანად უკანასკნელი მიაჩნდათ და ასეც იყო. მიუხედავად ფეოდალუ-რი რეაგციის ხელშეწყობისა, საქართველოს საბოლოო დამორჩილე-ბას თათრებმა ექვსი წელი მოანდომეს, ხოლო დასავლეთ საქართვე-ლოში ფეხიც უერ შედგეს.

საქართველოს დასაპყრობად თათრები გულმოდგინედ მოემზა-დნენ. მზადება მტერს ქართველთა ბრძოლისუნარიანობის გამორკვე-ვით დაუწყია. ეჭვი არ არის, ეს იყო უმთავრესი მიზანი 1233 წელს გაგის სანაპიროში თათართა შემოჭრისა. საღამდე შემოაღწია მტრის მზვერავმა ლაშქარმა ამ დროს ქვეყანაში, ზუსტი განსაზღვრა არ ხერხდება. ერთი სომხური სახარების მინაწერიდან მხოლოდ ის ირკვევა, რომ თათრებს 1233 წელს ტაუში დაურბევიათ და ეს სახა-რებაც მაშინ გაუტაცნიათ. ტაუში გაგის სანაპიროს შუა გულში იყო. ტაუშიდან წაღებული სახარება, როგორც იმავე მინაწერიდან

¹ იბ 6 ალ-ასირი, გვ. 174—175.

² იბ 3 ვ. გვ. 175.

³ ივ. ჭავაზიშვილი, ქართველი ერის ისტორია, III, გვ. 72, ზოვიერი ისტორიული სულტნის მკვლელობის მიზეზად ანგარებას ასახელებს (კამთა მწერე რელი, გვ. 185), ზოგიც — შურისიებას (კირაკოსი, გვ. 11) და ა. შ.

⁴ იბ 6 ალ-ასირი, გვ. 177.

⁵ Автограф Оганеса Ванакана Таушени, յრებულში /Армянские источники о монголах, გვ. 43 (ქვემოთ, ოვანეს ვანაკაն ტაუშენი).

ვტყობილობთ, თათრებს მუღანში მიუტანიათ!. მუღანში რეაქციულთა
მთავარი სადგური იყო. იქიდან ახორციელებდნენ რანიშეაჭარას საქართველოშე ლაშქრობას ჯებე და სუბუდაი და ამ ტრადიციისათვის
არც მათ მემკვიდრეებს უღალატნიათ¹.

ამავე დროიდან და ამავე მხრიდან გულისხმობს თათართა თა-
რებების დაწყებას ჩვენში კამთაღმწერელიც. ხლათიდან ადარბადა-
განს მოსულმა თათრებმა „აღიღეს თავრევი და მიმდგომი მისი ქუ-
ყანა. და მეორესა წელს წარვიდეს ბარდავს, განძას და მუღანს, და
მიერ იწყეს რბევად და ოქრებად საქართველოსა“². თუ გავითვალის-
წინებთ იმას, რომ 1231 წლის სექტემბერში თათრები ჯერ კიდევ
არცეშში იყვნენ, თავრიზი მათ რამდენადმე გვიან, იმავე წლის ბო-
ლოს უნდა აეღოთ. თათართა საქართველოში შემოკრის კამთაღ-
მწერლისეული ქრონიკიური მინიშნება (თავრიზის აღების „მეორესა წელსა“) უახლოვდება სომხური წყაროს ცნობას (1233 წ.).

ადარბადაგანიდან თათრები შარვანსა და რანს შემოდგომიან. „იწყეს (ლაშქრობა) დარუბანდით აღმომართ, ქუეყანასა შარვაშისასა
და კაბალას“³. რანის დაპყრობა თათრებმა განძის განადგურებით და-
ასრულეს 1235 წ. ქალაქის სიმაგრესა და ენთუზიაზმზე მინდობილი
განძელები რამდენიმე დღეს მაინც მამაცურად უმელავდებოდნენ
მტერს. განსაკუთრებით საინტერესოა, რომ ბევრი მაშინაც არ ნებ-
დებოდა მოძალადეს, როცა ქალაქი უკვე აღებული იყო. ერთნი რომ
მტრის ხელში ჩავარდნას სიკედილს ამჯობინებდნენ და ცეცხლში
ცვივოდნენ, მეორენი ცეცხლს აძლევდნენ თავიანთ სახლ-კასს, ქო-
ნებას და სხვ. ყოველივე ეს ძვირად დაუკდა განძას. ასეთი წინააღმ-
დეგობით აღშფოთებულმა მტერმა ქალაქის სრული მოთხრა გადა-
წყვიტა და, ისე, როგორც, მოგვიანებით რიაზანში, აქაც «ТОКМО
ДЫМ, земля и пепель» დატოვა⁴.

კირაკისის ჩწმენით, ასეთი უბედურება განძას მუსლიმან მოქა-
ლაქეთა მძლავრობის გამო მოსვლია, ისინი ძალიან ავიწროებდნენ
განძელ ქრისტიანებს⁵. ქართველი ისტორიკოსი განძისა და მისი

¹ თვანეს ვანაკან ტაუშეცი, ვვ. 42.

² კირაკისი, ვვ. 21.

³ კამთაღმწერელი, ვვ. 186.

⁴ იქვე.

⁵ Летопись по Ипатскому списку, 1871, ვვ. 523.

⁶ კირაკისი, ვვ. 16—17.



მცხოვრებლებისადმი თათართა ასეთ ულმობელ დამოკიდებულება¹. „მოპმედის მიერ ქადაგებული“ სჯულის სიძულვილიშიც მას შეუძლება შეხედულებაც ისეთივე წარმოშობის ილუზიის ნაყოფია, რამაც ჭებულა და სუბულას თათრები იმზროინდელ ქართველებს ქრისტიანებათ მოაჩვენა. თათრები იმ დროს სარწმუნოების მიხედვით არც არავის სპობდნენ და არც არავის ინდობდნენ. და შემდეგ: განდა იმ დროს მხოლოდ მაპმადიანებით არ ყოფილა დასახლებული. იქ ქრისტიანებიც, კერძოდ სომხებიც ესახლნენ. თათრებს ისინი არ განუსხვავებიათ და, როგორც ერთ სომხურ მატიანეშია აღნიშნული, ქრისტიანებიც ბევრი დახოცეს და ტყვედ წასხეს და მუსლიმანებიც (სპარსელები)².

თათრები განძიდან პირდაპირ კი არ წამოსულან საქართველოზე, არამედ მულანში დაბრუნებულან³ და მეორე წელს შედგომიან ჩვენი ქვეყნის დაპყრობას. საქართველოს წინააღმდეგ მოქმედება თათრებს ერთი ასეულით დაუწყიათ შამქორში. თათართა რაზმი საქართველოს ამ განაპირა ქალაქს პირდაპირ ბრძოლით კი არ შემოადგა, არამედ კარებთან დადგნენ და მოძრაობას აფერხებდნენ⁴. მტერი ამით საქართველოს პოზიციის გამორკევეს ესწრაფვოდა და შეიცნო კიდეც.

შამქორელებმა ეს ამბავი უმალევ შეატყობინეს მენაპირე სარდალს, რომელიც ამ დროს გარდმანის ციხეში ყოფილა⁵ და მოშვერება სთხოვეს. მაგრამ ვარამ გაგელი, რომელმაც თხუთმეტიოდე წლის წინათ ასე ისახელა თვით თათრებთან ბრძოლაში, ახლა სულ სხვაგვარად მოიქცა: კირაკოსის ცნობით, იგი არც თვითონ წავიდა შამქორში, არც შვილი (აღბული) გაუშვა და არც შამქორის მოქალაქეებს უბრძანა ბრძოლა⁶. მაგრამ ეს შამქორელთა მოსალოდნელი ბედისადმი სარდლის გულგრილობას კი არ მოწმობდა, არამედ იმ სამხედრო გეგმის წესაბამისი მოქმედება იყო, რომელიც დასაწყისში მტერთან იმგვარივე ბრძოლის გამართვას ითვალისწინებდა, რომლითაც დაუხვდნენ მტერს ხვარაზმეთი და სხვა ქვეყნებიც. ეს გადა-

¹ ე ა მთა ღ ღ მ წ ე რ ე ღ ღ ღ, გვ. 185.

² ა ნ თ ნ ი მ ი ა ვ ტ ი რ ი, გვ. 70.

³ კ ი რ ა კ ი ს ი, გვ. 21.

⁴ ი ქ ვ ე.

⁵ ი ქ ვ ე, გვ. 22.

⁶ ი ქ ვ ე, გვ. 21.

წყვეტილება, როგორც ჩანს, არც ვარამის ძემ იცოდა ჭავაშვილი¹ ქორელთა მოციქულმა, რომელიც ყოველი ღონით ციფლურად მოხატა — დღის დაყოლიებას. ის საყვედური, რომელიც კირაკოსის მონათხ- რობში გამოსჭივის საქართველოს სამეფო კარის პოლიტიკაში მის- გაურკვევლობას ადასტურებს!

ბრძოლის ასეთი მეთოდისაგან ქართველები მტრის მოქანცვას- თან ერთად, მნიშვნელოვან ფიზიკურ შემცირებასაც მოელოდნენ.

ასეთი გადაწყვეტილებით უნდა ყოფილიყო ნაკარნახევი შავ- ქორჩე მიუშველებლობაც და ყოველი ციხის, ქალაქისა თუ დაბის საყუთარ ძალებზე დაყრდნობილი ბრძოლის პრაქტიკა. სხვაგვარად შეუძლებელია აიხსნას ავაგ ამირსპასალარის კაენის ციხეში შესვ- ლა², შანშე მანდატურთუხუცესისა — ლორეში³ და სხვ. ასევე მო- იქცნენ სხვებიც: ვარამ ვაგელი (გამაგრდა ვარდმანის ციხეში)⁴. ელიგუმ ორბელი (კრაშვაბერდში)⁵ და ა. შ.

ბრძოლის ეს ფორმა ქართველთაგან ვაცილებით მეტ მსხვერპლს მოითხოვდა, ვიდრე დასაწყისში ვამართული გენერალური ბრძოლა, მაგრამ ეს საქმე ამჯერად უიმედო ჩანდა. ასეთ ბრძოლაში თათრებ- თან ვერც უნგრელებმა მიაღწიეს წარმატებას (1242 წ.) და ვერც რუმის სელჩუკებმა (1243 წ.), მიუხედავად იმისა, რომ ერთსაც დად- ალი ლაშქარი ჰყავდა და მეორესაც. აღარაფერს ვლაპარაკობთ რუსი მთავრების თუ ყიფჩაყების (ვლადიმირის მთავრის ბრძოლება კოლომნასთან და სიტთან, კოტიანის ყიფჩაყების დამარცხება და სხვ.) წარუმატებლობაზე, რომლებიც შედარებით მცირებულოვანი რაზ- მებით ხდებოდნენ მტერს.

საქართველოს ხელისუფლება მტრის წინააღმდეგ ბრძოლის მეტად ძნელ გზას დაადგა, მაგრამ შექმნილ ვითარებაში უკეთესი გამოსავალი არ ჩანდა. რუსულანი, ეტყობა, არ ითვალისწინებდა იმ შინა ვართულებას, რასაც შეიძლებოდა არსებითი ხასიათის გავლენა მოეხდინა ამ გეგმაზე. უბედურება ის კი არ იყო, რომ სამეფო კარგა თათრებს მაშინვე დიდი ლაშქრით არ შეუკრა გზა, არამედ ის, რომ

1 კირაკოსი, გვ. 21.

2 ვამთაღმწერელი, გვ. 187; სტეფანოს ეპისკოპოსი, გვ. 34.

3 კირაკოსი, გვ. 31.

4 იმე ვე, გვ. 22.

5 სტეფანოსი, ორბელთა ისტორიის ქართული ექრსია, გამოსცა ლ. ვე- ლიქსეტეგმა, „საისტორიო მომზე“, ტ. 6, თბ., 1962, გვ. 69 (ქვემოთ — სტე- ფანოსი).



თავდაცვის უკელაზე უფრო მისაღები გეგმა ბრძოლის დამტკიცებულების დაირღვა. პირველი ბოროტმოქმედი ამ მხრივ ელიგუმანის ჩერელი შექმნა! ასე სწრაფად უპოვა მტერმა სუსტი რგოლი საქართველოს თავდაცვის გეგმას და ბოლომდე არ გაუშვია ხელი მისთვის.

შამქორის ინცინდენტთან ქართველების დამოკიდებულებამ თვალთნათლივ დაანახა თათრებს, რა ხასიათის ომი უნდა განევითარებინათ საქართველოში და ისინიც ერთ დიდ ძალად შეკრული კი არ მოადგნენ ქვეყანას, როგორც ეს მოწინააღმდეგის მთლიან ლაშ-ქართან შებმის შემთხვევაში იქნებოდა აუცილებელი, არამედ ისე, როგორც ცალკეულ ციხეთა თუ ქალაქთა აღებისათვის იყო საჭირო. შოლარ ნოინი შამქორზე წამოვიდა², ლატალანი — გარდმანზე³, ასლან ნოინი — კრაშვაბერდზე⁴, ჩალატაი — ლორესკენ მოუშურებოდა, მთავარსარდალი ჩორმალანი — ანისისკენ⁵ და ა. შ.

შოლარ ნოინს თავისი ლაშქრის ერთი ნაწილი შამქორთან შეუჩერებია, ნაწილი კი ტერუნავანის; ერგევანქისა და მაწნაბერდისკენ გაუგზავნია⁶.

შამქორზე შემომდგარ მტერს საქმაოდ დიდი ჭაფა დაადგა. მათ ჯერ ქალაქის თხრილი ხე-ტყით და წნელით ამოავსეს, ხოლო შეცდეგ, როცა შამქორელებმა მტრის მთელი ნაოფლარი ცეცხლს მისცეს, სარდალმა თხრილის მიწით ამოვსება ბრძანა და მხოლოდ ამის შემდეგ მოახერხეს ქალაქის აღება და თათრული გულგოროზობით გაუსწორდნენ შამქორსა და მის დამცველებს⁷.

შამქორიდან ეს ლაშქარი ტაუშისაკენ დაიძრა, შემდეგ კი კაწარეთი, ნორბერდი და ამ სანაპიროს მთავარი ციხე გაგი აიღო⁸.

ლატალანსაც გულით ეწადა გარდმანის დამცველებისათვისაც შამქორელთა ბედი ეწია, მაგრამ ვერ მოახერხა და, როცა ალყით შეწუხებულებისაგან მოჩილების პირობა მიიღო, გაშორდა

¹ სტეფანოსი, გვ. 69.

² კირაკოსი, გვ. 21.

³ იქვე, გვ. 22.

⁴ სტეფანოსი, გვ. 69.

⁵ ვარდანი, გვ. 5.

⁶ იქვე, გვ. 6, სტეფანოს ეპისკოპოსი, გვ. 34.

⁷ კირაკლისი, გვ. 22.

⁸ იქვე, გვ. 21—22.

⁹ იქვე, გვ. 22.

მას და გერ ჩარექსა მიიღო, ხოლო შემდეგ — გიტაბეკა² და ფრან-
დუაშატა³.

იმავე წელს (1236) დაცუ კრაშვაბერდი (დანებდა გრძელებულის), კაენის ციხე (უტევდა დუღადა ნოინი)⁵, ლორე (თილო ჩილა-ტამ)⁶, ანისი, კარი (თილო ჩირმალანმა)⁷ და სხვ.

სტრატეგიული მნიშვნელობით მათგან განსაკუთრებით გამოიჩინდა ლორე, გაგი და კარი. უკანასკნელის დაუფლებით მტერი საქართველოს სამხრეთის კარს ჩატავდა, პირველის აღებით კათბილისზე მომავალი ერთ-ერთი დღიდი გზის კარი გააღო, ასევე იყო გაგიც. ცველაზე უფრო თათრები მაინც კარის დაპყრობას ესწრაფეოდნენ, რაღაც წინააზიურ სახელმწიფოთა და საქართველოს შესაძლებელი გერთიანებისა ეშინოდათ.

მართალია, ასეთი დღი სამხედრო მნიშვნელობა არც კრაშება
ბურჯის ჰქონია ამგერად და არც კაენის ციხეს, მაგრამ სამაგიერო
ა ა ჰუნეტებს ძალით პოლიტიკური ამბები დაუკავშირდა, რომ კარიც
დაჩრდილა და ბევრი სხვაც. მთავარი მაინც კრაშებერდის დანე-
ბება იყო, რომელმაც სხვათა დაცემაც განაპირობა. ელიგუმი რომ
არ გამოიჩინა და თაორებს და მერქ მტერს ავაგისა და სხვათა-
ხარჯზე არ მოეთბო ხელი მისთვის, ეჭვი არ არის, ათაბაგ-ამირ-
ს სახალისარი ასე ჩქარა არც კაენს დათმობდა და არც მტერს შეურიც-
დებოდა. და მერქ ამას მცირე რეზონანსი როდი ჰქონდა. ავაგის
მოქმედება არათუ ბრძოლის დაწყების წინ იყო სამაგალითო ქვე-
ყისათვის, არამედ ახლა, როცა ვიწრო ფეოდალური ინტერესებ-
ისთ თვალდაბინდული ფეოდალი ბრძოლიდან გადიოდა. მას მი-
ბაძეს და თაორებს ზედიზედ დამორჩილდნენ შანშე მანდატურთ-

¹ յ. Յ. Յանձոս, հարցյալ լրելու արդարական վեցաբնի հմտությունը և նախողական մեջությունը (История монголов по Армянским источникам, № 43, I, 83-6, Շնորհման).

2. აქტუალური გეოგრაფიული (რაიონის ცენტრით აზერბაიჯანში).

³ Հայութեա, 83: 22; Յահըսօն, 83: 6.

4 1 6 2 3 2 6 3 6 0, 83: 69.

⁵ > 6 0 5 0 3 0 2 2 0 3 0 6 0 , 23- 70—71; 3 0 6 0 3 0 6 0 , 23- 5.

6 ანონიმი ავტორი, გვ. 71; ვარდანი, გვ. 6; სტეფანისი,
გვ. 34; კირაკისი, გვ. 31.

7 የዕጻናወዎች የግዢዎች, 83, 71; ሁኔታዎች የሚከተሉት በመ, 83-34; የአሁንዎች, 83, 6.

უხუცესი, ვარამ გაგელი და სხვები¹. იმ დროს, თუ „პატიონი“ ოქშა
ციონ, „უმებიც“ მასთანვე უნდა ყოფილიყვნენ. მაგრამ ეს ციონურ-
პოლიტიკური განვითარების იმ ხარისხზე, რომელზეც მარტინი მდ-
გა ამ პერიოდში, ურთიერთობის ჩემთვის საინტერესო ფორმას
დაცვა აღარ ხერხდებოდა და ეს მიტომ, რომ ცენტრალისტურ
ტენდენციებს „სამამულო“ ტენდენციები ძლევდა და „ხელსაც“,
რომელიც ფეოდალს ხელმწიფის კარზე ეპურა, უფრო სამაულის
მნიშვნელობა ჰქონდა, ვიზრე მფლობელობის რეალური საფუძ-
ლისა. აქ იყო სწორედ საქართველოს და, საერთოდ, ყრველი ფეო-
დალური ქვეყნის სუსტი აღვილი და თაორებიც შესანიშნავად იყე-
ნებდნენ მას². ასეთ ვითარებაში ბრძოლის წარმატებით ვანეოთარე-
ბა, ცხადია, ძალზე ძნელი იყო და რუსულანის სასახელოდ უნდა
ითქვას, რომ მან მართლაც მამაკურად იღვაწა და მაქსიმალურად
გააუეთა ყოველივე ის, რასი შესრულებაც კი იმ მეტად მძიმე დროს
იყო შესაძლებელი. ლორეს და გაგის აღების შემზევ თბილისის
ბეჭიც გადაწყდა. ჩაღატას თაორები ვერც დმინისმა შეაკავა დიდ-
ხანს და ვერც სამშვილდემ. გაგის ფრონტის სარდალმა და სხვა ნო-
ინებზა თბილისის მიმშვრეს თუ სხვა მიძართულებით დაიძრნენ, ას
ვიცით, მაგრამ საქართველოს ცეცხლმოდებული და მიტოვებული
დედაქალაქის დაუფლებას დიდი ლაშქარი აღარ ესაჭიროებოდა და
ამ საქმეს ლორეს ფრონტიც ადვილად შეასრულებდა.

თბილისის დაწვა, რომელიც დედოფლის ბრძანებით მუხას ძებ
განახორციელა³, იმას მოწმობდა, რომ მიუხედავად ავაგ ათაბაგ-
ამირსპასალარისა და სხვათა „თავთა მათთა ოდენ შემწყნარებ-
ლობისა“⁴, სამეფო ხელისუფლებას ღრმად სჯეროდა თავისი სამ-
ხედრო გეგმის სისწორე და მტკიცედ იცავდა მას. მართალია, სა-
შინაო და საგარეო ხასიათის რთულმა ამბებმა რუსუდანს არ მო-
ცეს საშუალება ეს ბრძოლა ისე დაეგვირგვინებინა, როგორც ეწა-
და, მაგრამ იმ დიდმა შინააღმდეგობამ, რომელიც დიდი თამარის

¹ ე ა მ თ ა ლ მ წ ე რ ე ლ ი, გვ. 190

² ნ. ბ ე რ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი, ეპიზოდი ფეოდალურ საგვარეულოთა საშა-
მულო ბრძოლიდან XIII ს. საქართველოში, თუ შრომები, ტ. VII, ტ. 1, 1938,
გვ. 201.

³ ე ა მ თ ა ლ მ წ ე რ ე ლ ი, გვ. 187.

⁴ ი ქ ვ ა, გვ. 188.

ასულის ხელშძლვანელობით საქართველომ შეაგება მტერს, ხაზა-
ტიო ზავი მოპოვებინა ქვეყანას. ეს მცირე მნიშვნელობრის ფულტრ
როდი იყო.

განსაკუთრებით გულმოდგინედ იბრძოლნენ მესხები. ყვარყვა-
რე ჯაყელს სხვა ამერელი ფეოდალებივით არ შეუწყვეტია ბრძოლა
და იგი მანამდე არ ყრიდა იარაღს, სანამ განმარტოებული კუთხის
ბრძოლა საზიანოდ არ მიიჩნიეს თვით გაზირმა და მისმა პატრიო-
მაც!

სამცხის დაპყრობით მონღოლებმა არსებითად დაამთავრეს აღ-
მოსაკულეთ საქართველოს დაპყრობა. მტერმა დასაკულეთ საქართვე-
ლოშიც სცადა შეჭრა, მაგრამ ვეღარ მოახერხა.

დას. საქართველოს მისაფლობებთან მოპოვებულმა წარმატებამ
დააჩვენა რუსულანი, რომ ძალა შესწევდა სამედოდ ჩაერაზა-
ლისისა და ღადოს ზექარები და ლიხთიქითი დაეცვა თათართა შე-
სევისაგან, მაგრამ ეს არ აქმაყოფილებდა და მტრის ამერეთიდაა
განდევნაზეც კარგა ხანს ზრუნავდა. დედოფალი და მისი თანავამ-
ზრახნი კარგად ხედავდნენ, რომ ასეთი დიდი ამოცანის განხორციე-
ლება მარტოოდენ საქართველოს ძალებით შეუძლებელი იყო,
ამიტომაც ენერგიულად დაიწყეს მოკავშირეთა ძებნა დასავ-
ლეთ ეკროპასა თუ მცირე აზიაში. ჩანს, განსაკუთრებით
დედო იმედებს ამყარებულნენ ჯვაროსნებზე, რომელთა შემოსვლა
საქართველოში მხოლოდ სამხედრო ასპექტით შემოფარგლულ
შოვლებაზ კი არ ესახებოდათ, არამედ უდიდეს ფსიქოლოგიურ
და პოლიტიკურ ფაქტორებაც. ამ მიზნით პაპისაგმი გაგზავნილ
სპეციალურ ეპისტოლეში რუსუდან დედოფალი, უპირველეს ყოვ-
ლისა, რომისა და საქართველოს ეკლესიების შეერთების მისეულ
წადილზე მიაქციედა დასავლეთის ეკლესიის მესვეურის ყურადღე-
ბას?

საქართველოს საქეთმპყრობელი არათუ უცხო კათოლიკურ
ეკლესიას, მშობლიურ მართლმადიდებლურსაც ალმაცერად უცხე-
როდა, მაგრამ ახლა თუ თაეს დებდა დასავლური ქრისტიანობის
სიყვარულზე იმიტომ, რომ საქართველოთი პაპის დაინტერესება
ეწადა. და, აქ არც ცალებოდა. მაგრამ ას ათქმის ეკროპელ
ჯვაროსანთა თათრებისადმი დამოკიდებულების შეფასებაზე. ჯერ

¹ ე ა მ თ ა ლ მ წ ე რ ე ლ ი, გვ. 191.

² 2. თ ა მ ა რ ა შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრ., გვ. 16.

ქიდევ მესუმტე ლაშქრობის დროს ცალილობდნენ ჯვაროსნები თუთ-
რებთან ხაშედრო კავშირის დამყარებას; 30-იანი წლების მეორე
ნახევარში კი, როცა პაპს საქართველოს დედოფლის ფლეჩერები
ეპისტოლე მოუვიდა, დას. ევროპა თათართა შესევის საფრთხის წი-
ნაშე იდგა. წმ. პეტრეს საყურის მესვეური ამ დროს არათუ ამათ-
თან ბრძოლის გუნდაზე იყო, არამედ „სარაცინების“ წინააღმდე-
ვაც კი აკრძალა ჯვაროსნული ლაშქრობა². „ჯერ არს. რომ თქვენც
ჩვენ შეგვიძრალოთ — წერდა გრიგოლ IX საპატიო წე-
რილში, — რადგან სარწმუნოების მტერი ჩვენ
ძლიერ გვდევნისა“³.

რომის პაპს, რომელიც საერო ხელისუფლების დაუფლება-
საც ენერგიულად ესწრავოდა, ამ დროს მართლაც არ ჰქონდა სა-
ქმე კარგად, მაგრამ ეს არა „სარაცინებისაგან“, რომელსაც გული-
სხმობს გრიგოლ IX ეპისტოლე, არამედ ჰოპენშტაუფენთა აღზევები-
სა და ლათინთა იმპერიის მძიმე მდგომარეობის გამო. ასეთი პრობლე-
მებით დატვირთულ პაპს, ცხადია, საქართველოსათვის არ ეცალა.

გარდა დემაგოგიური განცხადებისა, თვალომავჭიდვი პაპი. საქარ-
თველოში ლაშქრის გამოუგზავნელობას იმითაც ასაბუთებდა, რომ
„სარკინოზნი, რომელსაც სირიაში ვეომები ის, არ გამოუშვებენ მანდეთ ჩვენს მხედრობას“⁴.

ჯერ ერთი, ვატიკანი ამ დროს არათუ სიჩიაში იბრძოდა, პი-
რიქით ყოველი ღონით ხელს უშლიდა ასეთ ბრძოლას. მეორეც,
სრულიად უსუსურად მიუთითებს პაპი „სიჩიელ სარკინოზებზე“,
რომლებსაც ვითომ ქრისტეს მხედრობისათვის გზის დახშვა ძა-
ლუდათ.

დასავლეთ ევროპის გარდა, ქართველები მოკავშირეს მცირე
აზიაშიც ეძებდნენ. ყველაზე ძლიერი სახელმწიფო იქ ამ დროს რუ-
მი იყო. თათართა მოძალებამ საქართველოსა და რუმის ტრადი-
ციული ურთიერთობის შეცვლა გააპირობა ზა რუსულანის პირდ-
შო იკონიაში გადედოფლდა⁵. თუმცა ესეც უშედეგო აღმოჩნდა,

¹ М. Заборев, Крестовые походы, Москва, 1956, гл. 250.

² Б. Куглер, История Крестовых походов, СПб, 1895, гл. 369.

³ იქვე, гл. 15.

⁴ იქვე.

⁵ ე ა მ თ ა ა ლ მ წ ე რ ე ლ ი. გე. 190: M. Brosset Histoire de la Georgia,
1, გვ. 502. შენიშვნა 3.

ეიზრე საქართველოსთან ზავი არ შეკრეს. მანამ თათრები ბულად მოერიცნენ რუმშე გალაშერებას. ვერც საპერძენებელი ტანი კისრულობდა საქართველოს მიშველებას და თათრებისთვის ზაწყებას.

როცა ვარედან სამხედრო დახმარების მიღების ყოველი ხასო წარეკვეთა, რუსუდანი იძულებული იყო ზავზე ეფიქრა. თუმცა მას აფგალობრივ მონღოლთა მთავარსარდლობისაუმი მინჯობა არ ეწადა. როგორც აჩაენ მწიგონპართუზოცესის დაწერილიდან ჩანს, ეაზირთა უპირველესი, ვოლგაზე წარუგზავნია, ბათოსთან მოსალაპარაკებლად.

საბუთა ქოჩორიკუნი არ აბლავს, მაგრამ მისი შედგენა 1242 წლის უაღრეს მაინც შეუძლებელია ვიგულისხმოთ. ამას მოწმობს შემდეგი: რუსუდანი მონღოლებთან ზავის ძებას შეიძლება შედგომოდა მხოლოდ პაპის უმედო ეპისტოლები შემდევ. პაპის 1240 წლის 13 თებერვლის ეპისტოლე ქუთაისში 1240 წლის ბოლოს ან 1241 წელს უნდა მიეღოთ. ამის მიხედვით, აჩაენი ვოლგისპირეთშე შეუძლებელია გამგზავრებულიყო 1241 წლის უაღრეს. ი. ცინცაძე¹ 1242 წელს მიუთითებს!

პათოსთან რუსუდანის მოციქულის გაგზავნის ამბავი კირაკოს-შავ იცის. როცა მონღოლები დედოფალს პირად ხლებას ან შეიღის გაგზავნას თხოვდნენ, ისტორიისას თქმით, იგი მათ ასე უპასუხებ და: „არ შემიძლია მანამზე მოკვლა, ვიდრე თქვენს მეფესთან გაგზავნილი ჩემი მოციქული არ დაბრუნდება“².

კირაკოსის ცნობით, რუსუდანის უარი და შეიღის ბათოსთან წარგზავნა სწყენია მონღოლთა აფგალობრივ საჩდლობას და მოციქულები წარუგზავნიათ რუმში ლაშის ძის საქართველოში მოსაყვანალ³. მისა თქმით, ეს ამბავი რუმში სულტნის დამარცხების შემდეგ მომხდარა.

სებასტიანი, სტეფანოს ეპისკოპოსი და ზოგიერთი სხვა სომები ისტორიოსი ამ ფაქტის (რუმში სულტნის დამარცხების) თარიღად 1243 წელს დებს⁴. ამასვე იზასტრებს კარაკოსის უკვე ხსენებულერთი ცნობაც, რომლის მიხედვითაც ლაშის ძის მოყვანა საქარ-

¹ ი. ცინცაძე, მონღოლები და მონღოლთა დაპყრობები, გვ. 156.

² კირაკოსი, გვ. 60.

³ იქვე, გვ. 67.

⁴ სებასტიანი, გვ. 26; სტეფანოს ეპისკოპოსი, გვ. 35.

6. ი. სიხულიძე

თველოში რუსუდანის ძის ვოლგისპირეთში გამგზავრების მომხდარა.

ცვება ეამთაღმწერელი, როცა დავით ლაშას ძმის უძუნველესობა „საბერძნეთიდან“ მოყვანას უმეტობის ხანაში, კერძოდ, კოხტასთავის შეთქმულების შემდეგ გულისხმობს!

წინააღმდეგობაში ვარდება კირაკოსიც, როცა ამბობს, რომ თითქოს ლაშას ძის აჩხებობა მონღოლებმა მხოლოდ ვარამ გაველის რუმიდან დაბრუნების შემდეგ შეიტყვეს². სინამდვილეს არც ამ უფლისწულის მცხეთაში მეფედ კურთხევის მისეულა ცნობა ჰყებაბამება, რადგან ასეთი რამ დიდი ყაენის ბრძანების მიღებამდე შეცდლებელი იყო. ლაშას ძის მეფედ კურთხევა რომ ამ დროს არ შემდგარა, ეს ქართველი ეამთაღმწერელშაც კარგად იცის. როცა უფლისწული მოვიდა, დიდებულებმა „განიხარეს“, მაგრამ „მეკუფობა ვერ“ დაუმტკიცეს, არამედ წარავლინეს (წინაშე) დიდია გათო ყაენისა³.

ვაზირთა უპირველესს ბათოსგან რუსუდანისათვის საინტერესო საკითხებზე ასეთი პასუხები ჩამოიტანია: საქართველოს მეფე მონღოლთა ყაენის უმაღლესობას აღიარებდა, კისრულობდა ხარვის გადახდას⁴ და ლაშქრობებში მონაშილეობას (ყალანი). მონღოლთა ხელისუფლება დას. საქართველოშეც ვრცელდებოდა, მაგრამ საოკუპაციო ჯარები მხოლოდ იარაღით დაპყრობილ ტერიტორიაზე (აღმოსავლეთ საქართველო, სომხეთი) რჩებოდა.

ამის შემდეგ რუსუდანს მოლაპარაკება გაუმართავს აღგილორივ მონღოლთა მთავარსარდლობასთან და თავისი ძით ქუთაისიდან გადმოსულა თბილისში⁵.

ქართველი ეამთაღმწერლისა და სომეხი იეტორების (სებასტიანი, სტეფანის ეპისკოპოსი და სხვ.) ცნობების შევერება ცხადყოფს, რომ ეს უნდა მომხდარიყო 1243 წელს⁶.

1 ე ა მ თ ა ღ მ წ ე რ ე ლ ი, ვე. 217.

2 კ ი რ ჭ კ ი თ ს ი, ვე. 60.

3 ე ა მ თ ა ღ მ წ ე რ ე ლ ი, ვე. 219.

4 ამ ორ უკანასკნელზე გრ. ივანეციც მიეთითებს (ვე. 12).

5 დაწვრილებით გვესაუბრება ე ა მ თ ა ღ მ წ ე რ ე ლ ი, თუმცა დიდი უზურობითა და განმეორებებით (ვე. 192—196).

6 ე ა მ თ ა ღ მ წ ე რ ე ლ ი, ვე. 192; ს ე ბ ა ს ტ ა ც ი, ვე. 26; ს ტ ე ც ა ნ ი ვ პ ი ს კ ო პ ი ს ი, ვე. 35.

თბილისიდან უფლისწული ბარდაც წასულა, საღაც მე და მონღოლთა ნოინები იყვნენ დაბანეებულნი. „ვითარ იხილეთ ჩატურების მაღან, ჩაღატა, იოსურ და ბიჩო, განიხარეს და პატივი უკუნეს შეფერა და მთავართა საქართველოსათა და მოსცეს ყოველი საქართველო, ტფილისი, სამშეილდე... და ესრეთ კეთილად შეიწყნარეს დავით მეფე, რომელსა ნარინ დიდებითა უწოდეს, ესე იგი არს სეფის პირი დაერთ“¹.

ამ ამონაშერში რამდენიმე უზუსტობა შეინიშნება:

1. ჩორმალანისათვის პირველი აღგილი ამ პერიოდში აღარ არძის საგულეებელი. როგორც ვარდანი, სებასტაცი და სხვები მიუთითებენ ჩორმალანს პირველობა ჯერ კიდევ 1242 წელს (სომხ. 691) ჩამოართვა/ბიჩუ (თუ ბაჩუ) ნოინმა².

2. რუსულანის ძისაღმი ნარინის შეჩრქევა ამ დროის მშპავად კი არ ჩანს, არამედ, როგორც სწორად შენიშნავდა ივ. ჯავახიშვილი, „იმ ხანას უნდა ეკუთვნოდეს, როდესაც საქართველოს ტახტის მემკვიდრედ და მაძიებლად მეორე დავითი, ლაშა გორგის ძეც გამოჩნდა და ამ ორი დავითისათვის ერთიმეორისაგან გასარჩევად მეტსახელები იყო საჭირო³.

3. იჩამისა უა ამიერკავკასიაში მოქმედ ნოინებს, მათ შორის მთავარსარდალ ბიჩუსაც არ ეხელვწიფებოდა ასეთი საქმის გადაწყვეტა, მას მხოლოდ სამისო პროექტი შეეძლო შეედგინა და წარედგინა. ქვემოთ უამთაღმწერელი მიუთითებს კიდეც ამაზე დაწერს: „მაშინ წარავლინეს მოციქული წინაშე დღიუსა ყაენისა, რომელი იყდა ყარაყორუმს⁴. ასეთი პროექტების საბოლოო დამტკიცება მართლაც ყარაყორუმში ხდებოდა, მაგრამ ამიერკავკასია-ირანის მთავარსარდალს, როგორც ბათო ყაენის ქვეშევრულმა, მოციქულის წარგზავნა შეეძლო არა ყარაყორუმს, არამედ მხოლოდ სარაიში. ქვემოთ ისტორიკოსი ასწორებს თითქოს და წერს: „მიაწია რა ელჩი პირველად ბათოისსა... ამან წარავლინა წინაშე მანგუყაენისა...“⁵.

1 ე ა მ თ ა ლ მ წ ე რ ე ლ ი, გვ. 195—196, საბას უწერია: „მეფის პირი“, (იქვე, შენიშვნა 2). ივ. ჯავახიშვილს კითხვითი ნიშნის ქვეშ მითითებული აქვა „პირ(მშო)ი“ (ქართველი ერის ისტორია, III, გვ. 115).

2 ვ ა რ დ ა ნ ი, გვ. 7; ს ე ბ ა ს ტ ა ც ი, გვ. 26, კირაკისი, გვ. 51—52.

3 ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ე ი ლ ი, ქართველი ერის ისტორია, III, გვ. 115.

4 ე ა მ თ ა ლ მ წ ე რ ე ლ ი, გვ. 196.

5 ი ქ ვ ვ, გვ. 196—197.

რა თქმა უნდა, მარტო თათარი მოციქული როდესაც ბა-
თოსთან, მას თან ახლდა ქართველი უფლისწული იშვიაული და-
უამთალმწერელი, როცა წერს, რომ თითქოს ბათომ შემცირებული-
თან გაისტუმრა.

რუსულანის ძის სარაიში გამგზავრების თარიღს ეამთაღმწერე-
ლი არ გვამცნობს. ამის გასათვალისწინებლად საინტერესო
პლ. კარპინის ცნობა, რომლის მიხედვითაც დავით რუსულანის ძა-
გურუქ ყავნის ტახტზე ასვლას (1246 წ. აგვისტო) დასწრებია ყარა-
ყორუმში¹. თუ აქვე იმ დროსაც გავიხსენებთ, უფლისწული რომ
ბათოსთან დარჩა² და იმასაც ვიანგარიშებთ, რაც თბილისიდან სარა-
იმდე და სარაიდან ყარაყორუმამდე მისვლისათვის იყო საჭირო. მა-
შინ გამოდის, რომ რუსულანის ძე საქართველოდან 1243 წელსვა
უნდა გამგზავრებულიყო. ორი წლის შემდეგ რუსულანიც გარდაა-
ცვალა.

თ ა ვ ი VI

მეართველობის ლომადური სისტემის შემოღება. კოსტასთავის შეთაქმულება

საქართველოს სამეფო ხელისუფლებასთან გაფორმებული სა-
ზავო ხელშეკრულება მაშინვე დაარღვიეს თათრებმა, როგორც კა-
რუსულან დედოფალი გარდაიცვალა და ქვეყანაში მთართველობის
თვეითანთო სისტემა შემოიღეს.

ამის შესახებ ცნობებს გვაწვდის XIV საუკუნის ქართველი ის-
ტორიკოსი. მისი მონათხროვიდან ამ მოვლენის თარიღის სავარაუ-
შო გათვალისწინებაც ხერხდება. აქედან ჩანს, რომ ეს ფაქტი უმც-
ფობის ხანაში, დავით ლაშას ძის ურდოში გამგზავრების წინ მოხ-
და. რუსულანის გარდაცვალების შემდგომ,—ამბობს ისტორიკოსი.
....გახდეს ქართველი უნუგეშისცემლოდ და უმეცოდ, რამეთა

1 3 ლ. კარ 3 ი 6 ი, გვ. 37.

2 კამთაღ მწერე რელი, გვ. 206.

ერთი დავით საბერძნეთს იყო და ორა უწყოლესი რა შემთხვეოდა¹.

დედოფლის გარდაცვალება და ლაშას ძის ყაენთა მომზადების შემთხვეობა ამღვმარი ფაქტები ჩანს. ამას მოყრის 1240 წლის ავერატოში უკანაკუნელის უკვე ყარაყორუმში ყოფნა.

თუ იმას ვიგულისხმებთ, რომ უფლისწულის ყარაყორუმში მისელის ერთ წლამდე მაინც დასჭირდებოდა, მაშინ ჩვენთვის საინტერესო ლონისძიება 1245 წლის ზაფხულში უნდა გაეტარებინათ.

უამთალმწერლის თხზულების ჩვენამდე მოღწეულ ტექსტში შეიძინ დუმნისთავია ჯავახელებული. ესენი არიან: ეგარსლინ ბაკურციხელი, შანშე (მხარგრძელი), ვარამ გაგელი, გრიგოლ სურამელი, გამრეველ თორელი, ცოტნე დაღიანი და რაჭის ერისთავი².

უამთალმწერელზე დაყრდნობით ამდენივე დუმნისთავს ასახელებს ვახუშტიც, მაგრამ იმ განსხვავებით, რომ ცოტნეს სამცნის გამგებლად თვლის, ხოლო რაჭის ერისთავს მთელი დას. საქართველოს მეთაურობას მიაწერს³.

ასეთი კორექტივის უმართებულობას აშკარად ხდის წყაროს ცნობა: გამრეველ თორელს მისცეს „ჯავახეთი, სამცხე და აღმართ კარნუ-ქალაქებიდე, ხოლო ცოტნე დაუიაშა და რაჭის ერისთავს ყოველი იმერი სამეცო“⁴.

უზუსტობისაგან არც მოტანილი ამონაწერი, კერძოდ, მისი პირველი ნაწილია თავისუფალი. ამ გარემოებას პირველად ყურადღება მიაქცია ივ. ჯავახიშვილმა. მისი ვარაუდით: „შესაძლოა აქ კუარყუარე ციხისჯვარელ-ჯაყელის სამფლობელოც იყოს, რომლის სახელი იქნებ გადამწერთაგან იყოს გამოტოვებული“⁵.

კუარყვარე ჯაყელს სამცხის დუმნისთავად მიიჩნევს ნ. ბერძენიშვილიც⁶. გარდა რაჭის ერისთავისა, წყაროში ყველა ჩხაკ დუმნის გამგებელი სახელით იხსენიება.

დ. გვრიტიშვილი ჩვენთვის საინტერესო დუმნისთავს კახაბერ

1 ე. ვ. თაღმ. მ. წ. ე. რ. ა. გვ. 207.

2 ი. ე. ვ. ე. გვ. 207—208.

3 ვახუშტიც, საქართველოს ისტორია, 1, გვ. 223.

4 ე. ვ. თაღმ. მ. წ. ე. რ. ა. გვ. 208.

5 ივ. ჯავახიშვილი, დასახ. ნამრ., შენიშვნა 1, გვ. 123.

6 ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორია (დასახ. სახელმწიფო ლო), გვ. 227.

კახაბერისძესთან იივიცებს¹. რას ემყარება ავტორი არ ჩანს, აუდ-გან საამისო საბუთებს არ მიუთითებს. უამთაღმწერელურთვის ფრანგები კახაბერისძე პირველად XIII საუკუნის 60-იანი წლების შემდეგ განვითარებულ მოვლენათა აღწერილობაშია დასახელებული². ამ ცნობით 40-იან წლებში მის მოღვაწეობაზე ვარაუდი შეიძლება გამოითქვას მხოლოდ.

უამთაღმწერელი საღუმნისთავო ქვეყნებს ასე შემოსახლე-რავს: ეგარსლანს მონლოლებმა, მისი ცნობით, „ქელთ უდევს სპა ჰერეთისა და კახეთისა და კამბეჩიანისა, ტფილისიდგან და აღმართ ვითარ მთამდე შამახისა“³. შანშეს — „მამული მისი და ავაგი-სი“, ვარამ გაგელს — „ყოველი სომხითი“, გრიგოლ სურამელს — „ქართლი“, გამრეკელ თორელს, როგორც ჩანს, — „ჯავახეთი“, ყვარყვარე ჭაყელს — „სამცხე და აღმართ კარნუ-ქალაქამდე“ ცოტნე დადიანსა და რაჭის ერისთავს — „ყოველი იმერი სამეფო“⁴.

საღუმნოთა უამთაღმწერლისეულ გეოგრაფიაში ზოგიერთი უზუსტობაც შეინიშნება. ასე მაგალითად, ბაკურციხელის საგამ-გეოში შემავალ ქვეყნებათ იგი არახელებს კახეთს, ჰერეთსა და კაშ-ბეჩანს, მაგრამ იმ საზღვრებში (თბილისიდან შამახის მთებამდე), რომელზეც ისტორიკოსი მიუთითებს, ამათ გარდა ჰერეთის აღმოსავლეთით მიმდგამი ბევრი სხვა თემიც ერთიანდებოდა.

იმ მამულებში, რომლებიც შანშემ მიიღო, დ. ჯანაშვილი ანისა და იჭარას გულისხმობს⁵. ანისა რომ ფლობდა შანშე, ეს კარგად დასტურდება. უამთაღმწერლის ცნობით, ანისი შანშესათვის მიუ-ცია ბიძას, ივანე ათაბაგენ⁶; აჭარა კი მხარგრძელებს, მათ შორის შანშეს, არც მონლოლებამდე სჭერიათ და არც უმეფობის ხანაში. ავტორი არ მიუთითებს რას ემყარება მისი ასეთი მოსახრება. ჩვე-

1 დ. გვ. რიტი შეიღ. ი, ნატკევენი საქართველოს ისტორიიდან, თბ., 1962, გვ. 188.

2 უამთაღმწერელი, გვ. 243.

3 უამთაღმწერელი, გვ. 207—208; კ. გრიგოლიამ აქ ყურადღება მიაქ-ცია სიტყვა „აღმართის“ შეცსაბამოდ ხმარებას, თბილისის აღმოსავლეთის მიმ-დეგამი ქვეყნების ღლანიშნავად და მართებულად შეასწორა ის „ჩალმართად“ (იქვე, გვ. 207, შეღარებანი, სტრ. 17).

4 იქვე, გვ. 208.

5 ინგილო ჯანაშვილი, ნათელი სიბნელეში საქართველოს უმეფო ბის დროს, „ფრონტი“, № 449, 1874, გვ. 3.

6 უამთაღმწერელი, გვ. 169, 180, 190.

ნი დაკვირვებით, ეს მცუარი მტკიცება შანშეს აჭარაში შენიშვნის უამთაღმწერლისეული ცნობილან უნდა მომდინარეობდენ საფუძველისა ს სრულიად არ იძლევა აჭარის შანშესეულ „მამული შემთხვევას საფუძველს. ამასთანავე სხვა წყაროებიდან კარგად ჩანს, თუ რომელი ფეოდალური სახლის მამული იყო ამ ღრმას აჭარა².

გარდა ანისისა, შანშეს „მამული“ იყო ლორეც³.

რაც შეეხება ავაგ ათაბაგ-ამირისპასალარის „მამულებს“, რომელიც შანშეს ხელთ უდევს. აგრეთვე, ეს იყო კაენი⁴, ბიჭნისი, დვინი⁵ და სხვა თემები.

ამ სადუმნოს შანშეს და ავაგის „მამულებით“ უამთაღმწერლისეული შემოფარგვლა ზუსტი არ უნდა იყოს. ამათ გარდა სომხეთში, რომელიც შანშეს დაუქვემდებარეს, ბევრი სხვა თემი (ხაჩინი და ა. შ.) ერთიანდებოდა.

მართველობის ნომადური წესის შემოღებით თათრები კიდევ უფრო მტკიცებდნენ თავიანთ პოზიციებს დაპყრობილ ქვეყნებში.

ღუმნის მეთაურებს მათთვის ღაქვემდებარებულ ქვეყნებში ხარკის აკრეფა და დამპყრობლის ლაშქრობებში სადუმნოს ლაშქრით მონაწილეობა ეკალებოდათ. განსაკუთრებით მძიმე იყო უკანასკნელი, რამაც გამოიწვია კიდევ კოსტასთავის შეთქმულება.

კოსტასთავი რაპინძის თავზეა. ეს იჯგილი შეუტიჩევიათ სათათბიროდ და აქ შეკრუბილან „ყოველი მთავარი საქართველოსარი... იმერნი და ამერნი⁶“, იმერთაგან კოსტასთავს ყოფილია: ლინეთიქია სადუმნოთა გამგებლები: ცოტნე დაღიანი და რაჭის ერისთავი, ავრეთვე ბედიანი—ოდიშის ერისთავი. იმერელი ფეოდალები კი კოსტასთავს ასეთი შემადგენლობით ყოფილან: სადუმნოთა გამგებლე-

1 კამთაღმწერელი, გვ. 187.

2 ი. სიხარულიძე, ტბელ აბუსერისავ, XIII საუკუნის ქართველი მწერალი, თბ., 1963.

3 აკანეცი, გვ. 97.


4 ისტორიანი და აზმანი, გვ. 60; კამთაღმწერელი, გვ. 187.

5 კამთაღმწერელი, გვ. 180.

6 იქვე, გვ. 169.

7 კამთაღმწერელი, გვ. 215.

8 თ. კორდანის მტკიცებით, ბედიანი თითქოს ცოტნეს ძმა ყოფილა (ეგრა, დაღიანი ცოტნე და მისი ენაობა, „ივერია“, 1891, № 248). რას ემყარება ავტორი, არ ჩანს. კამთაღმწერლის ცნობებზე დაკვირვება კი ამას არ იდასტურებს. ჩვენი აზრით, შეთქმული ბედიანი ივიც ოდიშის ერისთავი ბედიან ჭუანშერის ძე



ბის ევარსლან ბაქურისხელი, გამრეკელი თორელი, ყაზარის გარემონტული¹ გა-
ცელი და შანშე მხარგრძელი! ერისთავები: თორლევა პიშჩავარი მუსურ-
ვის თორველი და შოთა კუპრი (პერეთის ერისთავი)².

კოხტასთაველ შეთქმულთა შორის ფამთაღმწერელს დასახე-
ლებული ჰყავს კიდევ „პერ-ჯახი, ქართველნი... მესნი და ტაოელ-
ნი“³. აქ, უკველია, უფრო წვრილი ფეოდალები იგულისხმებან.

იმავე ისტორიულის ცნობით, შეკრებილთ ასე უმსხველიათ შექ-
მნილ ვითარებაზე: „არლარა არს ნათესავი ქართველთა მეფეთა
რათა წინამდლუარ გუექმნას და ვბრძოდით თათართა, და ჩურნ
ურთიერთისაგან განდგომილ ვართ, ვერ წინააღმდეგებით თათართა,
ზა იგინი ბორო ტაზ გუაჭირვებენ... აჩ არს ღონე, და
ლათუ უმეფო ვართ, არამედ შეკვრბეთ ყოველნი, და ვებრძოდი ი
თათართა⁴. მთავრები შეთანხმებულან იარაღით გამოსვლაზე („დაამ-
ტკიცეს ომი“) და დაუნიშნავთ „პაემანი ქართლს შეკრებისა. და კა-
ნიყარნესა“⁵.

ამ უკანასკნელში („განიყარნეს“) ისტორიული კოხტასთავიდან
„იმურთა“ წასულას გულისხმობას, ამერთ კი აღგილზე მიუსწრებ
მონღოლებმა.

რა გზით გახდა ცნობილი მონღოლთა მთავარისა ჩულობისათვის
ქართველ მთავართა კოხტასთავს შეკრება?!
უნდა იყოს, რომელიც მი-იანი წლების დაშლებს იხსენიება, როვორც ჩანს, მა-
რინის მომხრე (ცამთაღმწერ ელი, გვ. 243). ვარდა ამისა, რომ ჩეენთის
საინტერესო ერისთავი თრივე შემოხვევაში ბედიანად იწოდება, ამასვე მიგვი-
ნიშნება მ-თი ფამთაღმწერლისეული დახასიათების ერთგვარობა. შეთქმული ბე-
დიანი, მისი თქმით, იყო -კაცი კეთილი და სრული საღმრთოთა და საკაცობოთა
თვისებებითა (იქვე, გვ. 215). ასეთივე პიროვნება — კაცი წარმატებული ყოვ-
ლითა ზრითა, უნკ უმეტეს ყოველთა კაცთა, სრული გონიერებითა⁶ ყოფილა
რუსულანის ძის მოდას ბედიანი (იქვე, გვ. 243). მა პირთა გაიგივებას სერიო-
ზულ დაბრკოლების არც ქრონილოვიტი მომენტი უქმნის (15 წლის სხვაობა);
აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ ცოტნე მძიმ არც ერთ წყაროში არ არია
დასახელებული.

¹ ეს უკანასკნელი ქართლის ცხოვრების მხოლოდ შემდეგდროინდელ ნებ-
ხებში იხსენიება (ცართლის ცხოვრება, 11, გვ. 215, სქოლით 2) ეტუობა, ამ
ნიადაგზე მიუთიოთ შენშეს შეთქმულთა შორის თ. კორდანიაც (ცერი, დასახ.
წერილი, გვ. 1).

² ცამთაღმწერ ელი, გვ. 192.

³ იქვე, გვ. 215.

⁴ იქვე.

⁵ იქვე.

კამთალმწერები მხოლოდ იმას აღნიშნავს, რომ „ესრა თავითა“ შექრების ამბავით! მაგრამ ვისგან „ესმათ“, ამაზე რომელიცაც აჩბობს, არსებული ვითარების გათვალისწინება რამდენიმდებულებულის საფუძველს იძლევა: 1. შესაძლოა კონტასთავის შეკრება მოხლოლებს ქართველებისაგან „ესმათ“. ასეთი უნდა ყოფილიყვნენ ისინი, ვინც თათრებში „მტერს“ კი არა. „მოყვარეს“ ხედავდნენ. ამისთანავე იმ უროს კოტანი როდი იყვნენ. 2. ქართველ დიდებულთა კრებაზე ცნობა, შესაძლოა, თეთო აშერებიში მდგარ მონალოლთა ცეკვებში ან მოხელეებს მოეტანათ.

სამეცნიერო ლიტერატურაში პირველი შესაძლებლობაა შილებელი, მაგრამ იმ განსხვავებით, რომ მოღალატენი „შეთქმულთა შორის“ არის ნაგულისხმევი².

შეთქმულების გამცემი (თუ გამცემი). რომ შეთქმულებები ყოველიც, მაშინ შეპყრობილნი ისე ჭირტად ვეღარ დააჯგებოდნება დანაშაულის უარყოფის გზას, რადგან გამოიყებისას მონალოლები მათ უეჭვილად დაუპირისპირებდნენ მოღალატე თანამემაშელებს, რომელიც დანაშაულის დაფარების საშუალებას არ მისცემდა.

თუ კამთალმწერების ვერწმუნებით, კონტასთავს თვით ბიჩენის მოსულა ანვერაგრს თანხლებით და „შეუპყრიათ „ყოველ“? წარჩინებული საქართველოსანი“³. სიტყვა „ყოველი“ აქ ზუსტი არაა, რაუგან კონტასთავს ამ უკვე ლიხთიშერები მთავრება აღარ იყვნენ.

დ. გვარიტიშვილის მტკიცებით, უკანასკნელნი „ერთი დღით აღრე წავიდნენ“⁴.

კამთალმწერლის მონათხრობი, რომელსაც ეს მტკიცება ემყარება, ამის ასე ზუსტად განსაზღვრის საშუალებას არ იძლევა. იქიდან მხოლოდ ის ჩანს, რომ ლიხთიშერები, როგორც „უშორეს მყოფნი“, ამერლებზე აღრე წასულან კონტასთავიდან.

კონტასთავიდან იმერელთა გასწრების დროის სავარაუდო საჭიროა იმ გზის გათვალისწინება, რომლითაც მონალოლები უნდა მოსულიყვნენ კონტასთავს. სამწუხაროდ, წყაროში ამ გზაზე არაფე-

1 კამთალმწერელი, გვ. 215.

2 დ. გვარიტიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 192.

3 კამთალმწერელი, გვ. 215.

4 დ. გვარიტიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 193.

რია ნათქვამი. დ. ჭახაშვილის მტკიცებით, მონღოლები კუთხავს თითქოს ანისიდან მოსულან¹. ავტორი არ მიუთითებს ტაშიმიქუჯუბას, ამ მოსაზრებას. ჩვენი აზრით, მას მხედველობაში უმჭველესი მოდელია ორი რამ: 1. ანისი იყო კოხტასთავს მისული მონღოლთა მთავარსარდლის სარეზიდენციო ქალაქი და 2. ანისშივე წაიყვანეს შეპურობილი კოხტასთაველები.

თუ ბიჩუ მართლაც ანისიდან მოვიდა, მაშინ ის ჭავახეთიდან მოადგებოდა კოხტასთავს. ასეთ ვითარებაში ლიხთიმერელთა გას წრებისათვის (მათი გზა სამცხეზეა) სულ მცირე დრო იყო საჭირო.

ვახუშტი ცდება, როცა ფიქრობს, რომ კოხტასთავს შეთქმულები თითქოს „ლიხთიმერელთ უცდიდნენ მუნეე“².

სახელოვან ისტორიკოსს, ეტყობა, მხედველობიდან გამორჩენია მისი წყაროს (ჟამთაღმწერელი) ცნობა კოხტასთაველთა პაემანის ადგილის შესახებ (შიდა ქართლი)³.

ჟამთაღმწერლის ცნობით, კოხტასთავს მონღოლთა მისვლისას „ლაშქარი გაყრილ იყო და ვერდარა წინაღუდგეს“ ქართველები მოწინააღმდევებას⁴. ამ ცნობის პირველი ნაწილი სწორი არ უნდა იყოს. როგორც ივ. ჭავახიშვილი შენიშნავდა, შეთქმულთ ამ დროს ლაშქარი გაყრილი კი არა, ვერ კიდევ შეყრილი არ უნდა ჰყოლოდათ⁵. თათბირის წინ სამისო პირობები მართლაც არ იყო. ამ დროს ვერ კიდევ არც მოქმედების საერთო გაგმა იყო შემუშავებული, არც ბრძოლა იყო მოსალოდნელი და ლაშქრის წინასწარ შეყრაც შეთქმულთა ზრახვების გამეღავნებას საფრთხეს უქმნიდა. არ შეიძლება უოველივე ეს შეთქმულებს გათვალისწინებული არ ჰქონოდათ.

ულაშქრო მთავრებს, რა თქმა უნდა. წინააღმდევების ძალა არ შესწევდათ და მონღოლებსაც მათი შევყრობა არ გაძნელებიათ. შეპურობილი შეთქმულები მონღოლებს შირაკავანში (ანისის ქვეყანა) წაუყვანიათ⁶. აქ ისინი უნდა დაეკითხა მონღოლთა მთავარსარ-

1 ინგილთ ჭანაშვილი, ერთობის საჭიროებაზედ, „დროება“, 1875, № 451, გვ. 3.

2 ვახუშტი, საქართველოს ისტორია, I, გვ. 234.

3 გამთაღმწერელი, გვ. 215.

4 იქვე.

5 ივ. ჭავახიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 139.

6 უამთაღმწერელი, გვ. 215.

თალ ბიჩუს და არა „ჩარმალან ნოინა“, როგორც ამას შეცვლილი
მიუთითებს ეამთაღმწერელი¹.

მთავარსარდლის კითხვაზე: „რა არს შეკრება თუ მუჭამარეულია? არა იქმ განდგომილებასა? ქართველ დიდებულებს უპასუხნიათ: „არა განდგომას შევკრბით, არამედ რათა განვაგოთ საქმე თქმუენი და ხარკი განვიჩინოთ“².

შეკრების მიზეზის ასეთი გადათქმა დანაშაულიდან თავდახუნის მიზნით იყო მოფიქრებული. შირაკვანს მოყვანილ ქართველ დიდებულთა უმრავლესობას სწორედ დუმნისთავები შეადგენდნები, რომელთაც ქვეყნის მონლოლური წესით მართვა, ხარჯის განწესება და სხვა ხელიშითვებიდათ. ეამთაღმწერლის მიხედვით, ქართველთა პასუხი მთავარსარდალს გულს მოხვედრია, მაგრამ „არა სრულია დ ირ წმუნა“³ და ტანხევის მეთოდის გამოყენებით სცად ტყვე ქართველთა ზრაცხების შეცნობა. მაგრამ არაფერი გამოუყიდეს: ქართველები ყოველთვის ერთსა და იმავეს „დაამტკიცებდეს“: შევიკრიბეთ, „რათა განვაჩინოთ ხარაჯა“⁴.

ასე გავრმელდა „მრავალულე“. ამასობაში „მოეახლა პაემანიც“ და „მოვიდა დადიანიცა ცოტნე, ლაშქრითა... ადგილსა, რომელ არს ჩამოსაგრეთა ხვედრი. ეამთაღმწერლის მტკიცებით, აქ შეუტყვია მას თანამოსაგრეთა ხვედრი. ამიტომ „წარავლინა ლაშქარი თვისი, და რომითა კაცითა წარვიდა ანისად, დამდები სულისა თვისისა“⁵.

ვახუშტის მტკიცებით, კოხტასაავს მისულ ცოტნეს თითქოს იქ გაუგია „ყოველი ყოფილი“ და იქიდანვე „წარვიდა... ანისაა“⁶.

ეს შეცდომა აუტორის იმ უკვე ხსენებულ უზუსტობას ემყარება, რომლის მიხედვითაც შეთქმულთა პაემანი ვითომიც კოხტასთავს ჰქონდათ დანიშნული.

1 ეამთაღმწერელზე დაყრდნობით ამავე შეცდომას უშევებს ვახუშტიც. შისა თქმითაც, „შეთქმული მიიყვანეს ჭარმალისა წინაშე“ (საქართველოს ისტორია, წ. 1, გვ. 234). დ. გვრიტიშვილის მტკიცებითაც: „დაპატიმრებულები ნინი ჩორ-მალონს წარუდგინეს“ (ნარკვევები საქართველოს ისტორიიდან, გვ. 193).

2 კამთაღ მწერალი, გვ. 215.

3 იქვე, გვ. 216.

4 იქვე.

5 იქვე.

6 იქვე.

7. ვახუშტი, დასახ. ნაშრ., გვ. 234.

ივ. ჯავახიშვილმა ეჭვი შეიტანა ქამთაღმწერლის ჩეკითუს
საინტერესო ცნობაში და იგი „დაუკერებელ გარემოებრივადან-
ნია“¹

დ. გვრიტიშვალი არ ეთანხმება ივ. ჯავახიშვილს და ცოტნე
ზაფიანის მიერ ლაშქრის შეყრა „რეალურად“ მიაჩინა. ეს მოსაზ-
რება აეტორის შემდეგ ვარაუდებს ემყარება:

1. მონლოლებს არაფერი უნდა სცოლოდათ კონტაქტით შექ-
რებულობაში ცოტნე დაზიანის მონაწილეობის შესახებ. „დაპატიმ-
რებულმა ქართველებმა არ უთხრეს მონლოლებს, ჩვენთან ერთად
ცოტნე დაზიანი და სხვა იმერელი ზავრებიც იყვნენ“².

2. „მონლოლთა წარმომადგენლები დასავლეთ საქართველოში
არც იყვნენ. ასე რომ... მონლოლებმა არაფერი იცოდნენ, რომ ცოტ-
ნე დაზიანდა თავისი ლაშქრი რეინისგვრილან უკან დაპრუნა“³.

იმ მოსაზრებებსა და ქამთაღმწერლის ზოგიერთ ჩვენებას ეწი-
ნააღმდეგება ცკანასკრელის მონათხრობში დაცული რამჟენინე ნი-
შანდობლივი ცნობა, რომელთაგან საინტერესოა შეთქმულთა პერი-
ოდის აზგალად შეძა ქართლის დასახელება⁴. თუ ეს ასე იყო ნინაძ-
ლვილები, მაშინ ლაშქრით მომავალ ცოტნე დაზიანს რეინისგვარზე
არაფერი ესაქმებოდა, ის ლიხის ქედით უნდა დაძრულიყო. რადგა
შიდა ქართლისა და ლიხთომერეთის დამაკავშირებელი გზები ამ
ქალზე გადიოდა.

თუ დაზიანი ლაშქრით მოუდიოდა, შაშინ რატომ იყო ის შარტო?
სად იყვნენ შეთქმული რაჭის ერთოთავი, ბეჭიანი და სხვა ლიხთ-
იქითელი ფეოდალები? ეს შეუსაბამობანი, ჩვენის იზრით, იმას
უნდა მოწმობდეს, რომ ამერელ მთავართა შეპყრობის ცნობა ცოტნე
დაზიანს „რეინისგვარზე“ კი არა, შინვე უნდა მიეღო. აქეე უნდა
გადაეწყვიტა მას ანისში გამგზავრებაც. ამიტომ მიფიონა ის რეი-
ნისგვარით, და შემდეგ: არა ლაშქრით, არამედ მხოლოდ რამდენიმე
მხლებლით. რეინისგვარიდან ცოტნემ ჩიიარა სამცხე, ჯავახეთი...
და ანისს მიერდა.

ქამთაღმწერლის მოწმობით, ლაინახა თუ არა მან ქალაქის მა-

¹ ივ. ჯავახიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 140.

² დ. გვრიტიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 196.

³ იქვე.

⁴ ქამთაღმწერლი, გვ. 216.

⁵ იქ 3 3.

ლობლად უმოწყალოდ დაყრილი თანამემამულენი, „გარდაჭრა ვა-
ნესავან, და დაპირი სამოსელი თვესი, განშიშულია, და შეიცავს
მკარნი, და დაჭდა წარჩინებულთა თანა“¹. ბერლინის
1. 1872 წლის 2 მარტის დასტანციული აქტის მიხედვით.

როცა გაკვირვებულ მონღლობას, ცოტნებითი ასეთი საქციელის შეზღიუვითხავთ, მას იგივე განუმეორებია, რასაც მისი თანამოსაგრძნი დღენიაზე გაიძახოფნენ და თან დაუმატა: რადგან „აწ თქუენ ძვრის-მოქმედთა თანა შეგურაცხენით, და მე ამის ძლია მოვედ წინაშე თქუენსა, რათა გამოიყოთხოთ, და უკეთუ ღირსი რამე სიკუდილისა უქმნიოს, მეცა მათ თანა მოვკუდე; რამეთუ თვინიერ ჩემსა არარა უქმნიოს; უკეთუ ცხოვნდენ მეც მათ თანა ვაყონ“.

დაუგიანის მოხერხებაშ სძლია მონღოლთა გელუბრყვილობას
და მათ გაათვისუფლეს შეოქმულნი.

ცოტნეს თავდადებას, უდავოდ, დიდი შთაბეჭდილება უნდა მოეხდინ. თანამედროვეებზე. მან აღტაცებაში მოიყვანა უამთალმწერელაც. დაჯირების მოქმედება, მისი თქმით, იყო „საონოება მაღალადა განსათქმელი, საქმე საკირველი და ყოვლისა ქებისა ლირი“¹.

ამ ეპიზოდს განსაკუთრებული ყურადღება მიაქციეს XIX საუკუნეში, როცა საქართველო მეფის რუსეთის რეაქციას ებრძოდა.

ცოტნე დადიანს სპეციალური წერილები მიუძღვნეს დ. ჯანაშვილმა (1875 წ.)⁴ და თ. კორდანიამ (1891 წ.)⁵, ხოლო იაკობ გოგაბაშვილმა (1895 წ.)⁶ და აკაკი წერეთელმა (1900 წ.)⁷ მამაცი ერი-თავის თავდადება სიტყვაკაზმულ მწერლობაშიც შემოიტანეს.

კოტნე დადიანი იმ კლასის შვილი იყო, რომელმაც თავისი
პატიონტულ-პროგრესული სახე კარგად წარმოაჩინა ფეოდალიზმის
დაღვინება-ფამილიურებისათვის ბრძოლის პერიოდში. XIII საუკუნის
ნახევარში, როცა განთქმული დაჭიანი მოღვაწეობდა, ფეოდალური
საქართველოს განვითარებას იმ უონისათვის მიუღწევია, როცა

1 g o 3 m o 3 d - 3 g 3 o 1 / 3 o , 33- 216.

20 JUN 2003

3 ed. 33, 23. 216.

4 ინგილო განაშვილი, ერთობის სიქიროებანი, „დროება“, 1875,
№ 451, გვ. 3.

5 კარი (თ. კორდანი), ლოტნე ლატიანი და შისი ვიზობა. ლევრია, 1891, № 248, გვ. 1—2.

7 ၃၄၂၂၀ ၆၁၈၉၅ ၂၇၀၊ ဒေသရာဇ် ၂၁၁၅။

ქვეყნის შემდგომი პროგრესი ახალი საზოგადოებრივი კლასი (მე-
სამე წოდება) ჰეგემონიას მოითხოვდა და მზადდებოდა ანუ მეცნიერება
და ასეთი ძალის ფართო საზოგადოებრივ-პოლიტიკურ საობიელ-
ზე გამოსაკვლეულად. მაგრამ XIII საუკუნის 20-იანი წლებიდან გან-
ვითარებულმა საგარეო გართულებებმა ეს დიდი წამოწყება შეა-
ფერხა. თაოართა მფლობელობამ ქვეყანაში რეაქცია დაასაღვურა.
საკუთარი კეთილდღეობისა და გამდიდრება-მოხვეჭის უძლოში სურ-
ვილით ანთებულ მედროვე-რეაქციონერთა (სუმბატი, სადუბი, ხურ-
ლუბულა და მისთ.) დრო დადგა. მართალია, მარტო ასეთებით არ
ამოიწურება იმდროინდელი ქართული ფეოდალური საზოგადოება
და ამათ გეერდით გმირი პატრიოტებიც იყვნენ, მაგრამ უპირატე-
სობა პირველთა მხარეზე იყო, რადგან ქვეყანას საამათო ზარი ედ-
გა, უკანასკნელი კი, თუმცა თავდადებით იღწვოდნენ, მაგრან
„ამინდს კერა სცვლიანა“¹.

კოხტასთავის შეთქმულების თარიღი უამთაღმწერელს არ შოე-
პოვება. სხვა წყაროებში კი ამ მოელენის შესახებ ცნობები არა
ჩანს. საყითხის გასათვალისწინებლად ისევ ქართველი ისტორიკოსის
ცნობებს უნდა მივმართოთ.

ყურადღებას იქცევს ის გარემოება, რომ წყაროში შეთქმულე-
ბას წინ უსწრებს შამელ თურქთა შემოსევა, ხოლო შემდეგ დავით
ლაშეს ძის ძებნა და მონლოლეოთში გამეზაერება.

პირველი, უამთაღმწერლის მიხედვით, შეთქმულების თანმხდე-
რი მოვლენა ჩანს. ამას მოწმობს მისი ნიტყვები: „ამათ შეფოთ
თა ა შეკრძეს ყოველნი მთავარი საქართველოსანი კონტა თავსა“².

„შეოთში“ აქ შამელთა და რუმის თურქმანთა ლაშქრობა იგუ-
ლისხმება.

უამთაღმწერლის მოწმობით, „ვითარ სცნეს თურქთა შამს
შყოფთა უმეობა ქართველთა, და ლაშქართა საქართველოსათა
ალმუთს წარსლვა თათართა თანა, და უცალოება
ქართველთა... გამოემართნეს ოქრებად საქართველოსა“³.

1. ბ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხებიდან, მრავალ-
თავი, 1, თბ., 1964, გვ. 14.

2 ამათ შეოთთა M. უამთა ამათ შეოთთა T, ხოლო ამა შეოთთა V, ე მთ-
ალმწერელი, გვ. 215, შეღარებანი, სტრ. 1.

3 იქვე, გვ. 215.

4 ე ამთაღმწერელი, გვ. 212.

უმეტობის ხანის მიხედვით ეს ფაქტი 1245 წლის უადრესის
ეგველისხმება.

ეამთაღმწერლის ცნობით, შეთქმულთ კოხტასთავის მიზნების განვითარება
პაჩში აღმუთს ლაშქრობის სიმძიმეზეც ჰქონიათ მსჯელობა. ძობლო-
ლები „ბოროტად გაუჭირვებენ ესეოდენ. რომელ კოველ კოველთა
წელთა აღმუთს წარვალთ ვირთა და კოველთა და კოველთა
დუაწლთა შემთხუევად“¹.

ყურადღებას იქცევს აქ დაზარტურებული „ყოველთა წელთა
აღმუთს“ ლაშქრობა. ეს ცნობა აღმუთზე ბრძოლის განახლებას
, მეფობის“ ხანაში (1245 წლის უადრეს) გვავარაულებიხებს, რადგან
კოხტასთავს შეთქმის უამს ეს „ყოველთა წელთა“ მეორე ლაშქრობას
მაინც გულისხმობს.

პლ. კარპინის ცნობაზე („ქართველები ლამის არის აჯანცდნენ“),
დაყრდნობით ივ. ჯავახიშვილი წერდა: „ეს გარემობა უფლებას
გვაძლევს ვიფიქროთ, რომ კოხტასთავის შეთქმულების გამომწვევ
მიზნებად აღმუთის ლაშქრობა აუცილებლად საჭირო არ იქნებოდა,
რადგან ნიადაგი მანამდე დიდი ხანია მზადა ყოფილა“².

ქვემოთ ავტორი კვლავ უბრუნდება აღმუთზე ლაშქრობის
როლს შეთქმულებაში ზა ჭუევინის ცნობებზე (გუიუქის მიერ აღ-
მუთზე ლაშქრობის „ზაწყება“, ყალნის გაღიღება) ასკვნის, რომ
„კოხტასთავის შეთქმულების უახლოეს საბაბად, როგორც უამთაღმ-
წერლის მოთხრობისან ჩანს, შეიძლება მართლაც მოპლიდთა წინა-
ლედეგ ლაშქრობის აუტანლობაც ყოფილიყო“³.

მართალია, ყალნის გადიდებამ, რომელიც 1246 წელს გან-
ხორციელდა, კიდევ უფრო სამძიმო გახადა თანამილაშქრეობის
ბევრა, მაგრამ კოხტასთავის შეთქმულება, რომ აღრე უნდა მომზდა-
რიყო ამას გვაფიქრებინებს შეთქმულთა შორის სარგის თმოგვე-
ლის ყოფნა, რომელიც შემდეგ დიდ ყავნთან გამგზავრებული დავია
ლაშის ძის ამაღლაში ჩანს⁴. ლაშის ძის საქართველოდან წასკლა კი
1245 წლის შემოღვომის უგვიანეს აღარ შეიძლება ვიგულისხმოთ.
რადგან 1246 წლის ავეისტოში (თუ რამდენადმე აღრე), როგორც
ითქვა, ის უკვე ყარაყორუმშია.

¹ კამთაღმწერელი, გვ. 215.

² ი. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, III, გვ. 137.

³ ი. ჯავახიშვილი, გვ. 142.

⁴ კამთაღმწერელი, გვ. 219.

საყურადღებოა. რომ ეამთაღმწერელსაც ლაშას ძებნის და
მონღოლეთში გამგზავრების ამჟავი შეთქმულების შემდეგ ჩეჩენის ტერიტორიაზე გადამდინარე თხრობილი.

ყოველივე ზემოხსენებული (უმეფობა, სარგის თმოგველის ყოფ-
ნა კოხტასთავს, ამბების უამთაღმწერლისეული დალაგება და სხვ.),
საფუძველს ვეაძლევს ვითიქროთ, რომ კოხტასთავს შეთქმულება
1245 წლს უნდა მომხდარიყო. თუ აյ იმ „სიცხვაპუ“ მივაქცია
ყურადღებას, რომელიც მონღოლებმა შეთქმულია ვამოსატეხად
გამოიყენეს, მაშინ ეს ფაქტი ავლის-აგვისტოში უნდა ვიგულის-
ხმოთ.

ამ შექმენის ნათელი ხდება ყარაყორუმს 1246 წლის ზაფხულში
ქართველთა აჯანყების მცდელობის შესახებ მიღწეული ხმის რაობა.

სამისო წყაროს (ყარაყორუმში მყოფი ქართველობა) პირდა-
პირ მიუთითებს პლ. კარპინი!

ჩვენს მოსაზრებას ერთგვარ წინააღმდევობას უქმნის და ახსნას
მოითხოვს კარპინის ცნობა: ქართველებს „ვანზრახელი აქვთ ამბო-
ხება მოაწყონ“².

ვ. ქიქოძის ვარაუდით, აქ თითქოს ის აჯანყებები უნდა იგულის-
ხმებოდეს, რომელიც 1259—60 წლებში მოხდა³. დაუჭერებელია.
რომ 1246 წელს სცოდნოდათ ქართველებს, რას მომოქმედებაზე
ისანი 13—14 წლის შემდეგ. ჩვენი აზრით, პლ. კარპინის ცნობა,
კოდტასთავის შეთქმულებას უნდა გულისხმობდეს.

უცელა ზემოხსენებული ცნობა-დაკვირვება საფუძველს ვითქ-
მის კოხტასთავის შეთქმულება 1245 წლის ზაფხულით დათაოილ-
დეს.

ღ. ბაქრაძის მითითებით, ეს ფაქტი განსხვავებული სახით თით-
ქოს აუსახავს სომხურ საისტორიო მწერლობასაც⁴. მისგან დამოუ-
კიდებლად ამ უკანასკნელ დროს ასეთივე აზრი გამოთქვა ნ. შო-
შაშვილმაც⁵.

ივ. გავანიშვილმა თავის დროზე გულმოზგინედ განიხილა ეს
ცნობები და მათი ქართულ წყაროსთან შეჯერება-შესწავლით მივი-

1 3 ლ. კარპინი, გვ. 36.

2 იქ 3 ლ.

3 იქ 3 ლ. მოარქმნელი, შენიშვნები, გვ. 70, შენიშვნა 59.

4 ეს შტრი, საქართველოს ისტორია, I, გვ. 224, შენიშვნა 1.

5 გრ. ავანეცია, დასახ. ნაშრ., ლამატება, გვ. 122.

და მართებულ დასკვნამდე: „ეუმთალმწერულისა და სომები იქტორის კოსთა მოთხოვები ერთსა და იმავეს კი არა, არამედ გიგანტებისა ამბავს ეხება“¹.

ეს ამბავი მხოლოდ ფინალით მიაგავს კოხტასთავის შეთქმულებას. ისიც სა ჩაიშალა, როგორც უკანასკნელი. სხვა მხრივ მათ შორის თანხმობა არაფერშია. დროც სხვა არის (1249 წ.), აღვალი² (თბილისი), მოქმედი პირებიც სხვანი არიან და ა. შ.³.

კოხტასთავის შეთქმულება არც ხასიათით ჰგავს უკანასკნელს. ქართველი მთავრები იმ საქმეს კი არ შეუყრია კოხტასთავს, რასაც თბილისის შეთქმულება ისახავდა მიზნად, არამედ იმ უკმაყოფელებამ მიიყვანა იქ, რაც თათართა განიაზაგებულმა ლაშქრობებმა თუ დამპყრობლის სხვა ვალდებულებებმა გამოიწვიეს.

თ ა ვ ი VII

მართველობის ჩართული ცისტოგის აღდგენა, ორმეულობა, კვლავ შეთქმულება

განვითარებული ქვეყნისათვის შეუსაბამო მართველობის უცხოერმა სისტემამ სულ რამდენიმე წელიწადს იძოგინა და „გზა“ ისევ ქართველს დაუთმო. ეს ყარაყორუმიზან ქართველი ვეფურების დაბრუნებისთანავე მოხდა.

ამ ფაქტის თარიღის გამოსარკვევად საგვლისხმოა კაპიტანი¹ ერთი ცნობა, რომელიც მონღოლეთში ქართველი უფლისწულების² საკითხის გადაწყვეტას გვამცნობს. ამ ფაქტის ქვემო საზღვარი 1246 წლის ავეისტოა, როცა გუაუქი დიდი ყაენის ტახტზე ავიდა³ (მანამდე მას ქართველ უფლისწულთა მეფედ დამტკიცების რწმუნება არ ჰქონდა), ხოლო ზემო — იმავე წლის 13 ნოემბრის (ბრინ-

1 ივ. კავანიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 142.

2 გ. რ. აკანეცი, გვ. 28, 30, 123—124.

3 3 ლ. კარპინი, დასახ. ნაშრ., გვ. 37.

ცას დოფესასწაული) ახლო ხანები, როცა კარპინი მონარქიული მიზანისას გამოემგზავრა.

ჩვენ არ ვიცით დამტკიცებისთანავე და ერთად მონარქიული ნენ ქართველი მეფები, თუ მოვეიანებით და ცალ-ცალკე. სტეფანოს ეპისკოპოსის ცნობილი მხოლოდ ის ჩანს, რომ ლაშას ძე ყარაყორუმიდან სომხეთი წელთაღრიცხვის 697 (1248) წელს მოსულა².

ამასვე აზასტურებს ქართული წყაროს ზოგიერთი ჩვენებაც, შაოგან განსაკუთრებით საინტერესოა ეპთაღმწერლის ერთი ცნობა, რომლის მიხედვითაც დაეით ულუკ 1250 წელს უკვე შვილი ჰყავს³.

ცხადია, თუ უფლისწული გიორგი 1250 წელს დაიბადა, ულუ ერთი წლით ადრე მაინც უნდა დაქორწინებულიყო ალთუნზე. რადგან ეს ფაქტი ლაშას ძის საქართველოში მოსვლის შემდეგ იგულისხმება, ულუც 1249 წლისათვის მონდოლეთიდან დაბრუნებულად უნდა მივიჩნიოთ. ამავე ხანებში უნდა დაბრუნებულიყო სამშობლოში რუსულანის ძეც.

ქართველი უფლისწულების მეფობის საკითხი დიდ ყაენს მონარქური წესით გადაუწყვეტია. პლ. კარპინის მტკიცებით, ამის ინიციატორი თითქოს დავით ლაშას ძე ყოფილა. მისი გამეფების შეუძლებლობას რუსულანის ძის დასი უკანონო შვილობით ასაბუთებდა. პაპის დესპანის თქმით, უკანასკნელი მოწინააღმდეგების ასე უპასუხებდა: „თუმცა მე ხასის შვილი ვარ, მაგრამ სამართალს კონსულობ თათრების კანონის მიხედვით“⁴. ამ ცნობაზე დაყრდნობით ივ. ჯავახიშვილი წერდა: „რომის დესპანის ნაამბობი ამტკიცებს, რომ ლაშა-გიორგის ძეს დავითს და მის დასს მართლაც გამარჯვების მოსაპოვებლად ისეთი უკადრისი საშუალებისა და ხერხისათვის მიუმართავს, როგორიცაა უცხო, დამშერობელი ერის სამართალზე დამყარება და ამ გზით საქართველოს სახელმწიფო სამართლის კატეგორიული მოთხოვნილების დარღვევა“⁵.

1 პლ. კარპინი, გვ. 62, იხ. აგრეოვე, მთარგმნელის შენიშვნები, გვ. 72, შენიშვნა 97.

2 სტეფანოს ეპისკოპოსი, გვ. 35.

3 ე ამთაღმწერე ლი, გვ. 257, შეტ. თ. ე თ რ დ ა ნ ი ა, „ქრონიკები“, გვ. 141, ივ. ჯავახიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 147, შენიშვნა 1.

4 პლ. კარპინი, გვ. 37.

5 ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, III, გვ. 130.

ქართველებისათვის ეს მართლაც დიდი უარყოფითი მნიშვნელობის ფაქტი იყო, მით უმეტეს, როცა მას მეფე უკავშირდებოდა და გამოიყო და არა ზემოდან ნაკარნახევი გარემოება. თათართა ხელი-სუფლებისათვის ეს აქტი მარტოოდენ იმით კი არ იყო საინტერესო, რომ მეფობის სასურველ კანდიდატს უხსნიდა გზას, არამედ იმითაც, რომ ქართული საპართლის უარყოფის სანიმუშო პრეცედენტს ქმნიდა. ძნელი საჩწმუნოა, ასეთ ვითარებაში დიდი ყაენი და მისი კარი ტახტის პრეტენდენტთა დავის გულგრილ მაყურებლად დარჩენილიყო და დავით ლაშას ძისათვის გამოსავალი არ მიენიშნებინა.

სამეფო ტახტზე ისეთი მტკიცე საფუძვლის ვითარებაში, რომელიც ჩასულანის ძეს გააჩნდა, მეტოქე მეფობას თუ მოიპოვებდა, პირეელობაზე პრეტენზია მაინც არ უნდა ჰქონოდა. მაგრამ თუ ესეც გაინაღდა, ამის მიხეზი „უხუცესობა“ კი არ იყო, როგორც ეს უამთალმწერელს მიაჩნია, არამედ თათართა პოლიტიკა. ამავე პოლიტიკის ნაყოფი იყო ლაშას ძის ჯიგდა-ხათუნზე დაქორწინებაც.

როგორ უნდა წარმოვიდგინოთ ევროპული და სპარსული წყაროების თანხმობრივი ცნობა ულუ დავითის გაუფროსებისა და ნაინ დავითის მისდამი დამორჩილების შესახებ?

ქართველი უამთალმწერლის მიხედვით, ეს საქმე სამეფო ტახტზე ლაშას ძის „ზე მო ჯდომის“ პატივში გამოიხატებოდა². ეს „ზემოჯდომა“ კი იმავე ტახტზე იგულისხმება, რომელზეც ქვემოთ ნარინ დავითი უნდა მჯდარიყო. ამას არ ეთანხმება კირაკოსი. მისი მტკიცებით, ტახტიც ერთია და მეფეც. ეს არის თბილისის ტახტი და მეფე დავით ლაშას ძე, რომელსაც, როგორც უფროსს, დიდი ყაენის მეტ დაწესებული რიგის მიხედვით, ვითომიც, პირვე-

¹ ე ა მ თ ა ლ მ წ ე რ ე ლ ი, გვ. 227.

² როგორც დელოფლის სახელი მოწმობს, ის მონლოლი ქალი უნდა უოფალიყო, სად იქორწინა ლაშას ძემ ჯიგდა ხათუნზე, სააშისო პირდაპირი ცნობა არ მოგვეპოვება. ირაპირდაპირი მონაცემებით კი ეს ქორწინება ყაენის კარზე უნდა მომხდარიყო. ამას გვავარაუდებინებს შემდეგი გარემოებანი: 1249 წელს ულუმ, დელოფლის უნაყოფიბის გამო, მეორე ცოლი (ალთუნი) შეიყვანა სასახლეში. ჯიგდა-ხათუნის უშეილობის დასადასტურებლად კი, როგორც მიუთითებდა იყ. ჯავახშვილი, 2—3 წელი მაინც უნდა უოფილიყო საჭირო (ი. ვ. გ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრ., გვ. 146).

³ ე ა მ თ ა ლ მ წ ე რ ე ლ ი, გვ. 227.

ლად ერგო მეფობა! ასეთი რამ გაუგებრობის ნაყოფია, გადგან
მორიგეობით მეფობის ის წესი, რომელზეც სომხეთი უსტურებულია
მიუთითებს, არც თათართა სახელმწიფო სამართლის წორშეს შეე-
საპამებოდა და არც ქართულს. უფრო სარწმუნოა ქართველი ეძ-
თალმწერლის ცნობა, რომელიც მტკიცე საბუთიანობას ემყარება.
„....მრავალი სიგელი იპოვების, — წერს იგი, — და თვი მე მინა-
ხავს, რომელ სიგლებისა თავსა სწერია: „მეფენი ბაგრატიანი“ და
„ნებითა ღ'თისათა, დავით და დავით“ და კელიცა ორთავესა
რთავს:“².

ნარინის ლიხთიმერეთში გადასვლა და ქუთაისის ტახტის წარ-
მოქმნა მოვინანებით მოხდა.

სტეფანოს ორბელიანი ამ მოვლენას რუსულანის ძის თათართ
ტავეობიდან გაქცევას უკავშირებს და მას სუმბატ ორბელის ყაჩა-
ყორუმში პირველი გამგზავრების (1251—2 წწ.) უწინარეს გულის-
ხმობს³.

ნარინის ლტოლვილებასთანვეა დაქავშირებული ქუთათისის ტახ-
ტის წარმოქმნის საყითხი ქართველ ეამთალმწერელთანაც⁴.

საყურადღებო ცნობებთან ერთად, სომხურ და ქართულ წყა-
როს შორის ზოგიერთი სხვაობაც არის და შეცდომა-შეუსაბამობაც;
მაგრამ ეს ვერ ანელებს მათდამი ყურადღებას.

მიუხედავად იმისა, ჰაბანდის სანახებიდან მოილტვოდა ამ
დროს რუსულანის ძე (სტეფანოსით)⁵ თუ ნახშევანიდან (ალატალი-
დან ბარდაც განწესებული)⁶, ერთი აშკარაა, რომ ავაგ ათაბაგის
ქვეყანა გამოიარა. ეამთალმწერელი ამას პირდაპირ მიუთითებს⁷,
ამასვე მოწმობს სტეფანოსის მონათხრობიც; ანნაური თანკრეცუ-
ლი, რომლის დაბაზეც მეფემ გაიარა, ორბელთა სახლის ყმა იყო.
ორბელი კი ავავის ყმა. მაშემაზამე, ქვეყანა ავაგისაა.

1 კირაკისი, გვ. 68.

2 ე ა მ თ ა ღ მ წ ე რ ე ლ ი, გვ. 227.

3 ს ტ ე ჭ ა ნ ი ს ი, გვ. 71; ნ. ბ ე რ ა ღ ნ ი შ ვ ი ლ ი, ეპიზოდი ფეოდალუ-
ს ხევარეულოთა სამამულო პრძოლიდან XIII საუკუნის საქართველოში,
გვ. 204—205.

4 ე ა მ თ ა ღ მ წ ე რ ე ლ ი, გვ. 228—229.

5 ნ. ბ ე რ ა ღ ნ ი შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრ., გვ. 204.

6 ე ა მ თ ა ღ მ წ ე რ ე ლ ი, გვ. 228.

7 ი ქ ვ ე.

მაგრამ ჩვენთვის საინტერესო არაა თანკრეცული გაფაულგა
მეფეს წინ (სტეფანოსით), თუ მისი პატრონი სუმბატიერიშვილი¹—
რომით, ან კიდევ მისცა ძვირფასი თვალი პატრონის პუბლიშებდ
თუ თეთი სუმბატის, ანუ მისცა კი საერთოდ? იმ საკითხისათვის,
რომელიც ჩვენ გვაიხტერესებს, საგულისხმოა მხოლოდ ერთი:
ორივე წყარო დავით ნარინის „სონთა“ (სტეფანოსი) ან „აფხაზთა“
(ქამთაღმწერელი) მეფედ გახდომას უკავშირებს იმ ლტოლვილებას,
რომლის ღრმასაც იგი ავავის ქვევანაზე გამოვლით მოისწრაფვოდა
ლიხთიმერეთში. მაგრამ, როგორც ჩანს, ამ შეთქმულებას (ან აჯან-
ყებას) არ მოჰყოლია რუსულანის ძის ჯას საქართველოში დამკვიდ-
რება. ასე რომ, ორმეტობა საქართველოში თავდაპირველად ერთი
ტახტით ხორციელდებოდა.

ასევე იყო რუმშიც, სადაც სულტნის ტახტზე მონღოლებია
ლიას ად-დინის სამივე ძე დასვესა.

თბილისში მეფეთა დასხვომის შემდეგ ქართველები კვლავ
აჯანყების თადარიგს შედგომიან და მათთვის ერთ მეფესაც აუბასს
მხარი.

კირაკოსის მიხედვით, ეს მეფე ულუ დავითია (ნარინი „სონთა“
ქვეყნის მეფეა)². ასევეა ვარდანთან³, სებასტაციან (უკანასკნელი
თითქმის სიტყვასიტყვით იმეორებს პირველს)⁴ და გრ. აკანეცია-
ნაც⁵.

ჩვენ ეს ცნობა სარწმუნოდ არ გვეჩენება, ამაზე მიგვანიშ-
ნებს როგორც ლაშას ძის მაშინდელ მდგომარეობაზე დაკვირვება,
ისე სომხურ-ქართული წყაროების საამისო ცნობების შესწავლა-შე-
ჭრება.

დავით ულუს თაორებმა დაზი წყალობა უყვეს, რის გამოც ის
ასე აშკარად ანტიმონლოლურ მოძრაობას ვერ დაუშერდა მხარს.

ამის სასარგებლოვანე მიუთითებს წყაროებში ავაგ ათაბაგზე
დაცული ჩვენებანი. კირაკოსისა და გრ. აკანეცის თანხმობრივა
აღიარებით, შეპყრობილი მეფე და მთავრები ავაგმა იხსნა. აკანე-

¹ В. А. Гордеевский. Государство селджукидов Малой Азии, Издранные
сочинения, I, Москва, 1960, გვ. 66.

² კირაკოსი, გვ. 68, 71.

³ ვარდანი, გვ. 8.

⁴ სებასტაციანი, გვ. 26.

⁵ აკანეცი, გვ. 26—30.

ცის ცნობით, იგი მთავარსარდლის პანაკში, როგორც ავადმყოფი, ტახტრევნით მიუკვანიათ და მხოლოდ მის სიტყვის მიზანი მარტინი¹ თათრები, „შევშენენ ქვეყნის ჩბევას და მიანიჭეს მშვიდობა საწყალობელ ქრისტიანებს“².

კირაკოსს ავაგის ავადმყოფობაშე არაფერი აქვს ნათქვამი. მისი ცნობით, თათართა მთავარსარდალთან პირველად ავაგის დედა, ხოშაქი მისულა და შვილის ერთგულება და მათთან ძალე გამოცხადება უცნობებია³. ათაბაგხაც არ შეგვიანებია და მრავალი მოწმით დაუდასტურებია თავისი „ერთგულება“⁴.

რაც შეეხება მეფეს, იგი პატიმრობაში ჰყავდათ „სამი ღლის განმავლობაში“ და მხოლოდ საზღაურის გაღების შემდეგ გაავავისუფლესო, დასძენს სომეხი ისტორიკოსი⁵.

გრ. აკანეცის დუმილი მეფის განთავისუფლებაშე (საზღაურით ან სხვა რამით) ეჭვს აღძრავს კირაკოსის ჩვენების სისწორისადმი. ამასვე გვიკარნახებს სხვა წყაროთა ცნობები (სტ. ორბელიანი, უამთაღმწერელი).

თბილისის შეთქმულებაში მონაწილე მეფის ვინაობის გასაგებად საგულისხმოა განძაკეცისა და აკანეცის ცნობები ავაგზე. თუ ეს ნამდვილად ულც დავითის აჯანყებაა, როგორც კირაკოსისა და გრ. აკანეცს მიაჩინდათ, როგორ და რატომ უკავშირდება მას ასე მშეიღროდ ავაგი? მართალია, თათრებით, კერძოდ, დიდი ყაენის გადაწყვეტილებით ის კმაყოფილი არ იყო, როგორც რუსულანის ძის მომხრე, მაგრამ იმასთან ასე დაკავშირება, ვისი გამეფების (ლაშას ძის) წინააღმდეგაც ძალაუზოგავად იბრძოდა გუშინ, ძლიერ საეჭვოა.

მართალია, უამთაღმწერელი ირწმუნება, რომ ბიძაშვილ-მამი-დაშვილის ტახტზე თვისიერად დასხდომის შემდეგ „საეჭვილი იქმნა შანშესაგან ლაშას ძისა დავითის სიყუარული და ავაგისაგან რუსულდ ანის ძისა დავითისა მიმდ გომობა“⁶, მაგრამ ეს შედარებით გვიანდელ ვითარებას უნდა ასა-

1 გრ. აკანეცი, გვ. 30.

2 კირაკოსი, გვ. 71—72.

3 იქ 3 ვ, გვ. 72. შეთქმულების შემდეგ ავაგს დიდხანს ალარ უცოცხლია (ს ე ბას ტაცი, გვ. 27). შესაძლოა, ამავე ავადმყოფობამ იმსხერპლა იგი.

4 კირაკოსი, გვ. 72.

5 უამთაღმწერელი, გვ. 227.

ხავდეს, ვიზრე 1249 წლისამ, როცა ჯერ კიდევ განედები არ იყო დასთა წინა შელების პრიმოლა-პატრიობაზე. მას მიუჭირებულები ბიც მოწმობს: „შანშემ და ავაგმა თავიანთი გულისწალისტი: შეტყუაფუნაცხადეს“¹.

ეკვი არ არის, რომ ავაგი შეთქმულია, მაგრამ არა ულუსთან, არამედ თავის მეფესთან (ნარინთან) ერთად, თუმცა კევიანად იქ-
ცხვა და შესაძლებლობის ფარგლებში ნიღბავს თავის მოქმედებას.

ყოველივე ზემოთქმული საფუძველს იძლევა იმისათვის, რომ
ეს ამბავი დაუკავშირდეს სტ. ორბელიანისა და ქართველი უამთაღ-
მწერლის მონათხრობს ნარინ დავითის მონლოლთა ტყვეობიდან გაქ-
ცხვის შესახებ. ასეთი დაკავშირების შესაძლებლობაზე ჯერ კიდევ 1938 წელს მიუთითებდა ნ. ბერძენიშვილი², რომელიც რუსულანის
ძის ლტოლვილებას 1250—1251 წლებში გარაუდობდა³.

სტ. ორბელიანისა და უამთაღმწერლის მონათხრობი რამდე-
ნადმე განსხვავებულია, მაგრამ მათი შეთანხმება შესაძლებელია.

სტეფანოსით „სონთა მცირე შეფე“ ჰანანდის ბანაში ძალით
იყო მოყვანილი⁴. კირაკოსის მიხედვით კი, „მეფე დავითი“ და სხვა
მთავრებიც მთავარსარდლის ბანაში თითქოს თავისი ნებით მი-
სულან⁵. მონლოლებთან ამნაირადვე მისულად გულისხმობს ნა-
რინს უამთაღმწერელიც⁶. ქართველი ისტორიკოსის ცნობით, ყაფ-
თან მისული მეფე დაუბატიმრებიათ ალატალს⁷. მისივე მტკიცე-
ბით, ეს იმიტომ მოხდა, რომ ჰელაუ იყო „რუსულანის ძის დავი-
თისთვის მოძულე“⁸. სამისიო მიზეზებზე ავტორი ღუმს.

მეფის შეპყრობის უამთაღმწერლისული დაკავშირება ალა-
ტალთან მართებული არ არის, რაღაც ალატალი საზაფხულო სად-
გურად, როგორც აკანეცი (და სხვა ავტორებიც) ირწმუნება, ჰუ-
ლაუმ აქცია⁹. იგი წინა აზიაში 1255 წელს მოვიდა¹⁰. თუ კირაკოსის,

1 ე ა მთაღ მწერ ე ლ ი, გვ. 227.

2 ნ. ბერძენიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 205, შენიშვნა 2.

3 იქვე, გვ. 206, შენიშვნა 2.

4 იქვე, გვ. 204.

5 კირაკოსი, გვ. 72.

6 ე ა მთაღ მწერ ე ლ ი, გვ. 228.

7 იქვე.

8 იქვე.

9 ა კ ა ნ ე ც ი, გვ. 44.

10 ვ ა რ დ ა ნ ი, გვ. 10.

სტეფანის ორბელიანისა და უამთაღმწერლის მონათხოვის გართსა და იმავე ამბავს გულძმებობს, მაშინ ჰულაუ ყაენი აქ გამოსაზრისაც ვია, როგორც ავტორის ანაქრონიზმის შედეგი. გიგანტის გარემოება

ასეა თუ ისე, რუსუდანის ძე ტუვეობიდან გამოიქცა. მას ორი კაცი, ამირუჭიშ გურულელი ზა ბეგა სურამელი, ხლებია. როცა ლტოლებილ მეფესა და მის მხლებლებს „ქვეყნაზ ივაგ ათაბაგისა“ მოუღწევიათ, იგი „ნაგირობას მყოფმან სუმბატ ოჩბელმან“ შეიპყრო². სტეფანისით, მეფე სუმბატს კი არა, მის ყმას — თანკრულს შეუნიშნავს და დაუდევნებია შესაპყრობად³. აქ უფრო ხშირი ქართული წყაროს ცნობა ჩამას. რაღვან სტეფანისი სინამდვილეს უნდა ამასინჯებდეს სუმბატის სასარგებლოდ.

უამთაღმწერლით, სუმბატს მეფე „სახლად თვალი წაუყვანია“ და მას შემჯეგ გაუშვია, როცა „თუალიცა მისცა იგი სახელოვანი, რომელი წარეტანა დედასა მათსა რუსუდანს“⁴.

ის ფაქტი, რომ ქართველი უამთაღმწერელი არაფერს ამბობს იმაზე, უთხრა თუ არა რაიმე მეფემ სუმბატს თვალის მიცემისას, გვაფიქრებინებს, რომ სტეფანისის ცნობა (ნარინი რომ უბარებს თანკრეცულს) სინამდვილეს არ შეესაბამება და ავტორის შეთხზულია.

აქვე ამ თვლის რეალობის საკითხიც უნდა დაისკვამ. ნ. ბერძენიშვილის მითითებით, „შეიძლება ძვირფასი თვლის ამბავი სინამდვილეც არ იყოს“⁵. რა საბუთებს ემყარება ეს მოსაზრება არ კი ცით, ჩვენი დაკვირვებით, იგი ყაენის მიერ სუმბატისაუმი გამოჩენილი დიდი უურადღების საფუძვლის ხალხური ახსნით უნდა განენილიყო. სუმბატმა მანვეს თითქოს ნარინისაგან შიცემული ძვირფასი თვალი მართვა, რომელმაც მოხიბლა დიდი ყაენი.

რაღვან ორბელი ყარაყორუმს მოეციანებით გაემგზავრა, სუმბატისაგან მეფის გაშვება იმ ძვირფას თვალს მიეწერა, რომელიც კითომ ნარინ და კითს უნდა მიეცა ძისთვის.

მაშასაღამე, შეპყრობილი ნარინ დავითი გამოექცა თათრებს და ლინთიმერეთს შეაფარა თავი.

¹ მეგვარი მშები ხშირად გვხვდება უამთაღმწერელთან.

² ე ა მ თ ა ლ მ წ ე რ ე ლ ი, გვ. 228.

³ ს ტ ე ფ ა ნ ი ს ი, გვ. 71.

⁴ ე ა მ თ ა ლ მ წ ე რ ე ლ ი, გვ. 229.

⁵ ნ. ბერძენი შვეიცარი, დასახ. ნაშრ., გვ. 205, შენიშვნა 1.

შეთქმულებას და მის შემდეგ მომხდარ ზოგიერთ ამჟავა
ფისა და სხვა პირთა გამოცხადებას მთავარსარიდნის ბაზეჭული
ხელფეხება კრული ყოფნა და ბოლოს განთავისუფლება) პეტრემშემცვა
1249 (სომხ. 698) წლით ათარიღებს¹. ასევე ა სებასტიანიცა².

სტეფანოსი აკე პირდაპირ არ მიუთითებს რუსულანის ძის
ლტოლვილობის თარიღს, მაგრამ მისი ცნობებიდან გამოტანილი
ქრონიკის დასკვნა ეთანხმება კირაკოსის, სებასტიანისა და
სხვათა ცნობებს. მისი ჩვენებით, ეს ამბავი წინ უსწრებდა მანგუ
ყაენთან სუმბატის პირველ გამგზავრებას³ (1252 წლის უწინარეს.
არ არის გამორიცხული იმავე 1249 წელს ან მომდევნო წელს
მაინც).

ამ ცნობებს არ ეთანხმება უა არც არის შართებული ეამთაღმ-
წერლის ცნობა, რომელიც ნარინის ტყვეობიდან თავდახსნას 1255
წლის შემდგომ (ჰულაუ ყაენის მახლობელ აღმოსავლეთში მოსელა)
გულისხმობს⁴.

შეთქმულთა საკრებულო თბილისში შეფის სასახლე ყოფილა;
საღაც, გრ. აკანეცის ცნობით, განიაღავებული ღრეობა იყო⁵.

ერთ-ერთი აკეთი ლხინის დროს, აკანეცისავე მოწმობით, „ქარ-
თველმა მთავართაგანმა ჩამოუთვალა მეფეს სხვა მთავრები და
მოახსენა რიცხვი 1000 (კაცია). იყვნენ მთავართაგან, რომ-
ლებსაც ჰყავდათ 1000 მებრძოლი მხედარი, ავრეთვე ისინი, რომ-
ლებსაც ჰყავდათ 500 (მხედარი)... როდესაც იყვნენ საამურ სმასა
და ჭამაში და როცა გამოითვალეს და აღრიცხეს სომეხთა და ქარ-
თველთა ჯარი, თქვეს, რომ მოერეოდნენ თათართა ჯარს“⁶.

მეფის სასახლეში მთავართა შეკრებულობასა და ღვინის სმაშე
მიუთითებს კირაკოსიც. მისი ოქმით, ღვინისაგან გაამაყებული მე-
ფე და მთავარები ასეთ სიტყვებს წარმოთქვამდნენ: „რად ვემორ-
ჩილებით ჩვენ თათრებს, როცა ასე ბევრი ჯარი გვყავს. მოღით,
უეცრად, დავესხათ მათ თავს, გავწყვიტოთ ისინი და თვით ჩვენ
შევიქნეთ ჩვენი ქვეყნის მფლობელი“⁷.

1 კირაკოსი, გვ. 72.

2 სებასტიაცი, გვ. 26.

3 სტეფანოსი, გვ. 71.

4 ეამთაღმწერელი, გვ. 228—229.

5 აკანეცი, გვ. 28.

6 იქვევ, გვ. 29.

7 კირაკოსი, გვ. 71.

კირაკოსი ამ ფაქტს, როგორც ვხედავთ, ძირითადად დაუკირჩხა უას სიმთვრალით ხსნის. ღვინოსვე მიაწერს მას აკანეციც, თუმცა /ირ-წმუნება, რომ ყველაფერი ეს ხუმრობით ითქვაო.¹ მაგრამ შემოსილი იყვნენ და არაფერი აწუხებდათ“, მაგრამ მათ შორის ყოფილა ერთი ვინმე იუდას მსგავსი, რომელიც „წავიდა და შეასმინა თათრებს, ცრუ სიტყვა ნამდვილად და წრფელად მოაჩენა“².

ვარდანი აქ გამცემელს ვერ ხედავს და ამ საქმეს მიაწერს ეჭეს, რომელიც ბაჩუს და სხვა მხედართუფროსებს აულიათ ქართველთა მეფისა და მთავრების ამბოხებაზე³. ამასვე იმეორებს სებასტაციც⁴.

ასევეა კირაკოსთანაც მისი ცნობით. ეს ამბავი ახლოს მყოფა მონღოლებმა გაიგეს და დაიჭირეს კიდეც საამისოდ საჭირო თაღარიგი⁵. ამ ავტორს არაფერი აქვს ნათქვამი, რომ ვითომც ეს ამბავი მეფისა და მთავრების ხუმრობა იყო, როგორც ამას აკანეცი ამტკიცებს. ცხადია, აქ სახუმრო არაფერი იყო, მეფესა და მის მომხრებს ნამდვილად აჯანყება პქონზათ გადაწყვეტილი. ლხია აჯანყებისათვის მზადების შესანიშნავად იყო მოწყობილი. მაგრამ ამან ვერ უშველა მათ. რა თქმა უნდა, საქმე მართლაც მხოლოდ ისე რომ ყოფილიყო, როგორც აკანეცი ფიქრობს, მაშინ რაღა საჭირო იქნებოდა ლაშქრის შეყრაზე ისეთი გულდაგული ზრუნვა, როგორც შეთქმულები აწარმოებუნენ. ამასვე მოწმობს სათათრო გამოსალებთა ან მთავრების წუხილის მისეული დახასიათებაც. თათრები „მუდამ უამს მოდიოდნენ და ხარკით ავიწროებუნენ ქართველ და სომებს მთავრებს. ზოგიერთთაგან უნდოდათ ოქროქსოვილი. ზოგიერთთაგან მიმინო, ზოგიერთთაგან კარგი ძალლი და ცხენი; და ამგვარად ავიწროებუნენ მათ მალის, თაღარისა და ხალანის გარდა“⁶.

„თაღარი“ გრ. აკანეცს აქ შეცდომით უნდა პქონდეს დასახულებული. კირაკოსის მოწმობით, ძისი შემოლება 1255 წლის უადრეს არ იგულისხმება, რადგან ეს ღონისძიება პულაუ ყაენს უკავ-

¹ აკანეცი, გვ. 29—30.

² ვარდანი, გვ. 8.

³ სებასტაცი, გვ. 26.

⁴ კირაკოსი, გვ. 71.

⁵ აკანეცი, გვ. 29.

რაც შეეხება აქ დასახელებულ ხალანს (თურქული ყალანის სახე-
ნაცვალი ფორმა), ეს ბეგარა მნიშვნელოვნად გაიზარდა 1246 წლის
შემოღვამიდან². სათაორო გამოსალები, არც ის ოქროქსოვილი, მიმი-
ნო, ცხენი და კარგი ძალი ყოფილა, რომელზეც აკანეცი მიუთი-
ოებს, მაგრამ ამათი მოთხოვნითაც რომ უნდა შეეწუხებინათ თათ-
რებს ქართველი და სომები მთავრები, ეს საჩრდილოა. გ. რუბრიუ-
კვისი წერს: „ყოველივე, რასაც ისინი ჩვენი მსახურების ხელში ხე-
დავდნენ... მათ ცმობისმოყვარეობას ღიზიანებდა და საჩუქრად
სურდათ მიეღოთ... განუწყვეტლივ და ურცხვად თხოულობენ.
და რასაც კაცი მათ აძლევს, დაკარგულია, იმიტომ რომ უმაღლურნი
არიან, თავიათ თავს ქვეყნიერების ბატონებს უწოდებენ და ვერ
წარმოუდგენიათ, რომ შეიძლება რამეზე უარი ვუთხრათ“³. ეს მარ-
ტო მოგზაურებზე არ ერცელდებოდა, ასევე ექცეოდნენ დამორ-
ჩილებულ ხალხებსაც. მაგრამ დაპყრობილის მძლავრობით გამოწ-
ვეული უკმაყოფილება კი არ ყოფილა თბილისის შეთქმულების
მთავარი მიზეზი, არამედ თათართა ბატონობის დამხობის წადაილი,
თუმცა ნარინ დავითის გამოსვლის ეს პირველი ცდა ჩაიშალა. თათ-
რებმა მძიმე რეპრესიები განახორციელეს. კირაკოსის მოწმობით.
მათ არათუ მხოლოდ ის კუთხეები აუკლიათ, საიდანაც შეთქმულნი
იყვნენ, არამედ ისიც, რამელიც ამის საბაბს არ იძლეოდა. ბევრი
დაუხოცავთ და ბევრიც ტკივილ წაუსხამთ. ტკივებიდან, რომლებიც
კაცების, ქალებისა და ბავშვებისაგან შედგებოდა, მრავალი მდინა-
რეში დაუხრივიათ.

მონღოლთა მიერ ამ დროს მრავლის დახოცვას, სოფელთა და აგარაკთა გაძარცვასა და სხვაზე მიუთითებენ ვარდანინ და სებას-ტავიც.

“История Монголов-иноков” Магакий XIII века, перевод и объяснения К. Н. Патканова, СПб, 1871, тома 1-го № 17.

2 0 3 0 6 0 3 3 0 0, ღიასახ. ნაშრ., ვ. 142.

³ პ. სუბპრეზიდენტ, 23- 34.

4 *Journal*, 33, 71-72.

6 Եղիօնական, 83. 26.

მართალია, თბილისის შეთქმულების წარმატება ამ ხედი მაგრამ ამას და თათართა რეპრესიებს არ შეუნდებია კართველ მროვლების სტილის ცენტრის მტრის გატონიბისაგან თავდასურულებადაც.

0330 VIII

ତାତାକଟା ମେଲିଗିଥାଏଲିଗିଲି ଡାମ୍ପିଗିଲି,
ଫଳାଶେନିରୁଦ୍ଧିତୀ ଧରିପଣିଲି ଘାପିଲିଗିଲି,
ପରିଚିତିରୁଟି ହାଲଟା ଜୀବେତିରୁଟା

50-იანი წლების დამდევიდან ძირითადად დასრულდა მონ-
ღოლთა წარმატებული ლაშქრობანი. ამ გარემოებამ განაპირობა
ქვეყანაში იმის გზით მომდინარე შემოსავლის (ალაფი) შემცირე-
ბა. ქვეყნის მართვა-გამგეობა, პრივალევიურ მოლაშქრეთა შენა-
ხვა და სხვა საჭიროებანი ხელისუფლებას შემოსავლის ახალი
წყაროს გამონახვის აუცილებლობის წინაშე იყენებდა. რადგან
ომი უკეთ შემოსავალს ძველებურად აღარ იძლეოდა, ასეთ კოთა-
რებაში დანაყოფის შესხების ერთადერთი გზა დაპყრობილი
ქვეყნების ექსპლოატაციის გაძლიერება და ხარჯის გათიდება იყო.

მონღოლთა საბრძანებლის აღწერას, რომელსაც სათავეში არღუნი ედგა, ფისკალურს გარდა, სამხედრო მიზანიც ედო საფუძვლადა.

უამოალმწერლის ცნობით: „...ყაენმან ბათო, რომელი უდიდეს
იყო ყოველთა ყაენთა, ინება განსწორება და აღთუალვა ყოველისა
ქუეყანისა, და პოვა კაცი ვინმე, ნათესავით თირიდი, სახელია
არღუნ, სამართლის მოქმედი და ფრიად მართლის-მეტყუელი, და
ლრმად გამვინჯ და განმზრახი რჩეული. ეს წარავლინა ყოველსა
საბრძანებელსა მას მისსა რუსეთს, ხაზარეთს, ოვსეთს, ყივჩაყეთს.
ვიღრე ბნელეთამდე, აღმოსავლით, ვიღრე ჩრდილოეთამდე და
ხატაეთამდე, რათა აღთუალოს და განაჩინოს მკედარი და მეომა-
რი ლაშქრად განმივალი ნოინთა თანაა“.

მართლია, არც ბათო ყოფილა ოდესმე „უდიდეს... ყოველთა ყაუნთა“ და არც ათასგვარი ბოროტვოქმედების ჩამდენი არღუნა ეყ „ფრიად მართლისმეტყუელი“ კაცი, მაგრამ ეს ცნობა მაინც

¹ *Geographia Bactriana, 83-234.*

სტორიკებს აქ მხოლოდ იმდროინდელი ყარაყორუმელი ყაენის ვინაობა ეშლება და მანგვეს ნაცვლად ყუბილაის ასახელებს, სხვა მხრივ ეს ცნობა ეჭვს არ იწვევს.

სხვა ძირი კა ცისა ეყა ა. - უსა-
კირავოსი, სებამტაცი, სტეფანოს ეპისკოპოსი და ზოგიერთი
სხვა სომხეთი ისტორიკოსი ამ მოვლენას 1254 (სომხ. 703) წლით
ათარიღებს.

აღწერის შემჯეგ ძველი სათაორო ბეგარა-ვალდებულებანიც გადადგა და ახალი გადასახადებიც შემოედა. განსაკუთრებით მარტივი იყო სოფლის მეურნეობის დარგობრივი აღწერა-დაპერვრის თათრული სისტემა⁴. წარმოების აზიური წესისათვის დამახასიათებელ ამ რიგს იმ განსხვავებულ სოციალურ-ეკონომიკურ გარემოში, რომელიც ჩეკეში არსებობდა, პროგრესის შეფერხების მეტი არაფერი შეეძლო მოეტანა. როცა თათარი ქართველი გლეხის ფუძის შიგნით აფათურებდა ხელს და მას მეურნეობის ყოველ დარღს უბეგრავდა, ცხადია, მეურნეს იმ ინტერესს უსმობდა, რომელიც მას ქართული რიგით ჰქონდა. ეს გარემოება გამანაგურებლად მოქმედდა ქართველი გლეხის სამეურნეო ცხოვრებაზე.

კოველი საგადასახადო სისტემა მიწისმფლობელობის წესით
არის განსაზღვრული. მაშასადამე, ქართული საგადასახადო ორგანი-
სელუროვა, მიწისმფლობელობის ქართული სისტემას ხელყოფაც
იყო. თათართა ეკონომიკური პოლიტიკა ქართული ფეოდალური

ପ୍ରେସଟାଲ ଅଣ୍ଡରୋଲ୍, ୩୩- ୨୩୪.

20330+

3 յոհայտութեա, զ. 78, Տբաւածիւրա, զ. 26, Տրցունու ցուու ամ-
եածութ, զ. 35. հոգուրը Տիրուած Ցեն՛շնաց օ. զալսրուանի, ամ անցերու առող-
ջաւ 1253 (Տաթե. 702) Եւլս Ցեպուրմուտ Թուտուունը զարդանի դա մեռան
առաջանձու (Արման կիւ իստուչնի օ մոնղոլան, զ. 115, Ցեն՛շնաց 94).

⁴ ପ୍ରାଚୀନ ମହାକାଵ୍ୟାଳେଖା, ୧୩- ୨୩୫.

საზოგადოების ყოველი სოციალური ფენის უკმაყოფილებას იწვევდა.

თათრული და, საერთოდ, აღმოსავლური მიწადუქლების მიწადუქლების ბუნებას ჩინებულად აშეარავებს „მალის“ ინსტიტუტი.

უძველესი ქართული დოკუმენტი, რომელშიც ეს საგადასახალო ტერმინი იხსენიება შიომღვიმის კრებულის მიერ გრ. სურამელისადმი „მიცემული“ დაწერილია¹.

განსაკუთრებით ხშირად იხსენიებს „მალის“ გრ. აკანეცი².

აღრე „მალის“ აღმოსავლეთში იგივე მნიშვნელობა ჰქონდა რაც ჩვენში „ხეასტაგს“. XIII საუკუნის შუა ხანებიდან, როცა ეს ინსტიტუტი ჩვენში შემოვიდა³, იგი მრავალი მნიშვნელობით იხმარებოდა. აღმოსავლეთში, საუაც „რენტა და გადასახალი ერმთანეთს თანა ემთხვევა“⁴, „მალი“ რენტა-გადასახალი იყო და მეტწილად სოფლის მეურნეობაზე დაწესებულ გამოსალებთა ჯანმ აღნიშნავდა⁵. ეს გადასახალი ნატურითაც იკრიფებოდა და ფულითაც. როგორც რაშიდ აღ-დინის ერთი წერილიდან ჩანს, „მალი“ ზოგჯერ მოსავლის 60%-ს შეიცავდა⁶.

¹ თ. კორ დანია, „ქრონიკები“, II, გვ. 127; სამეცნიერო ლიტერატურაში, ამ საბუთის დათარიღების რამდენიმე ცდაა (თ. კორ დანია, „ქრონიკები“, II, გვ. 126; ს. კაკაბაძე, სიგელი მსახუროთხუცესის გრიგოლ სურამელისა, ტფ., 1912, გვ. 4; ნ. შოშიაშვილი, XIII ს-ის საქართველოს ისტორიული ქრონილოგის საენთისათვის, აყად. ს. ჭანაშიას სახ. საქართველოს სახ. შეზეუმის მოამბე, ტ. XVIII ბ, თბ., 1954 წ., გვ. 128). ჩვენი დაკვირვებით, terminus a. q. p. აქ XIII საუკუნის 50-იანი წლების პირეელი ნიხევარია. ამას გვათქმის რებინებს დაწერილში მოხსენიებული „ყაფჩერი“ და ხელრთვებში დადასტურებული „მოწამე და დამამტკიცებელი“ ნიკოლოზ კათალიკონი. რაც შეეხება terminus p. q. n-b, იგი ვერ გადასცდება 60-იანი წლების დამდევს, როცა ნარინგა და ულუმ სამეფო გაიყვეს. იქნება გასათვალისწინებელია გრ. სურამელა, უკანასკნელი მოხსენიებაც (1260 წ.).

² გრ. აკანეცი, გვ. 12, 15, 29, 67.

³ გრ. აკანეცი მიხედვით, სომხეთი და ქართველი მთავრების ერთ ნაწილს, რომელთაც იგი „ბრძენს“ უწოდებს, „მალის“ გადახდა თათართა შემოსილისანებები უკისხიათ (გვ. 12).

⁴ კ. მარქსი, კაპიტალი, III, ნაწ. II, გვ. 310.

⁵ И. П. Петрушевск ы, Очерки по истории феодальных отношений в Азербайджане и Армении в XVI-начале XIX вв., Ленинград, 1949, გვ. 266/7; კ. გაბაშვილი, „სათათრო გამოსალებელი“ გვანთვეოდალურ საქართველოში, მიმომხილველი, III, თბ., 1953, გვ. 149.

⁶ ა. ალიაზაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 240.

ქართული ფეოდალური სინამდვილე ვერ ივლებდა უცხო/ ეკონომიკური რიგის „მალის“ და მანამდე ებრძოდა, ვეფრენი უცხო/ შეუცვალა ბუნება და ქართულ გადასიხადად არ აქციაპირობისა
1254 წლიდან დიდად გაფართოვდა ლაშქრად გამავალი მო-
სახლეობის წრე. თუ ადრე თათრებითან მხოლოდ მაღალი სო-
ციალური ფენების წარმომადგენლები ლაშქრობდნენ¹ და გლეხო-
ბა მარტოოდენ სალაშქრო გამოსალებს იხდიდა², ახლა ყოველ
ცხრა სრულფუძიან გლეხზე ერთს ლაშქრად წასვლის მძიმე მოვა-
ლეობაც დაეკისრა³.

ლიხთიქითმა მალე დააღწია თავი თანამოლაშქრეობის ვალ-
დებულებას. 50-იახი წლების ვიწურულიდან დას. საქართველოს
მხედრობა აღარ მონაწილეობდა თათართა ლაშქრობებში, მაგრამ
სათათრო გამოსალებთა ერთ ნაწილს რომ მაინც იხდიდა ლიხთ-
იმერი, ამას მოწმობს ე. წ. „საბანელას დავთარი“⁴. აქ დადასტურე-
ბული „სათათრო“ გამოსალების რაობის განსაზღვრა ძვირფას
ჩვენებას შეგვძენდა ქუთათისის ტახტისა და საილხანო კარის პო-
ლიტიკური ურთიერთობის სრულყოფილი შეცნობისათვის, მაგრამ
ჯერჯერობით ამ განმარტოებული და მცირედებული ცნობით,
ეს შეუძლებელია. რაც შეეხება ლიხთამერს, მას ყალანიც დიდხანს
აწუხებდა, ბასკავიც და სხვაც.

ქვეყნის ეკონომიკური გაღატევება, მოსახლეობის აყრა-გაქ-
ცევა⁵, განადგურება⁶ — აი ის ძირითადი შედეგები, რაც ყალანს
მოჰყევა აღმოსავლეთ საქართველოში და თათართა დაპყრობილ
სხვა ქვეყნებშიც.

ყალანის სიმძიმეზე კარგად მიუთითებს ის გარემოებაც, რომ

1 გრ. ოკანეცი, გვ. 17.

2 შომდვიმის კრებულის დაწერილში ეს ტერმინი „სალაშქროის“ ფორმით
იხსენიება (თ. უორდანია, „ქრონიკები“, 11, გვ. 127). ეიმთაღმწერელთან
„ყალანი“ ვეხვდება (გვ. 235, 272); გრ. ოკანეციან — „ხალანი“ (გვ. 17, 24, 29).

3 ე ა მთა ღ მწერ ე ღ ღ ი, გვ. 235.

4 თ. უორდანია, „ქრონიკები“, II, გვ. 160.

5 ამ მხრივ განსაკუთრებით ძვირფას ცნობას შეიტანს ანისის მანუჩეს
შეჩეთის სპარსული წარწერა, რომელიც აბუ-საიდის იერლაყის შინაარს გვამუ-
ნობს. იერლაყის შედგნის ქვემო ზღვაზე 1319 წ., როცა აბუ-საიდმა ზეწო-
დება მიიღო („ბაქადური“), რომლითაც იხსენიება წარწერაში, ხოლო ზემო —
1335 წ., როცა ილხახი გარდაიცვალა.

6 თათართა ლაშქრობები თუ სიბაზე დგომა, ათეულ ათასობით ქართველის
სიცოცხლეს იწირავდა მსხვერპლაც.

მოვეიანებით საერო ფეოდალები საეკლესიო მიწათმფლის უძლების წინააღმდეგ ბრძოლას სწორედ „ყალნბის მიზეზე მარტლებდნენ“. ეკლესია კი ყალანისაგანაც თავისუფალია მარტლებისა სათათრო გადასახადებისგანაც². ამას ყაენი სპეციალური იერლაყით ადასტურებდა. ასეთი საბუთი თათრებმა აჯრე კილიკის მეფის ძმას, პარონ სუმბატს მისცეს³, რომელმაც ყარაყორუმში იმოგზაურა 40-იანი წლების მეორე ნახევარში⁴. მოვეიანებით ამაცე მიხნით მისულა ჰულაუ ყაენთან ნიკოლოზ კათალიკოსი და მასაც მიუღია იერლაყი. კათალიკოსისა და მისი მხედველისათვის ილხანს სხვა წყალობაც მიუგია. ეამთაღმწერლის ცნობით, „შეუქმნეს და მოსცნეს შანად ჭუარინი ოქროსანი, და შეუმკუნა თვალითა და მარგალიტითა, და უბოძა ერთი თვთ კათალიკოსსა და ერთი მოძლუარსა ვარძისასა, რომელი თანა ჰყვა კათალიკოსსა. და არგანიცა იგი ოქროთი შემკული მიანიჭა კათალიკოსსა ოდენ, ჭუარიანი იგიცა და ესრეთ პატივითა წარმოავლინეს“⁵.

თათართა ხელისუფლება ასეთ დამოკიდებულებას მხოლოდ ქრისტიანული ეკლესიის მიმართ როდი იჩენდა, ასევე ეპურობოდნენ „შიხთა, და დავრეშთა (დერვიშთა)“ და ყაენმა „ყოვლისა სჯულისა კაცი საღმრთოდ ვაჩენილნი განათავისუფლნა“—დასძენს უამთაღმწერერელი⁶.

ეს გარემოება ღვთის მსახურთაშვი ჰულაუს ან რომელიმე სხვა ყაენის სიყვარულის შედეგი კი არ ყოფილა, როგორც ამაზე გულუბრყვილოდ მიუთითებს გრ. აკანეცი⁷, არამედ დაპურობილ.

1 გ. გოზალიშვილი, უღე დავითისძრობიდელი საეკლესიო ქრისტიანული მიმართობა, „საისტორიო მომბე“, I, ტფ., 1925, გვ. 222.

2 ე ამთაღმწერელი, გვ. 224, 235.

3 გრ. აკანეცი, გვ. 25.

4 სუმბატის „ქრონიკის“ ზოგიერთ ხელნაწერში ეს მოგზაურობა 697—699 (1248—1250) წლებით არის დათარიღებული (სუმბატ სპარაპეტი, გვ. 48). ტაშეკისტიდან გამოგზავნილი წერილის თარიღი (1246) და სპარაპეტის „ქრონიკის“ ერევნის ხელნაწერში ჩვენთვის სინტერესო ქრონილოგიური ცნობის არარსებობა საფუძველს იძლევს ა. გალსტიანს ეპვი შეიტანოს შემოხსენებული ჩვენების სისწორეში (ԱՐՄԵՆԻԿԻ և ԹՎԻՀԱՆՔԻ օ ՄՈՒԳՈՒՅԻ, გვ. 121, შენიშვნა 121).

5 ე ამთაღმწერელი, გვ. 224.

6 იქვე, გვ. 235.

7 გრ. აკანეცი, გვ. 25, 43.

ხალხებზე ბატონიბის აუცილებლობით იყო გაპირობებული. ჩე
მარჯვე პოლიტიკით თათართა ხელისუფლებამ არათურისტულია
ეკლესიის წინააღმდეგობა, არამედ ეს დიდი ორგანიზაციის მაქატ
საშახტოშიც ჩააყენა. რაც დამცირობლის დიდი წარმატება იყო.
მაგრამ ეკლესიამ ეკონომიური კეთილდღეობა დიდხანს ვერ შეი
ნაჩრუნა, რადგან მაღა მის წინამდგრეგ აღდგნენ საერო ფეოდა-
ლები.

თათრები ახლა გულგრილად უცქერდნენ გუშინგელი მოკავ-
შირის ახსრებას, რადგან ამ შინაბრძოლაში მათთვის საზიანოს
ერადაფერს ხედავდნენ. პირიქით, იგი ხელსაც უწყობდა დამცირობ-
ლის ბატონობას. მოგვიანებით, ქრისტიანულ ეკლესიას მდგომა-
რეობა იმითაც გაურთულდა, რომ გამაპმადიანებული ძევლი „მო-
ყვასი“ დასამხობად მოაჟგა კარზე.

მძიმე სათათრო გამოსაღები იყო თამდაც (ტამდა, დამდა).
მკვლევართა ერთი ნაწილი სწორად მიუთითებს თამდის რაობას —
სავაჭრო გამოსაღები! ეს უამთაღმწერლის ცნობიდანაც კარგად
ჩანს. „არღუნის აღთუალვისაგან... რაცა განის ყიდები დეს
ტფილის ასა თეთრსა ზედა სამი თეთრი საყაენოდ დაიდებო-
დეს“ — წერს ის². ეს ჩვენება ამ გადასახადთან დაკავშირებულ სხვა
საქათხებზეც მიგვითითებს: 1. საქართველოში „თამდა“ 1254 წელს
შემოულიათ 2. იგი ფულადი გამოსაღები ყოფილა. 3. შემოღების
ჟამს მისი ოდენობა გაყიდული საქონლის 3%-ს შეადგენდა.

პირდაპირი ცნობების უქონლობის გამო არ ხერხდება იმის
განსაზღვრა, როდის დამკვიდრდა „თამდა“ თათრულ საგადასახა-
ლო რიგში. უამთაღმწერლის ხსენებული ჩვენება ამ გამოსაღების
მხოლოდ საქართველოში „განწესების“ დროს გვითვალისწინებს.

რა ცელიება განიცადა ჩვენში თამდამ მომზევნო ხანში.
ამაზე პირდაპირი ცნობები არ გავვაჩნია. იჩანის ანალოგიისა და
ზოგიერთი აჩაპირდაპირი ჩვენების მიხედვით, თამდა XIII საუ-
კუნის მიწურულში საქართველოშიც დიდად უნდა ყოფილიყო
გაზრდილი.

1 ივ. ჭავახიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 56; ნ. ბერძენიშვილი.
ქართველი ხალხის ბრძოლა მონღოლთა მფლობელობის წინააღმდეგ, წიგნში:
საქართველოს ისტორია, I, თბ., 1958, გვ. 231; ჩ. კიკნაძე, თამდა ილხანთა
სახელმწიფოში, აღმოსავლური კრებული, I, თბ., 1960, გვ. 99 და სხვ.

2 გამთაღმწერელი, გვ. 238.

თამღაჩი და მისი ხელქვეითი მოხელენი ყოველი განვით
ცდილობდნენ, რაც შეიძლება მეტი ამოექანათ. უამშაგებელებულის
ცნობით, ისინი აჩც მეფეს ეპუებოდნენ თურმე ზაპსიაჟერული მაც-
ზარეულოსათვის შეძენილ ცხვარსა თუ კრავზეც „ხარაჯა (თამღა-
ი. ს.) წაუღიან“¹. ქართველი ისტორიკოსი ამას „უწესოებაც“
მიიჩნევს². ჩვენი აზრით, ამ ფაქტის უამთაღმწერლისეული კვა-
ლიფიკაცია ცხვარსა და კრავზე თამღის არარსებობით კი არ აის-
ნება, არამედ გადასახადის ამკრეფთა თავხევობით. თბილისის სა-
თამღო განაწესში საქონლის ეს სახეობანი რომ გათვალისწინებუ-
ლი არ ყოფილიყო. მეთამდენი მეფეს მაინც ვერ მოექცეოდნენ ასე
უდიერად. უამთაღმწერლისათვის ასეთ მცირე სამეფო საქონელზე
თამღის აღება საძრახი საქმეა, მაგრამ ბასყაკთათვის ასეთი სათხო-
ება უცხო იყო.

თამღა არ იყო ისეთი საშიში ბუნების გამოსაღები, როგორც
ვალი, მაგრამ, ერთი მხრივ, მისი გადიდების იღხანური პოლიტიკა
(ყაზანმა ამ ტენდენციას მხოლოდ დროებით დაუდო ზღვაზა) და,
მეორე მხრით, გადასახადის ამკრეფთა ბოროტმოქმედება
წინშენელოვნად აუერხებდა ვაჭრობის განვითარებას და მოსახ-
ლეობის ყოველი ფენის უკმაყოფილებას იწვევდა.

სათამღო უწყების თბილისეულ მოხელეთაგან უამთაღმწერელი
განსაკუთრებით კიცხავს ხოჯა აზიზს³.

ზოგიერთი მეფე თუმცა ასერხებდა ბასყაკთათვის გზას
შეკრას და ქვეყანაში სათაორო გამოსაღებთა აკრეფის უფლები,
მიღებას, მაგრამ ეს, ჯერ ერთი, მეტად მცირე მონაკვეთში დას-
ტურდება და მეორეც, ცონომიური და ზნეობრივი დაცემის ხანა-
ში მეფის მოხელეებსაც მოსახლეობის გამოძალვის ბასყაკური
ტენდენცია მოძრავებდათ. უამთაღმწერელი ასახელებს აგრეთვა
სათაორო „ძღვენს“, რომელიც ნატურალურ გამოსაღებსაც შეი-
ცავდა და ფულაძსაც. ამავე დროს ეს ვალდებულება ორი ნაწი-
ლისაგან შეფარგვდა, ერთი მათგანი აუგილობრივ სამხედრო მო-
ხელეთა გამოსაკვებად იყო განეუთვენილი, ხოლო მეორე — სა-
ულაყე გადასახადად. უკანასკნელი ფულით გაიღებოდა და კა-
ლეოდა მხოლოდ დუმანნოინს (ათიათასეულის მეთაურს). „მიზ-

¹ უამთაღმწერელი, გვ. 238.

² იქ 30.

³ იქ 33, გვ. 238, 244.



დი ცხენისა", როგორც ქამთალმწერელი უწოდებს, ქაფანოვთაშვილი. შეიცავდა¹. ეს თანხა ულაყის გამოსაკვებად და საჭირო ხარჯების დასაფარივად უნდა უოფილიყო გამიზნული. ამ გამოსაღებს „ალაფე“ ერქვა. რაც შეეხება პირველს, იგი „ულუფედ“ იწოდებოდა. სოფელი ვალდებული იყო დუმანნოინისათვის ნატურით დღიურ საზრდოდ თითო ცხვარი მიეცა, ხოლო ათასეულის მეთაურისა-ივის — თითო ქრავი.

ფულით — პირველისათვის ორი დრაპეკანი უნდა ეძლიათ, მეორისათვის კი — ერთი². ეს ცნობები XIII საუკუნის 50-იანი წლების შეუ ხანების ეითარებას ასახავს. იცნობდა თუ არა უფრო აურე საქართველო ამ გადასახადებს, ამაზე პირდაპირი მითითება არ მოგვეპოვება.

რა ცვლილებები განიცადეს ამ ინსტიტუტებში ჩვენში XIII საუკუნის უკანასკნელ მესამედში, როდესაც უაღრესად გაიზარდა სათათრო გადასახადები, ან რა ნორმები დაუდგინეს მას ყაზანის დროს,³ არ ვიცით. აბუ საიდის ილხანობაში კი, როცა საქართველოში თათართა ლაშქარი უაღრესად შემცირდა და ერთ დუმანს აღარ აღემატებოდა⁴, „ალაფეც“ და „ულუფეც“ თითქოს შესაბამისად უნდა შემცირებულიყო.

საქართველოში დაღასტურებულია კიდევ რამდენიმე გადასახადი: „ყაფჩერი“, „საიამე“, „ტუზუუ“, „თალარი“, „ნემერი“, „თარჟი“ და სხვ.

„ყაფჩერი“ ამ გამოსაღების ქართული ფორმა⁵, სომხურში იგი „ღაფჩურად“ იწოდება⁶, სოლო სპარსულში — „კოფჩურად“. ყველა ესენი მონღოლური „ყოფჩურის“ სახენაცვალი ფორმებია. ყაფჩერი თავდაპირველად „საძოვარს“ ნიშნავდა⁷. მოგვიანებით

¹ ე ი მ თ ა ლ მ წ ე რ ე ც ი, გვ. 235.

² ი ძ ვ ვ.

³ В. Тиценгаузен, Заметка Элькълкашанди о грузинах, Записки Восточного отделения императорского русского археологического общества, вып. II, СПб, 1886, гл. 210.

⁴ იხსენიება შოომღვიმის კრებულის მიერ ვ. რ. სურამელისაღმი „მრცემულ“ დაწერილში (თ. კორდანია, „ქრონიკები“, II, გვ. 127).

⁵ ვ. რ. აკანგიცი, გვ. 15; კორაკოსი, გვ. 189.

⁶ Histoire des Mongols de la Perse, écrit en Persian par Raschid-Eldin, publiee traduite en français accompagnée des notes et d'un me-



სხვა შინაარსით გაიცსო და საგადასახალო ტერმინად იქცევაფრთხის-
ტიტუტმა განვითარების საინტერესო გზა განვლო. შემდეგ ბინადარ მოსახლეობა-
ლად მას მომთაბარენი იხდიდნენ, შემდეგ ბინადარ მოსახლეობა-
საც გაწერეს. გრ. აკანეცის ცნობით, ეს გამოსაღები ჩვენში თა-
ქოს ჩორმალანის დროიდან არსებობდა¹. ეს ცნობა სარწმუნო ა-
ჩანს. ჯერ ერთი, აკანეცი აქ თაღარის შემოღების დროსაც შეცდო-
მით მიუთითებს და ზოგ სხვასაც² და მეორეც, კირაკოსის ჩვენები-
დან ჩანს, რომ „ყაფჩერი“ ჩვენში არღუნის აღწერის შემდეგ შე-
მოუღიათ³. ამასვე ეხმაურება შიომღვიმის კრებულის მიერ ვრ. სუ-
რამელისათვის „მიცემული“ დაწერილიც, რომლის ქვემო ქრონი-
ლოგიური ზღვარი ხელრთვაში მოხსენიებული ნიკოლოზ კათალი-
კოსის მიხედვით, 1251 წლის უაღრეს არ ივარაუდება, რადგან
1250 წელს ეს ხელი არსენს ეპირა⁴.

ყაფჩერი ნატურითაც იქრიფებოდა და ფულითაც. მანგუ ფა-
ნის რეფორმებიდან იგი წლიურიდ პირუტყვის 1%-ს შეად-
გენდა⁵.

იმურიონდელი ტრანსპორტის თავისებურება და უკიდეგანია
სახელმწიფოში შეუფერხებელი მიმოსვლის აუცილებლობა გზებ-
ზე „იამების“ მოწყობის აუცილებლობას ქმნიდა. იამის
უმთავრესი დანიშნულება თათარ სახელმწიფო მოღვაწეთა თუ
უცხო ელჩთა ტრანსპორტითა და სურსათით უზრუნველყოფა-
იყო.

საგზაო საღვურების მოწყობა 30-იან წლებში განხორციელდა-
მისი პროექტი ჩანაიმ და ბოლოაზარმა შეიმუშავეს, ხოლო შესრუ-
ლება არაციანს და თოლაჩარს მიენდო: აღგილების შერჩევა, იამე-
ბის ავება და მოსამსახურე პეტსონალით დაკომპლექტება იუო მა-
თი მთავარი საზრუნავი, თითოეულ იამში ერთი იამჩი საღვუ-

moire sur la vie et les ouvrages de l'autour par M. Quatremere,
t. I, პარიზი, 1836, გვ. 256, შენიშვნა 83 (ქვემოთ — კ. ტ. რ. მ. ე. ტ.).

1 გრ. აკანეცი, გვ. 15.

2 იქვე.

3 კირაკოსი, გვ. 189.

4 ნ. შოშიაშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 129.

5 ე. კატრი მერი, დასახ. წიგნი, გვ. 256, შენიშვნა 83; ივ. ჯავახი-
შვილი, ქართველი ერის ისტორია, III, 1941, გვ. 56.

რის უფროსი) და 12 ულაჩი (გამყოლი) იყო გაფეხალისტებული.

იმების მოწყობა ულუსებზე განაწილდა. ჩაღატაურული ულუსები და ასეთ სადგურებს დიდი ყაენი ავებდა, შემდეგ — ჩაღატაი, ხოლო იმას იქით — ბათო!

ეს ღონისძიება მოსახლეობის მდგომარეობის ერთგვარ გაუმჯობესებასაც ითვალისწინებდა (ელჩთა ადრინდელი უწესრიგო და ნელი მოგზაურობა დიდ ეკონომიურ სიძნელეებს ქმნიდა), მაგრამ იმის მოწყობისა და შენახვის ხარჯები არანაკლებ მძიმე აღმოჩნდა და სპეციალური გადასახადიც დაწესდა. ეს გადასახადი სპარსულ წყაროებში „იმად“ იწოდება, ასევე სომხურშიც². ქართულაუ, კი „საიამე“ ერქეა³. გრ. ოვანეცი საიამე ხარქში გათვალისწინებული პროდუქტებიდან მხოლოდ პურსა და ღოს მიუთითებს⁴. მისივე ცნობიდან ჩანს, რომ მასში ბევრი სხვა რამეც შედიოდა. სამწუხაროდ, საამისო კონკრეტული მითითებანი არც სპარსულ წყაროებს შემოუნახავთ და არც სხვა რომელიმეს.

ეს პროდუქტები იმის მომსახურე პერსონალისა და მოგზაურთათვის იყო საჭირო. იმას გარდა, იმას ესაჭიროებოდა თივა, ქერი და ცხენებისათვის საჭირო სხვა საკვები. თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ იაშში ზოგჯერ რამდენიმე ათასი ულაყი იყო⁵, მაშინ ადვილი წარმოსალგენია რაოდენ მძიმე უნდა ყოფილიყო საულაყე გადასახადი.

საიამე შრომით ბეგარასაც ითვალისწინებდა. მოსახლეობასვე უნდა გაეკეთებინა თუ შეეკეთებინა იაში. გრ. ოვანეცის ცნობით, ჰულაუს დროს ყოველ მცირე სოფელს საიამე ბეგარაზე ერთი კაცის გაგზავნა ეკისრებოდა, დიდ სოფელს — ორი ან სამის⁶. საიამე ბეგარაზე წასულ პირს მხოლოდ პურის და ღოს გამოლება

1 იუ ანჩაო ბი-ში, გვ. 198.

2 გრ. ოვანეცი, გვ. 45.

3 შიომღვიმის კრებულის დაწერილი; თ. უორდანია, „ქრონიკები“, 11, 83. 127.

4 გრ. ოვანეცი, გვ. 45.

5 რაშიდ ად-დინი, 5 თას მიუთითებს. Рашид ад-дин, Джами-ат таварих (сборник летописей), Г. III, სპარსული ტექსტი დააღვინე ა. ალ ი-შად ე მ. რესული თარგმანი ა. არენდ სის, ბაქო, 1957, გვ. 480 (ქვემოთ—რაშიდი და დანა, 111).

6 გრ. ოვანეცი, გვ. 45.

ევალუბოდა, უეელა სხვა სახის ნატურალური საიამე გადასცემი—
საგან თავისუფლდებოდა. როგორც საიამე, ისე სხვა საცხაოთო
გამოსაღები დადგენილი წესით იშვიათად თუ იქრიფეტისურად
კუთრებით მძიმე მდგომარეობაში იყვნენ გზისპირა სოფლის
მცხოვრებლები, რომელებსაც იამის თავაშეებული მომსახურები
თუ სხვა ბოროტმოქმედნი ხან ცნენს შოსტაცებულენ, ხან პროდუქტი
და ა. შ. ამან თავისი შედეგიც გამოიღო და გზისპირეთიც მაღა
დაცარიელდა.

საიამე ბეგარა-ვალდებულებებისა და იამის მომსახურეთ
ბოროტმოქმედებისაგან დიდად იყო შეკირვებული შეა აზიის.
ირანის, ადარბადაგანისა და სხვა მახლობელი ქვეყნების მოსახ-
ლეობა. რაც შეეხება საქართველოს, აქ საიამე უფრო მძიმე უნდა
ყოფილიყო საათაბაგოში (სომხეთი), რომელსაც უფრო წვდებო-
და სათათრო გზები. ასევე ითქმის კარის ქვეყნის, ქვემო და შიდა
ქართლის შესახებაც. თუ პირეელზე დასავლეთ წინა აზიისა და
ამიერკავკასიის დამაკავშირებელი გზები გაღიოდა, ორ უკანასკ-
ნელზე დარიალის გზა იდო. ამ გზაზე მიმოსვლამ იქლო მხოლოდ
დარიალის ჩარაზების შემდეგ, რაც აბალა ყაენნა განახორციელა
(ასე დარჩა XIII საუკუნის მიწურულამდე).

შედარებით ნაკლებად უნდა განეცადათ საიამეს სიმძიმე სამც-
ხეში, საღაც მეტწილად აღგილობრივი თათარი მოხელეები მიმო-
დიოდნენ. უეელაზე იოლად აქ მაინც ლიხთიქითი წავიდა. დას.
საქართველოს არც იამიანი გზები უნახავს ოდესმე ზა ამ ბეგარა-
გამოსაღებმაც მცირე ხანს იბოვინა იქ.

გრ. აკანეცი სათათრო გამოსაღებთა შორის ასახელებს
„ტუზღუსაც“², რომელიც მონლოლური „ტუზყუს“ სომხურა-
ტრანსკრიპციაა.

სპარსულ წყაროებში ეს ტერმინი რამდენიმე ფორმით გვხედე-
ბა: „ტოზღუ“, „თარღუ“ და სხვ.

ა. ალი-ზადეს მტკიცებით, „თარღუ არსებითად რაიათებისა-
გან იქრიფებოდა და მძიმე ტვირთად აწვა მოსახლეობას“³. კურ-
ერთი, რაიული ტუზყუში ძალიან მცირე რამ შეიძლება მოხვედრი-
ლიყო, ის მეტწილად მაღალი ხელოსნური ნაწარმისაგან შედგე-

¹ გრ. აკანეცი, გვ. 45.

² იქვე, გვ. 15.

³ ა. ალი-ზადე, დასხ. ნაშრ., გვ. 242.

ბოლა და, მეორეც, იქმნება შთაბეჭდილება ვითომც ტუზულის; ლეხო მოსაქრეფელი ყოფილიყოს. ამ პატრონუმური სასახაოს მისართმეველის სიღიღესა და ხასიათს გამგზავნის უწყვეტესობა ერთად ადრესატის მდგომარეობა და მასთან პირველის დამოკიდებულება განსაზღვრავდა.

გრ. აკანეცი ამ ინსტიტუტის შემოღებას ჩვენში ჩორბალანის დროით ათარიღებსა და ეს სარწმუნოც არის. ის ურთიერთობა, რომელიც ამდროიდან დამყარდა დამპყრობელსა და დამორჩილებულს შორის ტუზუს გარეშე არც წარმოიღვინება.

მნიშვნელოვანი სათაორო გამოსაღები იყო თაღარი, რომელიც სხვადასხვა დანიშნულებით იკრიფებოდა, მეტწილად — სამხედრო მიზნით.

გადასახადს გარდა, თაღარი მონღოლეოთში საწყაოსაც აღნიშნავდა².

გრ. აკანეცი და რაშიდ ად-დინი კონკრეტულად არ მიუთითებენ რას შეიცავდა საქართველოზე შეწერილი თაღარი³. ამ ხარებს ავსებს კირაკოსი, რომლის ცნობითაც, ეს გამოსაღები თითო-ეულ კაცზე აწესებდა: 100 ლიტრა ხორბალს, 50 ლიტრა ღვინოს, 2 ლიტრა ბრინჯს, 20 სულ საქონელზე 20 თეთრს და ერთ პირუტყვს და სხვ.⁴

ეს ცნობა ჰულაუსდროინდელ ვითარებას ასახავს. ამავე დროისათვის თაღარზე განსხვავებულ ჩვენებას ვხვდებით სხვა ავტორებთან (ჯუვეინი, რაშიდ ად-დინი, მუჰამედ შაბანგარეი), რომლებიც ამ გადასახადს მხოლოდ ერთი თაღარი ფქვილითა და ერთი ტიკი ღვინით განსაზღვრავენ. ეს ოდენობა არსებითად იგვეა, რაც კირაკოსთან დაუასტურებული 100 ლიტრა ხორბალი, 50 ლიტრა ღვინო, მაგრამ საქართველოზე გაწერილი თაღარი გამოსაღებთა ოთხერ მეტ სახეობას შეიცავს და გაცილებით მძიმე ჩამს.

კირაკოსისავე ჩვენებით, თაღარის აკრეფა დიდი სისასტრიკით

¹ გ. აკანეცი, გვ. 15.

² ე. კატ. რმ. რ. დასახ. ნაშრ., გვ. 138, შენიშვნა 17.

³ გ. აკანეცი, გვ. 12, 15, 23, 29; რაშიდ ად-დინი, 111, გვ. 30.

⁴ კირაკოსი, გვ. 189.

⁵ ა. ალ-ზადე, დასახ. ნაშრ., გვ. 231.

ხორციელდებოდა და ვისაც შისი გადახდა არ ძალუმდა. კანტრ-
ვლოდ შეიღები მიჰყავდათ¹.

არ დასტურდება გრ. აკანეცის ლაქინება, რომ პეტრების წესები-
ში ვითომ თათართა შემოსვლისთანავე დაწესებინოთ². კირაკოსის
ჩვენებით, ეს გადასახადი ჰულაუ ყაენს შემოულია³. ამ ცნობას არც
სპარსული წყაროები ეწინააღმდეგებიან.

XIII საუკუნის 60-იანი წლებიდან თალარი საქართველოში
კიდევ უფრო უნდა გადიდებულიყო. ამას გვაფიქრებინებს სამ-
ხედრო ხარჯების დიზი ზრდა საილხანოში, რაც დაკავშირებული
იყო ჩაღატაიანების, მისჩეთის ბაჭრების, ჯუჩიანების თუ სხვათა
წინააღმდეგ ბრძოლებთან.

XIII საუკუნის მიწურულიდან სპარსულ წყაროებში გვხვდე-
ბა გამოსაღები „ნემერი“, რომელიც ერთდროული მოსაქაფელი
ჩანს, მეტწილად იმის შემთხვევაში⁴.

„ნემერი“ რომ საქართველოსათვისაც არ იყო უცხო სათათ-
რო გამოსაღები, ამას აღმატურებს ანისის მანუჩეს სპარსული წარ-
წერა. იგივე ძეგლი შიგვითითებს იმ ძალადობაზე, რომელსაც ბას-
კავები იჩენდნენ ამ გამოსაღების აკრეფისას ჩეენში⁵.

ამავე წარწერაში იხსენიება თარპიც. ვ. ბარტოლდი გულ-
მოღინედ ცდილობდა ამ გამოსაღების ხასიათის გაგებას, მაგ-
რამ სარწმუნო ვერაფერი მოიპოვა⁶. ა. ალი-ზადე თარპში ორ
ასპექტს არჩევს. ერთია, როცა მაღალი საბაზრო ფასების ღრმა
ნელისუფლება აიძულებს მოსახლეობას დაბალ ფასებში ვაიღოს
პროდუქტი, ხოლო მეორეა, როცა ფულის ნაკლებობის ვითარე-
ბაში სახელმწიფო ბელებიდან დაქვთ პროდუქტები და იძულე-
ბით საბაზრო ფასებზე უფრო ძვირად ასაღებენ მას⁷. საქართველო-
ზე გაწერილი თარპი უფრო პირველი ასპექტისა უნდა ყოფი-
ლიყო.

მანუჩეს მეჩეთის წარწერიდანვე ჩანს, რომ თარპის აღებასაც

1 კირაკოსი, გვ. 128.

2 გრ. აკანეცი, გვ. 15.

3 კირაკოსი, გვ. 189.

4 В. В. Бартольд. Персидская надпись на стене анийской мечети
Мануче. Соч. т. IV, Москва, 1966 წ., გვ. 337.

5 იქვე, გვ. 318.

6 იქვე, გვ. 335—336.

7 ალი-ზადე, დასახ. ნაშრ., გვ. 244—246.

ანისია და საქართველოს სხვა მხარეებში, ისეთი ძალის მომზადება
ახლდა, როგორც ყალანის, ნემერის თუ სხვათა აკრეფას ჩრდილოება
ამავე ეპიგრაფიულ ძეგლში გვხვდება გერგი მატერიულის
ტოლდის მტკიცებით ეს ტერმინი ძველი სომხური კონაფի ღ¹-ის
სპარსული ტრანსკრიპციაა. მის საფუძველს აძლევდა ანისის 1320
წლის წარწერა, სადაც ეს ტერმინი იხსენიება. ამავე წარწერის შიხედ-
ვით, თ' რნაგირი (\leftarrow დრინაგირი) ორი სახის ყოფილა: მცირე და
დიდი².

ამ ტემრინის შინაარსობლივ მხარეზე დაკვირვება სამუალება:
აძლევდა ნ. მარს მასში ქალაქის კართან არსებული რაღაც
გამოსალები ეგულისხმა³. რა სახის თუ ოდენობის იყო ეს მოსაკ-
რეფელი, ან რა განსხვავება იყო მცირე და დიდ თრნაგირს შო-
რის, როდის შემოიღეს იგი და ამ გამოსალებთან დაკავშირებული
ბევრი სხვა საკითხი, ცნობების უქონლობის გამო არ ირკვევა. მა-
ნეჩენ მეჩეთის წარწერიდან მხოლოდ ის ჩანს ნათლად, რომ
თრნაგირი მძიმე გადასახადი ყოფილა და ყალანთან ერთად ისიც
გამხდარა მოსახლეობის აყრა-გაქცევის მიზეზი⁴.

ამით, რა თქმა უნდა, არ ამოიწურება საქართველოში მოქმედ
სათათრო გამოსალებთა სია: გადასახადი ხელოსნობაზე, გამოსალე-
ბი თევზის ჭერაზე და ბევრი სხვა საქმაოდ იქრცობენ ამ ნუსხას.

გამოსალებთა მეტი წილი ფულით იყო შესატანი. აკანეცის
ცნობით, თითოეულ აღრიცხულზე 60 თეთრი მოდიოდა⁵. ამ გარე-
მოებამ „ოქროს“ გაძვირება გამოიწვია. ხოლო უკანასკნელია
თავის მხრივ მამულების ამოძრავება და მევაბშეობის გაძლიერება
გაპირობა. „ხარკობის აგან ოქრო ძური ცური (აღ) ი იყვის
და სოფელი იე ფად“⁶.

უშეალო მწარმოებლის ყვლეფაში დამპყრობელს არც შინაუ-
რი მებატონე ჩამორჩებოდა⁷.

მიმდლავრებისა და ექსპლოატაციის ორმავი ულლის ქვეშ

1 ვ. ბართოლე, დასახ. ნაშრ., გვ. 518.

2 იქვე, გვ. 336—337.

3 იქვე, გვ. 337.

4 იქვე, გვ. 318.

5 კირაკოსი, გვ. 79.

6 აკანეცი, გვ. 32.

7 თ. უორდანია, „ქრონიკები“, გვ. 133.

8 კირაკოსი, გვ. 79.

მყოფმა მწარმოებელმა გული აიყარა მეურნეობაზე და „ორგანობა“, „ხიზნობა“ და „ღარიბობა“ დაიწყო. კლასობრივი მოძოლის ამ ფორმების მავნეობა მალე შეიცნეს ფეოდალებმა ჭავჭავაძეები-რება საკუთარი „მოჭირვების“ გზით სცადეს, როგორც რკონის დაწერილიდან ჩანს, სათათრო გამოსალებთა ნაწილის გადახდას თვით ფეოდალი კისრულობდა. „ეიდრე ცოცხალ ვიყო, — ამბობს კახა სამძივარი, — მე დავდავა თავი და მოვიჲირვო ხარჯი-სა ცოტასა გამოლების თაუდა ამა ეამთა შიგა, და თუ მე აღარ ცოცხალ ვიყო, ვინც ჩემი გუარისა იყოს, მან იურვოს“¹.

ფეხი მოიღვა გაუკაცრიელებულ ფუქეთა „ქრთამით“ დაუფლების ტენდენციაშაც. ფეოდალები ამ ტენდენციასაც გულმოუგინედ ებრძოდნენ და ნაფუძარის ისევ ფუქედ ქცევას ცდილობდნენ. ამას მოწმობს კახას სიტყვები: „თუ მიწად დაუკაცრდებოდეს, რადსგანცა ქრთამითა მუ ვის გადაერთვის სამსახური და კულური წახდების — სხუად გლეხი დაისე მოდეს ზე და“.²

მსხვილი ფეოდალები ასე თუ ისე ახერხებდნენ გლეხთა დაშავრებას ფუქეზე (უზიარებოდნენ სათათრო გამოსალებში და სხვ.), მაგრამ ამას ვერ ახერხებდნენ წერილი აზნაურები, რომელთაც, ერთი მხრით, გადამხდელი გაურბოდა, ხოლო, მეორე მხრით, ბასკავი ეძალებოდა. შექმნილი მდგომარეობა იძულებდა ფეოდალს შელუოდა მიწას (თავისი ეკონომიური და სოციალური უპირატესობით ამ მთავარ წყაროს).

ყმა-მამულის შემცირებამ ფეოდალის საჭურჭლე დააცარავდა, ხოლო ეკონომიურმა უაქცევითებამ აზნაურს სოციალური დაცურობის საფრთხე შეუქმნა.

მდგომარეობიდან გამოსავალს ფეოდალები ერთხანს ალაფიით ლამიბდნენ, მაგრამ ბალდადის აღების შემდეგ (1258 წ.) თათართა წარმატებულმა ლაშქრობებმა იყლო იდა ეს წყაროც თოვქმის დაიშრიტა. ამიერიდან ფეოდალები იძულებული იყვნენ სხვა გზას დალგომოდნენ. ასე გაუჩნდათ მათ ეკლესიისადმი მამაპაპათავან შეწირული ყმა-მამულის უკუჭერის იდეა.

სამეცნიერო ლიტერატურაში სწორად არის მითითებული „

¹ თ. ეორ დანია, „ქრონიკები“, II, გვ. 138.

² იქვე, გვ. 137.

უპრეცედენტო მოვლენის ეკონომიური საფუძველი¹. თუმცა მაგრა-
ტო ეს არ ემარა, მას დიდი ზნეობრივი საფუძველიც ჰქონის დამა-
ტებელი განსაკუთრებით გამოიწვია აღსაყვეთად გამართული საეკლესიო კრების ძეგ-
ლისწერის ერთი ადგილი, სადაც ნათქვამია: „ვიცით, რომე მრა-
ვალი კადრებენ უმისა ძნელბედობასა და საჭიროებასა, მაგრა
ამის უძნელბედეს ნიც ყოფილან ... ეამნი... და
თვით რაც მცა მიზეზი არვინ კადრა საყდართა
ქუეყნის ქონებისა და დარღუევის მნებებელ-
მანი².

საეკლესიო მოღვაწენი ქვემოთ კვლავ უბრუნდებიან ამ გარე-
მოებას და მეფეს მიმართავენ: „სამოცდამეათხუთმეტენი შვილნი
ხართ თქუენთა გუართანი... და ამ სამოცდაათხუთმეტთა თქუენთა
გარდასრულთა მეფობათა შიგა უფრო ხსი და უმრავლესი
უამი ამისა გან უძნელესი და უბოროტესი ყოფილა
მაგრამ საეკლესიო ქონების ხელყოფა არავის მოსვლია აზ-
რადო³.

შესანიშნავი და ეპეშეუვალი ვინიშნებაა. ძეგლისწერაში საა-
მისო კონკრეტულ მოწმობად მხოლოდ ის დროა მოხმობილი;
„ოდეს კათოლიკი ეკლესიაშ შენებულა“ და „გაფარ ამირად“
რომ „შდომილა ტფილის“⁴.

სპარსთა, არაბთა თუ სხვათა ქართლში მძლავრობის ხანიდან
ბევრი სხვა ასეთი „ძნელბედობის“ დასახელება შეიძლება, მაგრამ
მაშინ ასეთი რამ, როგორც ძეგლშია ოღნიშნული, არავის უყადნიე-
რებია და ამას თავისი მიზეზები ჰქონდა. უმიზეზო არც ის „უპატი-
ვობა“ იყო, რომელზეც ეკლესიის მსახურნი მიუთითებდნენ.
„არღარავის გან გუაქუს პატივი, არც სჯულსა და არც
ებისკოპოსთა, არც მონაზონთა, არც ხუცესთა, არც მღვდელთა, არც

¹ გ. გოზალიშვილი, ულე დავითისდროინდელი საეკლესიო კრების
დადგენილება, გვ. 223; ივ. ჭავახიშვილი, სოციალური ბრძოლის ისტო-
რია საქართველოში IX—XIII საუკუნეებში. ტფილისი, 1934, გვ. 21 და შმდ;
ნ. ბერძნიშვილი, საქართველოს ისტორია მე-13—14 სს, გვ. 292 და სხვ.

² ივ. ჭავახიშვილი, სოციალური ბრძოლის ისტორია საქართველოში
IX—XIII საუკუნეებში, გვ. 42.

³ იქვე გვ. გვ. 42—43.

⁴ იქვე გვ. გვ. 42.

მიპრონსა, არც ქორებისკოპოსთა. უფრე ამ უფრე ა-
ტიოდ, შეურაცხად გინებით და ბასრობით
ვჰყავთ“¹.

პირველის მიზეზი ეკლესიის იმ დიდ ავტორიტეტშია სა-
ძიებელი, რომელიც ადრე გააჩნდა საზოგადოებრივ ცხოვრებაში,
ხოლო მეორისა ამ ძალის ძლიერ შესუსტებაში.

ჩვენში ეკლესია გავლენასა და ოდინდელ ავტორიტეტს ვანსა-
კუორებით სწრაფად მას შემდეგ კარგავს, რაც საერო ფეოდალურ-
მა საზოგადოებამ ახალი ზნეობრივი კოდექსი გაინალდა.

საერო ფეოდალთა მტრობა-შური ეკლესიისადმი კიდევ უფრო
გაღრმავდა თათართა ბატონობის ხანაში, როცა მტრის მიერ მინიჭე-
ბული პრივილეგიებით ეკლესიამ თავისი კეთილდღეობა უზრუ-
ცლყო. ყმა-მამულის ვამომწირველნი საეკლესიო მოღვაწეებს
ამაზეც მიუთითებდნენ. ძეგლისწერაში ვკითხულობთ: „ნუ კა ვინ
ყალბის მაზეზს შემოიღებს: რაცცა საყვართა
საქონებელთა ყალანი ჰმართებს, მისნიც მზღველნი ვართ, და არას
უკუ ვადგებით და თქუენსა თქუენი თქუენთაგან ვანალამცა გმხახუ-
რებდით, ძალისაებრ და შეძლებისა ჩუენისა“².

კარზე მომზგარი უბედურების უამს, „ღვთის ხალხი“ თანახმა
იყო გაეზიარებინა საერო ფეოდალური საზოგადოების მძიმე ხევე-
რი, მაგრამ არაფერი გამოუვიდა. ბოლოს მათ საეკლესიო წეს-ჩვეუ-
ლებათა შესრულებაზე უარის თქმითა და ეკლესიების დაკვირვის
მუქარით სცადეს თავიანთი სამფლობელოების ხელყოფის შეჩერე-
ბა, მაგრამ მარცხი განიცადეს. ასეთი რამ ეკლესიის ვაკლენის
უაღრესი დაცემის კითარებაში შეიძლებოდა მხოლოდ. ამასც
მოწმობს ეკლესიისა და სამეფო ხელისუფლების დამოკიდებულე-
ბის ძველი რიგის მომლაც. თუ ძველი და ეკლესიის მიერ დაწყევ-
ლილ მეფეც შერისხავდა, ახლა ეს სრულებით შეიცვალა. „აწ თუ
ვის დავჰკრულავთ, გამოაჭენებს თქუენს დარ-
ბაზესა და თქუენთა ვაზირთა მოვმართებს, ბრძა-
ნებასა და კაცს უბოძებთ, ჯუარი დასწერეო,
გაწყრომისა და ჰავად გაკდის ნაცვლად“³.

¹ ივ. ჯავახიშვილი, სოციალური ბრძოლის ისტორია საქართველოში.
IX—XIII საუკუნეებში, გვ. 43—44.

² იქვე, გვ. 42.

³ იქვე, გვ. 43.

მოვინანებით კი, როცა „გამოსაწირავი“ მამულები აღარ იყო, ფეოდალებმა ნატყუარი სპუნაბით შეუტიეს ეკლესიას და ამ გზით ჩაიგდეს ხელში მიწების ახალი ფონდი. მრავალ ჩევნებათა შორის ამას კარგად აზასტურებს, ალექსანდრე პირველის მიერ მცხეთის საპატიოარქო საყდრისადმი 1438 წ. მიცემული სიგელი, რომელშიც ვკითხულობთ: „...ჩუენ პატრონმან მეფე ალექსანდრი ესე... წიგნი ზა ნიშანი გვადრეთ და მოგახსენეთ ოქუენ... დედა- ქალაქსა მცხეთის საყდარსა და... ქართლისა პატიოარქსა ე ზსა შიოს მც ეამსა, ოდეს ეამთა ვითარებისა და შლილობისაგან მცხე- თისა და გარეჯის უდაბნოსა მამულთა მათნი მემზღურენი შემო- ცილნეს ზა რაცა არავს აქათ მცხეთისა მამული იყუნეს, მექმე- ობით რომელთამც მოიტაცნეს, ვქენით მოკითხული და რა გუარი- ცა გუმართებდა, ძველი გუჭარნი და სიგელი მოვახუმევინეთ და- ცა გუმართებდა, ძველი გუჭარნი და სიგელი მოვახუმევინეთ და- ცა ვითა არავის მართებდა აგრე ჩამოვსხენით და არავისა რა საქე ვითა არავის მართებდა აგრე გარე რა არა მცირეთა, რაგუაჩა არავინ ღირს ზავადებინეთ არა ღიდთა და არა მცირეთა, რაგუაჩა არავინ ღირს ყოფილა: ჭავჭავაძესა ფაროდის ზეკნელისძის. პროკოფისთვის ნატყუარი სიგელი დაწერინა ვანთისა, ვარცისა და ღუმას- უბნისა და რაგვარცა ტყუილი იყო, აგრე გავაცუდეთ და ფიცი- თა გარდაწყვდა და უდაბნოსვე დარჩა. ამას გარედ რაცა გარეჯისა- უდაბნოსა მამული არიან და გუჭრები ძეს... რა გუარითაცა ამას წინად ჩუენთა გუართაგან ჭალშეუვალნი ყოფილან მით წესითა დაგიმიტკიცეთ და მოგახ- სენეთ².

გარდა ფეოდალთა მიმტაცებლური ტენდენციისა, ამ საბუთო-ზარ ისიც კარგად ჩანს, თუ როგორ იღვწოდა ამ ზროს სამეფო სელისუფლება მძიმე მარტინი გამოსახურებლად, საეკლესიო მიწათმფლობელობის დასაცავად და ოლიადგენად. ამის მრავალი

1 ପ୍ରାଚୀତାଳିକାରୁକ୍ତିରେ, 83- 276.

² օ. յ ո հ ը ս տ օ ւ, « վ ր ո ն օ յ ց ծ օ », II, 83. 124.



სხვა დოკუმენტიც მოწმობს¹. ეს საქმის ვითარების ღრმა შეცვლი-ბის ნიადაგზე აღმოცენებული პოლიტიკა იყო, მაგრამ ამის უსაფრთხოების დააჩინდა საეკლესიო მიწათმფლობელობას, რომ მისი აღმოფხვრის ძალა და ცელესის ოჯინდელი ძლიერების აღდგენა შეუძლებელი გახდა. ამანაც განაპირობა ქვეყნის დაშლა.

ასე რომ, XIII საუკუნის 60-იან წლებში ეკლესიამ დიდი დარტყმა იგემა და წელშიც გაწყდა. მაგრამ საერო ფეოდალებს შაინც არაფერი ეშველა.

დღიად შესუსტდა მეფის ძალაუფლება და ფართო გასაქანი მიეცა ერისთავთა აღზიდებას. ეს ტენიენცია დღითიდელე ფართოდ იკაფავდა გზეს და თათართა ბატონობის ორი ახეული წლის თავზე. მეფე ჭავით ულუმ, როვორც ჟამთაღმწერელი გადმოგვცემს, „მთავარნი და ერისთავნი ვერ სცვალნის“. ისტორიკოსი მიუ-თითებს იმაზეც, თუ რამ დააძაბუნა მეფე ასე: „შიშისათვეს ყაენისა“ ვერ ახერხებდა ერისთავთა გადაყენებას თუ დასჯას².

საშინაო და საგარეო რეაქციის (ერისთავები, თათრები) ძლი-ერი მოძალების ხანაში მეფის სარბიელი მეტისმეტად შეზღუდული იყო. ის ძალები, რომელსაც ქვეყნის გაერთიანების მეთაური, მეფე, ეყრდნობოდა, უაღრესად შემცირდა. ეს ძალა იყო ქალაქის მოსახ-ლეობა. მისი შემცირება თათართა ბატონობის ერთ-ერთ მძიმე შედეგს — ქალაქების გასოფლებას მოჰყვა. XIII საუკუნის დამ-დეგთან შედარებით ამავე საუკუნის მეორე ნახევარში ქალაქებას დაცემა შეინიშნება. ამ საქმეში განსაკუთრებით უარყოფითი როლი შეასრულა ბერქა ყაენის 1265 წლის ლაშქრობამ საქართველოში. საიდნანოზე ამხედრებულმა ჩრდილო ულუსის მესვეურმა 300 ათასი მეომრით ამოვლო და იავარყო მტკვრის მარცხენა სანაპიროს დიდი ნაწილი. ჟამთაღმწერლის მოწმობით: „ბერქამან მო ა თ კ რ ა ქუეყანა შირვანისა, ჰერეთი, კახეთი და ყოველი იორის პირი და მოვიდა ლაშქარი ტფილისამდე“³. მატერიალურ ნგრევა-ობრებას-თან ერთად, დიდი იყო ადამიანთა მსხვერპლიც. „მრავალი სული ქრისტიანე მოსწყვდესო“ — ამბობს მემატიანე⁴. ასეთ ლაშქრობას მეტად მძიმე შედეგები მოჰყვა. ხორანთასთან დაკავშირებით ვა

1 თ. ეთრდანია, „ერონიები“, გვ. 219, 241, 243, 245, 251 და ა. 3.

2 ე ა მ თ ა ღ მ წ ე რ ე ლ ი, გვ. 256.

3 ი ქ ვ ე, გვ. 254.

4 ი ქ ვ ე.

ხუშტი ბატონიშვილი წერს: „აქ ...იყო ქალაქ და ციხე კარგდებოდა და პეტრი მარტინი და არ იყო გაიზიარა რუსთავემაც, ხუნანმაც და სხვ. ამ ფაქტს (ჩბევა-ოხრებას) ყველა მხარეში როდი შეიძლებოდა ასეთი შედეგები პეტრი და ამის მიზეზი სიცოცხლისათვის აუცილებელ პირობებშია საძიებელი. იქ, საღაც ეს პირობები ძლიერი იყო, განადგურებას გადარჩენილი სიცოცხლის მცირე ფესვიც დროთა განმავლობაში კვლავ ოდინდელი ძლიერებით წამოიზრდებოდა, ხოლო, საღაც ამისათვის აუცილებელი პირობები არ იყო, იშრიტებოდა სიცოცხლე. რუსთავში, ისე როგორც ხუნანსა და მის შემოგარენში, სიცოცხლის მაჯისცემა ემყარებოდა ინტენსიურ სოფლის მეურნეობას. ასეთი მეურნეობის აღდგენა-განვითარება შუა საუკუნეები (მძიმე საშინაო და საგარეო პირობების გამო) ვეღარ მოხერხდა.

XIII საუკუნეში (და შემდეგაც) ქალაქების შემცირება და განადგურება დიდ ზიანად აჩნდა პროგრესს, რადგან მწვავე შინაგალა-სობრივ ბრძოლაში, რომელიც ამ ხანაში მიმდინარეობდა საქართველოში, ქალაქის მოსახლეობა ქვეყნის გაერთიანების ტენდენციას ემხრობოდა და მეფის მთავარი მოქავშირე და საყრდენი იყო.

თათართა მფლობელობის ხანაში გაერთიანების ძალებს შეუსტდა ისეთი დიდი მნიშვნელობის საყრდენი, როგორიც მწიგნიბართუხუცესი იყო. მწიგნიბართუხუცესი დავით აღმაშენებელმა დააწინაურა. პროგრესისათვის ბრძოლაში ეს დიდი ლონისძიება იყო. მწიგნიბართუხუცესი-ჰყონდიდელი საერო და საეკლესიო საქმეების უმაღლესი გამრიგე-მოსამართლე, ბერი, უძეო, მთელი თავისი არსებით მეფეს ედგა მხარში და მისი ხელისუფლების გაძლიერებისათვის ზრუნავდა. თამარის მეფობის პერიოდში ისე წავიდა საქმე, რომ წარმატებამოპოვებული რეაქცია ვერ ითმენდა მწიგნიბართუხუცესს და სულ უფრო და უფრო დიდ საფრთხეს უქმნიდა მეფის მარჯვენა ხელს. ყოველ ლონეს ხმარობდა მის დასაცემად.

XIII საუკუნის ათიან წლებში მწიგნიბართუხუცესს დიდი მეტოქე გაუჩნდა ათაბაგის სახით. პირველი ქართველი ათაბაგი

¹ ვახტატი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, ნ. ბერძენიშვილისა და თ. ლომოურის რედ. თბ., 1941, გვ. 88.

ივნე მხარგრძელი იყო. ზაქარია მხარგრძელის გარდაცვალების შემდეგ, — გვაუწყებს ისტორიკოსი, — „მეფემან მოუწირულა ამა-სა ზაქარიასა ივანე მსახურთ-უხუცესსა, და ინება პატჩუს შემსრულებელისა აღუვანება, და უბოძა ამირსპასალარობის პატივი“¹.

შეთავაზებულ პატივზე ივანე მხარგრძელს უარი უთქვამს, ვინაიდან: 1. „პატივი ეს (ამირსპასალარობა)... დიდად დიდი არს და მე ულიოსი ვარ“ და 2. „...მის ჩემისა სახელსა ჩემზედა არა აქსენებდნენ (აქსენებდეს V), რათა არა მრცხუენეს ნაცვლად მისად დგომა“².

მხარგრძელშა კარგად იცოდა, რომ ამირსპასალარობას ვერა-ვინ წაართმევდა, მაგრამ მარტოდენ ეს არ აქმაყოფილებდა და ათაბაგის პატივის დამატებაც ეწადა. ამგვარი პირდაპირობით ამას ვერ იტყოდა, ამიტომ ამირსპასალარობაზე „უარი“ განაცხადა და მხოლოდ ათაბაგობა ითხოვა. პირველისათვის ისეთი მოტი-ვები დაასახელა, რომელიც საფუძვლიანს არაფერს შეიცავდა და არც შეიძლება მიეღოთ. მხარგრძელსაც ეს უნდოდა.

ივანეს მეფისათვის უთქვამს: „სავართველოსა არა არს წესად და კელად თქუენ მეფეთა წინაშე ათაბაგობა“³. ასეთი ბელი სა-ჭართველოში ცალკე არასოდეს ყოფილა, რაღაც აურე მამა-შძუძის პატივი ამა თუ იმ დიდ მოხელეს ეპყრა. გაერთიანების ხანაში უცვლელი არც ეს ინსტიტუტი დარჩენილა. ამისდა კვალად უემოვიდა ახალი ტერმინიც „მამა მეფისა“. ახალ ვითარებას შეესა-ბამებოდა ამ პატივის მწიგნობართუხუცესისათვის ბოძება. მდგო-მარეობა შეიცვალა. თამარის დროს, როცა ვაზირთა უპირველესში დაკარგა „მეფის მამობა“ მდგომარეობა თანდათან გართულდა და ეს პატივი ცალკე სავაზირო ხელადაც იქცა.

ვაზირთა უპირველესის ხელი თანდათან კნინდებოდა და მალა საქმე იქამდეც კი მივიდა, რომ ერთმა მწიგნობართუხუცესმა კიდევ მიატოვა ეს გაუფასურებული სახელო და ერისთავი შეიქნა.

თათრებმა კარგად შეიცნეს ათაბაგის ბუნება და პროგრისის წინააღმდეგ ბრძოლაში მას მისცეს მხარი.

დავით აღმაშენებლის წამოწყება ირღვეოდა, სამეფო კარჩე მნიშვნელობაშემცირებული სამხედრო პირი ახლა ათაბაგობით

— 1 ისტორიანი და აზმანი, გვ. 110.

2 იქვე.

3 იქვე.

ზურგგამაგრებულ ვაჩირთა შორის მეორეობას იცოტავებდა და
პირველობისაკენ ერჩიდა გული.

ამირსპასალარობისა და ათაბაგობის გაერთიანების ძალა კარ-
გად იყო შეგნებული როგორც პროვინციისტების, ისე რეაქციის ბა-
ნაკში. მეფე ყოველი ძალით იბრძოდა ამის წინააღმდეგ, ხოლო
ამირსპასალარები ათაბაგობის შეერთებას ესწავიდნენ. ამის ნი-
მუშია დემეტრე მეორისა და ხუტლუბულას მოქმედება. 1281 წელს,
როცა ათაბაგ-ამირსპასალარი სადუნ მანკაბერდელი გარდაიცვალა,
მეფემ მემკვიდრეს მამისეული სახელოებიდან ათაბაგობა დააკლო,
რითაც მედროვის ძალა-ავტორიტეტის შემცირება ეწადა. ამ აწ-
რამდე ახალგაზრდა მეფე მწარე გამოცდილებამ მიიყვანა, მაგრამ
წარმატებას მაინც ვერ მიაღწია, პირიქით, თავი გადააყოლა.

თ ა ვ ი IX

აჯანყებანი

თათართა მულობელობის ჭიდავადევები

თათართა უკანასკნელი წარმატებანი წინა აზიაში ჰულაუ ყაენის
სახელს უკავშირდება და იგი არსებითად ბალდადის აღებით დაწ-
რულდა. საილხანოს ფუძემდებელს დასავლეთითაც დიდი გეგმებუ-
ჟეონდა (სირიის დაპყრობა, ბაპტიანთა მისრეთის განაღგურება და
სხვ.). მიუხედავად ენერგიული ცდებისა, არც ჰულაუს და არც მის
მემკვიდრეებს ამ მიზნის განხორციელება არ მოუხერხდათ. ეს ძხო-
ლოდ ბაპტიანთა ეგვიპტის დამსახურება არ ყოფილა. ირანის მონ-
ღოლთა დასავლური გეგმების ჩაშლაში მნიშვნელოვანი წელიღი
შეიტანა საქართველომაც.

XIII საუკუნის 50-იანი წლების შუახნებიდან შექმნილი ვითა-
რება კერძოდ, თათარ-ქართველთა ურთიერთობაში განვითარებული
მძიმე ტეხილი, საილხანოს წირმოქმნა და ცვლილებანი საერთაშო-
რისო ურთიერთობაში, საფუძველს აძლევდა ქართველ პოლიტი-
კოსებს უარესოთ თათართა ბატონობა და აჯანყებულიყვნენ. მის
წინააღმდეგ ამ საქმის წამომწყები ახლაც ნარინ დავითი იყო. ნა-
9. ა. სიხარულიძე

ჭირი პოლიტიკოსი და უდრეკი მეფე, ეტყობა, დიდ იმედება აშენა-
რებდა ეგვიპტეზე. აჯანყების გუნებაზე ახლა ულუ დაქმუშავული მინი-
რუსულანის ძე ყოველს იღონებდა ბიძაშვილის ასაყრლიტებლად,
მაგრამ, როცა ეს ერთხანს მოუხერხებელი შეიქნა, მარტო აჯანყდა

ეს იყო 1259 წლის ზაფხულის ბოლოს, როცა ჰულაუ ყაენი
შინააღმდეგ სალაშქროდ ემზადებოდა. ნარინ დავითის
აჯანყება დიდად ვნებდა საილხანოს. ჭერ ერთი, ყაენი იძულებული
იყო ეგვიპტეში წინ საქართველოში შექმნილ დავიდარა-
ზაზე ემტვრია თავი და დაეხარჯა ძალები და, მეორეც, ქართველთა
აჯანყება თათართა დამორჩილებულ სხვა ხალხებსაც არ აძლევდა
ილხანისათვის სასურველ მაგალითს. რას მოელოდა ჰულაუ იმ ექს-
პედიციისაგან, რომელსაც 1259 წლის სექტემბერში აჯანყებულთა
წინააღმდეგ აგზავნიდა!, არ ვიცით, მაგრამ წარმატება რომ ვერ მო-
იპოვა, ეს კარგად ჩანს. ენერგიული წინააღმდეგობის შემდეგ, რო-
მელიც აჯანყებულებმა შეახვედრეს ყაენის ლაშქარს შიდა ქართლ-
ში, ნარინ დავითი ქუთაისში გადავიდა².

გარდა იმ მსხვერპლისა, რომელიც თათრებმა აჯანყებულებთან
ბრძოლაში გაიღეს, ილხანის ლაშქრიდან ამიერიდან ლიხთიქითის
მხედრობაც გამოირიცხა. სხვა გარემოებებთან ერთად, არც ეს იყო
მცირე მნიშვნელობის ფაქტი.

მალე ილხანს კიდევ უფრო გაურთულდა მდგომარეობა სა-
ქართველოში, ვინაიდან ულუ დავითმა პირველ ხანებში რუსულანი-
ძეს მხარი ვერ აუგა, ჰულაუს მის თათრულ ორიენტაციაში ეჭვის
საფუძველი ილარ ჰქონდა, ამიტომაც გულსრულად მიწვია მისრე-
თის წინააღმდეგ ლაშქრობაში, მაგრამ ამაოდ. ახლა ლაშას ძე
აჯანყდა.

² ჭუვენი, II, გვ. 525.

³ მნითარ აირივან ეცის ცნობით, იძერის მეორე შეფე დავითი სეანეტში
„გაიეცა“ (Histoire chronologie par Mkhithar a'airivank, XIII ს. სომხურიდან
ფარგმნა, შესავალითა და შენიშვნებით გამოსცა მ. ბროსემ, სპბ, 1869, გვ. 108),
„სვანეთი“ აქ ლიხთიქით უდრის. ამავე ისტორიკოსთან დაცული ცნობების
მიხედვით, ეს მოვლენა 1256—1261 წლებს შეა ივულისხმება (იქვე, გვ. 107—
108). სპარსული და ქართული წყაროებით, ეს ფაქტი შეუძლებელია მომხდარი-
ყო 1259 წლის სექტემბრის შეა რიცხვებზე უადრეს (ჭუვენი, II, გვ. 525)
და 1260 წლის შემოდგომის უგვიანეს (რაში აღ-დინი, III, გვ. 50; ეამთ-
ალმწერელი, გვ. 239—241).



დამახასიათებელია, რომ მეფემ თავისი გულისნადეჭრაშეღელის—ში კი არ გაამხილა, არამედ — ჯავახეთში. ეამთაღმწერებულის მეფის ყოყვანით ხსნის¹. ამ მოსაზრების უმართებულობას მეფისა და დიდებულების თათბირის მისივე დახასიათებაც ცხადყოფს. კარგად ჩანს, რომ ქართველ ფეოდალთა დიდი ნაწილი განდგომის მომხრე არ იყო². ასეთ ვითარებაში ამ განზარეულების გამეღვინება თბილისში მეფეს და მის მომხრეებს კარგს არაფერს მოუტანდა. საამისოდ აუცილებელი პირობები სწორედ ჯავახეთში იყო, ვინაიდან თავის სამკვიდრო მამულში მეფეს უფრო მტკიცედ ედგა ფეხი და ახლოს იყო სამცხესთანაც, რომლის სპასალარიც ერთგულებდა მხოლოდ. მავრამ აქ მთავარი ის კი არ არის სად დაძლია ულუმ ყოყმანი, არამედ ის, რომ მან სწორი გადაწყვეტილება მიიღო³ და მტკიცედ თქვა უარი სირის ექსპედიციაში მონაწილეობაზე, რუსულანის ძე ამ ლაშქრობის მზადების პერიოდში აჯანყდა. მოვლენათა ეს ჯაჭვი მხოლოდ თათართა რეფორმებისა და ჰულაუს ლაშქრობებით გამოწევეულ სიმძიმეთა წინააღმდეგ სტიქიურ პროტესტად ვერ ჩაითვლება. ეს აჯანყებანი უფრო შორს მიმავალ მიზნებს ისახავდნენ. ერთადერთი ძალა, რომელსაც უნარი შესწევდა სერიოზულად ოღვომოდა წინ საილხანოს, ეგვიპტე იყო. ჩანს, ასევე ესახებოდათ იგი ქართველ პოლიტიკოსებსაც, რომლებიც გულებულდაკრეფილები კი არ შეპყურებდნენ მამლუქების ამ პროგრესულომს, არამედ თვითონაც აქტიურად მოქმედებდნენ. ნარინის აჯანყების შედეგებზე უკვე ითქვა. მცირე მნიშვნელობისა ამ მხრით არც ულუს აჯანყება ყოფილა. ამ მოვლენამ ყაენს საქართველოდან გამომავალი ლაშქარი კიდევ უფრო შეუმცირა და აჯანყების აღმოფხერაზეც დიდი ზრუნვა და სერიოზული მსხვერპლის გაღება დაჭირდა. ყაენის ლაშქარმა ჭერ კიდევ შოლას ბრძოლაში (ქვეშეთში) განიცადა მნიშვნელოვანი ზიანი⁴. შინდარას შეტაკებაში აჯან-

1 ე ა მ თ ა ლ მ წ ე რ ე ლ ი, გვ. 233—239.

2 ესენი იყენენ: ივანე მხარგრძელი, გრიგოლ სურამელი, კახა თორელი და სხვ. (ე ა მ თ ა ლ მ წ ე რ ე ლ ი, გვ. 239).

3 საშეცნიერო ლიტერატურაში ულუ დავითის განდგომა უარყოფითად არის შეფასებული (ი.ვ. ჯ ა მ ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართველი ერის ისტორია, III, თბ., 1949, გვ. 161).

4 1500 მესხის წინააღმდეგ იქ მტრის 6000 მოლაშქრე იბრძოდა, მავრა? თათრებს რიცხობრივმა უპირატესობამ ვერაფერი უშეველა: ბევრი დაიღუპა, ხო-

ყებული დამარცხდნენ, მაგრამ მათი მამაცური ბრძანებულის დაჯდოშია იაფად¹.

ამის შემდეგაც ენერგიულად უტევდნენ თათრები აჯანყებულებს, მაგრამ დიღხანს მაინც არაფერი გამოუვიდათ. საილხანო კარს ბოლოს ისევ პოლიტიკურმა შანტაჟმა უშველა².

ულუ თუმცა რამდენიმე წლის შემდეგ ისევ მიუვიდა ყაენს და სამცხის თანაგამზრახ სპასალართან ერთად ილხანის სასამართლოს წინაშეც წარსდგა, მაგრამ ამას უფრო ფორმალური ხასიათი ჰქონდა. ის წინააღმდეგობანი, რომელიც საილხანოს ამ დროს შინაურ ჰქონდა და გარეთაც კიდევ უფრო გამრავლებოდა და აჯანყებულ ქართველთა მეკაცრი დასჭის აუცილებლობას არ აპირობებდა, პირიკით, ილხანისათვის უმჯობესი ჩანა შეწყალება. ასეც მოხდა³.

ლო ვინც გაღარია, შინდარის (გორიამ) მიაშურა, სადაც არღუნი იდგა მოავარი ძალებით (ე ა მ თ ა ლ მ წ ე რ ე ლ ი, გვ. 240).

1 ქართველი ისტორიკოსის მტერიცებით, თათართა შემდრევალი სარდალი ბრძოლის გუნებაზე არ იყო და გაქცევას ფიქრობდა, მაგრამ მხლებელი ქართველი ფეოდალები ამაგრებდნენ; კანა თორელი ეუბნებოდა: „ქართველი მეცნაერნი ვართ ომისა მათისანი, ჩუენ ებრძოდით თქუენ წილ“ (ე ა მ თ ა ლ მ წ ე რ ე ლ ი, გვ. 241). არა თათართა სათნოება, არამედ საკუთარი ფეოდალური ინტერესები აპირობებდა თორელის ასეთ თავგამოდებას. ჯაყლ-ციხესჯვრელებსა და თორელთა სხვლებს შორის XIII საუკუნის შუა ხანებში მეტოქეობა შეინიშნება, ჯაყლები თავით წარმატებას ამ დროს მეფის ერთგულ სამსახურში ივებენ, თორელები კი — უცხო ძალის გამოყენებას ცდილობენ. კახმ კარგაზ ცოცდა თათარ-ქართველთა ლაშერის შესაძლებლობა, ამიტომ არ უნდოდა დაკარგა თავისი მიზნებისათვის ეს ხელსაყრელი მომენტი. მისმა (და აღბათ, სხვათ) შეგონებამ გაჭრა და არღუნ თორადმა ბრძოლა გადაწყვიტა.

შოლას მიღწეული წარმატებით გალალებულმა მესხებმა მედგრად შეუტეს მტერს, რომელმაც განსაცდელის ეძმის თავის უტყუარ სამხედრო ხერხს მიმართა და სამცხის მამაც სპასალარს ისეთი უბედურება შეამოხვია, რაც მისმა მამამ და ძმმა ხუნანის კელზე იწვინის ორმოციდე წლის წინათ.

ეს იყო 1260 წლის დეკემბერში (ე ა მ თ ა ლ მ წ ე რ ე ლ ი, გვ. 240—241).

² კამთალმწერლის მონახტრობში ყურადღებას იყრინდს ცნობა დიდვაჭარ შადინზე, რომელსაც არღუნმა „შეავედრა ტულისი და თვთ მეფობაცა“ (კვ. 244). ეს, უკველია, დიდად შეაშეფოთებდა მეფეს.

ქართველი ისტორიკოსი ამას სხვათა შორის აღნიშნავს, მაგრამ ეს თათართა ნაცალი ხერხი იყო და, ჩანს, ულუს წინააღმდეგობაც სწორედ ამან გატეხა.

³ კამთალმწერლის მტერიცებით, ვითომ ლვთის მოწყალებაშ ისნა შეუე და სპასალარი. სასამართლო ჭერ არ დამთავრებულიყო, როცა დარუბანდიდან ყარ-

დავით ულუს ამიერიდან აღარ შეუცვლია კურსი და ყავისწევე კატორბლულ სამსახურში აღმოხდა სული. რაც შეეხება საფუძვლებისა— რინს, მას სიკვდილამდე არ გაუხრია ერთხელ აღებული გუგით და მისრეთთანაც აქტიურად თანამშრომლობდა და სხვა ანტიილხანურ ძალებთანაც.

ნიშანდობლივია, რომ თათრებმა ქართველთა ვერც პირველი აჯანყება დათრგუნეს მათთვის სასურველად და ვერც მეორე. საინტერესო ისიც, რომ დიდი ვაი-ვაგლახით მხოლოდ დავით ულუს მინდობა შეძლეს. ნარინ დავითის შერიგება ამ გზით შეუძლებელი ჩანდა და მასთან მხოლოდ იარაღის ერთ შეიძლებოდა ლაპარაკი ამისათვის კი პულაუს საშუალება არ ჰქონდა. მოგვიანებით მისმა მემკვიდრემ, თუმცა იარაღიც ენერგიულად გამოიყენა, ღალატი და სხვა მეთოდებიც, მაგრამ მაინც ვერაფერს მიაღწია. ნარინ დავითი აქტიურად იცავდა თავს, და არა თუ მხოლოდ იცავდა, არამედ სერიოზულადაც უტევდა მტერს. რუსუდანის ძის 1259 წლის აჯანყება იმ მხრივაც არის საყურადღებო, რომ ამ მოვლენამ დაუდო სათავე ჩვენში ანტიილხანური მოძრაობის დიდ მდინარებას და მეორეც, თათართა მფლობელისაგან იხსნა ლიხთი მერე რეთი. მას უარყოფითი შედეგიც ჰქონდა. ამ აჯანყებით დაიწყო საქართველოს ერთიანი ფეოდალური სახელმწიფოს ჩლვევა. მართალია ორი ტახტი ორ სამეფოს ჭერ კიდევ არ ნიშნავდა.

ფული მოვიდა და ილხანს მოახსენა: „არა არს უამი მეტყუელებად, რამეთე შეიძრა ულუსი დიდი“ და „ყაენი დიდი ბერქამ მოვალს დარტბანდისასა“ (გვ. 248). სასამართლო შეწყდა. ჟულაუმ „მსწრაფლ აწვია სპა თვისი“ და დარტბანდისენ გაეშრა (იქვე, გვ. 249). ფამთაღმწერლის მონათხრობიდან ისეთი შოაზეცდილება ჩრდება, რომ თითქოს ილხანს აქმდე არაფერი სცოდნია ბერქას განწყობილებისა და მხოლოდ დარტბანდის კარის მცველისაგან შეუტყვია პირველად ეს, მაშინ, როდესაც ჭრიანთა და თულიანთა მტრობა ამ დროს არც თუ ისე ახალი ამბავი იყო. ჩრდილოეთიდან შემოსევის სატრაქე რომ არ ყოფილოუ, ბერქას ულუსის ასე გააქტიურებული ზევრვაც არ იქნებოდა. ჩრდილოეთიდან კი არა, ამიერიდან აღმოსავლეთიდანაც იყო მოსალოდნელი მტრის გამოჩენა. ბერქას ეს შემოსევა იმ წინააღმდეგობის იარაღით გადაქრას ითვალისწინებდა, რომელიც ოქროს ურდოსა და საილხანოს პქონდათ უკანასკნელის წარმოქმნის დღიდან. უამთაღმწერლის მტკიცების უზუსტობას მოწმობს ის ფაქტიც, რომ მტრის უკუგდების შემდეგ სასამართლო აღარ გაგრძელებულა. მოენე მანებერდელის სიმპათიაც მეტისა და სპასალარისადმი მნიშვნელოვანწილა საილხანოს კარის პოლიტიკური კურსით იყო განსაზღვრული და ა. შ.

რაღვან ყოველი მათგანის პოლიტიკა მთლიანი საქართველოს პოლიტიკა იყო, მაგრამ დროთა ვითარებაში, ცხადია, ჩურულებული ასე ვერ დარჩებოდა და ქუთათისის ტახტი თანდათან ლიხთიერითა პოლიტიკით დაკმაყოფილდებოდა.

თავი X

ქვეყნის

პოლიტიკური დაულის გაღრმავება

ქუთათისის ტახტის შექმნით დაწყებული სამეცნი პოლიტიკური დაშლის პროცესი მალე სამცხეის გამოყოფით გაღრმავდა. უკანასკნელი მჭიდროდ უკავშირდებოდა მეფის ხელისუფლების დასუსტების ილხანურ პოლიტიკას. მას შემდეგ, რაც ულუ დავითისა და სამცხეის სპასალარის სანიმუშო პატრონუმურმა ურთერთობამ დადი სიძნელები შეუქმნა დამპყრობელს. 50—60 წლების მიჯნაზე, ამ კაშირის გაწყვეტა უპირველეს ამოცანად დაისახეს საილხანო კარზე და ბერქა ყაენის უკუგდებისთანავე დაიწყეს მასზე ზრუნვა. ამას ნათლად ადასტურებს ის წყალობა, რომელიც ლაშქრობიდან დაბრუნებულ დავით მეფესა და მის მხედრობას მიაგო პულაური: „ფრიადითა პატივითა პატივ-სცა და მრავალი ნიჭი მიანიჭა, ესეზომ, რომელ სარგის ჭაყელსა კარნუქალაქი და მიმღვომი მისი ქუეყანა უბოძა იერალაყითა“¹.

ილხანი კარგად ითვალისწინებდა იმ შედეგებს, რაც სპასალარისადმი ასეთ დიდ წყალობას უნდა მოპყოლოდა და ნაყოფიც მალე გამოჩნდა. ამ გარემოებით შემფოთებული ფეოდალები, მაშინვე შემოადგნენ მეფეს და მოახსენეს: „აშ მეფობაცა სარგის მიეცა: ვინათვან ყაენ მან ეზომ განადიდნა, არ ღარა იქნების მორჩილი მეფობისა თქმული მეფობისა თქმული ა“². ყმის გაძლიერება იმ დროს, როცა ცენტრალური ხელისუფლება დღითი დღე სუსტდებოდა, მართლაც ემძიმებოდა მეფეს, რომელმაც უმაღვე გაპროტესტა სპასალარის ილხანისეული შეწყალება. თათრებსაც ეს

¹ ე ა მ თ ა ლ მ წ ე რ ე ლ ა, გვ. 250.

² იქვე.

ეწადათ, „ყაენმა შენი მოუგომისათვს მისცა და, თუ შენ // გ-
ძიმს, ორლარა მის ცე მს“; დააიმედა ელიგონ ნორშებ საჭა-
ლათან საყვედურით დასძინა: „თქუნ ქართველ საქონაფუ-
თილს უყოფთ მკნედ მბრძოლთა წყობ პტერაშაშაც და
არა უწყია, ყაენი სარგის დაარჩინა მტერთა გან,
ძლიერი და სახელოვანი ომი ყო?“¹.

დავით ულუმ მშვენივრად დააფასა ჯაყელის ღვაწლი და თავის
დროზე ქვაბლიანიც უწყალობა და ტბეთის ტაძრიც², მაგრამ
მტრის ეს ოონისძიება ორ ეპრიანებოდა და სავსებით სწორადაც,
მაგრამ იმას ვერ ითვალისწინებდა, რაც ამ პროტესტს შეიძლება
მოპყოლოდა რეაქციის მძლავრობის დროს. ჰულაუმ მეფის განცხა-
დება შეიწყნარა. ამით ულუ დავითსაც ასიამოვნა და თვითაც ორ-
გზის ნასიამოვნები დარჩა: გაჩუქებული ქვეყანაც ღაუბრუნდა და
პოლიტიკური მიზანიც გაინაღდა. გაიხარეს ჯაყელის მოქიშვებმაც.
დამწუხრდა მხოლოდ სპასალარი, რომელიც ილხანის წყალობის
დაკარგვისთან ერთად, ამიერიდან მეფის კარზე ძველ პატივსაც უ-
და გამოთხოვებოდა. ყოველივე ამის გამო შეიქმნა სარგისი „გულ-
კლებით და ქუეგამხედველი მეფისა“³, თუმცა მის ბრძანებას მაინც
მორჩილებით ასრულებდა. ულუ ხედავდა სპასალარის გულგრი-
ლობას და მის განდგომას ეჭვობდა. ამ ვარაუდს უძლიერებდნენ
ფეოდალები, რომლებიც ჯაყელის დამხობას ესწრაფეოდნენ. მათდა
გასახარად მეფემ კიდეც შეიპყრო სპასალარი, მაგრამ სიხარული
უდღეური გამოდგა. ჯაყელს ილხანი გამოესარჩლა, განსაცდელის-
გან იხსნა და „ულოსიანად“ შეიწყალა⁴.

ეს ფაქტი ცენტრალური ხელისუფლების დიდ მარცხს მოასწა-
ვებდა, რადგან ილხანის მფლობელობაში გადასული და მასზე
ეკონომიურად დამოკიდებული სამცხე ამიერიდან ნომინალურად
რჩებოდა მეფის განსაგებელში. ეს დიდად აბრკოლებდა თათართა
წინააღმდეგ ბრძოლას, რომელსაც ჯაყელები არა თუ მხოლოდ გა-
მოეთიშნენ, არამედ მტკიცედაც ჩადგნენ რეაქციის სამსახურში და
ყველგან თავგამოდებით უტევდნენ პროგრესს, მამლუქ-თათართა

1 ქამთალმწერელი, გვ. 250.

2 იქვე, გვ. 247.

3 იქვე, გვ. 250.

4 იქვე, გვ. 255.

ომში იყო ეს, თათარ-ქართველთა ომში (დავით მერვის დროის) ზოგადი სხვანანი.

საცნის „ულოსიანად“ ქცევის ქვემო ქრონიკისტები მატზღვარს ბერქა ყაენის სიკვდილი დებს, ხოლო ზედას — სიბაზე წასვლის თაღარიგის დაჭრა.

ბერქა 1265 წლის დეკემბერში გარდაიცვალა. სიბაზე წასვლა კი „ყოველთა სთუელთა“ ხდებოდა ხოლმე². მესხეთის მთავარიც თბილისში იმ დროს იყო მიწვეული, „ვითარ მიახლის უმი სიბაზა წასელისა“ (1266 წლის ზაფხულის მიწურულში, ან შემოდგომის დასაწყისში). იმ დროს შეიპყრო ის მეფემ. სპასალარის ტყვეობიდან დახსნას და ყაენის „მორჩილებაში“ შესვლას სამცხის მთავრის და-პატიმრებიდან დიდი დრო არ უნდა დასჭირებოდა. ამას მოწმობს:

1. მესხი აზნაურები პატრონის შეპყრობისთანვე „ივლტოდეს“ აბა-თა ნოინისაკენ. 2. ეტყობა, არც უკანასენელს დაუყოვნებია მისთვის ნათხვარი ამბის ყაენისათვის მოხსენება და 3. ილხანმაკ „მსწრაფლ“ მიიღო ჯაყელის განთავისუფლებისა და თვითდაუფლე-ბის გადაწყვეტილება. 4. ყველაფერი ეს, თუ ამ ფაქტის უამთაღ-წერლისეულ თანმიმდევრობას ვირწმუნებთ, იმ დროს დასრულე-ბულა, როცა „მეფე ჭერეთ არ წარსულ იყო სიბაზა“³. ასე რომ, ყაენის საქონებლად სამცხის ქცევა 1266 წლის შემოღვმაზე მომ-ხდარა⁴.

ამ კატეგორიის ქვეყანაში ხარბ და გაუმაძლარ მოიგარადრებს უკვე იღარ შეესვლებოდათ. ამას კი ქვეყნის სამეურნეო ცხოვრების განვითარებისათვის უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა, თანაც საკუ-

1 საწინააღმდეგო ჩვენებებს არ შეიცავენ ფაქტები: 1268 წელს სპასალარში გზა რომ არ შეუქრა ლითიქითისაკენ მიმავალ აქანცებულ თათარ ბატონიშვილი (კი მთაღმწერე რე ლ ი, გვ. 259), 70-იანი წლების მიწურულში სარგისი და პა-სი ძე რომ განუდგნენ ილხანს (გვ. 278—279) და სხვ. პირველს თეგულარის ილქმა („უკეთუ განუმარჯვდეს, დიდად განადიდოს სარგის“ — გვ. 259) პირობებდა, ხოლო შეორეს — ის უკმაყოფილება, რომელიც აბალისა და ჯაელს შეა უკა-ნასენელის „მტერთა... სიტყვა“ ჩამოვარდნილიყო (გვ. 279) „საქმისა რა-სათვსმე“ (გვ. 278).

2 კი მთაღმწერ რე ლ ი, გვ. 255.

3 იქვე.

4 აქ ვაჩუმტის შემოთავაზებული 1268 წ. შესაწყნარებელი არ არის (ქარ-ლის ცხოვრება, ნაწ. II, ღ. ჩუბინოვის გამოცემა, სპბ, 1854 წ., გვ. 151).

თარ ქვეყანას ილხანი სულ სხვა თვალით უცემდა, ვიდრე ბაჟკაკი
ან სხვა ვინმე!

ეს ფაქტი ქართველობა-თათრობას შორის მიმდინარეულზე გამო-
ტიკ ბრძოლას მოწმობდა, რომელშიც აშკარა უპირატკებები დასა-
ვითარებულსა და პროგრესულ ქართულ მეურნეობას პქონდა, ხო-
ლო პოლიტიკური ჯერ ისევ მტერს ეპყრა. სამეფო ხელისუფლების
დაზუსტებითა და ქვეყნის განცალკევება-დაყოფით ილხანი დაპყ-
რობილის წინააღმდეგობის გატეხვას ლამობდა, მაგრამ სამეურნეო
უპირატესობას მაინც თავისი გაპქონდა და სულ უფრო და უფრო
უმორჩილებდა თავის გავლენას განვითარების დაბალ საფეხურზე
მდგომ მოძალადეს. რაც დრო გადიოდა, ფეოდალური მიწის-
მფლობელობა უფრო ფართოდ იყიდებდა ფეხს საილხანოში. ეს კი
იმაზე მიუთითებდა, რომ განვითარების სხვადასხვა საფეხურზე
მდგარი ხალხების სამეურნეო სისტემათა ჭიდილში აღრე თუ გვიან
გამარჯვება განვითარებული ფეოდალიზმის ქვეყანას უნდა დარჩე-
ნოდა.

ხასინჯუს დივნის ქვეყნებთან შედარებით დიდი უპირატესობა-
ნი გააჩნდა, რასაც მისი მქონებელი გულმოდვინედ იყენებდა, რო-
გორც მეფისაგან შეუვალობის მოსაპოვებლად, ისე სხვა მხრივაც.
ასეთი ტენდენციების გამო იგი მიუღებელი იყო სამეფო ხელისუფ-
ლებისა და ფეოდალთათვისაც. ამ უკანასკნელთ „ულოსიანი“ ქვეყ-
ნის არც შედარებით მშვიდი ცხოვრება აწყობდათ (რაც სანატრუ-
ლი იყო დივნის ქვეყნებში), არც მოშენება-დაწინაურება და ა. შ.

კაყელებმა უნარიანად გამოიყენეს ხასობით მოპოვებული
მდგომარეობა და თვალსაჩინო წარმატებებსაც მიაღწიეს. მნიშვნე-
ლოვნად გაფართოვდა სამთავროს ტერიტორიაც. ეს საქმე ხორცი-
ელდებოდა როგორც წყალობა-ბოძების, ისე მეზობელთა მომძლავ-
რებისა და სხვა საშუალებებით. ყაენის ნებით შეუერთდა სამცხეს
იკონის ქართველი დედოფლის ნამზითევი აწყური (აბალას დროს)²
და კარი (ყაზანის ილხანობაში)³.

1 ნ. ბერძენიშვილი, ეპიზოდი ფეოდალურ საგვარეულოთა სამამულ
ბრძოლიდან XIII საუკუნის საქართველოში, გვ. 208.

2 ეპთალმწერელი ამ ფაქტს „საბერძნეთის (რემის სულტანის) დიდი ვაზა-
რის, ფარმანს (ფერვანე)“ სიკედილით დასჯას უკავშირებს (გვ. 271); რაშიდ
ად-დინის ცნობით, მუინ ად-დინ ფერვანე 1277 წლის 2 ივნისტოს მოუკლავი
(III, გვ. 91).

3 ეპთალმწერელი, გვ. 315.

ბექა ჯაყელმა ტრაპიზონში ასულის გადედოფლებითაც კარგი მცირავა („ქანეთი სრულიად“) შეიძინა (1297 წ.)¹ და ეს მცირავა უნდა ეხმარა. საილხანო კარილან მხარდაჭერა, მეზობელ მფლობელთა სისუსტე და მრავალი სხვა, სამისოდ ხელსაყრელ პირობებს ქმნიდა. ამ გზებით და საშუალებებით ჯაყელ-ციხისჯვრელები თანდათან დაეუფლნენ სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს მრავალ მცირავას (აჭარა, შავშეთი, ქლარჯეთი, ნიგალი, ჭანეთი და სხვ.)².

¹ ე ამთაღ მწერე რე ლი, გვ. 304.

² იქვე, გვ. 271, 273, 304, 312, 315. სამცხის ტერიტორიულ გაფართოებას თავისებურად ხსნის ა. კიკვიძე. მისი შეხედულებით, დასუსტებულ სამეფო ხელისუფლება „რეალური შესაძლებლობა — ეკონომიკური და სამხედრო ნიადაგი ერისთავთა მორჩილებისა... გამოცლილი პქნდა. ხოლო ერთიანობა იმდევნებოდა ხერხდებოდა, რამდენადაც ცენტრალური ხელისუფალნი — ვაზირები იგივე ერთიანობა იყვნენ“. (ა. კიკვიძე, სამცხის სამთავროს წარმოშობა საქართველოს ფეოდალურ მონარქიაში. თსუ, შრომები, ტ. XXVII, თბ., 1949, გვ. 74—75). ვაზირი იყო ბექაც (მანდატურთუხუცესი), რომელიც ამასთანავე „სამცხის სპასალარობაც“ პქნდა. ჯერ კიდევ მისი მამა გამოდიოდა „მოელი სამხრეთ-დასავლეთ მხარის შეერთებული სპას წინამდოღად“ (გვ. 73). ბექებს დროს კი, როცა ცენტრალური ხელისუფლება უძლურდება „სამცხის სპასალარობა ხდება ფეოდალური სამეფო ხელისუფლების დასაყრდენი სამცხისა და მოელი სამხრეთ-დასავლეთ მხარის სამხედრო ძალთა ორგანიზაციისათვის და ამიტომ შესაძლებელია გვეიფრა, — ამბობს მკელევარი, — რომ ბექებს შეირ დაპყრობა მოელი ამ მხარისა, სინამდვილეში წარმოადგენდა ფეოდალური ცენტრალურის ღონისძიებას — მოეწერ სრიგებინა დაქსაქსული საერთაშოთავებით თავისი პოლიტიკის სასარგებლოდ და ვანსამტკიცებლად“ (გვ. 73—74), მაგრამ ბექებს „ცენტრალური ხელისუფლების რწმუნება“ „ამ ხელისუფლების საწინაღო მდევროდ“ გამოიყენა და სამხრეთ საქართველოს ქვეყნები „მისი საკუთარი ხელისუფლების ქვეშ“ მოაქცია (გვ. 75).

შეფის ხელისუფლების სისუსტის უმთავრესი შინები თათართა პოლიტიკა იყო. ურჩი ერისთავების წასახდენად საჭირო ეკონომიკურ და სამხედრო რესურსებს შეუე მოქლებული არ იყო, მაგრამ მისი გამოყენება არ შეეძლო, რადგან მათ ზურგს იღხანი და მისი ხელისუფლება უმაგრებდა. არც სამკაულად შეცელი „ვაზირობა“ უოფილა ამ დროს ქვეყნის „ერთიანობის“ საფუძველი, არც „სპასალარობას“ უჩინს აქ ჩაიმე როლი და არც ბექება მანდატურობულების შეიძლებოდა პქნდა სამისო ჩაიმე „რწმუნება“. სხვაც რომ არაფერი გვეკონდეს, ამას კარნუს საქაყელოდ შევისათან დაკავშირებული ეპიზოდიც ცხადყოფს.

1266 წლის აქტმა სამცხე არსებითად მოსწყვერზე სამართლა, მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ, თითქოს, ცენტრალური ხელისუფლება საბოლოოდ შეურიგდა სამცხის განკერძოებას და იმპერიალურებას და მის შეძლებისდავარ შემომტკიცებაზე. ამ კურსით იყო ნაკარნახევი ბეჭა ჯაყელის ასულის გადეღოფლება თბილისში 80-იან წლებში, ბეჭასვე მანდატურთუხუცესობა და სხვ. ამან ათქმევინა, როგორც ჩანს, უამთაღმწერელს: ბეჭა „მორჩილებდეს დიმიტრის“¹. სამწუხაროდ, ისტორიკოსს მეფისადმი ჯაყელის მორჩილების შინაარსზე არაფერი აქვს ნათქვამი. ვახუშტი კი ამ შინაარსს „ძლვნობითა“ და „მოსმენით“ ავსებს².

ასევე შეიძლება ითქვას ბეჭა ჯაყელისა და მეფე დიმიტრის დამოკიდებულების შესახებაც. ბეჭამაც „მოუსმინა“ მეფეს: მისცა ასული ცოლად, მიიღო მანდატურთუხუცესობა. მანვე გაუგზავნა „ძლვენი“ დაიკით დიმიტრის ძეს კურთხევის დროს და სხვ³.

ეს ურთიერთობა ლრმად არ შეპრილა პოლიტიკურ სფეროში. დამახასიათებელია, რომ მეფის კურთხევას ბეჭა ჯაყელი არ დასწრებია (თუმცა საამისოდ „მოუწოდეს“ ცენტრიდან) და მხოლოდ ძლვენის წარგზავნით დაქმაყოფილდა, თუმცა ეს ინსტიტუტიც („ძლვენი“) აქ თითქმის დაცლილია იმ შინაარსისაგან, რომელიც მას, ჩვეულებრივ, ახასიათებდა ფეოდალურ-პატრონულურ ურთიერთობაში.

ბეჭას სამართლის წიგნში სამცხის მფლობელი „პატ(რ)ონის“ ეპითეტით იხსენიება⁴. ფეოდალთა კლასის ზედა ფენების აღმნიშვნელი ეს ზოგადი ტერმინი ციხისფერელთა სახლისათვის არც აღრეი იყო უცხო და იმ ტეხილზე მორგებაც არ იქნებოდა ძნელი, რომელიც ჯაყელებმა განვითარეს XIII საუკუნის მეორე ნახევარში. ამ ცვლილებას კარგად ასახავს უამთაღმწერელთან დაცული ტერ-

1 ე ა მ თ ა ღ მ წ ე რ ე ლ ი, გვ. 273.

2 ვ ა ხ უ შ ტ ი, საქართველოს ცხოვრება, ტც., 1913, გვ. 231.

3 ე ა მ თ ა ღ მ წ ე რ ე ლ ი, გვ. 297.

4 წიგნი სამართლისა კაცთა შეცოდებისა უოველისავე: ი. დ თ ლ ი ძ ე, ძველი ქართული სამართალი, თბ., 1953, გვ. 286, მუხლი I. მავე ტერმინით იხსენებს პაპას აღბულა სჯულმდებელი სამართლის წიგნის შესავალში (იქვე, გვ. 1285—1286).

მინები „სამცხის მთავარი“¹ და „სამცხის ბატონი“². ქსენი მდგო-
მარეობა გაგრძელდა 1334 წლამდე, ვიდრე გიორგი ეპიფანიუს
ბოლო არ მოულო დედისეული სახლის განკერძოებას.

თ ა ვ ი XI

ქუთათისის ტახტის ანტიკლებაცერი პოლიტიკა

თათართა ერთიანი სახელშითოს დაშლამ, რომელიც XIII სა-
უკუნის 60-იანი წლების დამდეგს დასრულდა და ულუსებს შორის
ატეხილმა დავა-შფოთმა ქუთათისის ტახტს წარმატების იმედი მის-
ცა. ის პერსპექტივები, რომელიც საილხანოს წინააღმდეგ ბრძოლა-
ში მისრეთს უჩნდა ზაპირ რუკნ აღ-დინ ბაიბარს ფუნდუკდარის
(1260—1277) სულტნობის დროს, რუსულანის ძეს ამ ქვეყანასთან
შეიძრო პოლიტიკური ურთიერთობის განვითარებას უკარჩახებდა.
ეტყობა, ამავე მიზანს ისახავდა ქართველი მეფის ელჩიობა, რომე-
ლიც ეგვიპტელი ისტორიკოსის თავი აღ-დინ აპმედ იბნ ალი ალ-
მაკრიზის (1364—1442) ცნობით, მისრეთში ჩასულა პიჯრის 663
(1264—1265) წელს³.

ეგვიპტელებმა დიდად გაახარეს დავით მეფე და ყველა ქარ-
თველი პროგრესისტი 1260 წლის ოქტომბერში, როცა სასტიკად
დაამარცხეს თათრები. ლაშქრის დიდი ნაწილი ბრძოლაში დაიღუპა.

¹ ქ ა მთა ღ მ წ ე რ ე ლ ი, გვ. 306, 311, 323.

² ი ძ ვ ი, გვ. 308; „სამცხის ბატონის“ ინალოგიურად დამკვიდრეს სახელი
მუხრანელმა და კახელმა უფლისწულებმა (ხ. ბ ე რ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი, ფეოდალუ-
რი ურთიერთობიდან XV საუკუნეში, მასალები საქართველოს და კავკასიის ის-
ტორიისთვის, ნავ. I, თბ., 1937., გვ. 26).

³ Histoire des sultans Mamlouks de l'Egypte, ecrite en arabe par Ta-
ki ed-din Ahmed - Makrizi, traduite en français et accompagnée des
notes philologiques, Historiques, géographiques par M. Quatremer-
e, t. II, Paris, 1845, 18 (ქართ—ალ-მაკრიზი, II).



ნაწილიც ტყვედ ჩაუვარდა მამლუქებს! ეჭვი არ არის, დავთ მე-
ფე მამლუქთა 1263 წლის სირიული ექსპედიციის შეფატობით და ფრთოვანებული იქნებოდა. ოქროს ულუსთან გართულებების გამო
საილხანოს დასავლეთით აქტიური მოქმედება არ შეეძლო. იმ ძა-
ლებით კი, რომლითაც ილხანმა მისრელთა წინააღმდეგომა სცადა
(კილიკიის სომეხთა სამეფო, თათართა და ჯვაროსანთა მცირე მხედ-
ლობა), წარმატებას ეკი მიაღწია. ცოტა მოგვიანებით, საილხანომ
უფრო ენერგიული გამოსვლა დაპირა დასავლეთით და აღ-ბირა
დაკავა, მაგრამ მალე მამლუქთა წინააღმდეგომის გამო იძულებუ-
ლი შეიქნა უკან დაეხია. თათართა მოკავშირე კილიკიის ბრძოლაა
ეგვიპტელებთან მნიშვნელოვნად აფერხებდა სელჩუკებთან კონ-
ფლიქტები. საილხანო კარი აღრე ამაში უსარგებლოს ვერაფერს
ხედავდა, ახლა კი, როცა დასავლეთში მთელ იმედებს არსებითად
კილიკიაზე ამყარებდნენ, ეს უკვე მოუთმენელი იყო და მალე ჰე-
რაკლიაში შეარიგეს კიდეც საუკუნოვანი მტრები. მაგრამ ვერც
ამან უშველა საქმეს, რადგან სელჩუკთა ერთი ნაწილი შინ თუ გა-
რეთ მაინც იბრძოდა თათართა წინააღმდეგ. ამ ძალებს შენიბუ-
ლად მეთაურობდა რუმის ფაქტიური გამგებელი მუინ აღ-დინ ფერ-
ვანე. ამ უკანასკნელის ამგვარ განწყობასა და რუმში ანტიოლხანუ-
რი მოძრაობის განვითარებაში მცირე წვლილი არც ფერვანეს ცო-
ლისძმას, ნარინ დავითს უნდა ედოს. მასევ მნიშვნელოვანი როლი
უნდა შეესრულებინა მცირე აზიის სელჩუკთა და მამლუქების და-
კავშირებაშიც. ფერვანესა და ნარინის მოყვრული კავშირი, ცო-
ლისძმისა და სიძის ანტიოთატრული განწყობილება, ქუთათისის ტახ-
ტისა და ქაიროს პოლიტიკური ურთიერთობა და ზოგი სხვა ამ მო-
საზრებებს საკმაოდ მყარ საფუძველს უქმნის.

ანტიოლხანური ძალები განსაკუთრებით კაქტიურდნენ 60-იანა-
წლების შუა ხანებიდან. ფუნდუკდარი ჯვაროსნებს და კილი-

I ჩანს, თათრები ამ დროს ტყვეებისადმი აღარ იჩენდნენ ისეთ დამოკიდე-
ბულებას, როგორც აღრე დადასტურებული. ასე გამოეცალა მტერს ხელიდან
განვითარებულ ხალხებთან უპირატესობის ეს ერთ-ერთი მოავარი საშუალება.
ასევე ითქმის თათართა ტაქტიკურ უპირატესობაშეც. სულტანმა მეზაფარ საიუ
აღ-დინ კუტუშმა (1259—1260) წარმატება სწორედ მტრის იმ სამხედრო ხეზ-
ნის გამოყენებითაც მოიპოვა, რითაც თაორები აღრე თავზარს სცემდნენ მოწინა-
აღმდევებს.

* C. D'ohsson. Histoire des Mongols, III, 1834, გვ. 406.

კიას მიექალა, ჩრდილოეთიდან კვლავ ბერქას ულუსი დაძმა⁵, ქუთათისის ტახტიც აქტივობს⁶. მალე (1268 წ.) საილხაშვილი მოკავშირე ჩაღატაიანებთანაც გაუმჯვავდა მდგომარეობა. ჯერ თე-გუდარი აუჭანყდა, სადაც იყო ბორაყიც წამოვიდოდა. ასეთ ვითა-რებაში ჩავიდა ქართვიში ნარინ დავითის ელჩობა (ფუნდუკთართან მოსალაპარაკებლად)⁷, დიდი პატივით მიიღეს ქუთათისში თეგუდა-რი, მისი ურდო და ა. შ.

თეგუდარი, ჩაღატას შეილიშვილი (მუხი იას ძე) იყო⁸. გრიგოლ აკანეცის მოწმობით, იგი წინა აზიაში პულაუს მოპყოლია და ერთ-ერთ პირველთაგანს უცვნია მისი ოლხანობა⁹. ამის გამო თეგუდარი დიდ პატივშიც პყოლია ყაენს¹⁰.

პულაუს სიცოცხლეში თეგუდარი მტკიცედ მდგარა ილხანის ერთგულებაზე. გუნება შეცვლია მხოლოდ აბალას ილხანობაში და შეორგულებია კიდეც. რაშიდ აღ-დინი ამას ბორაყის ინიციატივად თვლის¹¹. ქართველი ეამთაღმწერელი კი პირიქით, თეგუდარს მიიჩ-

1 სებასტიანი, გვ. 28; სტეფანოს ეპისკოპოსი, გვ. 36; სებატ სპარაკეტი, გვ. 59; ჰეთუმ II (იქვე), გვ. 73—74; ანონიმი, გვ. 78—79.

2 რაშიდ აღ-დინი, III, გვ. 68—69; კამთალმწერელი, გვ. 254—255.

3 ალ-მაკრიზი, II, გვ. 18, 51.

4 ალ-მაკრიზი, აქ პიგრის 666 წლის ჯუმადის თვეს უჩვენებს (ალ-მაკრიზი, II, გვ. 51); კატრემერი ამ თარიღს ქრისტიანული წელთაღრიცხვის 1267 წელს უფარდებს (იქვე), ასევე მ. ბროსე სთანაც ც. (Histoire de la Géorgie, I, გვ. 563, შენიშვნა 2). ი. ჯავახიშვილი მას აქ დასხელებული ჯუმადის თვეს მიხედვით თებერვალ-მარტით აზუსტებს (666 წლის ჯუმადის თვე დაიწყო 17 თებერვალს და დამთავრდა 21 მარტს). ი. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, III, გვ. 192.

5 რაშიდ აღ-დინი, III, გვ. 41—42.

6 აკანეცი, გვ. 41—42.

7 იქვე, გვ. 67.

8 ბორაყის აბალასთან მოციქულები გამოუგზავნია (არა ჩანს რა ოფიციალური დანიშნულებით). მოციქულებს თერმე ნეგუდარ-ოლელისათვის (როგორც უფლისწული სპარსულ წყაროებში იხსენიება) საჩუქრები მიპქონდათ. ამათშა ერთი ისარც ყოფილა. ბორაყის შიკრიკებს გადაცემისას უნიშნებიათ თეგუდარისათვის, რომ იგი რაღაც საიდუმლოს შეიცავდა. უფლისწულს გაუკვეთია ისარი და უნახავს წერილი, რომელიც აუწყებდა: „დე იცოდეს ნეგუდარ აღამ, რომ მე შემოკრებილი მყავს დიდი ლაშქარი და მოვდივარ აბალა ყაენს“. იმედი მაქეს, რომ როცა ის გამოემართება ჩემს შესახვედრად, ‘შენ არ მიხვალ მასთან

ნევს ილხანის წინააღმდეგ შეთქმულების წამომწყებათ¹. კუთხით
სწორი თითქოს პირველი უნდა იყოს. ყამთაღმწერელს ჰუაზაში მოშვერდიდ
არ სცოდნია საქმის ვითარება, მისი ხარვეზებიც (ბორაყისა და თე-
გუდარის ძმობა და სხვ.) მოწმობს.

რაშიდ აღ-დინის ცნობით, თეგუდარი და მისი ურდო საქარ-
თველოში მდგარა². ქართული წყარო პირდაპირ ასახელებს იმ აღ-
გილებს, რომლებიც მას ილხანისაგან პქონდა მიცემული. აბალამ
თეგუდარს „უჩინა ზაფხულის საღვურად ვიდრემდე მთანი არარა-
ტისანი და საზამთროდ რაჯსისა პირი და ნახევანი“³.

წერილი თეგუდარს ირანში მიუღია და შინ წამოსულა. აქ ეს
საიდუმლოება თავისი ამირებისათვის გაუმხელია და გამოსვლისა-
თვის საჭირო თადარიგს შედგომია. აბალა ყაენს რამდენჯერმე მიუწ-
ვევია ის ურდოში, მაგრამ შეთქმული უფლისწული არ მიღიოდა
და წაუსვლელობას ყოველთვის რაღაცით მიზეზობდა⁴. ამასობაში
დამდგარა ის დრო, რომელსაც შეცდომით უჩვენებდა ბორაყის წე-
რილი. „შეცთა მწიგნობარი მისი (ბორაყისი) და ორი მთოვარითა
(აღრე) დაწერა განდგომა თეგუდარისა“, — წერს ქართველი ისტო-
რიკოსი⁵. უფლისწულმა ეს არ უწყოდა და მოწერილობისამებრ და-
იწყო მოქმედება. აყარა თავისი საღვომიდან და „მომართა მთათა
ლადოსათა, კარჩხალსათა და კარისათა, რომელ არს შორის შავ-
შეთსა და აჭარასა და დაღვა თავსა შავშეთისასა ფიჭუთას“⁶.

ლადოსა და კარის მთების აღგიღვდებარეობა აქ შეცდომითაა
აღნიშნული. რაც შეეხება კარჩხალს, ის არის ამ ჩაიონში, მაგრამ
არა აჭარასა და შავშეთს შორის, არამედ საკუთრივ შავშეთში,
იმერხევსა და მიჭიხიანს შორის.

შავშეთის ფიჭუთას მდგომ შეთქმულ უფლისწულს მოლაპარა-
კება გაუმართავს სარგის ჯაყელთან და მისთვის დასავლეთ საქარ-

და ეცდები გააკეთო ყოველივე, რომ მას ჩემთან შებრძოლების ძალა არ პქონ-
დეს, ეს კი მისი სამფლობელოების დაუფლების საშუალებას მოგვცემს“ (ჩა-
შიდ აღ-დინი, III, გვ. 73).

1 უამთაღმწერელი ა, გვ. 258.

2 რაშიდ აღ-დინი, III, გვ. 73.

3 უამთაღმწერელი ა, გვ. 258.

4 რაშიდ აღ-დინი, III, გვ. 73.

5 უამთაღმწერელი ა, გვ. 258.

6 იქვე, გვ. 259.

ჯვაროსნებზე დიდ იმედებს ამჟარებდა. აბალა მაინც გვიდა არ
იტებდა და სკეროდა, რომ დას. ევროპაში მისრელთა წინააღმდეგ
ლაშქრობის მოსურნებს კიდევ იპოვნიდა. ამ მიზანს უსახვევონენ
მისი ელჩები რომში, საფრანგეთსა თუ ინგლისში ვიზიტის დროს
(1274, 1277 წწ.). ამავე პერიოდში ილხანი ნარინ დავითია
დამხობასაც ენერგიულად ცდილობდა. ამ ბრძოლას უკავშირდება
ვინმე ღალღურის ლიხთიქითში შესვლა, რაჭის ერისთავის შეთქმუ-
ლება და სხვ.

ღალღურის ვინაობას ქამთაღმწერელი ილხანის სიტყვით გვი-
ზანიათებს. სირმონ ნოინთან საუბარში აბალა აცხადებდა: „მეფი
დავით ესოდენთა განდგომილებათა იქმს, რამეთუ მისსა არ კა
იყოფს, და ყოველთა განდგომილთა ჩუენთათანა შეეწევის, ვითარ
თეგუდარს, და აწ ღალღურს... აწ მნებავს, რათა შური ვიგოთ მის
ზედა“¹.

ღალღური თითქოს „განდგომილია“ თეგუდარივით და ილხანი
შის შეპყრობას ლამობს. ასეთივე აზრია მიღებული სამეცნიერო
ლიტერატურაშიც². სინამდვილეში ეს პირი უფრო განდგომილების
ნიღაბს შეფარებული აენტი ჩანს, ვიდრე საილხანოდან კეშმარი-
ტად ლტოლვილი პოლიტიკური დამნაშავე. ამას გვაფიქრებინებს:
1. სპარსულ და სომხურ წყაროთა დუმილი ღალღურის განდგომი-
ლებაზე. მაშინ, როდესაც ეს წყაროები თეგუდარს დიდ დაგილს
უთმობენ, ღალღურზე არავითარ ცნობას არ გვაწვდიან. 2. ღალღუ-
რისა და რაჭის ერისთავის შეთქმა დავით მეფის წინააღმდეგ³. თუ
ღალღური მართლაც თეგუდარივით განდგომილი იყო, რამ აფიქ-
რებინა მფარველის საწინააღმდეგო შეთქმულებაში მონაწილეობა?
3. ყურადღებას იპყრობს ქამთაღმწერლის ცნობათა წინააღმდეგობ-
რივი ხასიათიც. ყაენის საბრალმდებლო სიტყვაში ღალღური „გან-
დგომილია“ და იმერეთში იმყოფება (დავითი... „შეეწევის აწ ღალ-
ღურს“). ქამთაღმწერლის მიხედვით კი, ღალღური იმ დროს ყაენის
კარზეა „რამეთუ მი იწივნე ს (რაჭის ერისთავმა და ღალღურმა)
ყაენს წინაშე (ღა) შეიწყნარა (ილხანება)“. თუ ასე იყო ნამდვილად

¹ ქამთაღმწერელი, გვ. 268—269.

² ივ. ჭავახიშვილი, ქართველი ერის. ისტორია, III, გვ. 206.

³ ქამთაღმწერელი, გვ. 268.

და განდგომილი ხელში ჰყავდა აბალას, როგორდა უბრძანის საბა-
მონს იმერეთზე ლაშქრობა მეფისაგან ლალღურის შეწევნის გადა-
ბით? ლალღური ილხანის კაცი ჩანს და სპეციალური ჰაჯაშუაზე მისგანვეა შეგზავნილი იმერეთში. დავით ულუს, ზაქარია მხარგრ-
ძელის, თეგუდარის თუ სხვათა პრეცედენტით საილხანოს კარზე
კარგად იცოდნენ დავით ნარინის დამოკიდებულება ამგვარი პირე-
ბისადმი, ამიტომ, მეფესთან ბრძოლის ახალი გზა აირჩიეს და ცრუ-
განდგომილი შეუგზავნეს. ლალღურმა შეისწავლა საქმის ვითარება,
იმერეთის გზები, კავშირი გააბა მეფის მოწინააღმდეგე ძალებთან
(კერძოდ, რაჭის ერისთავთან) და შემდეგ წაუძლვა თათრებს ქუთა-
თისზე. მტრის თავდასხმა იმდენად მოულოდნელი იყო, რომ აბა-
ნოში მყოფ მეფეს ძლივს გაუსწრია.

როდის „შეეხიზნა“ ლალღური იმერეთს, ფამითალმწერლის
თხზულებიდან არ ჩანს, სხვა წყაროებში კი იგი არ იხსენიება. ჩეკ-
ნი აზრით, ეს ფაქტი საილხანო კარის იმავე პოლიტიკის უკავშირ-
დება, რომლის ერთ-ერთი ეპიზოდია თათართა ელჩების ჩასვლა
დას. ევროპაში 1274 წ. მართალია, ჩუსულანის ძის შეპყრობის
რამდენიმე ენერგიული ცდა მტერს ჩაეშალა, მაგრამ შინაური
გართულებითა და თათართა ხშირი თავდასხმებით მაინც მნიშვნე-
ლოვნად შეუმცირა ბრძოლის უნარიანობა. ამავე გარემოებამ, საილ-
ხანოს წინააღმდეგ ჭუჩიანთა და ჩალატიანთა გამოუსვლელობამ,
საკუთარმა სისუსტემ და ზოგიერთმა სხვამ არ მისცა საშუალება
მუინ აღ-დინ ფერვანეს ესარგებლა რუმში მამლუქთა შემოსვლით
და აქტიურად გამოსულიყო თათართა წინააღმდეგ². აბალა ყაენი

1 ე ა მ თ ა ლ მ წ ე რ ე ლ ი, გვ. 269.

2 რ ა შ ი დ ა ღ-დ ი ნ ი ს ცნობით, უუნდუკდარისათვის რუმში შესვლა ზა-
აღ-დინ. ხატირის შეილსა და ფერვანეს შვილს უთხოებათ 674 წ. (1275—1276)
(III, 90). 1277 წ. მამლუქებმა გაანადგურეს იქნინის სისულტნოს საზღარებე-
რი თათართა ლაშქარი და კესარიაში შევიდნენ, მაგრამ ფერვანემ მისრეთის სულ-
ტანის შეერთებისათვის ხელსაყრელი ვითარება ვერ დაინახა და ტოკათის სი-
მაგრეში ჩაიყერა. ერთხანს უშედევოდ მოუწოდებდა უუნდუკდარი რუმის გამ-
გებელს, მაგრამ, როცა აღარ გამოჩნდა, უკან გაბრუნდა და იმით გამორიცე-
ბულმა ფერვანეს საიდუმლოც გაამხილა. აბალამ რუმში მძიმე რეპრესიები გან-
ხორციელა, ხოლო მუინ აღ-დინი აღატალს სიკვდილით დასავა (რა ში დ ა-
დ ი ნ ი, III, გვ. 91).

მაშინვე ფიქრობდა სირიაში ლაშერობას, მაგრამ ეს კარგა ხასს ვიღარ მოახერხა. ჩანს, ერთხანს ნარინის წინააღმდეგ ბრძოლის შედეგი ჩერებიათ. რა ბედი ეწია ღალღურს, ამ ვიცით, მისი ძოვავისიც და მეფის ორგული კახაბერისძე კი ატენს იჯდა¹ და მოთმინებით ელოდა ხელსაყრელ ამინდს. ასეთი დროც დადგა. ნარინ დავითთან ბრძოლაში ხელმოცარულმა ილხანმა ერთხელ კიდევ სცადა ბედი და რაჭის ერთითავიც ამოქმედდა. მისი ვედრება შეიწყნარა მეფემ და სამკვიდროზე აღადგინა. მაგრამ კახაბერისძის მუხანათობა მაღალი გამომჟღავნდა და გაუსწორებელ მოღალატეს საკადრისიც მიეგო: თვალი დასწვეს, ცალი ხელი და ფეხი მოჰკვეთეს, შვილები გაუძევეს².

ივ. ჯავახიშვილი ამ ფაქტის დამათარილებელ ერთადერთ მონაცემად ეპიზოდში დასახელებულ ალინაყს მიიჩნევდა, რომელიც 1284 წლის 4 ივლის მოკლეს³.

რაჭის ერთითავის დასჭა 1282 წლის გაზაფხულზე უგვიანეს არ ივარაუდება, რადგან ამდროიდან საილხანოს აჩც ნარინთან ბრძოლის საშუალება ჰქონდა და ალინაყიც ირანში იმყოფებოდა.

მართალია, უამთალმწერელი კახაბერისძის თავგადასავალში იმდროინდელ ყაენს პირდაპირ არ იხსენიებს, მაგრამ წინ და შემდგომ მოთხრობილი ამბებიდან ჩანს, რომ აბალას დროს, ევგიპტეზე ლაშერობამდე გულისხმობს⁴. არაპირდაპირი მონაცემებით, ეს ფაქტი 1278 ან 1279 წელს არის სავარაუდებელი.

ფუნდუკდარის სიკვდილის შემდეგ ვერც მამლუქები აქტივობდნენ წინანდებურად და ვერც საილხანო. სულტან სეიდ ნურ ად-დანის ღამხობისა და მანსურ საიფ ად-დინ კალაუნის ამაღლების ეამს (1279 წ.) მისრეთს მნიშვნელოვნადაც გაურთულდა მდგომარეობა. დამასკოს ამირამ სონკორმა, რომელმაც კალაუნის ძალაუფლება არ ცნო; აბალა ყაენი მოიწვია სირიაში სალაშქროდ⁵. 1280 წლის ოქტომბერში ილხანის ლაშქარი სირიაში შევიდა; დამასკოს შველო-

1 ფამთალმწერელი, გვ. 275.

2 იქვე.

3 ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერთს ისტორია, III, გვ. 208.

4 ფამთალმწერელი, გვ. 279.

5 ქ. დ' ოსონი, დასახ. ნაშრ., გვ. 524.

ბელმა ცოტა გვიან, მაგრამ მაინც შეიცნო თავისი შეცდომა და მართებულად ამჯობინა მისრეთის სულტანთან შერიგება. ეს მომავალი მური ერთხანს წარმატებით მიიწვევდა წინ სირიაში, მაგრამ უკავშირ მამლუქთა, არაბთა და თურქთა შეერთებულ ძალებს ვეღარ დაუდგა და სასტიკი დამარცხება იწვნია. აბალას რევანშე ფიქრი იწვალებდა, მაგრამ ეგვიპტეშე ახალი ლაშქრობა ვეღარ მოაწყო. მისი გარდაცვალების შემდეგ საილხანო-მისრეთის ურთიერთობა შეიცვალა. გაილხანებულმა აპედ-თეგუდარყოფილმა მამლუქთა მბრძანებელთან ზავი შეკრა.

კალაუნის ზეობაში (1279—1290 წწ.) მისრეთმა მნიშვნელოვანი წარმატებები მოიპოვა, იყმო და მძიმედ დახარეა კილიკია (1285 წ.), მოსპო სირია-პალესტინის ჯვაროსნულ წარმონაქმნთა დიდი ნაწილი და სხვ.

ეგვიპტის წარმატებებს, კერძოდ, კილიკიის ჩამოცილებას საილხანოსგან დიდი მნიშვნელობა ჰქონდა საქართველოსა და ილხანის ხელისუფლების წინააღმდეგ მებრძოლი სხვა ხალხებისათვის.

XIII საუკუნის 80-იანი წლების მიწურულში ლიხთიქითის შემომტკიცება ილხანმა ნარინ დავითის შვილის თბილისში შეფერდასმის გზით სცადა. უდრეულ მოღვაწე თუ ამაზე დათანხმდა, არა იმიტომ, რომ ამიერიადან თაორებთან თანამშრომლობას აპირებდა, არამედ იმისათვის, რომ უფრო გაეფართოებინა გამათავისუფლებელი ბრძოლის ასპარეზი.

დავით ნარინმა თათართა წინააღმდეგ ბრძოლაში სანაქებო კონიერება და მამაცობა გამოიჩინა. თითქმის ნახევარი საუკუნის მანძილზე წარმატებით უძლოდა არა მარტო ქართველ პროგრესისტთა ბრძოლას, არამედ საილხანის წინააღმდეგ ხალხთა საერთო ბრძოლის ერთ-ერთი გამოჩენილი ხელმძღვანელიც იყო.

ნარინის გარდაცვალების შემდეგ (1293) ქუთათისის ტახტმა ველარ შეინარჩუნა ანტიოლხანური ბრძოლის ჰეგემონობა საქართველოში და ამ სასახელო ომის ცენტრმა აღმოსავლეთ საქართველოში გადმოინაცვლა. რუსუდანის ძის პოლიტიკა ლირსეულად განაგრძოდა ნარინისეული დაუინებით ებრძოდა საილხანოს მისივე სეხნია, დემეტრე მეორის პირში.

აღმოსავლეთ საჩართველოს სამაცო

XIII საუკუნის 70—80-იან წლებში.

დემოტიკ მაცის სიკვდილით დასჯა

XIII საუკუნის 70-იანი წლების დამზეგს, როცა თბილისის ტახტზე აპალა ყაენნა მცირეწლოვანი დემეტრე მეორე დასვა, ქვეყანა მეტად მძიმე მდგომარეობაში იმყოფებოდა. იგი ტერიტორიულადაც შემცირებული იყო და მოსახლეობითაც, ცალკეულ თემებში უცხო ელემენტსაც მოედგა ფეხი. რეაქცია მძლავრობდა.

დემეტრე მეორის სამეფოს ფარგლებში უამთაღმწერელი ასახელებს შემდეგ ქვეყნებს: ჰერეთს, კახეთს, სომხეთს, ქართლს, ჯავახეთსა და ტაოს. სამცხეს სამთავროში შემავალი ქვეყნების მასეულივე ჩამოთვლილდან ჩანს, რომ უკანასკნელში (ტაო) ამ მხარის მხოლოდ ერთი ნაწილი იგულისხმება, რადგან „უმრავლესი ტაო“ სამცხესთან, აჭარასთან, შავშეთთან და სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს სხვა ქვეყნებთან ერთად, მესხეთის მთავარს ეპირა. მართალია, უამთაღმწერელი ერთგან გვარწმუნებს, რომ გამეფებისას აპალა ყაენნა დემეტრეს „მოსცა ყოველი სამეფო, თვინიერ საჩიგის გაყელისა“¹, მაგრამ, ამავე ისტორიულისის სხვა ცნობებიდან ჩანს, რომ სამცხეს გარდა, ახალ მეფეს ხელი არც საათაბავო სახლის სამფლობელოზე (სომხეთში) მიუწვდებოდა, რადგან მას ავაგ ათაბავის სიძე, ხოგა-საძიბ-დივანი დაუფლებოდა².

აჩსებითად ილხანის ხელისუფლებას ექვემდებარებოდა საარიშიანოს აღმოსავლეთი ნაწილი, სადაც XIII საუკუნის 60-იან წლებში აპალა ყაენნა ჩრდილო ულუსისათვის გზის შეკვრისა და მთიელთა მეოვალყურეობის მიზნით გამაგრებული ხაზი ანუ „სიბა“ შეერა³.

სხვადასხვა დროს თათართა სამხრეთელ თუ ჩრდილო ურდოთა ქვეყანაში ლაშქრობა და შემოსევათა დროს მიყენებული ჭრილო-

¹ ე ა მ თ ა ღ მ წ ე რ ე ლ ი, გვ. 270.

² ი ქ ვ ე, გვ. 285, 272.

³ ი ქ ვ ე, გვ. 251.

ბები მძიმე ზიანად აჩნდა აღმ. საქართველოს სამეცნიერო და მოსახლეობას.

ჯერ კიდევ საქართველოს დაპყრობის დროს „იმუშავებული სოფელი ქართლისა ოქრად“¹.

დიდი ნგრევა-ოსრება და მოსახლეობის განადგურება მოჰყავ ბერქის ლაშქრობას².

დივანს დაქვემდებარებული სამეცნ ქვეყნების მოოსტებულობა დააზასტურა 70-იან წლებში საილხანოში ჩატარებულმა მეორე აღწერამ, რომელსაც იგივე არღუნ-ალა მეთაურობდა. არღუნმა „აღთუალა აალად (სამეცნ) და ცნა, რამეთუ უმრავ-ლესი მოოქრებულ იყო, და უმეტეს ჰერეთი და კახეთი, რამეთუ კამბეჩის ვაკენი მოოქრებულ იყო გამოსვლა-სა მას თათართასა, ოდეს გამოვიდა ყაენი დიდი ბერქა“³.

ქვეყნის ნგრევაში თავისი წვლილი შეუტანია შემუშავებელსაც, რომელიც, განსაკუთრებით ძლიერი ყოფილი სამცხეში⁴.

ყოველივე ამის შედეგად ქვემო ქართლის, კახეთის და სამე-ფოს სხვა ქვეყნის მრავალი სოფელი და ქალაქი მოიშალა და გაუ-კაცრიდლა.

XIII საუკუნის 60-იანი წლებიდან საქართველოს მეფეს და ქართულ ფეოდალურ საზოგადოებას ახალი საზრუნველი გაუჩინდა. ის იყო ჩრდილო კავკასიიდან შემოსულ ოსებთან ურთიერთობა. ოსები ოქროს ურდოს თათრებს გამოექცნენ და მათსავე საილხა-ნოელ თანამომეებს მიუვიდნენ. მდგრმარეობას განსაკუთრებით ის ართველებდა, რომ ილხანის მოქავშირენი საქართველოში დამ-კვიდრებას ქართველ ფეოდალთა ყმობის პირზე კი არ ფიქრობდნენ, არამედ ბატონობას ესწრაფვიუნენ და საამისოდ აუცილებელ ამინდს ელოდნენ; როცა მეფე საილხანოს კარზე, ფასში იყო, მაშინ ისინი დუმდნენ, ხოლო, როცა ყაენისა და მეფის ურთიერთობა მწვავდებოდა, მაშინ აქტიურობდნენ.

მძიმე მდგრმარეობა შეიქმნა საარიშიანოს აღმოსავლეთ ნა-

1 ქამთაღმწერელი, გვ. 187.

2 იქვე, გვ. 254.

3 იქვე, გვ. 274.

4 იქვე, გვ. 277-278.

ჭილმიც, საუკუ „სიბის“ დაცვის მიზნით თათართა ტოშები ჩადა
სახლდნენ. მომთაბარეთა მომრავლებამ ამ მხარეში დიდადაც შეატენ-
ხა პავილონბრივი მოსახლეობა. ბრძოლა მოსულსა ჰქონდა მდგრადი
შორის სულ უფრო და უფრო ძლიერდებოდა (მონოლოთა შორის
ადგილობრივი ფეოდალური ტენდენციების ფეხის მოფგმის დარაღ).
ასეთსავე მდგომარეობაში იყო სომხეთის განაპირო თემებიც.

ტერიტორიაზე წილმაგრობრივი ამ შძინე პერიოდში, როცა სრულ-
წლოვანი მეფეები ვერაფერს ახერხებდნენ, ცხადია, ცუდ მდგო-
მარეობაში აღმოჩნდა უღონო და უძალო დემეტრე. უამთაღმწერე-
ლიც მიუთითებს; რომ მცირეწლოვანების გამო მას „არა ძალედა
შეფრბა“ და ერთსთავნიც „უმრავლესი წარვიზეს და შაახურებდეს
ყაენსა“).

იმათ შორის უპირველესი იყო საღუნ მანკაბერდელი, რომელ-
მაც სამეფოს ათაბაგ-ამირს პასალარობაც იშვა და ახალგაზრდა-
შეფის სიძნელეებითაც კარგად მოითბო ხელი². იგი არა მარტო
ქალაქებს და ქვეყნებს იძნდა უხვად (ჩუქებით, მზითევით თუ
კიდვით), არამედ ცოლებსაც, რომელთაგანაც ერთი, კერძოდ, დე-
შეტრე მეორის და (თამარი), ნაყიდი ჰყავდა პირველი ქმრისაგან³.

საღუნის ესოდენი განლილება საერთ ფეოდალების შუალა და
უქმაყოფილებას იწვევდა, ხოლო ქრისტიანული ზნეობისათვის
მიუღებელი მისი მრავალცოლიანობა ეკლესიას აღშფოთებდა. ნი-
კოლოზ კათალიკოსი „ფრიად შეაჩუენებდა“ მეღროვეს, „გარნა
მძლავრებისაგან საღუნისა ვერ უძლო განკუხებად“⁴.

მართალია, საღუნს ვერაფერს დაცუბლა ქართული ეკლესიას
მეთაურის განრისხება, მაგრამ მაინც ცდილობზა დიდი შეწირუ-
ლებებით საეკლესიო წრეების გულის მოგებას. როცა ისტორი-
კოსი ათაბაგის უწესობა-სივერაგეზე ლაპარაკობს, ამასაც არ ივა-
წყებს და წერს: „ხოლო იქმნა (საღუნის მიერ) კეთილიცა საქმე
მონასტერთა და გლახაეთა მიმართ, რომელი დღეთა ცხოვრებისა
მისისათა მან მისცა ყალანი და მალი ათორმეტთა

1 ე მ თ ა ლ მ წ ე რ ე ლ ი, 83. 268.

2 ი ქ ვ ა, გვ. 272, 273.

3 ი ქ ვ ა, გვ. 278.

4 ი ქ ვ ა

უდაბნოთა გარეგისათა და განათავის უფლის
შუეყანა გარეგისათა¹.

ეტყობა ამანვე ათქმევინა უამოლმწერელს: „იყო კაცი საღვა-
ნი ესე მშუებელი, კეთილად გამოხე და ბრძენი“². მისივე მტკი-
ცებით, „სადუნი კეთილად განაგებდა საქმე მეთა
საქართველოსათა, რამეთუ დღეთა მისთა არა იქნებოდა
თათართაგან ძალი და უსამართლობა, არც დიდთა ნოინთაგან, არ-
ცა ელჩთაგან“³.

ის „ძალი და უსამართლობა“, ჩაც „დღეთა მისთა“ ამ მედრო-
ვემ ჩაიდინა ქვეყანაში არათუ ჩამოვარდებოდა თათართა დიდი
ნოინის, ელჩის თუ ბასქაების ძალადობას, არამედ საეჭვოცაა, რომ
რომელიმე მათგანს ამჟღნი სივერგის ჩადენა შეძლებოდა.

ყმაწვილი მეფე კარგად ხელავდა ამას და სხავდა ფლიდა
მედროვე, ვაგრამ ილხანისა და სპიბ დივანისაგან ზურგგამიგრე-
ბულ მანქაბერდელს აშეარად ვერ შეებმებოდა. მედროვის მძლავ-
რობას მხოლოდ სიკვდილმა მოულო ბოლო.

დემეტრი მეფე ყოველი ორნოთ იღვწოდა შინა და გარეპოლი-
ტიკური ურთიერთობის მძიმე რელის გასაჩრდევებად. მან იკოდა,
რომ წარმატების საფუძველი ამერიკად ილხანთან კარგი ურთიერ-
თობის დამყარება იყო. ამით იყო გაპირობებული ის მამაცობა.
რომელსაც შეფე მისრელთა, თუ ილხანის სხვა მტრებთან ბრძოლა-
ში იჩენდა⁴.

ამავე თვალსაზრისით იყო ნაკართახევი ილხანის კარზე გავ-
ლენიანი ბულა ჩინგასანგთან დამსახლება. ამ საქმეში მეფეს დიდი
წინააღმდეგობა შეხვედრია კათალიკოსისაგან, მაგრამ დემეტრემ
კარგად იცოდა რასაც და რისუებისაც აყეთებდა და ამიტომ უკა-
ალარ დაუხევია⁵.

ყოველივე ამას არ შეიძლებოდა დაუდიოთ შედეგები არ
გამოედო. ბულას მოყერობა-მფარეულობის მეშვეობით მოიპოვა

1 ე ა მ თ ა ლ მ წ ე რ ე ლ ი, გვ. 272.

2 ი ქ ვ ვ.

3 ი ქ ვ ვ.

4 ი ქ ვ ვ, 280 და შედ.

5 ბულა ჩინგასანგის ვაჟზე დაქორწინებულ მეფის ასულს, როგორც უამთაღმ-
წერელი გვამცობს, რუსულანი რქმევა (იქვე), დემეტრე მეფის ასული რესე-

დემეტრემ შინაგან რეაქციასთან ბრძოლაში ერთგვარი (თუმცა
დროებითი) წარმატება და აბალა ყაენის სიკედილის შემდგენ დაზღვრა¹.
1 პრილი)² საილხანოში შექმნილ მძიმე პოლიტიკურ სიტუაციების
შეც მისივე შემწეობით გაიკვლია გზა.

პირველი რიგის ლონისძიებათა შორის უმთავრესი იყო საფუ-
ნის მემკვიდრე ხეტლუბულასათვის ათავაგობის დაკლება და იმ
სახელოს მანკაბერულთა მოსისხარი ორბელთა სახლის პატივად
ქცევა³.

ყაენის კარჩე მეფის მტკიცების პირობებში ხუტლუ-
ბულას, რა თქმა უნდა, არ შეეძლო სანაცვალო მიეგო დემეტრესა-
თვის და იძულებული იყო ერთხანს მოეთმინა.

ბულა ჩინგსანგისავე მეოხებით დადგა მეფე აჭმად ყაენის
მხარეზე და აქტიურად ებრძოდა ახალი ილხანის მტრებს, გილან-
სათუ ხორასანში⁴. და ყაენმაც დაუმადლა ყოველივე ეს. „პატივი-
ცა უყო დიდი და უოველნი მთავარნი საქართველო-
სანი მოსცნა“⁵. იმავე დიდი ნოინისავე წყალობა იყო ისიც, რომ
დემეტრემ შეიცვალა პოზიცია და 1284 წელს აჭმადის მეტოქე
ძმისწულს, არღუნს მიემხრო. ამ სწორი პოლიტიკური ორიენტა-
ციის ნაყოფი კიდევ უფრო დიდი იყო. გარდა იმისა, რომ გამარ-
ჯვებულმა არღუნმა დემეტრეს „მოსცა ყოველი სამეფო მისი“,
ამასთანავე უწყალობა „სახლი ივაგ ათაბაგისა“⁶.

ყაენის კარჩე კარგი რეპუტაციის მეოხებითევე გახადა მან თა-
ვისი სამეფო თათართა მოხელეებისაგან შეუვალი. ამანვე განსაზ-

დანი იხსენიება იერუსალიმის ჭვარის მონასტრის სვინაქსარის №№ 65, 131 და
250 აღაპებში (ე. მეტრევალი, მასალები იერუსალიმის ქართული კოლონიის
ისტორიისათვის, თბ., 1962, გვ. 85, 91) და ვანეძორის ტაძრის ეკვივრის
წარწერაში (ე. თაყაიშვილი, არქეოლოგიური ექსპედიცია — კოლა-ოლ-
თისში და ჩანგში 1907 წელს, პარიზი, 1938, გვ. 58). იმ ტავის ბედის
შემდეგ, რომელიც ბულას და მის სახლს ხვდა წილად 1289 წლის ინვარ-
მარტში, დაქვრივებული ქართველი უფლისწული სამშობლოში დაბრუნებული
და ტაოს ერისთავს თავა ტანასკერტელს მისთხოვებია (ე. მეტრევალი,
დასახ. ნაშრ., გვ. 41, 136-137).

1 რაშიდ აღ-დინი, III, გვ. 99.

2 რამთალ მწერე რელი, გვ. 281.

3 იქვე, გვ. 284-285, რაშიდ აღ-დინი, III, გვ. 108.

4 რამთალ მწერე რელი, გვ. 285.

5 იქვე.

ლერა შინასამეურნეო და აღმშენებლობითი საქმიანობა... „აღმშენებლობითი შეცვალების მოვალეობულნი... აღმშენებლობითი შინა შეცვალების მოვალეობითი შეცვალების მოვალეობითი შინა“¹ და ასე დასახურით გამოიყენეთ.

დემეტრე მეფე გარეპოლიტიკური საქითხების მოწესრიგებისთვისაც ენერგიულად ზრუნავდა. ტრაპიზონის საკეისროსთან მჭიდრო ურთიერთობას ისახავდა მიზნად, მაგალითად, კონსტანტინე და დი კომნენის ასულის გადედოფლება თბილისში².

მეფე გამასაუთრებულ ყურადღებას აქცევდა მესხეთის სახასოსაც და მის შემომტკიცებას ლამობდა. იმ პერიოდში, როცა დემეტრეს უხდებოდა მოლევშეობა, მესხეთის მთავართან ისევ მოყვრობით თუ გახდებოდა რასმე მეფე, თორემ სხვა გზა დახშული იყო. აშკარაა ამ მიზნით იყო გაპირობებული მეფის დაქორწინება ბექა ჯაყელის ასულ ნათელაზე³.

მაგრამ ყველაფერი ეს მაინც მცირე და მხოლოდ დროებითი წარმატებანი იყო. მას მტკიცე საფუძველი არც ჰვენის შიგნით გააჩნდა და არც გარეთ. პირველი მთავარ-ერისთავთა მძლავრობას გულისხმობს, რომელთა გასატეხად ამ დროს მეფეს სერიოზულ ღონისძიებათა გატარების ძალა არ შესწევდა, ხოლო უკანასკნელი საილხანოში გამეფებულ აშლილობას. ასეთ ვითარებაში არც ბუდა ჩინგსანგის პოზიცია იყო მყარი და არც მისგან დამოკიდებული ქართველთა მეფისა.

ბუდა ნოინის განდიუხება ბევრს შეშურდა. ყველაზე აქტიურები იყვნენ დიდმოხელენი: სულტანი ზიუდეჩი, ტუგანი და ოთლაჩარი. ისინი ყოველ ხელსაყრელ მომენტში აბეზლებდნენ ჩინგსანგს არღუნის წინაშე, მაგრამ საპიბუივნის დიდი დამსახურებისა და მისი ერთგულება-კეთილსინდისიერებაში ეჭვის უქონლობის გამო, არღუნი ამაგებს ყურს არ უგდებდა.

ბუდას მტრები მაინც არ ცხრებოდნენ და დაეთხოებით განაგრძობდნენ ჩინგსანგისა და მისი დასის წინააღმდეგ ბრძოლას. მათ იერიში მიიტანეს საპიბდივნის ძმაზე, არუქზე, რომელიც ბაღდადის ამირა იყო და იმდენი აბეზლეს ყაენთან, რომ არღუნმა მისი გადაყენება ბრძანა⁴. ამან გამარჯვების რწმენა შეპმატა ბულას მტრებს

1 კამთაღ მწერელი, 272.

2 იქვე, გვ. 274.

3 იქვე, გვ. 286.

4 რაშიდ აღ-ინი, III, გვ. 121.

და მათთაც უფრო გაბედული მოქმედება იწყეს. ამ კიბრის მემო ავად იყო. განკურნებული საპიბლიცანი არღუნმა ძველებულებულები ზე განახობით მიიღო, მაგრამ რამდენადმე შეუმცირა გარდა გადასაცემისა და საქმეში მოსისხარი თოლაჩარი შეუზიარა¹. ეს ძალიან ეწყინა ჩინვ-სანგს და არღუნის დამხობის თადარიგს შეუდგა. საპიბლიცანია გეზი უფლისწულ ჭუშკაშიე აიღო და აუწყა კიდეც თვისი განზრა-ხვა. უნებისყოფო ჭუშკაში შეშინდა და ყველაფერი ეს არღუნ მოახსენა. აღშფოთებულმა ყაენმა მისი შეპყრობა ბრძანა. ბუღას მტრები მაშინვე დაეცნენ მის ბანაკს და შეკრეს მტკვრის პირი (მუღანში)². ჩინვგანგი შინ არ დაუხვდათ, დამით გაეცემულიყო ოლგათ-ხაოუნთან, შეფარების მიზნით, მაგრამ დედოფალმა არ მიიღო. უკან მობრუნებული ბუღა ამირა ზენგიმ შეიფარა, მაგრამ შემდეგ შეშინდა და მდევრებს მისი ადგილსამყოფელი მიასწავლა³.

არღუნმა მისი სიკვდილით დასჯა ბრძანა. განაჩენი სისრულე-ში ჭუშკაშმა მოიყვანა. ეს იყო პირის 687 წლის ზი-ლ-ხიჯგეს თვის 21-ს (1289 წლის 16 იანვარს).

ყველა ის, კინც იმ სიაში მოხვდა, რომელიც ჭუშკაშის მო-თხოვნით ბუღამ შეადგინა, სიკვდილით დასაჯეს, იგივე ბედი გა-ზიარეს ბუღას შეილებმა: აბაჩიმ, მელიქიმ, თარხან-თემურმა, ყურღუთ-თემურმა და ძმამ, არუკმა⁴. მოუკითხავი არც ქართველთა მეფე დარჩენიათ.

დემეტრე სავონებელში ჩავარდა. არ იცოდა რა ექნა: განმდ-გარიყო, თუ ყაენს ხლებოდა ურდოში. მაგრამ მალე, როგორც ჩანს, პირეელი უარუყვია; ამის საფუძველს, ეტყობა, დემეტრეს აძლევდა როგორც ქვეყნის არახელსაყრელი შინაპოლიტიკური მდგომარეობა, ისე უხეირო საერთაშორისო სიტუაცია⁵. ამის გამო მეფემ ისევ მეორე ვზა იირჩია. მაგრამ თავისი გადაწყვეტილებით მაინც არ დაკმაყოფილდა და საერთო და საეკლესიო დიდების თაბირი შეპყარა. თაბირს პირველად უარუყვია მეფის არჩევანი და მთიულეთში ან დასავლეთ საქართველოში გახიზვნა ურჩევია⁶.

1 რაზიდ ად-დინი, III, გვ. 122.

2 იქვე, გვ. 123.

3 იქვე, გვ. 123-124.

4 იქვე.

5 კამთალმწერ ელი, გვ. 287.

6 ნ. ბერძენი შვილი, თათართა ბატონობის ხანა, გვ. 23.

ჩეენი აზრით, ეს თათბირის მთელი შემადგენლობის ტექსტო-
კოსთა და ეპისკოპოსთა და მოძღვართა და მთავართა¹ საურთო
რჩევა კი არ იყო, როგორც ამას უამთაღმწერელი ირაული მუსიკურის მეზ
იმ ნაწილისაგან მომდინარეობდა, რომელიც მეფეს ერთგუ-
ლებდა, თათბირი კი, რომელიც ამ საკითხს იხილავდა, მარტო
ასეთებისაგან როდი შედგებოდა.

არც ისეთი მტკიცებაა მართებული, რომ თითქოს მეფეს
წინასწარ ჰქონდა გათვალისწინებული ის ტრაგიული ბედი, რო-
მელიც ურდოში წასვლას მოჰყვებოდა, მაგრამ თუ თავს მაინც
იღუპავდა, ქვეყნის ოხრება აშინებდა. ასეთი აზრია გატარებული
მეფის მიერ თათბირზე წარმოთქმულ სიტყვაში². რამდენად ზუს-
ტადა დაცული ამ სიტყვის შინაარსი უამთაღმწერელთან, ძნელი
სათქმელია, მაგრამ მასში რომ მეფის გადაწყვეტილება შეფერ-
დებულია, ურდოში დემეტრეს შეილის თანხლებით გამგზავრები-
თაც დასტურდება. ეს, მეფეს, როგორც უამთაღმწერელივე მიუთი-
თებს, იმისათვის გაუკეთებია, „რომ ეს უაშენეს იქმნას
ყაენი, და ჰგონთს ერთგულება მისი“³. აქედან ნათ-
ლად ჩანს, რომ დემეტრე ილხანთან თავის მართლებას პირებდა
და არა სიკედილს. მაგრამ აქ შინაური მტერი გაღუდგა წინ, რო-
მელმაც საილხანოს ლიხთიქითურ პოლიტიკაზე დაყრდნობით და-
ღუპა კიდეც იგი.

მეფეს სასიკედილო განაჩენი მოახსენეს. იგი ატირდა და ამ
განაჩენის მთავარ შემოქმედს შველა სთხოვა. „რქუა მეფემან
(ტუტლუბულას): „უკეთუ ძალგიძს ყაენს წინაშე შე-
მეწიე სიკუდილსა ამას შინა“⁴.

ესეც იმას მოწმობს, რომ მეფე ურდოში სიკედილით დასჭას

1 ეამთაღმწერელი, გვ. 288.

2 იქვე, უამთაღმწერლისებურად განიხილავდნენ ამ საკითხს ვახუშტი ბაგ-
რატიონი (საქართველოს ისტორია, I, გვ. 257—258), ივ. ჯავახიშვილი
(ქართველი ერის ისტორია, III, გვ. 229—230) და სხვ. სიკედილთან შერიგე-
ბულად გვიხატეს ურდოში მიმავალ მეფეს ილია ქავჭავაძის პოემა „დიმიტრი
თავდადებული“, რომელიც ერის საერთო მოქმედების თეორიაზე აგებულ
თხზულებაა და აქტიურად ეხმაურებოდა გვიანდელ თერგზალებლთა ეროვნულ-
გამათხვისუფლებელი ბრძოლის პროგრამას.

3 ეამთაღმწერელი, გვ. 289.

4 იქვე, გვ. 291.

არ მოელოდა, მაგრამ გადარჩენის ყოველი სასო უკუე წარეცმოდი იყო და იძულებული შეიქნა ჭალათისათვის „წარეცმული ფაქტები“¹. ეს იყო 1289 წლის 12 მარტს.

თ ა ვ ი XIII

აჯანყება აღმოსავლეთ საქართველოში

მიწისმფლობელობის განვითარებული ფორმების მიღება, ცელილებები მმართველობის სისტემაში (კაზირის ინსტიტუტის აღდგენა), ისლამის სახელმწიფო რელიგიაზ გამოცხადება და სხვა ღონისძიებანი, რომლებიც XIII საუკუნის მიწურულში განხორციელდა საილხანოში, იმის მოწმობა იყო, რომ კულტურულ და კურობილთან მეტოქეობაში დამარცხებული „თათრობა“ გზას უთმობდა განვითარებულს.

ახალი ეკითარება, კერძოდ, ისლამის შემოსვლა, უმაღვე აისახა სახელმწიფო პოლიტიკაში. თუ მანამდე თათრები ქრისტიანობისადმი ლოიალურად იყვნენ განწყობილნი, ამიერიდან საილხანოში მწვავე ანტიქრისტიანულმა ტენდენციამ მოიგვა ფეხი. ამ მდგომარეობამ საკმაოდ ძლიერად წარმოაჩინა თავი ყაზანის ილხანობის პირველსაც წლებში.

საილხანოს კარზე დიდი გავლენის მქონე ნაერობი ნოინს, რომლის მეცაზონეობითაც გამაპმადიანდა ყაზანი, როგორც უმთალმწერელი გვამცნობს, საქართველოში წარმოუგზავნია „კაცი ერთი

1 სტეფანის ორბელიანი იქ მხოლოდ წელს (სომხ. 739) ასახელებს Histoire de la Siunie par Stephanos Orbeliani], სომხურიძნო თარგმნა და კომენტარით გამოსცა მ. ბროსემ, სპბ., 1864, გვ. 240, ქართულ ვერსაში — ჩამოთვალში (გვ. 83). ამ თარიღს თვის ჩვენებით ავიწროებს რა შიდა და-დინი, რომელიც ბუღას თანავანმზრახთა დასჭის დამთავრებას პიჭრის 688 წლის საფარის მიწურულში მიუთითებს, რაც ჩვენი წელსათვალიავის მარტს შეესატყვისება (ტ. III, გვ. 125). მარტშივე „წმინდათა მარხვათა“ მესამე შაბათს უჩვენებს მეფის სიკელის კამთა დამწერელიც (გვ. 291). ამ მონაცემების მიხედვით, კახუ შტო იმ მართებულად მიუთითა 12 მარტი (კახუ შტო, საქართველოს ისტორია, ტ. I, 259).

უცეოთური, ნათესავი მისი, რათა მოაოქრნეს ეტლა დრა ენი
ყოველსა საქართველოსა: პირველად მუშავებული ს
საყოფელი ყოვლად-წმიდისა ვარძის პირველი მუშავებული
მშობელისა საყდარი¹. ამას გარდა ნავროზის წარმოგზავ-
ნილთა მიზანი ყოფილი, აგრეთვე, საქართველოს ეკლესია-მონასტ-
რების გაძარცვა. განსაკუთრებით ზიდ იმედებს ამყარებულ თურმე
ნავროზი ვარძიაზე, ხადაც „პეონებდა უზომოსა სიმდიდრესა, ოქროსა
და ეერცხლსა, თუალთა და მარგალიტთა პატიოსანთა მრავალთა...“².

რა თქმა უნდა, შემოსავალშემცირებულ საილხანოს მმართველ
წრებს ქრისტიანული ეკლესია-მონასტრების სიმდიდრეთა დაუფ-
ლების დიდი სურვილიც ექნებოდათ, მაგრამ მთავარი აქ მაინც
ქრისტიანობის, როგორც ქართველთა ერთ-ერთი მთავარი იდეური
საყრდენის, წინააღმდეგ ბრძოლა იყო. საილხანო კარის ამ ახალ
პოლიტიკის არ შეიძლება თავისი წვლილი არ შეეტანა ქართველი
ხალხის ანტითათრულ ვნებათა დელვის გაღვივებაში.

აგანყებას ბევრი სხვა მიზეზებიც პქნდა, პირველ რიგში
უნდა აღინიშნოს თათრული საგადასახადო სისტემა, რომელიც დიდ
ზიანად აჩნდა ამ ზროს საქართველოს. 70-იან წლებში ჩატარე-
ბულმა აღწერამ, რომ ქვეყნის „უმრავლესთა“ მოხსენება დააჭა-
ტურა, ამის ერთ-ერთი მთავარი მიზეზი სწორედ უცხოური საგა-
დასახადო სისტემა იყო.

დიდ უქმაოფილებას იწვევდა მოიჯარადრეთა პარპაშიც. 80-იან
წლებში თუ ბასქავობას საქართველოში ფრთხი შეკვეცილა
პქნდა, ჩინგვანგის დაღუპვის შემდეგ მოიგარა ურებისათვის
გზის შეკვრა საილხანოს კარზე მფარველმოკლებულ დავით მეფეს
აღარ შეეძლო და ისინიც აოხრებულენს ქვეყანას.

ადვილი ქატარი არც თათართაგან მხარმიცემული გადამთიე-
ლების თარეში იყო. ეს მოვლენა, როგორც სწორად მიუთიობს
უამთალმწერელი, მართლაც „იყო ჭირი დიდი მკაფი რთა
ქართლისათა“³.

ქართველი ფეოდალები ენერგიულად ებრძოლენ ახალ საში-
ნელებს და ზოგჯერ წარმატებათაც, მაგრამ, ვიღრე ჩრდილო
კავკასიოლებს მხარს უჭირდა საილხანო კარი, მანამ ამ პრობლემის

¹ ე ა მ თ ა ღ მ წ ე რ ე ლ ი, გვ. 300.

² ი ქ ვ ე .

³ ი ქ ვ ე , გვ. 316.

მოგვარება არ ხერხდებოდა. ესეც ილხანის ხელისუფლების უკმაყოფილების მნიშვნელოვანი წყარო იყო.

ასეთი მდგომარეობა იყო აღმ. საქართველოში, რომელიც მოძღვანელი ჰქონდა უკმაყოფილების მნიშვნელოვანი წყარო იყო. მეფე სწრაფად გაემზავრა, მაგრამ გზაში ყოყმანი შევწნია, რამდენიმე ხანს შეჩერებულა პერეთში და თათბირი გაუმართავს.

ეამთაღმწერლის მტკიცებით, „დაუმტკიცეს ვაზირთა წასვლა“¹. ყოვლად შეუძლებელია ეს საკითხი ასე ერთხმად გადაწყვეტილა ყო. ჯერ ერთი, ასეთი რამ დემეტრეს დროსაც არ მომხდარა, როდესაც ურდოში წასული მეფის სიკვდილით დასჯის პრეცედენტი არ არსებობდა. ახლა კი, როცა მეფის მამის ტრაგიკული ოლსას-რულიდან არცთუ ისე დიდი დრო გასულიყო, ძნელი საოწმუნოა, რომ ყველას ერთხმად ერჩია დავითისათვის ყაზან ყაენთან გამჯზავრება, თუკი ეს საბჭო მთლად კახეთ-ჰერეთის იმ „ჩინგიზთ“ (ილხანების) მომდგმური ერისთავებისაგან არ შედგებოდა, რომელთა სისხლიც მოვიანებით გიორგი ბრწყინვალემ დაღვარა.

შეუძლებელია თათბირს ყურადღება არ მიექცია იმ გარემოებისათვის, რომ დავით მეფე სიკვდილით დასჯილი თუქალ ნოინის მიმდგმური და თანაგამზრახი იყო², რომელსაც ყაზანი, უეჭველია, არ შეუნდობდა.

ეამთაღმწერელი აქ აშკარად ტენიანციურია და წინამწარი გეგმით ასწორებს ფაქტებს. იგი ყოველი ძალით ცვილობს თავწავებული მეფის განდიდებას. დემეტრეს ურდოში გამგზავრებას დარბაზი ცივი უარით შეხვდა, მაგრამ მაინც წავიდა. მის მემკვიდრეს ერთხმად ურჩიეს წასულა, მაგრამ ვერ გამეღა, რაღვან „აქუნდა შიში თათართა ყაენის ხილვისა“³.

აქედან ამოდიოდა ნ. ურბნელი, როცა დავით მერვეს „მშიშარა მეფეს“ უწოდებდა⁴. ეამთაღმწერლის გავლენას აქ ვერც ივანე ჯავახიშვილი ასცდა: დავითის მშიშარა ხასიათის გამო „საქართველოში ყველას საშუალება ჰქონდა დარწმუნებულიყო, თუ რაოდე-

1 ეამთაღმწერელი, გვ. 302.

2 იქვე, გვ. 299.

3 იქვე, გვ. 302.

4 ნ. ურბნელი, გიორგი ბრწყინვალე, მედი საქართველოსი, რც., 1887, გვ. 55.

ნი განსხვავება იყო ხალხისა და ქვეყნის უვნებლად გადარჩეს მათ თეთის მზრუნველს დემეტრე II თავდადებულსა და მის ტერიტორიაზე კი თე VI შორის, რომელმაც თავისი თავის გადარჩენის შემდეგ უდანაშაულო ხალხის სიცოცხლე ანაცვალა და ქვეყნა მოხლოდების გასანადგურებლად აქცია¹.

რა თქმა უნდა, ეს აჯანყება მარტოოზენ მეფის გადარჩენის არ ისახავდა მიზნად, მაგ უფრო დიდი პოლიტიკური ამოცანების გადაწყვეტა სწადდა. დავითი მართლაც აჯანყების მიერ შეშინებული და მთიულეთს „დამალული“ ხელმძღვანელი როდი იყო, როგორც ამას ზოგიერთი ისტორიკოსი გვიხატავს², იგი არსებული საშინაო და საგარეო პირობების შესაბამისად ძალიან აქტიურად მოქმედებდა, მაგრამ, სამწუხაროდ, იმ დიდი საქმის საპოლოო გადაწყვეტისათვის, რომელსაც აჯანყებული ესწრავოდნენ, მაშინ ნიადაგი მომზადებული არ იყო. მოუხედავად ამისა, თათართა წინააღმდეგ ამ ყველაზე ხანგრძლივმა და მეღვარმა აჯანყებამ ლიტ-თამერში მნიშვნელოვანი როლი შეისრულა.

აჯანყების შიდა ქართლის, მთიანეთისა და სხვა მხარეთა მოსახლეობის უდიდესი ნაწილი უჭერდა მხარს.

რა თქმა უნდა, აჯანყებულთა ძალები გაცილებით უფრო დიდი იქნებოდა, რომ თათრებს გამდგარი მეფისათვის ქვემო ქართლი და საათაბაგო (სომხეთში) არ გამოეგლიჭათ და სხვა მეფისათვის არ გადაუცათ.

როდის განუდგა მეფე ყაენს, ამაზე პირდაპირი ჩვენება აქ გავვაჩნია. არაპირდაპირი მონაცემებით კი ეს ფაქტი 1297 წლის ნოემბრის უამსევისათვის უკვე მომხდარია. ეს ამბევი ბაქოს საზამთრო რეზიდენციისაკენ მიმავალ ილხენს გზაში შეუტყვია 7 ნოემბრის ახლო ხანებში (შეიდგი ის თავრიზიდან გვიდა)³.

აჯანყების აღმოსაფხრულად ყაენმა მაშინვე აურინა საქართველოსკენ ხუტლებში ნოინი. რომელიც უფლისწულ ვაქტანგის თანხლებით მალევე დაბრუნდა (ბაქომდე აბძენიმე დღის სავალზე დაეწია ილხანს⁴). ნოინი ამ დროს თბილისში არ უნდა მოსული-

1 ივ. გავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, III, გვ. 252.

2 ნ. ურბნელი, დასახ. ნაშრ., გვ. 55.

3 რაშიდ ალ-დინი, III, გვ. 182.

4 აქვე.

ყო და თითქოს გზიდანვე დაბრუნებულა). ამას გვაფიქტებინებს უამთაღმწერლის ცნობა, რომლის მიხედვითაც, ვახტანგ ბატონიშვილი აჯანყების დაწყებისთანავე მთა თქროს ურუაში მდგრად ლენია ელჩაღი. ჩანს, უფლისწული დარუბანდით მიერგზავორებოდა და, შესაძლოა, გზაშივე შეეყარა სუტლუშა ნოინს. მართალია, ჩრდილო ულუსთან საქართველოს ბევრი საუღელტეხილო გზა აკაშირებდა, მაგრამ გვიან შემოდგომაზე, როცა ვახტანგს თეთრი ულუსის ყაენთან მოციქულობა მიენდო, ეს გზები ჩაკერილი უნდა ყოფილიყო. ამას უნდა განეპირობებინა მეფის ელჩის კასპიისპირეთით გამგზავრება.

ნოინმა უფლისწულთან, როგორც ჩანს, მალე გამონახა საერთო ენა და გამეფების დაპირებით ილხანთან მიიყვანა. გახარებულმა ყაზაჩმა შეფობაც უბოძა ვახტანგს და უხვადაც დაასაჩუქრა დიდი წყალობა მიაგო ხუტლუშასაც და ორივენი სწრაფად გამოისტუმრა საქართველოსაკენ².

უფლისწულის მტრის სამსახურში ჩადგომა დიდად ვნებდა აჯანყებულ მეფეს. თათართა ხელისუფლება ამიტომაც ჩქარობდა ბატონიშვილის გამეფებასაც. ამ მომენტისა და იმ მონაცემების გათვალისწინებით, რომელიც სპასულ და ქართულ წყაროებს დაუცავთ, ვახტანგის მეფედ კურთხევა იმავე წლის მიწურულშიც უნდა მომხდარიყო³.

ამას ვახტანგ შესამის ერთი ვერცხლის მონეტაც ეხმაურება, რომელიც ჰიგრის 698 (1298—1299 წწ.) წელსაა მოჭრილი⁴.

1299 წელს თათრებმა დავით მეფეს უმცროსი ძმაც დაუპირისპირებს⁵.

აჯანყებულთა წინააღმდეგ აქტიურად იბრძოდნენ სამცხეელება, თორელები, თმოგვეელები და ქსნის ხეობაც⁶.

მთიულეთში გამართულ ბრძოლებში თათართა ერთ-ერთი მეწინავე სწორედ შალვა ქვენიფნეველი იყო.

1 კამთაღმწერელი, გვ. 302.


2 რაშიდ აღ-დანი, III, გვ. 182.

3 იქვე, კამთაღმწერელი, გვ. 302.

4 თ. ლომიური, დავით VII და ვახტანგ III ფრენები, საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე, ტ. XV — ნ, თბ., 1948, გვ. 75.

5 კამთაღმწერელი, გვ. 304.

6 იქვე, გვ. 305—306.

„ძეგლი ერისთავთას“ ავტორი სიამაყით აღნიშნავს  ერისთავის ბრძოლას ხადას და კვეწნით ამბობს, რომ მან უკრიალესი დღესა აიღო ცხრა ციხე და დაარღვა¹. გიგანტურია

ქსნის ერისთავი თათრებთან ერთად ასეთივე შემართებით არბევდა დვალთა ხევებსაც. მტერს მედგრად დახვედრიან „შავი დვალები“, მაგრამ მოწინააღმდეგის გამკლავების ძალა არ ეყოთ და ყველანი ბრძოლის ველზე დაიხოცნენ. „ერთიცა მათგანიც ვეღარა წაეიღა“ — ირწმუნება „ძეგლი ერისთავთა“².

შალვა ქვენიფნეველის ლაშქარმა და თათრებმა ერთიანი ძალით „მოსწუნეს და მოაკრნეს ყოველნი ქევნი დვალეთისანი და შემუსრნეს და დაარღვნეს ყოველნი ციხენი თრუსუია აჩაბეთამდის“³.

ქსნის ერისთავს აჯანყებულთა წინააღმდეგ ბრძოლაში არც ოსთა მთავარი ბაყათარი უდებდა ტოლს, ქვენიფნეველთან ერთად ისიც დამსჯელი ლაშქრის მეწინავე იყო⁴. ბაყათარი უფრო ენერგიულად უტევდა მეფეს შიდა ქართლსა და თრიალეთში (სადაც დავითი ზამთრობით ჩამოდიოდა) და მის ერთგულთ „განასხმიდა მამულისაგან“⁵. მაგრამ ბაყათარი უფრო თავისთვის ზრუნავდა, ვიდრე მოკავშირისათვის. ყოველივე ეს დიდად უშლიდა ხელს აჯანყების წარმატებას. თათართა წინააღმდეგ ერთიანი ფრონტით გამოსვლის ნაცვლად, მეფე შინაფეოდალურ ომში გაიხლართა და იძულებული შეიქნა მოღალატე ქსნის ერისთავისა და გადამთიელთა ალაგმვაზე ეზრუნა.

„ძეგლი ერისთავთას“ ცნობით, „მეფემან დავით შეკრიბა ყოველი ლაშქარი თვისი და თათარნი შირვანელნი და ყოველნი მყოფნი კახეთს და მუხრანს, და მოადგა ცხრასაც კეცა შალვას საერისთავოსა და ჩამოახსნა ცვალნი და კადელცხადებულნი და ყოველნი მთიულნი ქუემონი და დაწუეს და მოაკრეს ყოველი ცხრაზმის კევი გარეშე ციხეთა, და ციხეთა პბრძოდეს ქუენიფნეს, ქარჩოს. ჭოლოთს და ისროლს, არამედ

¹ ძეგლი ერისთავთა, შ. მესხიას გამოცემა, მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის, ნაკ. 20, თბ., 1954, გვ. 347.

² იქვე, გვ. 348.

³ იქვე.

⁴ ვამთაღმწერელი, გვ. 305.

⁵ იქვე, გვ. 316.

ვერ აიხუნეს და შვედ წელ განგრძელდა პომი მათი ხოლო
ციხოსანთა ესეოდენ შესჭირდა და იწყებს ჭიმად ღუეფრიკუჟე

მეფის ლაშქრის მოძალებით შეწუხებულმა მოტაზუტებულის
ერისთავმა ქართლის ერისთავის მეშვეობით ერთი პირობა ზავი
შეერთ დავითთან და თავზე ნაცარიც კი წაიყარა², შავრამ შემ-
დეგ, როგორც ჩანს, კვლავ ძველ გზას დაადგა³.

აჯანყებულთა დიდი ძალა და ენერგია ემსხვერპლა ბაყათარ
მთავრის წინააღმდეგ ბრძოლასაც.

დავითმა 15 ათასი მეომრით გაილაშქრა „დიდი ჭირის“ დამ-
საღვურებელთა წინააღმდეგ. პირველ ხანებში წარმატება მეფის
ლაშქარს ხედა და მტრები „რომელნიმე ქალაქსა ეწივნეს, და
ზოგნი მტკერის პირით ივლტოდეს“⁴. მაგრამ შემდეგ ბაყათარს
მიეშველნენ ილხანის მიმდგური ძალები და დავითის ლაშქარიც
იძულებული შეიქნა უკუქცეულიყო. მთიელები და ვახტანგ მეფის
ჯარები დადევნებიან გაქცეულებს და მრავალი დაუხოციათ. „არა
თუ ვახტანგ მტკერი იყო მისა, — დასძენს ისტორიოსი, — არამედ
თათართა შიშითა იძულებით შეება“⁵.

მიუხედავად უზუსტობისა, ეს ცნობა ძლიერ საინტერესოა.
ვახტანგ მეფეს და ქართველ ფეოდალებს დავით მეფის ლაშქარ-
თან შებმის სურვილი მართლაც არ უნდა ჰქონოდათ. და ეს იმი-
ტომ კი არა, რაკი დავითი და ვახტანგი ძმები იყვნენ და ძმობა
ამის ზეობრივ საფუძველს არ იძლეოდა, არამედ მთავარი აქ იყო
ვახტანგ მეფისა და მისი აზნაურებისათვის მახლობელი და ადვი-
ლად შესაცნობი ის დიდი მიზანი, რომლის განხორციელებისათვის
ახლა დავითი ამდგარიყო, ამიტომ არ სურდა, ალბათ, ძმასთან შებ-
მა ვახტანგს.

დავით მეფე დამარცხდა. ამით გათამამებული ბაყათარი „უმძ-
ნვარესად აოქრებდა... ქართლსაც“⁶.

უოველივე ამას ჭერ კიდევ აჯანყების დასაწყისშივე კარგად
ითვალისწინებდა დავით მეფე და თავისი საშინაო სისუსტის კომ-

¹ ძეგლი ერისთავთა, გვ. 347.

² ეამთაღმწერელი, გვ. 307.

³ ძეგლი ერისთავთა, გვ. 348.

⁴ ეამთაღმწერელი, გვ. 316.

⁵ იქვე, გვ. 317.

⁶ იქვე.

ჰენსაციას საგარეო ძალების შემოკრებით და საილხანოს მეტრობების
ამოქმედებით ცდილობდა.

ამიტომ იყო, რომ მეფემ განლგომისთანავე გაგზავნა მოციქული
ოქროს ურდოში. როცა ეს ელჩობა ჩაიშალა და მისმა ძმამ ჩრდი-
ლოეთის ულუსის გამეცებელთან მოციქულობას საილხანოს თათრე-
ბთან სამსახური და მეფობა ამგობინა, მაშინ დავითმა სხვა მისინი
მოუკლინა თოხთას¹, მაგრამ მას ამჯერად საილხანოს წინააღმდეგ
გამოსვლა არ შეეძლო, რადგან ძლიერი შინაომით (ნოღაისთან)
იყო დაკავებული და ეკონომიურ სიძნელეებსაც განიცდიდა².
ჩრდილოეთისა და სამხრეთი ულუსების ურთიერთობა ამ ჰერიოლ-
ში არც ისე დაძაბული იყო, როგორც აღრე. გაიხსნა აბალა ყაენის
დროს ჩაკეტილი კავკასიის კარები, გაჩაღდა ვაჭრობა და ა. შ.³.

ასეთ ვითარებაში, ცხადია, აქტიური მოკავშირის ჩრდილოეთში
ძებნის დავით მეფისეულ გაგმას წარმატება არ შეიძლებოდა პქო-
ნოდა. ეტყობა, საქართველოში მანც სჯეროდათ ამ კურსისა და
ენერგიულად ცდილობდნენ ოქროს ურდოს ყაენის წაქეზებას. ამის
საფუძველს, როგორც ჩანს, იძლეოდა ჩრდილო ულუსში რევან-
შიზმის იდეის სიძლიერე. მაგრამ მისწრაფება და რეალური შესა-
ძლებლობა ერმთანეთს არ დაემთხვეთ. თოხთა კარგად ხედავდა, რომ
საილხანოს წინააღმდეგ წარმატებული ბრძოლისათვის აჯანყებული
ქართველი მეფის ძალები საქმარისი არ იყო. მოვიანებით, როცა
ოქროს ურდოს და საილხანოს შორის უთანხმოება კვლავ გამწვავ-
და და საომარი სიტუაცია შეიქმნა, თოხთამ დიდის მონდომებით
მოუხმო მისრეთის სულტანს, მაგრამ უშედეგოდ⁴. ჩრდილოეთში
წარმატებელი ცდების შემდეგ აჯანყებულ მეფეს, საილხანოს
შეორე დიდი მტრის, ეგვიპტის მამლუქთა ამოძრავება უცდია.
დავით მეფის ელჩობას უნდა გულისხმობდეს ეგვიპტელი მწერლე-
ბის ალ-მაკრიზის და ალ-აინის თხზულებებში დაცული ცნობა,
რომლის მიხედვითაც ქართველი მეფის დესპანი მისრეთის სულტან-
თან მისულა 1305 წელს (პიგრის 705 წ.)⁵.

1 ე ა მ თ ა ლ მ წ ე რ ე ლ , ვ 3 304.

2 Б. Греков и А. Якубовский, Золотая орда, 1937, 65—66.

3 В. Тизенгаузен, Сборник материалов, относящихся к истории Золотой орды, Т. I, СПб, 1884, ვ 3 . 436, 513.

4 ბ. გ რ ე კ მ ვ ი დ ა ა. ი ვ უ ბ თ ვ ე ს ე ი, დ ა ს ხ . ნ ა შ რ . , ვ 3 . 67.

5 В. Тизенгаузен, заметка Эльхелькшина о грузинах, ვ 3 . 212

საილხანოს წინააღმდეგ ამხედრების გარდა, დავით მეფე კავკა-
ზის სულტანს მიზეთად ქცეული ჯვარის ქართველობაზე მიმდინარეობდა
დათმობასაც სთხოვდა. მამლუქთა მბრძანებლის თვალში საქართვე-
ლოს აჯანყებულ მეფეს, ეტყობა, ისეთი დიდი ფასი ჰქონია ავ-
ტონის, რომ ამაზე დათანხმებულა. ეს ღონისძიება რომ დავით მე-
ფემ განახორციელა, ამას მოწმობს ჯვარის მონასტრის სეინაქსრის № 295 აღაპი, რომელშიც ვკითხულობთ: „...წირვა/ა/ და აღ/ა/პი
საუკუნოდ დ/ავი/თ მეფეთა მეფის/ა/ და მეორედ აღმ/ა/შენებე-
ლის /ა/ წმიდისა მონასტრისა რომელ მან სარკინოზთ /ა/გ/ა/ წარტყუშნული მონ/ა/სტერი და ეკლ/ე/სიად მიზგითად შეც/ა/-
ლებული ეკლესიადვე სალოცველად შეცვ/ა/ლა და კ/უალა/დ აგა-
ნ/ა/თ/ე/ს/ა/ვსა ქ/ა/რთველთ/ა/სა...“¹.

აქ, რა თქმა უნდა, აღნიშნული არ არის, რომ ხსენებული დავი-
თი დემეტრე მეორის ძე იყო, მაგრამ მას აქ ვერც მისი უფროსა
თანამედროვე დავით ნარინი შეეცილება და ვერც უმცროსი დავით
მეცხრე. ამას ადასტურებს ჯვარის მონასტრის სეინაქსრის სულთა
მატიანის პალეოგრაფიული შესწავლის შედეგად მიღებული ქრო-
ნოლოგიური დასკვნა და წერილობითი წყაროების ზოგიერთი
ცნობა.

პირველი ამ აქტის ზემო ქრონოლოგიურ საზღვარს დებს. ეს
აღაპი იმ ტაბულაში (XXXII) ერთიანდება, რომელიც XIV საუკუ-
ნის დამდეგზე უწინარეს შეუდგენიათ². ეს გარემოება, ცხადია,
გამორიცხავს იმის შესაძლებლობას, რომ აქ დავით IX (1346—
1360 წწ.) ვიგულისხმოთ.

„მიზგითად შეცვალებული“ ჯვარის მონასტრის გამომხსნე-
ლად ვერც ნარინს მივიჩნევთ, რადგანაც ჯვარი მისი სიკედილის
შემდეგაც „ტყვეობაშია“. ამაზე მიუთითებს ამავე მონასტრის სეინაქსრის ერთი აღაპი (№ 206), რომელიც ვახტანგ მესამისა და
მისი თანამეცხედრის მოსახსენიებლადაა გაჩენილი „ოდეს მონა-
სტერი კვ წელსა სპარსთა წაეღო“³. არაპი მწერლის იბნ-ქესირის (+1373 წ.) მოწმობით, ჯვარის მონასტერი ეგვიპტელებს ბაიბარსის

1 ელ. მეტრეველი, მასალები იურუსალიმის ქართველთა კოლონიის სტორიისათვის, გვ. 106.

2 იქვე, გვ. 43.

3 იქვე, გვ. 97—98.

დროს მოუტაცებიათ¹. ამ ქრონოლოგიური ჩარჩოს დავიშტროფა ფა
ჯვარის მონასტრის „დატყვევების“ თარიღის განსაზღვრული დრო
კნელ ხანს სცადა ელ. მეტრეველმა. მისი აზრით, ზემოხსენებულ
აღაში „ჯვ წელი“ 1299 წელს უნდა გულისხმობდეს, როდესაც
ილხანის ლაშქარმა, რომლის შემადგენლობაში ქართველებიც იყ-
ვნენ ვახტანგ მესამის მეთაურობით, იერუსალიმი აიღო. ამის მიხედ-
ვით, შეიხ ხიდრის ჯვარის მონასტერი 1273 წელს მიუტაცებია².
1299 წლის ბოლოსა და 1300 წლის დამდეგს, როცა საილხანო-ეგ-
ვიპტის ომი მიმდინარეობდა, ჯვარის მონასტერი ჯერ კიდევ „სპა-
რსთა“ ტყვეობიდან დახსნილი არ იყო. ალ-მაქრიზის და ალ-აინის
ცნობა, ჰიჯრის 705 წელს ეგვიპტეში ქართველი ელჩების ჩასვლისა,
და ჯვარის სკინაქსრის № 295 აღაპი ცხადყოფს, რომ ქართველე-
ბისათვის ამ მონასტრის დაბრუნება 1305 წელს მოშედარა³.

ჯვარის დაბრუნებას ეგვიპტელთა „ტყვეობიდან“ და კვლავ
ქართველი კულტურის კერად ქცევას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა.

ყაზან ყაენი ბევრს ეცადა, მაგრამ ვერც გამდგარი მეფე ჩაიგდო
ხელში და ვერც აჯანყება ჩააქრო. ავადმყოფობის მიუხედავად და-
ვით მეფე მაინც მხნედ იბრძოდა. ამიტომ იყო, რომ ვახტანგ „არა
(resp. ვერა) წინაღუდგებოდა ძმას თვისსა დავითს“ და მიუხედავად
ილხანისაგან მთელი ამერის ხელოდებისა, მხოლოდ თბილისითა და
„ყოველი სომხითით“ კმაყოფილდებოდა⁴.

თათრებთან შებმული დავით მერვე ვახტანგის მეფობის დროს
არსებითად შიდა ქართლისა და მთიანეთის მეფე იყო. როგორც
უკამთალმწერელი გვამცნობს, ის „ზაფხულ მთიულეთს იყვის და ზა-
მთარ ქართლსა“⁵.

აჯანყებული მეფე არ ცხრებოდა და ყოველი ძალით ებრძოდა
მტერს.

ყველაფერი ეს მოეთმენელი იყო საილხანო კარისათვის,
რომელმაც უკანასკნელად დიდიალი ლაშქრით შეუტია დავითს.
მეფემ კარგად შეიცნო, რომ ამოდენა ლაშქრის უკუგდების ძალი

¹ В. Тчени гауゼн, заметка Элькал: кашанди о грузинах, გვ. 213, სქოლოთ.

² ე. მეტრეველი, დასახ. ნაშრ., გვ. 42.

³ იქვე, გვ. 45.

⁴ ე ამთაღმწერელი, გვ. 310.

⁵ იქვე, გვ. 316.

არ შესწევდა, ამიტომ დატოვა ბაზალეთი და გველერის კანცელი
გამაგრდა.

დამსჯელ ლაშქარს დაუნგრევია მთიანეთის ციხესიმიშვილის მიერ უდიათ
კი, სადაც მეფე იყო გამაგრებული მთავარი ძალებით, ვერ უდიათ
და ზავი შეუთავაზებიათ ოავითისათვის. ვახტანგ მეფეს, რომელიც
ამ მოლაპარაკებას აწარმოებდა, როგორც ჩანს, ილხანისაგან დავი-
თის შემორიგების ღონისძიება ჰქონდა მინდობილი. აჭანყებულ
მეფეს ყველაფერს უნდობდნენ და არც ურდოში წასკლას სოხო-
დნენ წინანდებურად. გველეთის ნაცვლად მისთვის „ჯავახეთი და
ალასტანი“ მიუციათ და დავითიც იქ დამკვიდრდა².

ამით მას მეფობაზე, რა თქმა უნდა, ხელი არ აულია. იმ არა-
პირდაპირი ცნობების მიხედვით, რომელიც „ძეგლი ერისთავთასა“
და უამთაღმწერლის თხზულებებს დაუცავთ, ეს ფაქტი 1304 --
1308 წლებს შეუა იგულისხმება. ქვემო ქრონილოგიურ ზღვარს აქ
ყაზანის სიკვდილი დებს, ხოლო ზემოს — ვახტანგისა. ყაზანი რომ
ამ დროს ცოცხალი არ იყო, აჭანყებული მეფის შეწყნარების
ხარისხიც ცხადყოფს. მართალია, ეს დავითმა მედგარი ბრძოლით
მოიპოვა, მაგრამ ყაზანი ასეთ დათმობაზე მაინც არ წავიდოდა.
იგივე აქტი (გველეთის შეთანხმება) იმაზეც კარგად მიუთითებს,
რომ ყაზანის მემკვიდრე ილხანი (ოლჯაითუ) მის წინამორბედზე
უფრო სუსტი იყო.

თ ა ვ ი XIV

ილხანთა ბატონობის დამხობა

საქართველოს გამოხსნისა და მისი ოდინდელი ძლიერების
აღდგენისათვის ბრძოლა ღრმად შოფიქრებული გეგმით დაიწყო
გიორგი ბრწყინვალემ უფროსი ძმის ხანგრძლივმა აჭანყებამ კარგად
დაანახვა ნიჭიერ მეფეს, რომ ქვეყანას ჯერჯერობით ამ საქმის
განხორციელებისათვის არც შინაგანი პირობები გააჩნდა და არც

¹ ძეგლი ერისთავთა, გვ. 347.

² იქვე გვ. 348.

საგარეო. ასეთ ვითარებაში დროებით დავით მეფის პოლიტიკური
ურსის შეცვლა იყო აუცილებელი.

აჯანყებამჟე დიდი ღონისძიებები იყო გასატარებელი როგორც
ქვეყნის შინა, ისე გარეპოლიტიკური ხაზითაც. ორთავე ამთვანის
სათავე იღხანის კარზე იყო და საქმეც იქიდან უნდა დაწყებული-
ყო. იქ კი მეფეს სწორედ იმ პოლიტიკით მიესვლებოდა, რომელ-
საც ის აღვა. ოღმოსავლეთ საქართველოს მეფის მორჩილება-ერთგუ-
ლება ყაენისათვის დიდად ფასეული გარემოება იყო, რასაც კარგად
ჭრებული გონიერი ქართველი პოლიტიკოსი და ცდილობდა მოელი-
სისრულით გამოეყენებინა თავისი მიზნებისათვის.

ყაზან ყაენის წამოწყება ხანიერი ვერ გამოდგა და მალე
საილხანოში მომთაბარული არისტოკრატის რეაქციული ფრთა
გაბატონდა. ამ ძალებს ჩობანი მეთაურობდა. გიორგი მეფემ შესა-
ნიშნავად შეაფასა იღხანის კარზე მოსული ახალი ძალა და მათთან
თანამშრომლობის გზას დადგა. ჩობანი და გიორგი მეფე ჩქარა
შეხმატებილდნენ. ალ-ომარის (1301—1349 წწ.) ცნობით, ჩობანსა
და ქართველ მეფეს შორის გულითადი მეგობრობა სუფევდა¹. რა
თქმა უნდა, თათართა პატონობის დამხობის მოწადინე ქართველი
მეფე საილხანოს პირველი ვაზირის ნამდვილი მეგობარი ვერ
იქნებოდა, მაგრამ რადგან პირველს მეორე აწყობდა და პირიქით,
ასეთ ვითარებაში თანამშრომლობის ნიადაგიც არსებობდა.

ამავე მწერლის ჩვენებით, გიორგი მეფე მნიშვნელოვან საკი-
ონებს ჩობანთან ათანხმებდა. ხოლო გასაჭირის დროს დაბმარები-
სათვის მოუხმობდა². თავის მხრივ ჩობანიც არ თაკილობდა ყურად-
ელო ნიჭიერი ქართველი მეფის წინადადებანი³.

ყურადღებას იქცევს ალ-ომართანვე დაცული ცნობა, რომლის
მიხედვითაც თითქოს გიორგი ბრწყინვალეს ჩაუგონებია ჩობანისა-
თვის ქართული ქვეყნების გაერთიანების აზრი. ეს ცნობა ზეპირსა-
ტყვიერი წარმოშობისაა. ამას მოწმობს ვამოთქმა: „ამბობენ“⁴,
ჩვენთვის საინტერესო ადგილის ვ. ტიშენბაუზენის რუსული თარ-

¹ В Тишенгаузен, Заметка Элькалькашанда о грузинах, 211; არაბუ-
ლი ტექსტი, გვ. 209.

² იქვე, გვ. 212.

³ იქვე, გვ. 213.

⁴ იქვე.

გმანი ასეთია: «Говорят, что он (Царь Грузии) побеждал Джубина к завладению странами (Грузинскими), и судят ему за это всевозможных богатств»¹. ივ. გარებულის ადგილს განსხვავებულად თარგმნის: მეცე „...ყაენს დამპურობელობითი პოლიტიკის წარმოებას ურჩევდა და დიდ გამარჯვება-დავლასაც უქადდა თურმე“².

სინამდვილეში, აქ ყაენზე კი არა, ჩობანზე ლაპარაკი, რომელიც აბუ-საიდის მცირეწლოვანების დროს, საილხანოს ფაქტიურა გამგებელი იყო. მეორეც, გიორგი მეფეს სწორედ თავისი ქვეყნის დაშლილობა აწუხებდა და უფრო მის გერთიანებაზე ოცნებობდა, კიდრე ყაენის დაპყრობებზე. ამიტომ სოხოვდა დახმარებას ჩობანს.

ეს გარემოება აწყობდა ილხანის კარს (ცხადია, ყაენის კარზე ამის მომხრენიც იქნებოდნენ), მაგრამ ჩობანს (თუ ეს ცნობა მართალია) თათართა ჯარის მონაწილეობა ამ საქმეში მიზანშეწონილად არ უცვნია და იგი გიორგიმეფისათვის მიუნდვია. ქართველი ისტორიკოსის მოწმობით, ყაენის კარიდან გიორგი ბრწყინვალეს „მოსცეს ყოველივე საქართველო და ყოველი მთავარნი საქართველოს მთავარნი საქართველოსანი“³.

ეს უკანასკნელი არიან „შვილნი დავით მეფისანი, და მესხნა შვილნი ბექასანი“. მცირე შენიშვნას მხოლოდ პირველი მოითხოვს, რადგან ამ დროს ორი დავით მეფის შვილები მოღვაწეობდნენ. ერთნი გიორგი მეექვსის უფროსი ძმის ნაშერნი იყვნენ, ხოლო მეორენი—დავით ნარინისა. აქ, უეჭველია, პარველი იგულისხმებიან. მაგრამ მთავართა უწინარეს დასახელებული „ყოველი საქართველო“, ცხადია, ლიხთომერეთის გარეშე არ წარმოიღინება. მაშასადამე, გიორგი მეფეს ქუთათისის ტანტიც „მოსცეს“.

ეს დიდი წარმატება იყო. მწამვნელოვან მონაპოვარს შოთაწმინდა აგრეთვე მეფის მიერ სათათოო ხარჯის აკრეფის უფლების მიღებაც.

გიორგი მეცე დიდი წინდახედულობით შეუდგა როგორც
შინაპოლიტიკური, ისე გარეპოლიტიკური ურთიერთობის მოწის-
რიგებას.

¹ 3. የዕለታዊ ክፍያዎች እና ምርመራ, በመሆኑ, ዓዲስ አበባ, 213.

² 03. չազանո՞վալ է, քերտայելու յրուս օսტառնու, III, Յ3. 213.

ბრწყინვალე პოლიტიკოსი; ერთი მხრივ, თუ საილანდო /კარი/ ერთგულ ვასალად აჩვენებდა თავს, მეორე მხრით, ირაული მიზანების თა მტრებთან აბამდა კავშირს. ცხოველი პოლიტიკური ურთიერთობა ჰქონდა ეგვიპტის სულტანთან...

თორა პერსდა ეგვიპტის უძლებელობა...
მართალია, დავით მეფის მეცაინეობით ქართველებში და-
პრენეს ჯეარის მონასტერი, მაგრამ, როგორც ჩანს, იერუსალიმის
კლიტენი შემდეგ ისევ ეგვიპტელებს მიუტაცნიათ. „ამას კამ ამ კლიტენი იერუსალიმისანი სპარსთა დაიპყრნე-
მოვიდა ამბავი: კლიტენი იერუსალიმისანი შალვა ერქვა პირად... მრავლით ძლიერითა
ძე შალვა ერქვა თავისა, რომელსა ერქვა პირად... მრავლით ძლიერითა
ნისრელისა“—გვამცნობს „ძეგლი ერქვა თავთა“!

რომელ წელს გულისხმობს აქ წყაროს „ამას ჟამსა“ ან ის „მაშინ“, როცა გიორგი მეფემ (ბრწყინვალემ) წარგზავნა თავისი ელჩობა მისრეთს, აქედან არ ჩანს. არაბული წყაროები გიორგა ბრწყინვალის მიერ ეგვიპტეში გაგზავნილ ორ ელჩობას მიუთითებენ. პირველი პიგრის 716 წელს ჩასულა ეგვიპტეში, ხოლო მეორე — 720-ს².

იერუსალიმის კლიტეთა დაბრუნების მისია პირველ ელიტადაც უნდა დაკისრებოლა. ამის მიხედვით მამლუქთაგან იერუსალიმის კლიტეთა მიტაცება 1316 წლის უშინარეს (და ახლო ხანში) არის საგულვებელი.

პიპას ელჩობა წარმატებით დასრულდა. მამლუქთა მმრჩანა-
ბელმა, „ძეგლი ერისთავთას“ ცნობით, „სიხარულით შეცწყნარა-
ძოლინი იგი (მეფისა) და მისცნა კლიტენი იერუსალიმისანი“³.

როგორც ითვალისწინებული ანდერძიდან ჩანს, „იერუსალიმის კლიტენი“ აღდგომის ექლესის მთელი კომპლექსის (საკუთრივ აღდგომის, გოლგოთის და ქრისტეს საფლავის ტაძარი) კლიტენი გულისხმობს⁴.

მიზანგამართლებული მეცნის მოციქული, რომელსაც ამ დიდ-მონაპოვართან ერთად ხელთ ჰქონდა სულტნის „იერლაყი შეწყა-

ପ୍ରକଳ୍ପ ଉଚ୍ଚିତାଗତୀ, ୩୩- ୩୫୦.

² В. Тизенгаузен, Сборник материалов, относящихся к истории Золотой орды, I, 83. 170.

3 ଦୟାମ୍ବ ଗର୍ଭ ସଂଗ୍ରହ, ୩୩- ୩୫୦.

4. မြေရိန္တဒေဝါ၊ မာစာလျှပ်စီမံချက်သုတေသန၊ ပြည်ထောင်စုနှင့် ပြည်တွင် အကျဉ်းချုပ်များ
ပါ။

ლებისად და აღსრულებისად ყოვლისა სათხოელისა“, მისრეიონდან იერუსალიმს გაემგზავრა. „მოილოცნა წმინდანი ადგილზე დაუკავშირდება მასვე გზასა“¹. ქართველ პოლიტიკოსებს ამ წილადში სიხარული მართებდათ და კიდევაც „ფრიად განიხარა გიორგა მეფემან².

ეგვიპტეში ქართველთა მეფის ელჩობა 1320 წლის მაისში ჩასულა. ალ-აინის ცნობით, სხვა სახელმწიფოთა ელჩებთან ერთად სულტანს იგი 28 მაისს მიუღია. ქართველ ელჩებს ალ-მალიქ ნასირ მუჰამედისათვის გადაუციათ მეფის წერილი და საჩუქრების³.

ძლვენ-საჩუქრებს არც მისრეთის მბრძანებელი აკლებდა ქართველთა მეფეს. „მე მახსოეს, — ირწმუნება მწერალი ალ-ომარი, — როცა მეფეს (სულტანის კარიდან) ეგზავნებოდა საჩუქრები, როგორც ქრისტიანთა სამყაროს ერთ უსახელოვანეს მპყრობელს“⁴.

ეს ფაქტი და, ქართველთა მეფისადმი მიმართვისა და სადლეგრძელოს მაღალფარდოვნება, აშეარად მიუთითებს იმ დიდ პატივისცემაზე, რომელსაც ეგვიპტის მბრძანებელი იჩენდა გიორგი მეექვესისადმი, ცხადია, ეს გარემოება იმ დიდ პოლიტიკურ მნიშვნელობაზე მიუთითებს, რასაც მისრეთის სულტანის კარი ამ პერიოდში ქართველთა მეფეს ანიჭებდა. მართალია, 1317 წელს საილხანოსა და ეგვიპტეს შორის ზავი დაიდო, მაგრამ სულტანი, ეტუმბა. ამით კმაყოფილი არ იყო და თათართა მახლობლად ისეთი მოვაზირის შემომტკიცებას ფიქრობდა, როგორიც გიორგი ბრწყინვალე იყო. მაგრამ, როგორც კი საილხანო დაიშალა, საქართველო-ეგვიპტის პოლიტიკური ურთიერთობაც შენელდა და მეფისადმი სულტანის მომართვასაც ძველი ელვარება მოაკლდა.

¹ ძ ე გ ლ ი ე რ ი ს თ ა ვ თ ა, გვ. 350.

გომარი ბრწყინვალის ცლი, შალვა ვეჯილეველის ძ. იხსენიერა იერუსალიმის ჯვარის მონასტრის სულთა მარიანის ტიშენდორფისეული ნესხას № 55 და № 63 იღვამში. როგორც ეც. მ ე ტ რ ე ვ ე ლ ი მიუთითებს, ეს მოსახუნებლები პიპასათვის (მეორეში ის ცოლთან ერთად იხსენიება) სწორედ ამ დიდი დამსახურებისათვის უნდა გაეწესებინათ (ეც. მ ე ტ რ ე ვ ე ლ ი. მასალები იერუსალიმის ქართველთა კოლონიის ისტორიისათვის, გამოკლევა. გვ. 45: აღაპები, გვ. 74—75).

² ძ ე ვ ა ვ, გვ. 350.

³ В. Тизенгаузен. Сборник материалов, относящихся к истории Золотой орды. I, гв. 490.

⁴ В Тизенгаузен, Заметка Элькалькашанди о грузинах, гв. 212.

⁵ ძ ე ვ ა ვ, გვ. 215.

გიორგი ბრწყინვალეს ურთიერთობა პქნდა ომის პატიონი.
საქართველოს სახელგანთქმულ მეფეს ომის ეკლესის ტელური
დიდი პატივით ეკიდებოდა. იმას ადასტურებს მის ეპიტეტი 1552 წელს,
დაცული მეფისადმი მიმართვები: „გიორგის, ქართველთა
ბრწყინვალე მეფეს (regi georgianorum illustri)¹ „სა-
ქართველოს დიდებულ მეფეს“ (Manivico viro regi
Georgie)² და სხვ.

გიორგი ბრწყინვალე შინაპოლიტიკური პრობლემების გადა-
კრაჩეც ენერგიულად ზრუნავდა. ამ რიგის საკითხებიდან ერთ-ერთი
უმთავრესი გადამთიელთა მძღავრობის აღმოფხვრა იყო. ამისა-
თვის კარგი დრო დადგა. აღმოსავლეთ საქართველოს მეცის „ერთ-
გულებას“ ახლა ყაენის კარზე გაცილებით დიდ მნიშვნელობას
ანიჭებდნენ, ვიდრე ძველი მოკავშირეებისას, ამიტომ უკანასკნელ-
ნი, როგორც ჩანს, მიანებეს მეფეს და გიორგის ეკვეთა მათ.

პირველად მეფის ლაშქარი გორს დაეცა. გორის ციხის აღება
და მოწინააღმდეგის დაძლევა ფრიად ძნელი საქმე გამოდგა. მაგრამ
ხანგრძლივი და მედგარი ბრძოლით („ბრძოლა (მეფე გორთან) სამ
წელ“), ქართველთა ლაშქარმა მტრის წინააღმდეგობა გატეხა³.

გორთან ბრძოლაში განსაკუთრებით უსახელებიათ თავი
ქსნისხეველებს. ქსნის ერისთავი „ვირშელი და ლაშქარი მისი, — „ძე-
გლი ერისთავთას“ მოწმობით, — „უმჯობესს პბრძოდა სპისა ყოვლი-
საგან“, რისთვისაც კიდეც „აქებდეს ქებრთა დიდითა“⁴. ქსნია
ხეობა ძალიან შეწუხებული იყო მტრისაგან.

„ძეგლი ერისთავთაში“ ამ ბრძოლის მონაწილეთაგან დასახე-
ლებული არიან აგრეთვე „მთიულნი არაგვებათა“⁵.

გორის აღების შემდეგ ქართველთა ლაშქარმა ბრძოლა მთაში
გადაიტანა, „შევიდა და შემუსრნა კავკასთა შინა მყოფი (მტერი)⁶.
ურჩები გაულიტეს, ხოლო ვინც დამორჩილდა. მეფემ „მოხარი“

1 1321 წლის 15 ოქტომბრითაა დათარიღებული პაპი იოვანე XXII ეპისტო-
ლე, მ. თამარიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 20, ლათ. ტექსტი, გვ. 578.

2 1324 წლით დათარიღებული იმავე პაპის ეპისტოლე (იქვე, გვ. 38, ლათ.
ტექსტი, გვ. 578).

3 ძეგლი ერისთავთა, გვ. 350.

4 იქვე.

5 იქვე.

6 ქართლის ცხოვრება, I, მ. ბრძოლა გამოცემა, სპა, 1849,
გვ. 448.

ჰყუნა ყოველნი იგი¹. ქართულ სოციალურ-პოლიტიკურ სისტემა-
თან („ქართველობა“) შერიგებული უცხო ელემენტი დარღვეული ვიზუა-
რებაში შეეზარდა ახალ ეთნიკურ გარემოს და შევიდა მათთვედული
ხალხის შემადგენლობაში².

ჩრდილო კავკასიელთა შემდგომი გადმოსვლის აღკვეთის მი-
ზნით, მეფემ მტკიცედ ჩარახა საულელტეხილო გზები³.

ამ მოვლენის თარიღი წყაროებს არ დაუცავთ. არაპირდაპირი
მონაცემების მიხედვით, საქმის ვითარება ასე წარმოგვიდგება.
„ძეგლი ერისთავთაში“ ეს ამბავი პიპა ქსნის ერისთავას შეიღის
ელჩობას მოსდევს. თუ ამ ელჩობის ჩვენი გაგება სწორია და ამბე-
ბის მემატიანეული დალაგება ქრონოლოგიურ მომენტსაც შეიცავს,
მაშინ ამ ბრძოლას მეფე ეგვიპტეში მეორე ელჩობის წარგზავნის
ახლო ხანში უნდა შედგომოდა. რაც შეეხება ამ მოვლენის ზემო
ქრონოლოგიურ ზღვარს. ამას გვავარაუდებინებს მ. ბროსეს ეულ
„ქართლის ცხოვრებაში“ მოცემული ამბების თანმიმდევრობა. ეს
ამბავი იქ ჩობანის სიკვდილს (1328 წ.) უსწრებს⁴. გიორგი მეფე⁵,
რომ მართლაც ამაზე უწინ უნდა მოეწესრიგებინა ოსთა საკითხი,
ამას მის პოლიტიკურ გეგმებზე დაკვირვებაც მოწმობს. 20-იანი
წლების მიწურულში ქართველები უკვე საილხანოს უტევენ. ცხა-
დია, ამ საკითხის მოუგვარებლად სახელოენი პოლიტიკოსი ასეთ
ბრძოლას არ შეუდგებოდა; უფროსი ძმის მწარე გამოცდილება
ამ შხრით დიდი გაკვეთილი იყო.

მეფე ქარგად ხედავდა, რომ მისი გეგმების განხორციელებას
დიდ საფრთხეს უქმნიდა ფეოდალური რეაქცია. გიორგიმ ამ საქმის
მოვარებაც ნიჭიერად შეძლო. მთავარ-ერისთავთა ერთი ნაწილი
დამორჩილა მეფეს, მეორე ნაწილი კი, რომელმაც არ ისურვა
დამორჩილება, სადარბაზოდ მიიწვია ცივის (კახეთი) საზაფხულა
რეზიდენციაში და „ჩინგიზთ“ მომხრეობის საბაბით გაელიტა⁶. ვათ
ნაცელად კი „დაადგინა ყოველთა ადგილთა წარჩინებული ერის-

1 ქართლის ცხოვრება, I, მ. ბროსეს გამოცემა, სპპ, 1849, 83, 448.

2 გ. თოვოშვილი, ქართლის ბაზე ისთა ჩამოსიხლების ისტორია, „მაცნე“, № 5, 1964, გვ. 58.

3 ქართლის ცხოვრება, I, 83, 448.

4 იქვე.

5 ეგმთალ მწერელი, გვ. 385.

თავნი თვესნი მორჩილებისანი, და დაიპყრნა ამათ უმუტეს კულტურული ცენტრი¹.

„ქართლის ცხოვრების“ ზოგიერთ ნუსხაში (ДТС) მოცემული იქნას ქართლის მომართვის მინისტრის გაუქმების უწინარეს გულის-ხმობს². „ქართლის ცხოვრების“ მ. ბროსეს ულ გამოცემაში კი ცივის სასახლეში მომხდარი ხოცვა-ელეტა იმ აბზაცს მოსდევს, სადაც უ საუკუნის 20-იანი წლების მიწურულსა და 30-იან წლებში საილხანში შექმნილი ვითარებაა აღწერილი. უფრო მართებული პირველი ჩანს, ამას გვაციქრებინებს მ. ბროსეს გამოცემული „ქართლის ცხოვრების“ ერთი ცნობა, რომელიც მოლალატე ერისთავთა გაელეტას სარგის ჯაყელისათვის ათაბაგობისა და ამირსპასალარობის პატივის მინიჭების სინქრონულ ფაქტად მიიჩნევს („მაშინ მიუბოძა (მეფემ) სარგის ჯაყელსა“ ხსენებული სახელოებით)³.

სამცხის მთავრის გაათაბაგება 1320 წლის ახლო ხანში იგულისხმება, რადგან ამ დროს გარდაიცვალა ამ ხელის მქონებელი ზაქარია III მხარგრძელი⁴. გიორგი მეფემაც ათაბაგობას მისამართი შეუცვალა და თავისი დედული სახლის პატივად აქცია. ეს ფაქტი 20-იანი წლების დამდეგს უნდა მომხდარიყო. ამას აპირობებდა როგორც ლიხთიმერეთის შემოერთების, ისე ილხანთა ბატონობისაგან თავდახსნის მეფის ული გეგმა: საილხანოს მოსაზღვრუჟერეთ-სომხითის თემებში მეფის ორგულ მთავარ-ერისთავთა არსებობის პირობებში გარეშე მტრის წინააღმდეგ ბრძოლა საიმედო არ ჩანდა. ამ დაბრკოლების აღმოფხვრის ერთადერთი გზა ხსენებულ მხარეთა დიდმოხელეების ფიზიკური განადგურება იყო, მოხდა კიდეც ასე.

მალე ქუთათისის ტახტის გაუქმებისათვისაც ხელსაყრელი ამინდი დადგა.

დავით ნარინის სახლში შფოთი და ორეულობა იყო. ტახტა „პირმშეობისა ძალითა“ კონსტანტინე დავითის ძეს ეპყრა. მაგრამ მას უმცროსი ძმა არ სცნობდა და რაჭა-არგვეთში განმტკა-

1 ქართლის ცხოვრება, I, გვ. 448.

2 ე ამთაღ მწერელი, გვ. 325.

3 ქართლის ცხოვრება, I, გვ. 448.

4 ე ლ. მეტრევავლი, მასალები იერუსალიმის ქართული კოლონის ასტორიისათვის, გვ. 126.

ცებული ებრძოდა¹. უთანხმოება მეფის გარდაცვალებამდე (1227 წ.); გრძელდებოდა, როგორც იქნა მიქელს აუსტრულდა ოცნება², განდა მეფე, მაგრამ ორი წლის მეტი აღარ დახანოა ტახტზუმშუმაშვილი³ წელს მიქელის მემკვიდრეობა მისმა მცირეწლოვანმა ძემ, ბაგრატმა შილო.

ხანგრძლივმა შინაბრძოლებმა და შეფოთმა დიდი ზიანი შიაყენა ლიხთიქითის ტახტს, ძლიერად შეილახა მისი ავტორიტეტი და გაერთიანების ძალებს ხელსაყრელი ნიადაგი შეუქმნა გაუქმებისათვის. ამ მდგომარეობით კარგად ისარგებლა გიორგი ბრწყინვალემ. ლაშქრით გადავიდა ლიხთიმერეთში და ადვილად მიაღწია შიზანს. იმერ-ამერის დარღვეული ერთიანობის აღდგენა პროგრესის ძალთა დიდი გამარჯვება იყო.

ამის შემდეგ ჯერი სამცხეზე მიდგა. მეფემ ამ მიმართულებით ჯერ კიდევ 20-იან წლებში გაატარა მნიშვნელოვანი ლონისძიება, გააათაბაგა და დაიახლოეა თავისი ბიძა, სარგის მეორე. მაგრამ ეს მაინც არ აკმაყოფილებდა მას და სამცხის გამგებლის ხასობამდელ დამოკიდებულებაში მოქცევას ესწრაფვოდა, ამის საშუალებაც მალე მოეცა. 1334 წელს სარგის მეორე გარდაიცვალა. მისი მეპკვიდრე თვით მეფემ „დასვა“ გამგებლად და სამცხე შემოიმტკიცა⁴.

ამასობაში შინაურ სიძნელეებში გახლართულ საილხანოს გარეპოლიტიკური გართულებაც დაერთო. ოქროს ურდოს მბრძანებელი უზბეკ ყაენი საილხანოზე წამოვიდა. აბუ-საიდი მის დასახვედრად გავიდა და კარგა ხანს ელოდებოდა მტერს. მაგრამ მის მოსველამდე გარდაიცვალა ყარაბაღში 1235 წლის 30 დეკემბერს.

აბუ-საიდის გარდაცვალებისთანავე ქვეყანა არნახულმა არეულობამ და შეფოთმა მოიცვა. განსვენებული ილხანის უშვილობის გამო ყაენის ტახტისათვის დიდი ცილობა ატყდა. ამ ბრძოლიდან საბოლოოდ გამარჯვებული გამოვიდა თულის შორეული შთამომავალი არფა-ხანი, რომელიც მაშინვე დაიძრა უზბეკის წინააღმდეგ და აიძულა მოწინააღმდეგ უკუქცეულიყო⁵. ახალი ილხანი გამდგარი ამირების დამორჩილებას შეუდგა, მაგრამ მოელი იმ მიწა-

¹ ე ა მ თ ა ლ მ წ ე რ ე ლ ი, გვ. 296.

² ვ ა ხ უ შ ტ ი, საქართველოს ისტორია, I, გვ. 278; მისივე, საქართველოს ცხოვრება, მ. ვ ი ვ ი ნ ა ძ ი ს გამოცემა, თბილისი, 1913, გვ. 361;

³ B. Spuler Die Mongolen in Iran, Berlin, 1955, გვ. 228.

წყლის შემოქრება, რომელიც მისი წინამორბედის ხელისუფლებას ექვემდებარებოდა, მაინც ვერ შეძლო. 1336 წლის პირველი წლისთვეში შიარეა-ხანის ზეობის უამს, ბევრმა ამირამ მოახერხა დამტკიცებულებას მოპოვება, თუმცა გამდგარნი მარტოდენ ამით როდი კმაყოფილდებოდნენ და ილხანის ტახტისაკენაც ენერგიულად მიაწევდნენ. მაგრამ, რადგან ამ პრეტენზიების კანონიერებისათვის ჩინგიზიახური შთამომავლობა იყო აუცილებელი, თითოეული ასეთი პრეტენზი ჩ-ნგიზ ყავნის სახლის რომელიმე ნაშეირს ამოეფარებოდა ხოლმე და მისი სახელით თავის მაზნებს ახორციელებდა. ასეთები ამ დროს საქმაოდ ბლომად გამოჩნდნენ: ალი-ფადიშაჰი, შეიხ ჰასან-ბაუზურგ („დიდი“) ჯალაირი, შეიხ-ალი ხორასნელი, ცრუ-თემურტაში, ჰასან-ქუჩუკ ჩობანიანი და სხვ.

1336—1337 წლებში, როცა ამათ შორის საილხანომი გააფირებული შინაომები მიმდინარეობდა, დაპყრობილი ხალხებისადმი ყერისგდების საშუალება არ იყო. შექმნილი მდგომარეობა კარგად გამოუყენებიათ შარვანსა და საქართველოში და თათართა ბატონობა უარუყვიათ. ეს გარემოება პირველად ქვეყანაში მყოფი თათრების ვანდევნაში უნდა გამოხატულიყო. ვახუშტის თქმითავ, გორგი ბრწყინვალემ „მოსახნა ყოვლის თათრები“ საზღვართაგან თვისთა¹.

ზოგიერთი გვიანდელი ცნობით, ქართველებს ამ დროს შარტო ეს არ უკმარიათ და აღმოსავლეთ ამიერკავკასიის ძველ ყმაზნაფიც ქვეყნებსაც მიშველებიან. როგორც მ. ბროსესეული „ქართლ-ს ცხოვრება“ გვაუწყებს, „კვალად შემოიკრიბნა (გორგი მეღლებ) სპანი და შევიდა რანს, (სადაც) ვერ-ვინ წინალუდგა, და მუნიდან შევიდა შირვანს და დაიმორ ჩილა იგინიცა და მოხარკა ყუნა დარუბანდამდე, ქურდის ლეკით ურთ“².

გორგი ბრწყინვალის ეს წარმატებანი სარწმუნო. თათრები ამ დროს ისეთ შინააშლილობაში იყვნენ, რომ ქართველებისათვის მართლაც ვერ უნდა გაეწიათ სერიოზული წინააღმდეგობა. გამოავისუფლებელი ლაშქრის გამარჯვება უნდა გაეადვილებინა აგრეთვე თათართა მფლობელობით შეწუხებულ რანისა და შარვანის მკვიდრი მოსახლეობის შხარდაჭერასაც.

¹ ვახუშტი, საქართველოს ისტორია, I, გვ. 277.

² ქართლის ცხოვრება, მ. ბროსეს გამოცემა, I, გვ. 448.

მართალია, ადარბადაგანში განმტკიცებულმა შეის ჟავანქუ-
ჩუქმა მალე იძულა გორგი მეექეს კვლავ ეცნო თათრის ბატონო-
ბა (1338 წ. მეორე ნახევარში), მაგრამ საჩობანიძეს მარტინუ-
ლოს პოლიტიკური ურთიერთობა სხვა კატეგორიის შოვლენა იყ
და ისე ვეღარ აბრკოლებდა ქვეყნის განვითარებას, როგორც ილ-
ხანთა მფლობელობა.

* * *

ჩინგიზიან თათართა მფლობელობამ მეტ-ნაკლებად ქართველ-
თა ცხოვრების თითქმის ყოველ სფეროში აღბეჭდა თავისი მავნე
კვალი.

თათრებმა ჯერ კიდევ პირველ ლაშქრობათა დროს მიაყენეს
მნიშვნელოვანი მატერიალური ზარალი საქართველოს სამხრეთ-
დასავლეთ მხარეს (სომხითი, ჰერეთი).

განსაკუთრებით დიდი ჩატევა-ოხრება განიცადა ქვეყანამ 1236
წელს. თათრები ამ დროს ქვეყანას, მოეფინეს მსგავსად მკალთა
ოჯრებად და პოცად¹. „ჰერეთი და კახეთი, სომხითი და ქართლი
და აღმართ კარნუ ქალაქამდის,—ყოველი ქუეყანა მწარესა ოჯრებასა
შინა იყო: არბევდეს, ტყუე ჰყოფდეს, სრვიდეს მამაკაცთა, ვიდრე
დედათა და ყრმათა ტყუედ წარიყვანებდეს“². დიდად დაზიანდა
ქვეყანა, განსაკუთრებით სამცხე დავით ულეს აგანყების დროს,
ჯავახეთი — თევზუდარის ურდოს თარეშის ეამს, იმერეთი, შიდა
ქართლი და ქართლის მთიანეთი — ნარინ დავითისა და დავით
შერვის შინააღმდეგ თათართა ბრძოლის დროს და ა. შ.

თათართა მძლავრობა ყველაზე მეტად მაინც ქვემო ქართლს,
ჰერეთს და კუხეთს დააჩნდა: მოიშალა რთული სარწყავი მოწყო-
ბილობა, გაერანდა სოფლები. ქალაქები, გაწყდა ან ამ მხარეებს
გაეცალა მოსახლეობა...

ამ ქრილობათა მოშუშება და მდგომარეობის გამოსწორება
ფლში საქართველომ ვეღარ შეძლო. ველდაკარგულ და ზეგანს
შერჩენილ ქვეყანას კი რამე სერიოზული დაწინაურების ძალა
აღარ შესწევდა და ისიც საუკუნეების მანძილზე უილაჭოდ ტკი-
ნიდა ერთსა და იმავე ადგილს.

¹ ქამთაღ მწერალი გვ. 187.

² იქ ვ. გვ. 190—191.

დიდი იყო ადამიანთა მსხვერპლი. ქვეყანაში მტრის გამოქა-
თარებებს გარდა, ბევრი ქართველი იღუპებოდა თათართა დრუჟიშვილი-
ბებში, რომელებშიც მონაწილეობა დამკრობილ ქართველების
ედო. ათასობით ქართველი მოლაშქრე დაეცა კარნუ ქალაქთან,
რუმის თურქებსა და თათართა შორის გამართულ ბრძოლაზე (ქარ-
თველები აქ ორივე მხარეს იბრძოდნენ), ბალდადის აღების დროს,
სიბაზე, ეგვიპტის სულტნის წინააღმდეგ ლაშქრობებში და.
ა. შ.

მომთაბარებებს მეფის ძლიერი ხელისუფლება არ აწყობდათ,
ამიტომ მრავალმთავრობა მიიღეს და მთავარ-ერისთავებს მისცეს
მხარი. თათართაგან ზურგამაგრებულ შინაგან რეაქციასთან მეუე
ველარ იბრძოდა წარმატებით.

მართალია, გიორგი ბრწყინვალემ სცადა პროგრესის ძალთა
ძველი პრესტიუს აღდგენა და საქადრისი მიაგო რეაქციას, მაგრავ
მარტო ეს საქმეს არ შველოდა, აუცილებელი იყო გაერთიანების
ბანაკს მომავალშიც გაძლიერებისათვის საჭირო პირობები ზექმნო-
და, რაც აღარ მოხერხდა და ჩინგიზიანთა მფლობელობის ხანაში
ძირგანმტკიცებულმა რეაქციამ საუკუნეთა მანძილზე დაჩიხა ქვეყნის
აღმავალი განვითარება. ამგვარი სამეურნეო და სოციალური რევ-
რესი სავსებით ბუნებრივი შედეგი იყო კულტურული განვითარე-
ბის ისეთ დონეზე მდგარი დამპყრობელის მძლავრობისა, როგორიც
თათრები იყვნენ. „როცა დამპყრობელად ნაკლებ კულტურული
ხალხი გამოდის, — წერს ფრ. ენგელსი, — ეკონომიკური გან-
ვითარება ფერს და, ხოლო საწარმოო ძალები ნადგურდება“¹.

მძიმე ბზარი გაუჩნდა საქართველოს ერთიანობას. ორმეტობის
შემთხვევითი აქტი მალე ქვეყნის პოლიტიკური დამლის დასაწყი-
საღ იქცა. ეს პროცესი შემდეგ ილხანთა პოლიტიკური კურსის
მეოხებით სამცხის ჩამოცილებით გალრმავდა.

XIV საუკუნის 30-იან წლებში, თუმცა მოხერხდა საქართვე-
ლოს გაერთიანება, მაგრამ ქვეყნის დამშლელ ძალებს ისე მძლავ-
რად გაედგა ფესვი, რომ მათი ამოქვეთაც დიდ ძალა და დროს
მოითხოვდა. საქართველოს პროგრესს კი არც ერთი აღმოაჩნდა,

¹ ფ. ენგელსი, ანტი-დიურინგი, თბილისი, 1952, გვ. 216 (დაყოფა
ჩეენია — ი. ხ.).



არც მეორე და იმავე საუკუნის 80-იან წლებში განვითარებულაქმა საგარეო გართულებებმა კვლავ რეაქციას გაუხსნა გზით გამოიყოფილია

დაშლა-განკერძოების ტენდენციამ ეკლესიაშიც მძლავრად იჩინა თავი. აფხაზეთის კათალიკოსი უკვე XIII საუკუნის მიწურულიდან ესწრაფვოდა ძეელი მღვმარეობის აღდგენას, რაც წარმატებით დამთავრდა XV საუკუნის მეორე ნახევარში.

გამწვავდა მთისა და ბარის ურთიერთობა, თაორებთან ქვეყნის გართულებებით ისარგებლეს მთიელებმა და ბარის კულტურულ-პოლიტიკური მეურვეობისაგან. თავდახსნა სცადეს. ამ მიზნით დაკრივნენ მეფის მოხელეებს თუ კულტის მსახურთ და იწყეს მათი ხოცვა. ერთი სიტყვით, როგორც იმდროინდელი წყარო მოწმობს. ეჭ „მრავალფერნი ულუს ობა“ იყო¹. გიორგი ბრწყინვალევი აბორგებული მთის დაცხრობა კანონმდებლობის საშუალებით სკადა. მის მიერ მთიულთათვის გაჩენილი სამართლის წიგნი მქაცრ სასჯელს აწესებდა მეფის მოხელეთა მკვლელობისათვის. „ერის-თვის სიუდილი, — ვყითხულობთ აქ, — ვით აროდეს კადრებულა, უგრე ნუმცა ეისგან იყადრების.

და თუ ვის ღმერთი შერისხდეს და შეცოდება აზოვ დიდი დაემართოს და მოკლას ერისთავი, ვითა უმსგავსო არის და უსახომო შეცოდება, აგრეთვე დამეტებული დიდი პატივი და გარდაქდევინება დარბაზით ეკითხოს; გარდახუეწა, მამულის წალება და სისწლა მის გუარსა ზედა დაიურეოს და გარდაიხუეწოს.

და მამულისა, რაზომ წლამდის დაიჭირვის, ამად არ გავაჩინეთ, რომე უსახომო იყო და არაოდეს ქმნილიყო და არცა ჩუენ წესა-დვე ვდებდით.

და თუ რადმე იქმნას, მის უამისა მეფემან იყითხოს, რაუამცა უფრო ძნელად იყითხებოდეს².

გიორგი ბრწყინვალის დროს მნიშვნელოვანი ღონისძიებები გატარდა შეტევაზე გადმოსული მთიანეთის უკუსაგდებად და ძეელი მღვმარეობის აღსაღვენად, მაგრამ ამას დიდი შედეგი არ გამოულია, რადგან საქართველოს ბარის საამისოდ აუცილებელი მოღონიერება აღარ მოხერხდა.

¹ ი. დოლიძე, გიორგი ბრწყინვალის სამართალი, თბ., 1957, გვ. 101.

² იქვე, გვ. 104—105.

XIV საუკუნის დამდეგიდან, როცა თათართა სოციალურუების
მიურ წყობას დაპყრობილ კულტურულ ხალხთა ცხოვრების
წესმა სძლია, ველის არისტორატის შთამომარისაონი აღმართულია
ფეოდალებს მიწათმფლობელობაში შეეცილნენ. ასეთ ვითარებაში
დიდი საფრთხე შეექმნათ საქართველოს ისეთ განაპირო მხარეებს,
როგორიც იყო საათაბაგო სომხეთში და საარიშიანო შაქში. მომთა-
ბარენი განსაკუთრებით ძლიერად იყენენ ფეხმოკიდებულნი შაქში.
აქ ისინი სხვებიან XIII საუკუნის 60-იანი წლებიდან, როცა საარი-
შიანოს ამ ნაწილში „სიბა“ შეიქრა. თათართა მოსახლეობის გამრავ-
ლებამ ამ ქვეყანაში და იმ ტენდენციების გალრმავებამ, რომლე-
ბიც XIV საუკუნიდან მტკიცედ იყალვს გზას მომთაბარეებში,
გაპირობა საარიშიანოს ერთი ნაწილის საქართველოსგან მოწყვე-
ტა. XIV საუკუნის მიწურულს აქ უკვე შაქის მონლოლური სამფ-
ლობელო არსებობს, რომლის მმართველობაც ორლატთა თათრუ-
ლი ტომის ბელადს უჰყრია ხელი!

ფეოდალური საქართველო არ შეურიგდა შაქის დაკარგვას და
დიდხანს ენერგიულად იბრძოდა მისი დაბრუნებისათვის, მაგრამ
ეს აღარ მოხერხდა.

ტერიტორიული შემცირების გარდა, ამ ფაქტს სხვა უარყოფი-
თი მნიშვნელობაც ჰქონდა. ქრისტიანობის იმ დევნა-შევიწრებ-
ის ვთარებაში, რაც XIII საუკუნის მიწურულიდან გაჩაღდა საილ-
ხანოში, დიდ გასაჭირები აღმოჩნდა შაქის მკეიღრი ქრისტიანულა
მოსახლეობა. მართალია, ისინი კარგა ხანს მტკიცედ აღგნენ შამა-
პაპურ სარწმუნოებას, მაგრამ თათართა პოლიტიკურსა და სოცია-
ლურ ბატონობას თავისი გაპქონდა და ისლამი თანდათან სულ-
უფრო და უფრო იყიდებდა ფეხს. ქართული კულტურული სამყა-
როს მოწყვეტა და სჯულის შეცვლა ხელს უწყობდა მკეიღრი მოსახ-
ლეობის გადავარება-გათარებას.

მძიმე ვითარება იყო საათაბაგოშიც (სომხეთი). სათავე საში-
ნელ ბასყაკობას ზედ ერთვოდა თათართა ურდოების მომთაბარე-
ობა.

დიდი დაქვეითება განიცადა კულტურულმა ცხოვრებამაც. ამ
მხრივ ნიშანდობლივია თვითმხილველის ცნობა. „გადატრიალების

1. ნ. ბერძენიშვილი, აღმოსავლეთ კახეთის წარსულიდან, მიმომხილ-
ველი, III, თბილისი, 1953, გვ. 72.

ნიმები: ბალათური¹ || ბაპალური², ჭიგდა³, ჩაღატარი⁴ და პრესლი
სხვ.

დამპყრობელისაგან შეუვალი ვერც ადგილობრივი ფულურული
ული ნომენულატურა დარჩა⁵.

თათართა მძლავრობის ძნელად თუ შედარებით აღვილად
აღმოსაფხვრელი შედეგები ქვეყნის წინსცლას გზას ვეღარ შეუკრა-
ვდა, თუ საქართველოს საამისოდ ხელსაყრელი გარეპოლიტიკური
პირობები შეექმნებოდა, მაგრამ ეს აღარ მოხდა და პროგრესიკ
დიდი ხნით შედგა.

1 ეს ანთროპონიმი დასტურდება გვარსახელში „ბალათურია“.

2 ბაპალური გვხვდება როგორც გვარებში, ისე პირის სახელებშიც. ბაპა-
ლური მონილური ბალათურის გადასპარსულებული ფორმაა. ქედან შეუთვისე-
ბია იგი ქართულს. ამას მოწმობს ამ ანთროპონიმის ქართული ერიანტი „ბა/ა/-
ლურ“. ამ სახელით იწოდებოდა დემეტრე მერის ერთ-ერთი ძე (კაშთა ღმ-
წერელი, გვ. 292). იგივე ანთროპონიმი („ბა/ა/ლურ“) უდევს საფეხულად
გვარსახელსაც „ბალურაშეილი“.

3 ასე იწოდებოდა დავით ულუს ბირეველი თანამეცხელრე (კაშთა ღმწერე-
ლი, გვ. 229, 230, 236, 237). იგივე სახელი ერქვა დემეტრე მეორის ასულ-
საც (იქვე, გვ. 286) და ა. შ.

4 ეს სახელი მონილური ჩაღატაის ირანიზირებული ფორმა ჩანს. იგი
გვხვდება ქამთაღმშერლის თხზულებაში, კერძოდ, იქ დაცულ ერთ სპარსულ
გამონათქვამში: „მან ქუშტემ ჩალატარ“ (გვ. 210). ეს ანთროპონიმი გამოი-
ყოფა ქართულ გვარსახელში „ჩაღატარაისძე“, რომლის სახენაცვალი ფორმე-
ბი უნდა იყოს „ჩხატარაისძე“ და „ჩხატარაშვილი“.

5 „და ვთარ მოიწია სოფელი, წარეიდა ყაენი (აბალა — ი. ს. ქუეყნად
შირვან/შასა, საზღვართა საქართველოსათა, ილგილსა რომელსა უწოდიან ჩა-
ლანუსუნი, ესე იგი არს თეთრი წყალი“—გვამცნობს უამთაღმშერლილი
(გვ. 251).

ჩაღანუსუნი ადგილის სახელად ანუ ტოპონიმად მეორადია. თავდაპირეე-
ლად იგი, როგორც თვით ამ სახელიდანაც ჩანს, მდინარეს ერქვა. პილრონიმია
შონილური მაშარმოებელი — უსუნ (წყალი) ამაზე ხათლად მიუთითებს.

რაშიდ ად-დინთან ეს პილრონიმი „ჩაღან მორენის“ (მურენ — მდინარე)
ფორმით არის დადასტურებული (III, გვ. 69).

გ 0 6 ა ა რ ს 0

შესავლის მაგიერ	3
თ ა ვ ი I	
საქართველო თათართა შემოსევების წინ	11
თ ა ვ ი II	
მონღოლეთი XIII საუკუნის დაძლევები	30
თ ა ვ ი III	
თათართა პირველი ლაშქრობანი საქართველოში	42
თ ა ვ ი IV	
ბრძოლა ხვარაზმელთა წინააღმდეგ	64
თ ა ვ ი V	
საქართველოს დაპყრობა თათართა მიერ	69
თ ა ვ ი VI	
მმართველობის ნომადური სისტემის შემოლება, კონტასთავის შეოქმულება	81
თ ა ვ ი VII	
მმართველობის ქართული სისტემის აღდგენა, ორმეფობა, კვლავ შე- თქმულება	97
თ ა ვ ი VIII	
თათართა ძფლობელობის დამძიმება, კლასობრივი ბრძოლის გაძლიერება.	
აგროგრძელების ძალთა შესუსტება	105
თ ა ვ ი IX	
აგანწყებანი თათართა მფლობელობის წინააღმდეგ	129
	185

თ ა ვ ი X	
შეცენის პოლიტიკური დაშლის გაღრმავება	
თ ა ვ ი XI	
შეთათისის ტახტის ანტიკლანციური პოლიტიკა	140
თ ა ვ ი XII	
აღმოსავლეთ საქართველოს სამეცნ XIII საუკუნის 70—80-იან წლებში. დემეტრე შეფის სიკედილით დასჭა	150
თ ა ვ ი XIII	
აგანყება აღმოსავლეთ საქართველოში	158
თ ა ვ ი XIV	
ილხანთა ბატონობის დამზობა	168

საზოგადოებრივი რედაქტორი მ. დუმბაძე
გამომცემლობის რედაქტორი მ. ქანთარია
მხატვარი გ. აკაგანიშვილი
მხატვარული რედაქტორი ნ. ოსუანოვი
ტექნიკური რედაქტორი ვ. ჭიჭინაძე
კორექტორი თ. მაჩაბელი

ვადაეცა წარმოებას 17/IV-67 წ.
ხელმოწერილია დასაბეჭდად 13/XII-67 წ.
ქსლალდის ზომა $60 \times 841/16$.
ნაბეჭდი თაბაზი 11,75.
საალტ.-საგამომც. თაბაზი 9,93.

ფ. 01893. ტიტაფი 1000. შეკვ. № 805.

ფასი 90 კაპ.

გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“
თბილისი, მარჯანიშვილის 5.

შე-4 სტამბა, თბილისი, მეტქალაქი
Типография № 4. Тбилиси, Медгородок



Юрий Мойсеевич Сихарулидзе

Борьба грузинского народа за независимость в
XIII—XIV веках

(На грузинском языке)

Издательство «Сабчота Сакартвело»
Тбилиси, Марджанишвили, 5,
1967

ଶ୍ରେଣିକୁଳର ଉପଲବ୍ଧିରେତିଥିବା କାହାରେକା

ଶ୍ରେଣିକୁଳ	ପ୍ରକାଶକାରୀ		ଅନ୍ତର୍ଭାବରେ କାହାରେକା
	ଶ୍ରେଣିକୁଳ	ଶ୍ରେଣିକୁଳ	
76	11		ଲାର୍ଗାଲାଙ୍ଗି
80	14		ଶିଳ୍ପିକାମ୍ବିନି
137	7		ଲାର୍ଗାଲାଙ୍ଗି
174	16		ଶିଳ୍ପିକାମ୍ବିନି
175	13		ଲାର୍ଗାଲାଙ୍ଗି
176		12	ଶିଳ୍ପିକାମ୍ବିନି

